It is necessary for the country to pay attention to the production of high quality wine. This will enable it to establish itself in the international market and turn its wine into a brand. The dynamics of recent years have shown that Georgian wine participates in the international market of international exhibitions of wine and spirits on a large scale in a single branded form. Searching for new markets and sales channels also increases the chances of attracting tourists. The diversification of this field is facilitated by the awards won by Georgian wine brands (gold and silver medals): double gold - "Saperavi. Reserve 2005", company "Kakhuri"; Gold - "Saperavi. 2008 ", the company "Kakhuri "; Gold - "Saperavi. Family reserve 2013", the company "Lucas"; Gold - "Cellar. Condole Vineyards. 2013", company "Telavi Wine Cellar"; Gold - "Cellar. Reserve. 2007", Telavi Wine Cellar Company; Silver - "Mukuzani Iberian. 2013", company "Shumi"; Silver - "Napareuli. 2013". Company "Shumi"; Silver - "Saperavi refectory. 2012", company "Telavi Wine Cellar"; Silver - "Saperavi Pitcher. 2011", Corporation "Kindzmarauli", Georgian pitcher wines are now considered alongside such winemaking countries around the world as France, Italy and Spain. The world-famous permanent exhibition "Vinopolis" in London started with the Georgian pavilion called "Georgia - the cradle of wine" (today it is temporarily closed due to a pandemic).

On September 7-9, 2016, at the initiative of the United Nations Tourism Organization, UNWTO, the first global conference on wine tourism in Georgia was held in Kakheti (Kakheti, because 65 percent of the vineyards in Georgia are located in Kakheti). This is the most important event in the international arena for Georgia as in terms of establishing the image of the homeland of wine. The conference was attended by 250 delegates from 42 countries and 150 organizations.

On May 9, 2020, the main wine festival of the year in Georgia - "New Wine Festival 2020" was to be held, but was postponed due to a pandemic.

Tourism theorists consider thematic tourism as the driving force of tourism by 2020, where diversifying wine tourism is the only right way for our country, and it is considered as a growing segment. Georgia is a case where the development potential of the field is well known. However, the pandemic has significantly affected wine tourism, as well as the tourism sector as a whole. It is noteworthy that in addition to the reduction of domestic consumption in the country, the general international impact of the Covid-19 pandemic has suffered more, as the demand for wine, and in particular for Georgian wine, has also decreased abroad. To develop this area of tourism, we need to share the experience of countries that have long been involved in this field. The government of Georgia supports the development of viticulture and winemaking, both in terms of agriculture and wine tourism, as seen in the amended Law on Wine and Vine, as well as in the project "Georgian Tourism Strategy 2025" developed by the National Tourism Administration. Together they will contribute to the promotion and popularization of one of the most important fields for the country - winemaking and Georgia as the homeland of wine.

Today, creating a brand of territories for the development of wine tourism will determine future success. A good brand, attracts more tourists and investments, creates a positive image and reputation. There is still a lot to be regulated in Georgia. First of all, it is necessary to improve the infrastructure (in almost all regions of Georgia), to create relevant bodies. As well as raising awareness around the world, the need to train and retrain experienced and qualified personnel, removing the foreign language barrier, strict control over the production of good wine, and more. Any stage of wine tourism development requires correlated participation of government and private sector at any level, which is the guarantee for the development of the sector.

**ელისაბედ ბალიაშვილი**

ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეული პერსონალი

### **საკადრო პოლიტიკის სისტემის შემადგენელი ელემენტები და მისი რეგულირება საქართველოს ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში**

**ანოტაცია.** სტატიაში - „საკადრო პოლიტიკის სისტემის შემადგენელი ელემენტები და მისი რეგულირება საქართველოს ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში“ - როგორც მისი სათაურიც გვიჩვენებს, განხილულია:

1. საკადრო პოლიტიკის სისტემის შემადგენელი ელემენტების - პერსონალის დაგეგმვის, შერჩევისა და მართვის თავისებურებები;
2. საკადრო პოლიტიკის სისტემის რეგულირების ასპექტები - საქართველოს სამთავრობო დოკუმენტებსა და ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში არსებულ სპეციალურ კანონებზე დაყრდნობით.

სათანადო ინფორმაციით სტატიის ავტორი არგუმენტირებულად ასაბუთებს, ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში პერსონალის მართვის თავისებურებების არსებობას, კადრების კვალიფიკაციისა და კომპეტენტურობის საჭიროებას და ამ სფეროში თანამშრომელთა მაღალი ინტელექტუალური დონის აუცილებელ მოთხოვნას, რადგან მომსახურე პერსონალს მჭიდრო ინტელექტუალური კავშირი აქვს ვიზიტორებთან და საჭიროდ მიიჩნევს ამ მახასიათებლების გათვალისწინებას - პერსონალის დაგეგმვის, შერჩევისა და მართვის პროცესში.

საკუთარი მოსაზრებებითა და სხვა მეცნიერთა ნაშრომებიდან მოტანილი ამონარიდებით, ავტორი ასაბუთებს რაოდენ მნიშვნელოვანია საკადრო პოლიტიკის რეგულირება და მიუთითებს იმ ნაკლოვანებებზე, რომელიც არსებობს საქართველოს ტურიზმის სექტორის მარეგულირებელ შესაბამის კანონებში.

**საკვანძო სიტყვები:** „საკადრო პოლიტიკა; საკადრო პოლიტიკის რეგულირება, პიროვნული და პროფესიონალური უნარები, სასტუმროს პერსონალის კომპეტენცია.“

#### **შესავალი**

ტურიზმი და მასპინძლობა თანამედროვე მსოფლიოში და მათ შორის, საქართველოში ერთ-ერთ ძლიერ, ქვეყნისთვის მნიშვნელოვან შემოსავლის მომტან ეკონომიკურ სექტორად ჩამოყალიბდა. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოდგენილი ინდუსტრია დღეს გახლავს ეკონომიკის პრიორიტეტული სფერო და ქვეყნის მთავრობამ და საკუთრივ, ამ სფეროს კომპანიებმაც - მის სისტემატიურ განვითარებაზე, ტურიზმის თავისებურებათა გამოკვეთის ფონზე, პერსონალის მართვის სწორი პოლიტიკის შემუშავებასა და მის ეფექტურ რეგულირებაზე უნდა იზრუნონ. ჩვენი ქვეყნის პერსონალის საქმიანობა განურჩევლად იმისა, თუ რომელ სფეროშია დასაქმებული, პირველ რიგში რეგულირდება საქართველოს სამთავრობო დოკუმენტებით (საქართველოს კონსტიტუცია, შრომითი მიგრაციის კანონი, საქართველოს შრომის კოდექსი), ხოლო შემდეგ - შესაბამისი დარგის მარეგულირებელი კანონმდებლობით.

ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრია მეტად სპეციფიკური დარგია, რადგან მასში მომუშავე პერსონალს, სხვა ეკონომიკურ სექტორებში დასაქმებულე-ბისგან განსხვავებით, გამორჩეული თვისებები მოეთხოვებათ. სწორედ მათ უნდა შექმნან ისეთი მაღალი პასუხისმგებლობის შეკრული გუნდი, რომელიც შეძლებს ვიზიტორებს შესთავაზოს უნაკლო სერვისი, და, რაც მთავარია, დაუფვიანებლად და შეუფერხებლად ჰქონდეს რეაქცია შეცვლილ გარემოსა და ტურისტების თანამედ-როვე მოთხოვნილებაზე.

\*\*\*\*

ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში მთლიანად პერსონალზეა დამოკი-დებული ტურისტების და ზოგადად, სტუმრების მომსახურების დონე. მომსახუ-რების გაუმჯობესება კი, როგორც მეცნიერები წერენ, ერთ-ერთი პირველი ამოცა-ნაა,<sup>1</sup> რადგან სტუმრები სწორედ მისი ხარისხით აფასებენ სასტუმრო, სარესტორნო და ზოგადად, ტურისტულ სერვისს. აღნიშნული სერვისი ვერ იქნება სათანადო ხა-რისხის, თუ მის მიმწოდებელ ადამიანებს არა გააჩნიათ სათანადო უნარები. მაგა-ლითად, შეიძლება სარესტორნო ან სასტუმრო ბიზნესში დასაქმებული არ იყოს რეაქტიული (სწრაფი), პუნქტუალური და აკურატული? რა თქმა უნდა არა. იმის წარმოსადგენად და საქართველოში მის გამოსაყენებლად თუ რა მოთხოვნებს უყენებენ უცხოეთში ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში დასაქმებულებს განხილული გვაქვს ცხრილი #1-ში.

**ცხრილი #1**

**ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში დასაქმებულთა პირადი უნარების საჭიროება<sup>2</sup>**

	ძირითა დი მოთხოვნები	სასურველი საჭიროებები
<b>1 ფიზიკური მდგომარეობა:</b>		
პიროვნების მიზანდასახულობა		+
ინტელექტუალური დონე	+	
ემოციური სტაბილურობა	+	
ყურადღებებიანობა	+	
ქცევის მოქნილობა	+	
მავნე ჩვევების არქონა	+	
ამტანობა		+
რეაქტიულობა (სისწრაფე)	+	
<b>2 პროფესიული ცოდნა:</b>		
ახალი ცოდნისკენ მისწრაფება		+
სტუმრების (ტურისტების) პრობლემების გადაწყვეტის უნარი	+	
თავდაჭერა კონფლიქტურ სიტუაციებში	+	
უცხო ენის ცოდნა	+	

<sup>1</sup> *Goeldner C. R., Ritchie B. R.* Tourism, Principles, Practices and Philosophies. 2008.

<sup>2</sup> Human Resources Management in the Hospitality Industry. *David R. Hayes, Jack D. Ninemeier.* 2009



	პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა		+
	სასტუმრო მომსახურების ტექნოლოგიის ცოდნა	+	
	სხვადასხვა ოპერაციების უსაფრთხოდ განხორციელების ჩვევა		+
3	<b>კომუნიკაციის უნარი:</b>		
	ურთიერთობის დამყარების უნარი	+	
	სამეტყველო ეტიკეტის ცოდნა	+	
	ლიტერატურული მეტყველება	+	
	უცხო ენის ცოდნა	+	
4	<b>მართის უნარი:</b>		
	გადამწყვეტი მოქმედების უნარი	+	
	ეკონომიის უნარი	+	
	ინფორმაციის შეკრების და გავრცელების უნარი	+	
	დასაქმებულთა მოტივირების უნარი	+	
5	<b>ადამიანებზე ურთიერთზემოქმედების უნარი:</b>		
	კონტაქტების დამყარების უნარი	+	
	წერილობით აზრის გამოთქმის უნარი		+
	მოსმენის უნარი	+	
	იყოს კეთილმოსურნე	+	
	შეეძლოს თანამოსაუბრის პრობლემების გაგება	+	
	დაიცვას ეთიკის ნორმები	+	
6	<b>გუნდში მუშაობის უნარი:</b>		
	თანამშრომლობის უნარის ქონა	+	
	შეეძლოს თავი მიუძღვნას საერთო სიკეთეს		+
7	<b>ინდივიდუალური უნარები:</b>		
	სტრესმედეგობა		+
	თვითრწმენა (თვითდაჯერება)	+	
	აზროვნების მოქნილობა	+	
	სხვათა გამოცდილების გამოყენების უნარის ქონა	+	
	თვითკრიტიკის უნარი	+	
8	<b>სოციალური მახასიათებლები:</b>		
	პუნქტუალობა	+	
	სავალდებულობის შეგრძნება	+	
	აკურატულობა	+	

ასეთი ფაქტების აღმოსაფხვრელად, საზღვარგარეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნების ტურისტულ ფირმებს ადგილზე აქვთ ორგანიზებული პერსონალის დიპლომის შემდგომი სწავლება. იგი ყოველკვირეული ტრენინგებით ხორციელდება და

მუდმივად მიმდინარეობს. ცხადია, არსებობს მოკლევადიანი ტრენინგებიც, მაგრამ იტალიაში, ესპანეთში, იაპონიაში და სხვაგან უპირატესობას გრძელვადიან ტრენინგებს აძლევენ. სწორედ ამ ქვეყნების პრაქტიკის გაზიარება არის წასახალისებელი საქართველოს ტურიზმის და მასპინძლობის ინდუსტრიაში. ეს შეიძლება მოეწყოს როგორც იქაური ტრენინგების მოკლევადიანი მოწვევით საქართველოში რამდენიმე სანიმუშო ტრენინგის ჩასატარებლად, ისე - საქართველოს ტურისტული ინდუსტრიის ხელმძღვანელ სპეციალისტების ამ ქვეყნებში გაგზავნით იქაური გამოცდილების ადგილზე გასაცნობად და საქართველოში დასაწერად.

ეს საქმე უცხოეთიდან არც ერთი ტრენინგის მოწვევით გადაწყდება და არც იმ ერთ მენტორს ევოლინება ყველა ის პროგრამა, რაც ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში სხვადასხვა დასაქმებულებს კვალიფიკაციის ასამაღლებლად სჭირდებათ. ტურიზმის ინდუსტრია მოიცავს - ტურმომსახურებას, კვებას, ტრანსპორტირებას, სასტუმრო მომსახურებას, სამუზეუმო მომსახურებას და ა. შ. თითოეული სფეროს პერსონალი ურთიერთგანსხვავებულ საქმეს აკეთებს და ამდენად, მას ტრენინგები ერთნაირი ვერ იქნება. თანამშრომელთა პროფესიული განვითარება სხვადასხვა ცენტრში და სხვადასხვა ტრენინგის მიერ უნდა განხორციელდეს.<sup>3</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერ ტურისტულ ფირმაში, სასტუმროსა თუ რესტორანში, პერსონალის მართვის მენეჯერს ერთ-ერთი მთავარი როლი უკავია დასახელებული საწარმოს მართვაში, რადგან მასზე დამოკიდებული კომპანიისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის, ცოდნისა და უნარების კადრების შერჩევა.

საკადრო შემადგენლობის შესარჩევად, ტურისტულ ფირმებში იქმნება სპეციალური პროგრამა, რომელიც სამი ბლოკისგან შედგება:<sup>4</sup>

❖ **პირველი ბლოკი** - ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის საწარმოს საკადრო პრობლემის განსაზღვრა. იგი მუშავდება, როგორც პერსონალზე საერთო მოთხოვნა, ცხადია, ცალკეული თანამდებობებისა და სპეციალისტების ჭრილში;

❖ **მეორე ბლოკი** - პრობლემის გადაწყვეტის წყაროების განსაზღვრა: დასაქმებული კადრების ანალიზი, მათი რაოდენობა, ხარისხი, შედეგიანობა, კომპეტენტურობა, ოპტიმალობა. გარედან მოსაწვევი კადრების რაოდენობის განსაზღვრა;

❖ **მესამე ბლოკი** - პრობლემის გადაწყვეტა: ტურიზმის და მასპინძლობისთვის საჭირო კომპეტენციების მქონე კადრების დაქირავება, ადაპტირება, გადამზადება, კარიერული წინსვლა და სხვა.

ამ სამ ბლოკში ჩამოთვლილი ოპერაციები გვიჩვენებს, რომ კადრების საჭიროების განსაზღვრა და მათი შერჩევა შემდეგი მიმართულებებით უნდა წარიმართოს:<sup>5</sup>

1. პერსონალზე მოთხოვნილების ანალიზი და დაგეგმვა;
2. პერსონალის შეგროვების (შეკრების) ანალიზი და დაგეგმვა;
3. პერსონალის შერჩევის ანალიზი და დაგეგმვა;
4. შერჩეული პერსონალის გამოყენების ანალიზი და დაგეგმვა;
5. დასაქმებული პერსონალის განვითარების ანალიზი და დაგეგმვა;
6. კადრების გამოთავისუფლების ანალიზი და დაგეგმვა;

<sup>3</sup> ბეროესი ვ., პავერსი ტ., რეინოლდსი დ. შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში. თბ., 2012.

<sup>4</sup> Introduction to Hospitality 7th Edition by **John Walker (Author)**, 2017; Управление человеческими ресурсами на предприятиях индустрии гостеприимства. М., 2007.

<sup>5</sup> Human Resources Management in the Hospitality Industry. David R. Hayes, Jack D. Ninemeier. 2009.

7. საკადრო შემადგენლობის შენარჩუნების ღონისძიებათა დაგეგმვა.

სხვა დარგებისგან განსხვავებით, ტურიზმის ინდუსტრიაში პერსონალი იგეგმება უპირველესად, ხარისხობრივი შედგენილობით და მხოლოდ შემდეგ, რაოდენობის თვალსაზრისით. **ხარისხობრივ შედგენილობაში იგულისხმება:** ამ სფეროს ცოდნა, უნარები, დაგროვილი კომპეტენციები და რაც უკვე აღვნიშნეთ, სტუმრისთვის სასიამოვნო პიროვნული თვისებები - აკურატულობა, სიზუსტე, სისწრაფე და სხვა. ამ სფეროში წარმატებას დაქირავებულთა რაოდენობა კი არ იძლევა, არამედ, მათი ხარისხი. აქ ცოდნა და ეთიკური ქცევაა საჭირო, რადგან სტუმრად მოსულ ადამიანს ვემსახურებით. თუ გვინდა, რომ ვიზიტორი კვლავ გვეწვიოს, მას ტურისტული სერვისის მისთვის მისაღები ქცევით და ეთიკის ნორმებით უნდა შევთავაზოთ.

პერსონალის როგორც ანალიზი, ისე დაგეგმვა ტურიზმის ინდუსტრიის კომპანიებში მთელი რიგი ღონისძიებების გატარებით ხორციელდება და შემდეგი ქმედებებისგან შედგება:

1. საწარმოს პერსონალის საქმიანი, პიროვნული და პროფესიონალური ნიშნების ანალიზი;
2. შრომის ბაზრის მხრიდან კადრების შეთავაზებაში მოსალოდნელი ცვლილებები საგეგმო პერიოდში;
3. კადრებზე შესაბამისი კომპანიის მოთხოვნილების პროგნოზი საგეგმო პერიოდში.

ხოლო პერსონალის დაგეგმვა და შერჩევა სამ ეტაპად ხორციელდება:

1. **მოსამზადებელი ეტაპი.** ხორციელდება: პროფორიენტაცია, პროფესიონალური შერჩევა, პროფესიონალური მომზადება;
2. **განმანაწილებელი ეტაპი.** მიმდინარეობს: პერსონალის შეკრება, ამორჩევა და ამორჩეული კადრის სამუშაო ადგილებზე განლაგება;
3. **ადაპტირების ეტაპი.** ხორციელდება: ახლად მიღებული კადრის და აგრეთვე, ერთი სამუშაო ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვანილი კადრის ადაპტირება.

დღევანდელი საზღვარგარეთული სასტუმრო მენეჯმენტი პერსონალის მართვაში შემდეგ პრინციპებს აძლევს უპირატესობას:<sup>6</sup>

- ❖ **პროფესიონალურად მაღალი კომპეტენციის კადრების შერჩევაში** სასტუმროს ტოპ-მენეჯერთა უმრავლესობის მონაწილეობა (ჩართულობა);
- ❖ **შერჩევის უწყვეტობა.** ეს იმით აიხსნება, რომ სასტუმროს პერსონალი მუდმივ მოძრაობაშია, მაღალია დენადობა, ამდენად, კადრის ერთხელ შერჩევა, ანუ ერთჯერადი აქტი დაუშვებელია;
- ❖ **მემკვიდრეობითობა.** პერსონალის დაგეგმვა მოითხოვს, რომ ამ სფეროში სასტუმროს გეგმა ეფუძნებოდეს მიმდინარე გეგმის შესრულებას, ხოლო მომავალი გეგმები მათ წინ მდგარი გეგმების შესრულებას;
- ❖ **მოქნილობა.** მისი შინაარსი იმაშია, რომ სასტუმრომ სწრაფად უნდა უპასუხოს გარე გარემოში მომხდარ ცვლილებებს;
- ❖ **პერსონალის გეგმის შეთანხმებულობის უზრუნველყოფა** სასტუმროს ერთიან გეგმასთან;
- ❖ **შრომის კოდექსის მოთხოვნების დაცვა;**

<sup>6</sup> Managing People in the Hospitality Industry, By Michael Riley. London, 2019; Управление человеческими ресурсами на предприятиях индустрии гостеприимства. М., 2007.

**❖ საკადრო გადაწყვეტილებების ეკონომიკური და სოციალური შედეგების პროგნოზირება.**

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს პერსონალის კომპეტენტურობის დაგეგმვა. კომპეტენტურობა გახლავს ტურიზმში დასაქმებულის პიროვნული მახასიათებელი, რომელიც გამოიხატება საქმის ცოდნასა და დასახული მიზნის მიღწევის გზებში. მაგალითისთვის, სასტუმრო ბიზნესში კომპეტენტურობის შემდეგი სახეებია ცნობილი:

1. **ფუნქციონალური კომპეტენტურობა**, ანუ სასტუმრო ბიზნესის ცოდნა და გამოყენება.
2. **ინტელექტუალური კომპეტენტურობა**, გულისხმობს დასაქმებულის ანალიტიკური აზროვნების უნარს;
3. **სიტუაციური კომპეტენტურობა**, მოიცავს სიტუაციის შესაბამისად მოქცევას;
4. **სოციალური კომპეტენტურობა**, იგულისხმება პერსონალის კომუნიკაციური და ინტეგრაციული უნარები (სტუმართან ეთიკური საუბარი).

ცხრილი #2-ში წარმოდგენილი გვაქვს კომპეტენციებში ურთიერთკავშირი და განსხვავებები, აგრეთვე, სასტუმროს პერსონალის პროფესიულად უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები. ტურიზმის და მასპინძლობის ინდუსტრიაში კადრების კვალიფიკაციისა და კომპეტენტურობის მიმართ მოთხოვნები და მათი თავისებურებები ინსტრუქციებშია ასახული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომლებიც არეგულირონ ტურიზმის საწარმოს ხელმძღვანელობის ურთიერთობებს დასაქმებულ თანამდებობის პირებთან.

ორგანიზაციაში დასაქმებული პერსონალის მართვა ეს იგივე მმართველობითი შრომის პროცესია, რომელსაც ახორციელებს პერსონალის მართვის სამსახურის უფროსი, ანუ პერსონალის მენეჯერი. მმართველობითი შრომა წარმოადგენს გონებრივ შრომას. ამ შრომით ტურიზმში მიიღწევა პერსონალის კოორდინირებული საქმიანობა. ეს ხორციელდება დასაქმებულთა შრომის ორგანიზებით, რეგულირებით, მოტივირებით და კონტროლით. პერსონალის მართვის შინაარსს ტურიზმში განსაზღვრავს თვით პერსონალის ცოდნა, შრომითი ჩვევები, კომპეტენციები, ურთიერთთანამშრომლობის და ურთიერთპატივისცემის უნარი, და აგრეთვე, საკანონმდებლო ნორმატივების დაცვა.

**ცხრილი 2.**

**სასტუმროს პერსონალის კომპეტენციები<sup>7</sup>**

კომპეტენციები	პროფესიულად უმნიშვნელოვანესი თვისებები
კონკრეტული სასტუმროსთვის ან/და კონკრეტული თანამდებობებისთვის მნიშვნელოვანი თვისებები	პროფესიულად უმნიშვნელოვანესი თვისებები
თანამდებობის კომპეტენციები	კონკრეტული პროფესიისთვის მნიშვნე-

<sup>7</sup> Feng Scot-Human Resource Management for the Hospitality and Tourism Industries. 1999.

	ლოვანი თვისებები
სასტუმროში კონკრეტულ თანამდებობის- თვის მნიშვნელოვანი თვისებები	კორპორატიული კომპეტენციები
კომპეტენციები	სასტუმროს ნებისმიერი თანამშრომლის- თვის აუცილებლად მნიშვნელოვანი თვი- სებები
თვისებები, რომლებიც ასახავენ სასტუმროს ქვედანაყოფში დასაქმებულის მომსახურების (სერვისის მიწოდების) უნარს	თვისებები, რომლებიც ასახავენ სასტუმროს თანამშრომლის ცოდნასა და კვალიფიკაციას დამოუკიდებლად შესასრულებელი სამუ- შაოსადმი
კომპეტენციების პრინციპები	კომპეტენციის საზღვრები
თანამდებობრივი უფლებამოსილებიდან გასვლის შემთხვევაში, სასტუმროს დასაქ- მებულისთვის გადაწყვეტილების მიღების უფლების არ ქონა	საქმიანობის გარკვეული სახეების შეს- რულების უუნარობა
კომპეტენციები ფართო გაგებით	კომპეტენციები ვიწრო გაგებით
ყველა საჭირო თვისება	მხოლოდ პიროვნული მახასიათებლები

**პერსონალის საქმიანობა განურჩევლად იმისა, თუ რომელ სფეროშია დასაქმებული, უპირველესად რეგულირდება საქართველოს შემდეგი სამთავრობო დოკუმენტებით:**

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“;
3. საქართველოს შრომის კოდექსი (საქართველოს ორგანული კანონი).

✚ **საქართველოს კონსტიტუციაში** არის ასეთი ჩანაწერები: „შრომა თავისუფალია“ (მუხლი 30, პუნქტი 1), „შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით“ (მუხლი 30, პუნქტი 4), „სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში“ (მუხლი 32).<sup>8</sup> მოქალაქეს აქვს შრომის უფლება, შრომა არის თავისუფალი, და, რომ შრომის სამართლიანობა განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით - შრომის კოდექსით;

✚ **შრომითი მიგრაციის კანონი.** ეს კანონიც უნდა ჩავთვალოთ შრომითი პროცესების რეგულირების ერთ-ერთ სამართლებრივ აქტად, რადგან, მისით ხდება შრომითი მიგრაციის სფეროს მიკუთვნებულ ურთიერთობათა რეგულირება. ეს კანონი ეხება როგორც საქართველოდან სხვა ქვეყანაში სამუშაოდ გასულ ემიგრანტს, ასევე, საქართველოში ამავე მიზნით შემოსულ იმიგრანტს.

დასახელებული კანონი ავალებს საქართველოს მთავრობას შრომითი მიგრაციის სფეროში ჰქონდეს შემუშავებული ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა და ახორციელებდეს მას. ასეთი პოლიტიკა საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული და ამოქმედებულია. მისი აღსრულება დავალებული აქვს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში შემავალ სპეციალურ ადმინისტრაციულ ორგანოს.

<sup>8</sup> საქართველოს კონსტიტუცია. თბ., 2012. გვ. 15-16.

✚ **საქართველოს შრომის კოდექსი.** საქართველოს შრომის კოდექსი<sup>9</sup> წლების განმავლობაში მრავალჯერ შეიცვალა. პირველად, კერძოდ, 1990 წელს გადახალისდა საქართველოში მანამდე მოქმედი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შრომის კანონი, შემდეგ გასულ პერიოდში კი ორჯერ იქნა მიღებული ახალი შრომის კოდექსი - ჯერ 2006 წელს, შემდეგ, 2013 წელს. 2006 წლის შრომის კოდექსს უნდა გაეთვალისწინებინა შრომის ბაზრისა და შრომითი ურთიერთობების ახალი რეალიები და ამასთან ევროპული კანონმდებლობის მოთხოვნები. აღმოჩნდა, რომ 2006 წლის შრომის კოდექსში არ იყო გათვალისწინებული ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები. ეს კოდექსი შეიცავდა ისეთ დებულებებსაც კი, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებს და საქართველოს მიერ ნაკისრ სხვა ვალდებულებებს. ამის შესახებ არაერთხელ იყო ნათქვამი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების შუალედურ ანგარიშებში 2007-2011 წლებში. 2012 წელს საქართველოში მოსულმა ახალმა მთავრობამ ივალდებულა საქართველოს შრომის კანონმდებლობის საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. სათანადო ცვლილებების მომზადებაში აქტიურად იყო ჩართული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაც. შედეგად, 2013 წელს საქართველოში დამტკიცდა და ამოქმედდა შრომის ახალი კოდექსი. იგი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების მიხედვით არის დამტკიცებული. მასში მოცემული ცვლილებები ორიენტირებული იყო იმაზე, რომ დაეხალისებინა დამსაქმებლის და დასაქმებულის უფლებრივი მდგომარეობა, რაც წინა კოდექსში (ე. ი. 2006 წლის კოდექსში) არ იყო გათვალისწინებული.

2013 წლის შრომის კოდექსი შეიცავს ბევრ ცვლილებებს. ამ კოდექსით ადექვატური ნაბიჯები არის გადადგმული სამართლის ამ სფეროს ევროპულ და გლობალურ ღირებულებებთან დაახლოების თვალსაზრისით. საქართველოს დღევანდელი შრომის კოდექსი ხელს უწყობს დასაქმებულ ინდივიდთა ინტერესების დაცვას და მათთვის მინიჭებული უფლებების განხორციელებას. მაშასადამე, მიუხედავად წლების განმავლობაში ევროპული სტანდარტების შესაბამისი შრომის კანონმდებლობის არქონისა, დღეს საქართველოში იგი არსებობს.<sup>10</sup> ასე რომ, ნათელი და უდავოა, რომ შრომის პროცესში საქართველოს და ევროპას შორის დაწყებულია სამართლებრივი ჰარმონიზაციის პროცესი და იგი ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც გაგრძელდება.

2013 წელს მიღებულმა შრომის ახალმა კოდექსმა ბევრი რამ შეცვალა. მისი მეშვეობით ამ სფეროს სამართალი დაუახლოვდა ევროპის ღირებულებებს. ეს ნიშნავს იმას, რომ შრომის პროცესში ჩართული მხარეების ნორმალიზაციის პროცესი საქართველოში 2013 წლიდანაა დაწყებული. მისი დაცვა ევალეზა სახელმწიფოსაც და აგრეთვე, ყველა დამსაქმებელს და დასაქმებულს, ტურიზმში იქნება იგი, თუ სხვა დარგში.

ზემოთდასახელებული საკანონმდებლო აქტებით საქართველოში შექმნილია საქართველოს მოქალაქეთა შრომისა და დასაქმების სამართლებრივი ჩარჩო-მო-

<sup>9</sup> ქარდავა ე. შრომის სამართლის განვითარება ევროინტეგრაციული პროცესების შუქზე, სამართლის ჟურნალი. #1. 2016. გვ. 156.

<sup>10</sup> საქართველოს შრომის კოდექსის ეკონომიკური ანალიზი, PMC-ის კვლევითი ცენტრი. მაისი. 2013.

დელი, რომლის დაცვა-შესრულება ევალება ყველა მოქალაქეს სახელმწიფო სექტორშიც და კერძო სექტორშიც, დასაქმებულის როლში იქნება იგი თუ დამსაქმებლის როლში.

აღნიშნული სამართლებრივი ჩარჩო-მოდელის მოთხოვნები ყველასთვის ერთნაირია, თუმცა, მისი განხორციელების ფორმები და მეთოდები სახელმწიფო (საჯარო) სექტორსა და კერძო სექტორში ურთიერთგანსხვავებულია. კერძო სექტორის კომპანიებს მინიჭებული აქვთ უფლება დამოუკიდებლად, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, აირჩიონ თანამშრომელთა დაქირავების ფორმა, ანაზღაურება-სტიმულირების ფორმა, სამუშაოზე განთავსება და შრომის პირობები, გუნდური თუ ჯგუფური მუშაობა, პერსონალის განვითარების ფორმა და სხვა მრავალი. საჯარო სექტორის ორგანიზაცია დაწესებულებებს ასეთი დამოუკიდებელი მოქმედების უფლება არა აქვთ. ამ სფეროში მათთვის ერთიანი წესები მოქმედებს.

ტურიზმშიც და სხვა ეკონომიკურ სექტორშიც, დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს შორის შრომითი ურთიერთობების თემა მეცნიერებს შორის საკამათო თემაა. მასში პროფკავშირიც იღებს მონაწილეობას და როგორც წესი, იმ მეცნიერთა მხარეს იჭერს, რომელთა აზრით, დამსაქმებლებს საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც ზედმეტი უფლებები აქვთ მიცემული. მეცნიერი მ. მელაძე წერს: „დასაქმებულთა და დამსაქმებელთა ურთიერთობამ ანტაგონისტური ხასიათი რომ არ მიიღოს, საჭიროა ამ ურთიერთობებში სახელმწიფო და სხვა სამოქალაქო ინსტიტუტების ჩარევა, რათა გადაიჭრას დავები და დაკანონდეს, როგორც ერთი მხარის, ისე მეორე მხარის უფლება-მოვალეობები“.<sup>11</sup>

შრომითი ურთიერთობები საბაზრო და ინსტიტუციონალური ასპექტებით განიხილება. ინსტიტუციონალიზმის მომხრე მხარეებს შორის სოციალურ დიალოგს აძლევენ უპირატესობას, საბაზრო ასპექტების მომხრეები კი - ბაზრის მოთხოვნებს. შრომითი ურთიერთობების ნებისმიერი ფორმით რეგულირებას აქვს ძლიერი მხარეებიც და სუსტი მხარეებიც. იხილეთ ცხრილი #3.

დღევანდელ გლობალიზაციის პირობებში შრომითი ურთიერთობები განსაკუთრებით დაუცველია ღარიბ და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ასეთთა რიცხვშია საქართველოც. ამ ქვეყნებში ჭარბი მუშახელია, რომელსაც მინიმალურ ფასად ქირაობენ განვითარებული ქვეყნების კომპანიები. ასე რომ, მათი უფლებები მიიღონ გაწეული შრომის ექვივალენტური ანაზღაურება ხშირად დარღვეულია, ეს ვითარებაა ტურიზმის სექტორშიც. უცხოური ტურისტული კომპანიები, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოში ჩამოჰყავთ ვიზიტორები, ადგილობრივ გამცილებლებს, მტვირთავებს და გიდებს მიზერულ თანხებს უხდიან.

ჩვენი აზრით, ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში, ისევე როგორც სხვა დარგებში უნდა არსებობდეს საერთაშორისო სტანდარტები შრომის ნორმირებაშიც და შრომის ანაზღაურებაშიც, რომელთა დაცვა ყველას დაევალება. მრავალი მეცნიერი შრომის სტანდარტების არსებობის წინააღმდეგია, თუმცა შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (შმო) მხარს უჭერს მის არსებობას.<sup>12</sup>

<sup>11</sup> მელაძე მ. შრომითი ურთიერთობების რეგულირება და სოციალური დიალოგის განვითარება საქართველოში. თბ., 2012. გვ. 7.

<sup>12</sup> Roger Plant. Labour Standards and Structural Adjustment. International Labour Office: Geneva. 1994.

ცხრილი #3

შრომითი ურთიერთობების საბაზრო მოთხოვნებითა და სოციალური დიალოგით რეგულირება, შრომის ბაზრის ჩავარდნების გამომწვევი მიზეზები

საბაზრო მოთხოვნებით რეგულირება <sup>13</sup>	
ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები:
<ul style="list-style-type: none"> <li>• მოქნილობის გაძლიერება;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დისკრიმინაცია;</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• ეფექტური განლაგება;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბაზრის ჩავარდნა.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• დაბალი ხარჯები.</li> </ul>	
სოციალური დიალოგით რეგულირება	
ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები:
<ul style="list-style-type: none"> <li>• თანასწორობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სიხისტე;</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• თვითმონიტორინგი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონიტორინგის ხარჯები;</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• მორალური ზიანი.</li> </ul>
შრომით ურთიერთობებში სახელმწიფო რეგულირების საჭიროების - შრომის ბაზრის ჩავარდნების - გამომწვევი მიზეზები: <sup>14</sup>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• რისკების არასაკმარისი დაზღვევა.</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• ინფორმაციის არასაკმარისობა.</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• დისკრიმინაციის შესაძლებლობა.</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• დასაქმებულების სუსტი საბაზრო ძალაუფლება, რაც იწვევს მათ უსამართლო დისკრიმინაციას.</li> </ul>	

ყველა ქვეყანაში დასაქმებულთა ინტერესების დაცვა ეროვნულ ინტერესზეა დამყარებული და ქვეყნის მთავრობა მას იცავს. აშშ იმდენად იცავს დასაქმებულის უფლებებს, რის საშუალებასაც მას ბაზარზე გაჩაღებული კონკურენცია აძლევს. მეცნიერი ჰ. ბრანდი აკრიტიკებს აშშ-ს დასაქმების პოლიტიკას. ევროპის ქვეყნებში კი, კერძოდ, საფრანგეთსა და ესპანეთში შრომითი ურთიერთობის დაცვაში ნორმატიული პოლიტიკა გამოიყენება. ევროპის ყველა ქვეყანაში შრომითი ურთიერთობების სპეციფიური მოდელებია გამოყენებული. ზოგან მას პროფკავშირი ახორციელებს, ზოგან კი - დამსაქმებელთა კომიტეტი, ან დასაქმებულთა საბჭო. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სახელმწიფო არ ერევა შრომით ურთიერთობებში და მხარეებს აძლევს ურთიერთობის თავისუფლებას, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში პირიქით - სახელმწიფო ერთვის მხარეების დიალოგში.

ჩვენს მიერ ზემოთგანხილული საკითხი პირდაპირ ეხება ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიას. უნდა ავლნიშნოთ, რომ მას, როგორც დარგს არეგულირებს სპეციალური კანონი - „ტურიზმის და კურორტების შესახებ“. ამთავითვე ავლნიშნავთ, რომ მასში კადრების რეგულირებაზე არაფერია ნათქვამი, ის მთლიანად ტურისტულ საქმიანობას ეძღვნება.

დღეს საქართველოში ტურიზმს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა როგორც განვითარება-გაფართოების, ისე - სახელმწიფო რეგულირების კუთხით. შექმნილია კანონები: „ტურიზმის შესახებ“, „გარემოს დაცვის შესახებ“, „დაცული

<sup>13</sup> Standing G. (1999). Global Labour Flexibility: Seeking Distributive Justice. New-York: St. Martin's Press.

<sup>14</sup> Workers in on Integrating World, World Development Report, The World Bank, Oxford University Press.



ტერიტორიების სისტემის შესახებ“ და სხვა. ამის გარდა, არსებობს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული მრავალი დადგენილება, ინსტრუქცია, ბრძანება და სხვა. ყველა ისინი ეხება ზოგადად ტურიზმს, რომელშიც ცხადია, კადრების საქმიანობის რეგულირებაც მოიაზრება.

მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში მთლიანად ტურიზმის, და მათ შორის, მის საკადრო პოლიტიკის სახელმწიფო რეგულირებაზე მეცნიერები სხვადასხვა აზრს გამოთქვამენ. აქედან კეთდება დასკვნა, რომ ტურიზმის სახელმწიფო რეგულირების თეორიის და პრაქტიკის მთელი რიგი საკითხები არ არის საერთაშორისო დონეზე ურთიერთშეთანხმებული. მეცნიერთა ერთი ნაწილი მოითხოვს სახელმწიფოსგან მის მართვას, მეორე - მის რეგულირებას, ხოლო მესამე - მხარს უჭერს ორივეს და მათში განსხვავებებს ვერ ხედავს.

ჩვენი აზრით, სახელმწიფოს ევალუბა მხოლოდ ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი ხედვის ანუ სტრატეგიის შემუშავება, ტურიზმის კადრების მომზადება და ტურისტული ბიზნესისთვის ქვეყანაში ნორმალური სამოქმედო პირობების შექმნა (მაგალითად, საგადასახადო გარემო). ყველა დანარჩენი საქმიანობა ტურისტულმა კერძო ფირმებმა თვითონ უნდა განახორციელონ და მასში სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს. გამონაკლისია მხოლოდ სახელმწიფო საკუთრების ტურისტული ფირმები, რომლებიც სახელმწიფოს პირდაპირ დაქვემდებარებაში არიან. ასეთ ფირმებში სახელმწიფოს განუსაზღვრელი უფლებები აქვს, თვით კადრებით ფირმის დაკომპლექტების უფლებაც კი.

საქართველოს კანონი „ტურიზმის და კურორტების შესახებ“ მართალია ამ სფეროს ვიწროსპეციალიზებული კანონია, მაგრამ მასში მხოლოდ ტურიზმის ზოგადი საკითხებია დარეგულირებელი - ცნებები, ტურიზმის სახეები, საქმიანობა, რესურსები, საკურორტო ადგილები, საკურორტო ინდუსტრია და სხვა მრავალი.

### დასკვნა

1. ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრია სპეციფიკური დარგია და მასში კადრების დაგეგმვა და შერჩევა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება;
2. HR-ის მართვას კიდევ უფრო სპეციფიური მახასიათებლები გააჩნია. არის მთელი რიგი პირადი უნარები, რომელთა არსებობა ტურიზმის პერსონალში აუცილებელი და ძირითადია, თუმცა, სხვა სფეროში დასაქმებულისთვის იგი ძირითადი არ არის. ასეთია მაგალითად, პიროვნების ინტელექტუალური დონე, რომელიც ტურიზმში მომუშავე კადრს უნდა გააჩნდეს, რადგან მას მაღალგანვითარებული ქვეყნებიდან ჩამოსულ ტურისტებთან უხდება ურთიერთობა;
3. დღევანდელ გლობალიზაციის პირობებში შრომითი ურთიერთობები ნაკლებადაა დაცული საქართველოში. პერსონალის უფლებები, მიიღონ გაწეული შრომის ექვივალენტური ანაზღაურება, ხშირად დარღვეულია. ეს ვითარებაა ტურიზმის სექტორშიც. უცხოური ტურისტული კომპანიები, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში ჩამოჰყავთ ვიზიტორები, ადგილობრივ გამცილებლებს, მტვირთავებს და გიდებს მიზერულ თანხებს უხდიან. ხშირ შემთხვევაში, იგივე მდგომარეობაა სასტუმრო და სარესტონო ბიზნესში არსებული პერსონალისთვის შრომის ექვივალენტური ანაზღაურების თვალსაზრისით;
4. ჩვენი აზრით, ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში, ისევე როგორც სხვა დარგებში, უნდა არსებობდეს საერთაშორისო სტანდარტები შრომის ნორმირებაშიც და შრომის ანაზღაურებაშიც, რომელთა დაცვა ყველას დაევალება;

5. კერძო სექტორის კომპანიებს მინიჭებული აქვთ უფლება დამოუკიდებლად, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, აირჩიონ თანამშრომელთა დაქირავების პერსონალის განვითარებისა და ანაზღაურება-სტიმულირების ფორმები, სამუშაოზე განთავსება და შრომის პირობები, გუნდური თუ ჯგუფური მუშაობა და სხვა მრავალი. საჯარო სექტორის ორგანიზაცია-დაწესებულებებს ასეთი დამოუკიდებელი მოქმედების უფლება არა აქვთ. ამ სფეროში მათთვის ერთიანი წესები მოქმედებს;
6. ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიას, როგორც დარგს არეგულირებს სპეციალური კანონი - „ტურიზმის და კურორტების შესახებ“. მასში კადრების რეგულირებაზე არაფერია ნათქვამი, ის მთლიანად ტურისტულ საქმიანობას ეძღვნება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Goeldner C. R., Ritchie B. R. Tourism, Principles, Practices and Philosophies. 2008;
2. Human Resources Management in the Hospitality Industry. David R. Hayes, Jack D. Ninemeier. 2009;
3. Introduction to Hospitality 7th Edition by John Walker (Author), 2017;
4. Human Resources Management in the Hospitality Industry. David R. Hayes, Jack D. Ninemeier. 2009;
5. Managing People in the Hospitality Industry, By Michael Riley. London, 2019;
6. Feng Scot-Human Resource Management for the Hospitality and Tourism Industries. 1999;
7. Standing G. (1999). Global Labour Flexibility: Seeking Distributive Justice. New-York: St. Martin's Press;
8. Workers in on Integrating World, World Development Report, The World Bank, Oxford Universitz Press;
9. Roger Plant. Labour Standards and Structural Adjustment. International Labour Office: Geneva. 1994;
10. Управление человеческими ресурсами на предприятиях индустрии гостепримства. М., 2007;
11. ბეროვსი ვ., პავერსი ტ., რეინოლდსი დ. შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში. თბილისი., 2012;
12. ქარდავა ე. შრომის სამართლის განვითარება ევროინტეგრაციული პროცესების შუქზე, სამართლის ჟურნალი, #1. 2016;
13. მელაძე მ. შრომითი ურთიერთობების რეგულირება და სოციალური დიალოგის განვითარება საქართველოში. თბილისი., 2012;
14. საქართველოს შრომის კოდექსის ეკონომიკური ანალიზი, PMC-ის კვლევითი ცენტრი. მაისი. 2013;
15. საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი., 2012.

*Elisabed Baliashvili*

*Doctor of Economics, Invited staff of the Faculty of Economics and Business of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## **CONSTITUENT ELEMENTS OF PERSONNEL POLICY SYSTEM AND ITS REGULATION IN GEORGIAN TOURISM AND HOSPITALITY INDUSTRY**

### **Expanded Summary**

Tourism and hospitality in the modern world and among them, in Georgia, has become one of the strong, important income-generating economic sectors for the country. This means that the industry presented today is a priority area of the economy, and the country's government and, in particular, the companies in this area, should take care of its systematic development, in the light of highlighting the peculiarities of tourism, developing the right personnel management policy and its effective regulation. The activities of the personnel of our country, regardless of the field in which they are employed, are primarily regulated by the governmental documents of Georgia and the relevant legislation regulating the field.

The tourism and hospitality industry is a very specific field, as the personnel working in it, unlike those employed in other economic sectors, are required to have distinctive qualities. It is they who must create such a cohesive team of high responsibility, which will be able to offer visitors an impeccable service, and, most importantly, to react promptly and smoothly to the changed environment and the modern needs of tourists. Therefore, the article discusses:

1. Peculiarities of staff planning, selection and management of personnel policy system constituent elements;
2. Aspects of personnel policy system regulation - based on Georgian government documents and special laws in the tourism and hospitality industry.

Unlike other industries, staffing in the tourism industry is planned first, qualitatively, and only then, quantitatively. Qualitative composition means: knowledge of this field, skills, accumulated competences and, as we have already mentioned, personal qualities pleasing to the guest - accuracy, precision, speed and others. Success in this field is not determined by the number of employees, but by their quality. Knowledge and ethical behavior are required here, because we are serving a guest. If we want the visitor to visit us again, we must offer him a tourist service with acceptable behavior and ethical norms.

With appropriate information, the author of the article argues the existence of the peculiarities of personnel management in the tourism and hospitality industry, the need for personnel qualification and competence, and the necessary requirement for a high intellectual level of employees in this field, because the service personnel have a close intellectual connection with visitors and considers it necessary to take into account these characteristics - personnel planning, in the process of selection and management.

Both analysis and planning of personnel are carried out in the companies of the tourism industry by carrying out a number of measures and consist of the following actions:

1. Analysis of business, personal and professional characteristics of enterprise personnel;
2. Expected changes in the supply of personnel from the labor market during the planning period;
3. Forecast of the corresponding company's demand for personnel in the planning period.

And personnel planning and selection is carried out in three stages:

1. **Preparatory stage.** The following are carried out: orientation, professional selection, professional training;
2. **Distributive stage.** In progress: gathering of personnel, selection and deployment of the selected cadre to the workplaces;
3. **Adaptation stage.** It is carried out: adaptation of the newly received cadre and also the cadre transferred from one place of work to another.

Management of the personnel employed in the organization is the same administrative labor process, which is carried out by the head of the personnel management service, that is, the personnel manager. Administrative work is mental work. With this work, the coordinated activity of the personnel is achieved in tourism. This is done by organizing, regulating, motivating and controlling the work of employees. The content of personnel management in tourism is determined by the personnel's knowledge, work habits, competencies, ability to cooperate and mutual respect, as well as compliance with legal norms.

With his own opinions and excerpts from the works of other scientists, the author proves how important it is to regulate personnel policy and points out the shortcomings that exist in the relevant laws regulating the tourism sector of Georgia.

Labor relations are discussed from market and institutional aspects. Those in favor of institutionalism give preference to social dialogue between the parties, while those in favor of market aspects prefer market demands. Regulation of labor relations in any form has both strengths and weaknesses.

In today's conditions of globalization, labor relations are less protected in Georgia. The rights of staff to receive compensation equivalent to the work performed are often violated. This is the situation in the tourism sector as well. Foreign tourist companies, which bring visitors from different countries to Georgia, pay meager amounts to local escorts, porters and guides. In many cases, the situation is the same in terms of equal pay for staff in the hotel and restaurant business.

In the opinion of the author, in the tourism and hospitality industry, as well as in other fields, there should be international standards in labor regulation and labor compensation, which everyone is obliged to follow. Private sector companies are given the right to choose independently, without state intervention, the forms of personnel development and remuneration-stimulation, employment placement and working conditions, team or group work and many others. Public sector organizations-institutions do not have the right to such independent action. Uniform rules apply to them in this area;

The tourism and hospitality industry as a field is regulated by a special law - "On Tourism and Resorts", in which only general issues of tourism are regulated - concepts, types of tourism, activities, resources, resort places, resort industry and many others. It does not say anything about personnel regulation, it is entirely dedicated to tourist activities.

**Key words:** *"Personnel policy; Regulation of personnel policy, personal and professional skills, competence of hotel staff"*

**რევაზ ჯავახიშვილი**

ეკონომიკის დოქტორი, თსუ პ. გუგუშვილის სახ.  
ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი

**იაპონიის მდგრადი და უსაფრთხო ეკონომიკური განვითარების სტრატეგია**

DOI: [10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Revaz.Javakhishvili](https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Revaz.Javakhishvili)

**ანოტაცია.** იაპონიამ გასული საუკუნის მეორე ნახევარში არნახულ წარმატებებს მიაღწია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში. თუმცა, 90-იანი წლებიდან მისი ეკონომიკა განიცდის სერიოზულ რყევებსა და სიძნელეებს. ახალი რეალობის გათვალისწინებით, შემუშავდა ქვეყნის გრძელვადიანი მდგრადი და უსაფრთხო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. ნაშრომში გაანალიზებულია ამ სტრატეგიის მიზნები და ამოცანები, მისი შემადგენელი ელემენტები და მიმართულებები: იაპონიის მრეწველობის აღორძინება; სტრატეგიული ბაზრის შექმნა; გლობალური უპირატესობის მიღწევა. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ სტრატეგიის პრაქტიკული რეალიზაციის პირობებში ქვეყნის ძირითად მიმართულებად კვლავ რჩება საგარეო ბაზარზე პოზიციების შენარჩუნება, მისი ახალ-ახალი სეგმენტების მოძიება და საქმიანობის არეალის გაფართოება, კონკურენტუნარიანობის ამაღლება და იაპონური კომპანიების საზღვარგარეთული აქტიურობის დივერსიფიკაცია.

**საკვანძო სიტყვები:** მდგრადი და უსაფრთხო განვითარება, გრძელვადიანი სტრატეგია, კონკურენტუნარიანობა, უახლესი ტექნოლოგიები, საექსპორტო პოტენციალი.

### შესავალი

სათანადო ბუნებრივ-რესურსული ფაქტორების პრაქტიკულად არარსებობის პირობებში, სწორი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კურსის აღებისა და შესაბამისი ეკონომიკური რეფორმების განხორციელებით, იაპონიამ შესძლო ისტორიულად მოკლე დროში მსოფლიოს ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების რიგში ჩადგომა. მანამდე კი, ქვეყანამ განვლო ეკონომიკური რეფორმირებისა და გარდაქმნების საკმაოდ რთული გზა. მეორე მსოფლიო ომის დროს განადგურდა იაპონიის ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი. ომისშემდგომ პერიოდში მოხდა ეკონომიკის განვითარებისა და სტრუქტურული გარდაქმნის სამთავრობო პოლიტიკის შემუშავება, რომელსაც საძუძვლად დაედო მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ფართოდ გამოყენება, მაღალკვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების ორგანიზაცია, ომისა და ომისშემდგომ პერიოდში სამრეწველო მშენებლობის სფეროში დაგროვილი გამოცდილება. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა, გასული საუკუნის მეორე ნახევარში, იაპონიის ეკონომიკის არნახული აღორძინება, რომელიც ისტორიაში ცნობილია „იაპონური სასწაულის“ სახელწოდებით.

\*\*\*\*\*

გასული საუკუნის 80-იან წლებში იაპონიამ მტკიცედ დაიკავა ერთ-ერთი წამყვანი ადგილი (მე-2 ადგილი აშშ-ს შემდეგ) მსოფლიოს მაღალგანვითარებულ

ქვეყნებს შორის. ამ დროისთვის ქვეყნის მშპ უდრიდა 1,068 ტრილიონ აშშ დოლარს, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე კი - 9147 აშშ დოლარს [11]. ქვეყნის ეკონომიკის თითქმის ყველა დარგს აკონტროლებენ გიგანტური კომპანიები „მიცუბიში“, „მიცუი“, „ტოიოტა“, „სუმიტომო“, „ფუჯი“, „სანვა“ და სხვ. იაპონური ეკონომიკის დამახასიათებელ ნიშნად იქცა მსხვილი კონცერნებისა და დიდი რაოდენობის წვრილ საწარმოთა ურთიერთშერწყმა. ქვეყანაში განხორციელდა, მრეწველობის სტრუქტურული სრულყოფის ჩარჩოებში, მისი ენერგოტევადი და მასალატევადი დარგების გარდაქმნა, რაც მიზნად ისახავდა ქვეყნის ნედლეულისა და სათბობის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას.

მონაცემებით დასტურდება, რომ ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე იაპონიის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები გარკვეული ზრდით ხასიათდება. თუმცა, ზრდა უფრო დაბალი ტემპებით განხორციელდა, გასული საუკუნის მეორე ნახევარში მათი ზრდის ტემპებთან შედარებით. ბოლო პერიოდში /გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული/, იაპონიის ეკონომიკური განვითარება განიცდის სერიოზულ რყევებსა და სიმძნელებს. ქვეყანა აღმოჩნდა მწვავე ეკონომიკური პრობლემების წინაშე, რომელთაგან აღსანიშნავია მაღალი დეფლაციის აღმოფხვრა, უზარმაზარი სახელმწიფო ვალის შემცირება და, ზოგადად, მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე, ე.წ. „დაკარგული ათწლეულის“ უარყოფითი შედეგების დაძლევა.

გარდა ამისა, თანამედროვე ეტაპზე გლობალური ეკონომიკური სისტემის რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში გადაზრდამ, განაპირობა მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ლანდშაპის დიდი რყევა, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა გლობალიზაციის ეპოქის პირველ მსოფლიო კრიზისში, რომელიც იაპონიისთვის უფრო ღრმა და მწვავე აღმოჩნდა, ვიდრე სხვა განვითარებული ქვეყნებისთვის. ამასთან ერთად, მსოფლიო ეკონომიკის დინამიზმსა და სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები გამოიხატა მისი აზიისკენ /პირველ რიგში, ჩინეთისკენ/ გადანაცვლებაში, მსოფლიოში „ზრდის ახალი პოლუსების“ გამოჩენაში, რითაც განხორციელდა მსოფლიო ეკონომიკის მულტიპოლარულ სტრუქტურაზე გადასვლა, საკმაოდ წარმატებული ეროვნული, სოციალურ-ეკონომიკური მოდელების წარმოქმნა.

გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე როგორც მსოფლიოს, ისე თვით იაპონიის ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურულმა და სისტემურმა ძვრებმა, დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი წყაროების ძიების აუცილებლობის საკითხი. ახალი რეალობის პირობებში, ქვეყნის წინაშე დადგა გრძელვადიანი, მყარი და უსაფრთხო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავების ამოცანა. იაპონიისთვის ეს გამოწვევა შემდეგი გარემოებებითაცა იყო ნაკარნახევი:

**ჯერ ერთი,** იმით, რომ XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე იაპონია აღმოჩნდა გლობალური ეკონომიკის განვითარების „დაბალსიჩქარიან“ სეგმენტში და 2008-2010 წწ. საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის მას უფრო მწვავედ შეეხო, ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებს. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან დაიწყო მსოფლიო მშპ-ში იაპონიის წილის თანდათანობით შემცირება და 2010 წლისთვის მან ოფიციალურად დაკარგა მსოფლიოს მეორე ეკონომიკის ქვეყნის სტატუსი მას შემდეგ, რაც ეკონომიკური განვითარებით მას გადაასწრო ჩინეთმა [7]. გარდა ამისა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის,

რომ იაპონია ჯერ კიდევ სრულად ვერ გათავისუფლდა ე.წ. „დამწევი“ ეკონომიკური განვითარებისა და გასული საუკუნის 90-იანი წლების ხანგრძლივი რეცესიის მემკვიდრეობისგან.

**მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი**, რამაც განსასზღვრა იაპონიის მიერ მდგრადი და უსაფრთხო ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, გახდა როგორც მთლიანად, ისე მატერიალური წარმოების მთელ რიგ დარგებში კონკურენტუნარიანობის დაკარგვა. მართალია, ამ მხრივ, იაპონიას ფორმალურად ჯერ კიდევ მაღალი რეიტინგი აქვს /მე-10 ადგილი მსოფლიოში/, მაგრამ ამ მაჩვენებლით მას ბევრმა ქვეყანამ /მათ შორის, ზიის - ტაივანი და ჰონკონგი/ გადაასწრო.

ცნობილია, რომ იაპონია ისტორიულად იყო და მნიშვნელოვანწილად ახლაც არის, უფრო მეტად, საგარეო ბაზარზე ორიენტირებული ქვეყანა. ბოლო პერიოდში კი შეიმჩნევა მისი ხვედრიწილის შემცირება მსოფლიო ვაჭრობაში. აღნიშნული ტენდენცია განპირობებულია მთელი რიგი საშინაო და საგარეო ფაქტორებით:

**ჯერ ერთი**, როგორც მთლიანად იაპონიის ეკონომიკა, ისე იაპონური სამრეწველო კომპანიები განიცდიან მწვავე კონკურენციას განვითარებადი ქვეყნების, მ.შ., პირველ რიგში, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მხრივ, რომელთა უმრავლესობამ მეტ-ნაკლები ზომით წარმატებით მოახდინა იაპონური ეკონომიკური მოდელის რეალიზაცია. გარდა ამისა, სულ უფრო მწვავედ კონკურენტული ბრძოლა თვით განვითარებული ქვეყნების - აშშ, ევროპა, იაპონია და სწრაფად მზარდი აზიური ქვეყნების ბაზრებზე.

**მეორე**, ბიზნესის სწრაფად პროგრესირებადი ტრანსნაციონალიზაციის პირობებში, დღეს მსოფლიო არენაზე გამოდის არაიმდენად ქვეყანა, არამედ, უფრო მეტად, კომპანია, რადგანაც ამჟამად, ძალზე სწრაფად იზრდება შიდასაფირმო სავაჭრო ოპერაციები, ხოლო საერთაშორისო ვაჭრობის სუბიექტად სულ უფრო მეტად ხდება არა საქონელი და მომსახურება, არამედ **დამატებული ღირებულება**. გლობალიზაციის გაღრმავების პირობებში კომპანიები თავიანთი პროდუქციის სულ უფრო მეტ ნაწილს აწარმოებენ საზღვარგარეთ /იაპონური სამრეწველო კომპანიების ეს მაჩვენებელი შეადგენს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 25%-ს/ [10]. სწორედ ამიტომ, მსოფლიო მეურნეობასა და სავაჭრო ბრუნვაში ქვეყნის მონაწილეობის რეალური სურათის ჩვენებისა და საზღვარგარეთის ბაზრებზე მისი ეკონომიკის დამოკიდებულების დონის რეალური შეფასებისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს კომპანიების საზღვარგარეთული საქმიანობის მასშტაბებიც.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის წარმატების საფუძველია მისი **მოქნილობა და ადაპტაციის უნარი**. სწორედ ამ თვისებებით არაერთხელ გამოავლინა თავისი უპირატესობა იაპონიის ეკონომიკამ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში. როგორც უკვე აღინიშნა, ამ საუკუნის დასაწყისში კი მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები საკმაოდ დაჩქარდა და რაოდენობრივი ცვლილებები გადაიზარდა თვისობრივში, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა იაპონიის ხელისუფლებისა და სამთავრობო წრეების შეხედულებები ახალ ვითარებაში ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო ეკონომიკური განვითარებისა და მისი კონკურენტუნარიანობის ამალგების შესახებ. აქედან გამომდინარე, 2005 წელს იაპონიის ეკონომიკისა და საფინანსო პოლიტიკის საბჭოს მიერ შეიქმნა და გასაჯაროვდა დოკუმენტი „იაპონია 21“, სადაც განისაზღვრა იაპონიის ეკონომიკის განვითარების ძირითადი ფაქტორები და მიმართულებები უახლესი მეოთხედი საუ-

კუნის მანძილზე და, აგრეთვე, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სამომავლო კურსი.

2006 წლის მაისში კი სამთავრობო სტრუქტურაში შეიქმნა კომპლექსური ფინანსური და ეკონომიკური რეფორმების საბჭო, რომელმაც უკვე არსებული ეკონომიკისა და საფინანსო პოლიტიკის საბჭოსთან ერთად და სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების აქტიური მონაწილეობით, შეიმუშავა ეკონომიკური ზრდის ახალი სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია, მოსახლეობის შემცირების ხანგრძლივი ტენდენციის პირობებში, ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფაზე.

ეს ახალი სტრატეგია, გახდა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიის ფუნდამენტალური პრინციპების ნაწილი. იგი ახალ ეროვნულ ენერგეტიკულ და გლობალურ ეკონომიკურ სტრატეგიებთან ერთად, საფუძვლად დაედო მიმდინარე სახელმწიფო ეკონომიკურ და სამრეწველო პოლიტიკას. აღნიშნულ დოკუმენტებში იაპონიის საერთაშორისო სპეციალიზაცია განიხილება, უფრო მეტად, ინოვაციურ პრიზმაში იმის გათვალისწინებით, რომ პერსპექტივაში იაპონია უნდა იქცეს გლობალურ ინოვაციურ ცენტრად, რომელიც მსოფლიო ბაზარს მიაწვდის ახალ ინოვაციურ საქონელსა და ტექნოლოგიებს. სტრატეგია ამის განხორციელებას გულისხმობს აზიის ქვეყნებთან, ე.წ. „ზრდის XXI საუკუნის ცენტრთან“ მჭიდრო თანამშრომლობით, რომლებიც თანდათანობით გახსნიან თავიანთ ბაზრებს, იაპონური ტექნოლოგიების გამოყენებით, განავითარებენ საწარმოო ძალებსა და აამაღლებენ მწარმოებლურობას.

მთლიანობაში, იაპონიის თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია როგორც მიმდინარე ამოცანების (ინფლაციის აღმოფხვრა და სახელმწიფო ვალის შემცირება) გადაწყვეტაზე, ისე გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე (ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურული რეფორმირება). აღნიშნული ეკონომიკური პოლიტიკა ატარებს კომპლექსურ ხასიათს და მოიცავს სამი კონკრეტული მოქმედების გეგმას:

1. **იაპონიის მრეწველობის აღორძინების გეგმა**, რომლის ძირითდი მიმართულებებია:

- სტრუქტურული რეფორმების პროგრამების განხორციელების დაჩქარება /კერძოდ, სამედიცინო მოწყობილობის ბაზრის რეგულირება, ინტერნეტის მეშვეობით მედიკამენტების გაყიდვა და ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურების ეკოლოგიური შეფასება/;

- შრომის ბაზრის რეფორმირება და ადამიანისეული რესურსების განვითარება;

- სამეცნიერო-ტექნიკური და საინფორმაციო ინოვაციების ხელშეწყობა;

- ქვეყნის მოწინავე საინფორმაციო საზოგადოებად გადაქცევა;

- ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მისი საერთაშორისო ბიზნეს-ცენტრად გადაქცევა;

- საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარება.

გეგმის ეს ნაწილი ითვალისწინებს გადამამუშავებელი მრეწველობის სტიმულირებას ისე, რომ მან შეძლოს გლობალურ სამყაროში წარმატებული კონკურენცია, აგრეთვე, მომსახურების დარგთა სფეროს პრიორიტეტული განვითარება, უფრო დიდი ზომით დამატებული ღირებულების შექმნის შესაძლებლობებით.



არსებითი ცვლილებებია მოსალოდნელი შრომის ბაზარზეც, განხორციელდება „სტაბილური დაქირავებიდან“ „უმუშევრობის გარეშე, მოძრავ შრომის ბაზარზე“ გადასვლა, რაც არსებითად ნიშნავს „სიცოცხლის მანძილზე“ დაქირავების სისტემაზე უარის თქმას. ამასთან, მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცევა შრომითი რესურსების ეფექტიანი მართვის ხარისხის ამაღლებას, ქალების, ახალგაზრდებისა და პენსიონრების მუშაობაში ჩართვის პირობების გაუმჯობესებას.

**2. სტრატეგიული ბაზრის შექმნის გეგმა** ითვალისწინებს: ჯანდაცვის სრულყოფასა და ჯანმრთელი ცხოვრების გახანგრძლივებას; სუფთა და ეკონომიკურად ეფექტიანი ენერგეტიკის შექმნას; ახალი თაობის მოხერხებული და უსაფრთხო ეკონომიური ინფრასტრუქტურის შექმნასა და სრულყოფას; რეგიონული გაერთიანებების ფორმირებას, რომელთა განვითარება დაფუძნდება უნიკალური ადგილობრივი რესურსების გამოყენებას.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტს მისი **ენერგეტიკული უსაფრთხოება** წარმოადგენს. სადღეისოდ, იაპონიას აქვს ენერგეტიკის განვითარების საკმაოდ მაღალი დონე. მის წილად მოდის მსოფლიო ენერგომატარებლების მარაგების დაახლოებით 0,025%. ენერჯის წარმოების მნიშვნელოვანი წყაროებია: ქვანახშირზე (332,3 მლრდ კვ.ს), თხევად გაზზე (402, 9 მლრდ კვ. ს.) მომუშავე თბოელექტროსადგურები, ჰიდროენერგეტიკა (50 019 მგ.ვტ) და განახლებადი ენერჯია (111 860 მგ.ვტ). გარდა ამისა, ამჟამად იაპონიაში მოქმედებს 15 ატომური ელექტროსადგური 33 რეაქტორით, რომელთა სიმძლავრეა - 33083 მგ.ვტ. ქვეყანას აქვს აგრეთვე, წყალბადის ენერჯიაზე გადასვლის გრძელვადიანი სტრატეგია [11].

ბოლო პერიოდში (განსაკუთრებით ფოკუსირების ტრაგედიის შემდეგ) ენერგომატარებლების წარმოებასა და მოხმარებაში გამოიკვეთა ატომური ენერჯის წილის შემცირებისა და, შესაბამისად, ჰიდრო და თბოელექტროსადგურების და განახლებადი ენერჯის ხვედრიწილის ზრდის ტენდენცია, რაც სავსებით კანონზომიერია.

იაპონიამ სერიოზულად უნდა იზრუნოს ენერგეტიკული ბაზრის გაფართოებაზე, საშინაო და საგარეო ბაზრებზე თავისი წილის გაზრდაზე. ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო და ეკონომიური ენერგეტიკის შექმნის სტიმულირების მიზნით, სტრატეგიით ნაჯარაუდევია ენერგეტიკული ბაზრის რეფორმირება, რომელიც ორიენტირებული იქნება საცალო ბაზრის ლიბერალიზაციაზე, ინოვაციების სტიმულირებასა და ენერგეტიკის განვითარების სისტემურ მიდგომაზე. ცხადია, შექმნა და აითვისო ახალი ბაზრები, „გახსნა ახალი ჰორიზონტები“, შესაძლებელია მხოლოდ უახლესი ტექნოლოგიების საფუძველზე. სტრატეგია ითვალისწინებს მთელ რიგ პროგრამებს, რომლებიც მიმართულია უახლოეს მომავალში იაპონიის „№1 გლობალურ ინოვატორად“ გადაქცევაზე, ვენჩურული ბიზნესის განვითარებასა და ინოვაციური სისტემის შემდგომ სრულყოფაზე.

**3. გლობალური უპირატესობის მიღწევის სტრატეგია** დაფუძნებული იქნება:

- სხვა ქვეყნებთან საქმიან სტრატეგიულ ურთიერთობებსა და ეკონომიკურ პარტნიორობაზე;

- გლობალური ბაზრების დაპყრობაზე მიმართული სტრატეგიული ინიციატივების რეალიზაციაზე;

- მდგრადი და უსაფრთხო სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსების მობილიზებასა და ზრდაზე.

გლობალური უპირატესობის მიღწევის სტრატეგია გულისხმობს უცხოური ადამიანისეული რესურსების, საქონლისა და კაპიტალის მოზიდვას და საერთაშორისო ოპერაციებში იაპონური ბიზნესის მონაწილეობის გაფართოებას, ქვეყნის შიგნით კი, სახელმწიფო და კერძო სექტორების პარტნიორობის ხელის შეწყობას.

იაპონური ტრანსნაციონალური კომპანიების საერთაშორისო საწარმოო საქმიანობის გაფართოებასთან ერთდ, მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ძვრები მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის სპეციალიზაციის სფეროში. ეს, პირველ რიგში, შეეხება ექსპორტის სტრუქტურასა და საექსპორტო ოპერაციების მოდელს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რაც ქვეყანა დაადგა ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრიალიზაციის გზას, მსოფლიო ბაზარზე მას უფრო მეტად გაჰქონდა მზა ნაწარმი, მ.შ. ტექნიკურად რთული, მეცნიერებატევადი პროდუქცია. ახლა კი, ქვეყნის ექსპორტში ჭარბობს შუალედური პროდუქცია /დაახლოებით 75%/, იგივე მაჩვენებელი ჩინეთში უდრის 40%-ს, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში (ჩინეთის გამოკლებით) – 60%-ს, ასეანის ქვეყნებში - 77%-ს [5].

ყოველივე ამის შედეგად, იაპონიასა და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს შორის ჩამოყალიბდა შრომის დანაწილების შემდეგი მოდელი: იაპონია სპეცილიზირებულია და ინარჩუნებს თავის კონკურენტუნარიანობას უმეტესად ნაწილებისა და კომპონენტების, მასალებისა და სხვა შუალედური პროდუქციის ექსპორტში, ახდენს რა პირველადი პროდუქციისა და სამომხმარებლო საქონლის იმპორტს. ამასთან, იქმნება ისეთი მდგომარეობა, როცა იაპონია დამატებითი ღირებულების მნიშვნელოვან ნაწილს „უთმობს“ ქვეყნებს, სადაც იაპონურ კომპანიებს თავისი წარმოება აქვთ განთავსებული, რაც წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკასა და ვაჭრობაში ქვეყნის ხვედრიწილის შემცირების მნიშვნელოვან ფაქტორს. იაპონური კომპანიების ტრანსნაციონალური საქმიანობის გადრეკილვას კი შედეგად მოსდევს, ქვეყნის საწარმოო სიმძლავრეების „ჩარეცხვა“, იაპონიიდან ინვესტიციებისა და სამუშაო ადგილების საზღვარგარეთ გასვლა. ამასთან, ასეთი ტენდენცია მხოლოდ მრეწველობის პრობლემა როდია, იგი ყველა დარგში მიმდინარეობს და, საერთოდ, ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური პოტენციალის „ჩარეცხვის“ ფორმით ვლინდება.

გლობალიზაციისა და მსოფლიო ეკონომიკაში იაპონიის ინტეგრაციის გადრეკილვების პირობებში, საგარეო ბაზრებზე პოზიციების შენარჩუნება, მისი ახალ-ახალი სეგმენტების მოძიება და საქმიანობის არეალის გაფართოება კვლავ რჩება იაპონიისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. ამასთან, ქვეყანამ უნდა იზრუნოს საგარეო ბაზრებზე თავისი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისა და გაძლიერებისთვის. ამ მხრივ იაპონურ კომპანიებს აქვთ, პირველ რიგში, აზიური ქვეყნების ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის მოპოვების დიდი პოტენციალი როგორც საერთოდ, ისე განსაკუთრებით, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროში.

ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად, დიდი პერსპექტივა აქვს იაპონური ე.წ. „პრაქტიული“ დარგების კულტურული „პროდუქციის“ საზღვარგარეთ გატანას, სადაც იგი დიდი მოწონებით სარგებლობს. ეს ის საქონელი და მომსახურებაა, რომელიც ასოცირდება იაპონურ კულტურასა და ცხოვრების წესთან და ხშირად აღინიშნება ბრენდით „იაპონია“. ესაა მოდა, სამზარეულო, ანიმაცია, თამაშები, ფილმები, მუსიკა, ყოველდღიური მოხმარების ნივთები, ტრადიციული სარეწაო ნაწარმი, ტურიზმი და სხვა.

გლობალური უპირატესობის მიღწევის მიზნის ინოვაციური მიდგომები იმითაც გამოიხატება, რომ იაპონიის მთავრობა ყოველთვის ხელს უწყობს, ასტიმულირებს კომპანიების საზღვარგარეთული აქტიურობის დივერსიფიკაციას, უცხოეთში „ინტეგრირებული სისტემის“ გატანას, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზაციას, რათა უცხოელ მომხმარებლებს მიეწოდოს არა მხოლოდ მოწყობილობა, არამედ შესთავაზონ მათ დიზაინის დამუშავება, პროექტირება, განახორციელონ სამშენებლო სამუშაოები, ტექნოლოგიებისა და „ნოუ ჰაუს“, ინჟინირინგული და საგანმანათლებლო მომსახურების ექსპორტირება. ეს კი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იაპონური კომპანიების მიერ საზღვარგარეთული ოპერაციების შესრულების შედეგად მიღებული დამატებული ღირებულების მოცულობის ზრდას.

იაპონიის მდგრადი და უსაფრთხო ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პრაქტიკული რეალიზაცია გულისხმობს კომპლექსურ მიდგომას მისი ცალკეული გეგმებით განსაზღვრული ამოცანების რეალური გადაწყვეტის დროს. სტრატეგიით ნაგარაუდევია ამ საქმეში სახელმწიფოსა და ყველა დონის ბიზნესის ერთობლივი ჩართულობა, მათი პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება-გაფართოება. სახელმწიფომ, სათანადო ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით, უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სტაბილურობა, რაც სათანადო პირობებს შექმნის ყველა დონეზე ბიზნესის შეუფერხებელი განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, მისი მდგრადობისა და უსაფრთხოების ახალ დონეზე გადაყვანისთვის.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Лобанова В. В., Симоненко О. А. – Национальная безопасность Японии и разногласия в Японо-Американских отношениях.  
[http://pnu.edu.ru/meida/ejournal/articles-2016/TGU\\_7\\_53.pdf](http://pnu.edu.ru/meida/ejournal/articles-2016/TGU_7_53.pdf)
2. Миямото Таро – Специальная политика и занятость XXI века  
<https://www.nippon.com/ru/in-depth/a04203/>
3. Павлюшина В., Брилянтлова В – Япония в поисках новых драйверов роста, Бюлетень о текущих тенденциях мировой Экономики, Январь 2019.
4. Пушкарева Л. В. – Экономическая безопасность, учебник, М, 2018 [https://szu-lib.ranepa.ru/new\\_book/Html\\_01.19/pushkareva/pushkareva.html](https://szu-lib.ranepa.ru/new_book/Html_01.19/pushkareva/pushkareva.html)
5. Тимонина И Л – Уровень социально-экономического развития Японии и новый вектор экономической стратегии  
<https://cyberleninka.ru/article/n/uroven-sotsialno-ekonomicheskogo-razvitiya-yaponii-v-mezhdunarodnyh-sravneniyah-i-novyy-vektor-ekonomicheskoy-strategii>
6. Бедность в Японии – невеселый прогноз <https://www.nippon.com/ru/features/h00072/>
7. ВВП стран мира: доля стран в мировом ВВП <https://fingeniy.com/vvp-stran-mira-dolya-stran-v-mirovom-vvp/>
8. Внешняя торговля Японии  
[https://studwood.net/1453201/ekonomika/vneshnyaya\\_torgovlya\\_yaponii](https://studwood.net/1453201/ekonomika/vneshnyaya_torgovlya_yaponii)
9. Как Япония избежала массовой безработицы в пандемию Коронавируса  
<https://www.nippon.com/ru/in-depth/a07603/>
10. Уровен бедности в Японии <https://take-profit.org/statistics/unemployment-rate/japan/>
11. Экономика Японии [https://ru.wikipedia.org/wiki/ Экономика\\_Японии](https://ru.wikipedia.org/wiki/Экономика_Японии)

**Revaz Javakhishvili**

*Doctor of Economics, TSU Paata Gugushvili Institute of Economics,*

*Head of the Department*

**JAPAN'S STRATEGY FOR SUSTAINABLE AND SECURE ECONOMIC DEVELOPMENT**

DOI: [10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Revaz.Javakhishvili](https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Revaz.Javakhishvili)

**Expanded Summary**

In the absence of appropriate natural-resource factors, Japan was able to realize in a historically short period of time, by taking the correct socio-economic development course and implementing appropriate economic reforms, an unprecedented revival of the country's economy, which is known in history as the "Japanese miracle". However, since the 90s of the last century, its economic development has experienced serious fluctuations and difficulties, which is why a new long-term strategy of economic growth has been developed, which is focused on ensuring the sustainable and safe development of the country. The strategy is complex and includes three specific action plans:

1. Japan's industrial revitalization plan, the main directions of which are: accelerating the implementation of strategic reform programs; reforming the labor market and developing human resources; promotion of scientific-technical and information innovations; turning the country into an advanced information society; Increasing Japan's competitiveness and turning it into an international business center; Small and medium business development.

2. The strategic market creation plan envisages: improving health care and prolonging healthy life; to create clean and economically efficient energy; creating and perfecting convenient and safe economic security of New Tobi; The formation of regional associations, the development of which will be based on the use of unique local resources. The plan is focused on: creation of ecologically clean, safe and economic energy based on the use of the latest technologies; on the expansion of Japan's energy market and the growth of its share in foreign markets; on turning the country into the No. 1 global innovator; on the development of venture business and the improvement of the information system.

3. The strategy for achieving global advantage will be based on: strategic business relations and partnerships with other countries; implementation of strategic initiatives aimed at conquering global markets; on the mobilization and growth of financial and material resources necessary for sustainable and safe socio-economic development. The strategy involves attracting foreign human resources, goods and capital, and expanding the participation of Japanese businesses in international operations, and domestically, facilitating partnerships between the public and private sectors.

In the conditions of globalization and the deepening of Japan's integration into the world economy, maintaining its position in foreign markets, finding its new segments and expanding the area of activity remains one of the priority directions for Japan. At the same time, the country should take care to maintain and strengthen its competitiveness in foreign markets, to export "integrated system" abroad, to realize production and social infrastructure projects in order to provide foreign customers not only with equipment, but also to offer them design processing, projecting, to carry out construction works, technology and "Know How", exporting engineering and educational services. This will significantly contribute to the increase in the volume of added value obtained by Japanese companies from overseas operations.

The practical realization of Japan's sustainable and secure economic development strategy implies a complex approach to the actual solution of the tasks defined by its separate plans. The strategy envisages the joint involvement of the state and all levels of business in this matter, deepening and expanding their partnership relations. The state, using appropriate economic levers, must ensure the stability of the country's macroeconomic indicators, which will create appropriate conditions for the smooth development and competitiveness of business at all levels, the acceleration of the country's socio-economic development, and its sustainability and security to a new level.

**მაკროეკონომიკა – MACROECONOMICS**

**გივი ბედიანაშვილი**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

**მურმან ცარციძე**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

**ნინო მიქელაძე**

დოქტორანტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

**ზვიად გაბროშვილი**

მაგისტრანტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**თანამედროვე გლობალიზაცია, ადამიანისეული კაპიტალი და ეკონომიკური ზრდა  
საქართველოში: მაკროასპექტი**

DOI: [10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Givi.Bedianashvili/Murman.Tsartsidze/](https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Givi.Bedianashvili/Murman.Tsartsidze/)

[Nino.Mikeladze/Zviad.Gabroshvili](mailto:Nino.Mikeladze/Zviad.Gabroshvili)

**ანოტაცია.** თანამედროვე გლობალურ გარემოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადამიანისეულ კაპიტალთან და ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებული პრობლემატიკა. პირველ რიგში, საჭიროა გამოვლინდეს თვით გლობალიზაციის პროცესის სპეციფიკა, რაც განაპირობებს როგორც მსოფლიოს, ისე ცალკეული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირების და განვითარების თავისებურებებს, ეკონომიკური ზრდის კონტექსტით ადამიანისეული კაპიტალის მიმართ ახალ მოთხოვნებს და გამოწვევებს. გლობალიზაციის უკვე არსებული თავისებურებების გარდა, საჭიროა მცირე ქვეყნების სპეციფიკის გათვალისწინებაც. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მცირე ქვეყნები გამოირჩევიან სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირების და განვითარების განსხვავებული მექანიზმებით. წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს მცირე ქვეყნებში ადამიანისეული კაპიტალის და ეკონომიკური ზრდის ურთიერთმიმართების სისტემური ანალიზი, ჯანმრთელობის, განათლების და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, საქართველოსთვის ცალკეული რეკომენდაციების შემუშავება.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალიზაცია, ადამიანისეული კაპიტალი, ეკონომიკური ზრდა, განათლება, ჯანმრთელობა, მოთხოვნადი უნარ-ჩვევები

**შესავალი**

თანამედროვე მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი კაცობრიობას სტიმულს აძლევს, ხელახლა იქნას გააზრებული აღზრდისა და განათლების მთელი სისტემის როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივი პოტენციალისა განვითარებასა და XXI საუკუნის შესატყვისი პროგრესული ცივილიზებული საზოგადოებრივი მეტალიტეტის ფორმირებაში. სწორედ ამიტომ, რომ მიმდინარე პერიოდში საქართველოში განათლების პრობლემები არა მარტო კონკრეტული დარგის სპეციალისტებისა და შესაბამისი სამთავრობო ორგანოების, არამედ ეკლესიის მსჯელობის საგანიც გახდა: “ღრმა ცოდნა გვაკლია”; “უნდა ვიფიქროთ სიღრმისეული ცოდნის

შეძენაზე”; “არ არის საკმარისი გეკონდეს ზერელე, ზედაპირული ცოდნა”, „ცოდნისა და ღრმა აზროვნების გარეშე საქართველო ვერ იარსებებს“; “ვეფრობ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ანალიტიკურ აზროვნებას“ [ილია II, 2014: 3] და სხვა.

ასევე ნიშანდობლივია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელ ყველაზე კრიტიკულ პრობლემათა შორის სამი მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთა: კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, ადამიანისეული კაპიტალის არასაკმარისად განვითარება და ფინანსური რესურსების შეზღუდულობა.

საკითხის აქტუალობას განსაზღვრავს ისიც, რომ 2019 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, საქართველო 135-ე ადგილზეა „პროფესიული მომზადების ხარისხის“ მიხედვით და 125-ე ადგილზე „სამუშაო ძალის ამჟამინდელი უნარების მიხედვით“ [World Economic Forum, 2019]. კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ გამოქვეყნებული მდგრადი განვითარების 2022 წლის ანგარიშის მიხედვით კი, რომელიც შეფასდა გაეროს მიერ დადგენილი მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად, საქართველოში გაუმჯობესებულია მდგრადი განვითარების რეიტინგი და სწავლების ხარისხის მაჩვენებელი. ასე მაგალითად 2017, წელს მდგრადი განვითარების ინდექსის მიხედვით ქვეყანას 66-ე ადგილი, 2020 წელს 58-ე ადგილი, ხოლო 2021-ში 56 ადგილი ეკავა, 2022 წელს კი იგი 51-ე ადგილს იკავებს (163 ქვეყანას შორის), ინდექსის მნიშვნელობით-73.4-ი. აღნიშნული ინდექსის გაუმჯობესება მოხდა ისეთი სფეროების განვითარებისა და პროგრესის ხარჯზე როგორცაა: განათლების ხარისხი და ეფექტიანობა, მართლმსაჯულების ინდექსი; კორპორატიული გადასახადების სიმარტივე; პრესის თავისუფლება და სხვა. განათლების ხარისხის მიხედვით 165 ქვეყნიდან საქართველო მსოფლიოს ოცდაათ და ევროპის ათ საუკეთესო ქვეყანას შორის ხვდება [Sachs et al., 2022]. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ თანამედროვე ეპოქისა და ქვეყნის წინაშე არსებული სერიოზული გამოწვევების ფონზე სწორედ ხარისხიანი განათლება წარმოადგენს საზოგადოების სოციალური ეფექტიანობის, მისი განახლების, განვითარების, პროგრესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორს. დღევანდელი საზოგადოების სახეს სწორედ კულტურა, განათლების დონე და ხარისხი განსაზღვრავს. სწორედ მათშია ჩადებული ის შემოქმედებითი პოტენციალი რომელზეცაა დამოკიდებული პროგრესული სოციალური გარდაქმნების წარმატება. თანამედროვე საუკუნეს, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ეპოქასთან ერთად „განათლების საუკუნეს“ უწოდებენ, სადაც თვით ცოდნა და განათლება ადამიანის საქმიანობისა და ცხოვრების უმთავრეს გარანტს წარმოადგენს.

საქართველოში ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა განათლების პრობლემებს. ქართველო მწერალი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე სწავლობდა რა ქვეყნის წინაშე არსებული სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში აღნიშნავდა, რომ განათლება, სწავლა, ცოდნა – აი ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას [ჭავჭავაძე, 2012: 128]. უფრო მეტიც, ქვეყნის ჩამორჩენილობის, სიღარიბისა და განუვითარებლობის მთავარ მიზეზად იგი სწორედ ცოდნის უქონლობასა და დეფიციტს მიიჩნევს, რაც კიდევ უფრო აქტუალური ხდება დღევანდელი გლობალიზაციის ეპოქაში.

### **კვლევის მეთოდოლოგია და ინფორმაციული ბაზა**

კვლევის პროცესში გამოყენებულ იყო ინტერვიუს, დედაქციის, ხარისხობრივი, რაოდენობრივი, შედარების, სტატისტიკური ანალიზის, ბენჩმარკინგის მეთოდები. საკუთრივ კვლევა მოიცავდა არსებული ლიტერატურის დამუშავებას, სტატისტიკური მონაცემების მოძიებას (მათ შორის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის უშუალო დახმარებით), მოძიებული მონაცემების დახარისხებას და რაოდენობრივ ანალიზს, ასევე, კვლევის ფარგლებში ექსპერტული მოსაზრებების გათვალისწინებას. სტატისტიკური მონაცემების წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), მსოფლიო ბანკი (WB) და გაერო (UN), ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მასალები. გამოყენებულ იქნა კვლევის ეკონომეტრიკული მეთოდები და ხელოვნური ინტელექტის (Artificial Intelligence - AI), კერძოდ, მანქანური დასწავლის (Machine Learning - ML) მოდელები [Breiman, Random, 2001; Lundberg, Lee, 2017; Lundberg et al., 2020; Pedregosa, 2011; Shapley, 1951].

### **გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევები და ადამიანისეული კაპიტალი**

გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევების განხილვისას აუცილებელია გლობალიზაციისათვის დამახასიათებელი რიგი თავისებურებების გათვალისწინება [Bedianashvili, 2023]. თუ COVID-19-ის პანდემიის მთელი პერიოდი გამოირჩეოდა ტურბულენტური გლობალიზაციით, უკრაინაში რუსეთის მიერ ომის დაწყების და დასავლეთის მიერ რუსეთის მიმართ დაწესებული ეკონომიკური სანქციების ფონზე უკვე მკაფიოდ გამოიკვეთა კონფრონტაციული ხასიათის გლობალიზაციური პროცესები [Papava, 2022a]. თუმცა, გლობალიზაციის პროცესი შეიძლება გაანალიზდეს სხვადასხვა ნიშნით [Papava, 2022b; Silagadze, 2022; Bedianashvili, 2021; Veshapidze, Karchava, 2022; Veshapidze et al., 2022].

გასული პერიოდის ანალიზი ცხადყოფს, რომ თანამედროვე მსოფლიო, გლობალური ეკონომიკა და ეროვნული ეკონომიკები ხასიათდებიან პრინციპულად ახალი განსხვავებული კონფრონტაციული ბუნების თავისებურებებით.

კონფრონტაციულ გლობალურ გარემოში ყოველი სახელმწიფოსთვის და მთლიანად მსოფლიოსთვის უადრესად მნიშვნელოვანი ხდება ცალკეული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნციონირების მდგრადობა. ამასთან, ქვეყნის მდგრადობა დამოკიდებულია მისი სისტემური სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების დონეზე, რაც თავის მხრივ ჩაირთავს ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ, ტექნოლოგიურ და საზოგადოების სხვა სფეროებს [Bedianashvili, 2022a].


კონფრონტაციული გლობალიზაციის ეტაპზე მნიშვნელოვანი მაკროსისტემური გამოწვევაა განუზღვრელობის განსაკუთრებით მაღალი დონე, რასაც განაპირობებენ საზოგადოების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროცესები, რომლებიც თავისი მოქმედების არეალით სცილდებიან საკუთრივ კონკრეტული ერთი სფეროს საზღვრებს და უკვე ხშირ შემთხვევაში არიან სხვა სფეროებში მნიშვნელოვანი, ზოგჯერ კრიზისული შოკური ეფექტების გამომწვევი მიზეზი [Bedianashvili, 2021]. ამასთან ერთად, არსებობენ სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც ერთდროული მოქმედებით [Ahir et al., 2023; Baker et al., 2016] არსებითად ართულებენ განუზღვრელობის ზრდის პრობლემას.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორების მიერ განპირობებული განუზღვრელობის ზრდა თავისი რეალურად მოქმედებით ატარებს

მაკროსისტემურ ხასიათს. ამის დასტურია, მაგალითად, კლიმატის ცვლილების პრობლემა, რომელიც წარმოადგენს კონფონტაციული გლობალიზაციის პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გლობალურ გამოწვევას [Acemoglu, 2022; Aspinal, 2021; EaP, 2022; Berestycki et al., 2022; The World Bank Group, 2021,2022]. ამასთან ერთად, კლიმატის გლობალური ცვლილება განსაკუთრებულ უარყოფით ზეგავლენას ახდენს ყოველი ქვეყნის არა მარტო ეკონომიკაზე, არამედ მთლიან სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაზე [Bedianashvili, 2022b]. საქართველო, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნები, კლიმატის გლობალური ცვლილების უარყოფით ეფექტებს ყოველწლიურად განიცდის, ხოლო მისი უარყოფითი გავლენა უშუალოდ ეკონომიკასა და ადამიანების ცხოვრების ხარისხზე სულ უფრო მეტად იზრდება. კვლევების შედეგად დადგენილია, რომ კლიმატის გაუარესების შედეგად ტემპერატურის მატების კვალობაზე მნიშვნელოვნად იზრდება მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის (GDP) დანაკარგი [Matthew et al., 2019]. მკაფიოდ შეინიშნება კლიმატის პოლიტიკის განუზღვრელობის ზრდის ტენდენცია (ბედიანაშვილი, 2022).

თვით ეკონომიკის განუზღვრელობის ზრდის შესახებ მიუთითებს ეკონომიკური პოლიტიკის განუზღვრელობის დინამიკა, რომელიც გამოირჩევა ზრდის ტენდენციით, განსაკუთრებით გლობალური მასშტაბით (Bedianashvili, 2021). ნიშანდობლივია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის განუზღვრელობის ზრდადი დინამიკა ბოლო ათწლეულში ასევე მკაფიოდ შეინიშნება მსოფლიოს მთელ რიგ განვითარებულ და განვითარებად ეკონომიკებში (ნახატი 1).

**ნახატი 1. ეკონომიკური პოლიტიკის განუზღვრელობა მსოფლიოს ქვეყნების მიხედვით**



წყარო: აგებულია ავტორების მიერ <https://www.policyuncertainty.com> მონაცემების მიხედვით

განუზღვრელობის ზრდასთან დაკავშირებული შოკები მნიშვნელოვნად ზემოქმედებს როგორც ეკონომიკაზე, ისე საზოგადოების ყველა სხვა სფეროზე, რაც განპირობებულია ამ შოკების მაკროსისტემური ხასიათით.

ადამიანისეული კაპიტალის კონტექსტით განუზღვრელობის გამოწვევის საპასუხოდ ფრიად აქტუალურია მეწარმეთა და სპეციალისტთა მომზადებისას მო-



მავლის უნარ-ჩვევებზე და განუზღვრელობის პირობებში ადაპტაციის უნარების განვითარებაზე ორიენტირება, მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით [ბედიანაშვილი და სხვ., 2021; Barak, Bedianashvili, 2021; Zhylynska et al., 2020].

კონფრონტაციული გლობალიზაციის კონტექსტში ადამიანისეული კაპიტალის კონცეფცია კვლავ აქტუალური და დიდი მნიშვნელობისაა. ადამიანისეული კაპიტალი გულისხმობს ადამიანების ცოდნას, უნარებს, გამოცდილებას, განათლებას და ნიჭს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მატერიალური და არამატერიალური ღირებულების შესაქმნელად.

კონფრონტაციული გლობალიზაცია ხასიათდება სახელმწიფოებს შორის დამაბული ურთიერთობებით, მძაფრი კონკურენციით, პოლიტიკური და ეკონომიკური კონფლიქტებით. ასეთ ვითარებაში უადრესად მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური ადამიანისეული კაპიტალის განვითარება და მოზიდვა გლობალური კონკურენტუნარიანობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ადამიანისეული კაპიტალი ხდება მთავარი რესურსი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას კონფრონტაციული გლობალიზაციის პერიოდში.

ასევე მნიშვნელოვანია სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის ჯანდაცვის სისტემისა და სოციალური უზრუნველყოფის. ჯანმრთელ, განათლებულ და მოტივირებულ ადამიანებს შეუძლიათ ეფექტიანად იმუშაონ და მეტი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში.

კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში ქვეყნებისთვის ასევე მნიშვნელოვანია ნიჭიერი და მაღალკვალიფიციური უცხოელი სპეციალისტების მოზიდვა და შენარჩუნება. ამისათვის საჭიროა შეიქმნას მიმზიდველი პირობები სამუშაოსა და ცხოვრებისთვის, უზრუნველყოფილ იქნეს პროფესიული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობები.

#### **ადამიანისეული კაპიტალი და ეკონომიკური ზრდა: თეორიული და მეთოდოლოგიური წანამდგრებები**

მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას ზრუნვის ერთ-ერთი მთავარი საგანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, მასზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა და ეფექტიანი გამოყენება.

ეკონომიკური ზრდის და განვითარების პრობლემების არაერთმა მკვლევარმა აღნიშნა ფიზიკურ კაპიტალთან ერთად ადამიანისეული კაპიტალის დიდი მნიშვნელობა.

ადამიანისეული კაპიტალის თეორიის განვითარების ძირითადი წინაპირობები წარმოდგენილია მერკანტილისტების, ფიზიოკრატების, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სკოლის, მარგინალიზმის მიმდევრების შრომებში. სწორედ აღნიშნულმა თეორიებმა ჩაუყარეს რეალური საფუძველი მისი შემდგომი განვითარების მეორე ეტაპს, რომელიც უკავშირდება თვით ადამიანის როლის შეცვლას, გაძლიერებას ეკონომიკური განვითარების საერთო პროცესში. აღნიშნული განაპირობა იმ კარდინალურმა ცვლილებებმა, რომლებიც განხორციელდა არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურებში, წარმოებასა და მოსახლეობის ცხოვრების წესში. კერძოდ, წარმოების განვითარებამ, ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვამ, შრომითი პროცესების ინტელექტუალიზაციამ, უნიკალიზაციამ, უნივერსალიზაციამ პრინციპულად ახალი მოთხოვნები წაუყენა სამუშაო ძალას. შედეგად ადამიანისეული კაპიტალის თეორია რადიკალურად ვითარდება და უკვე XX საუკუნე

ნის შუა პერიოდიდან ყალიბდება როგორც ეკონომიკური მეცნიერების დამოუკიდებელი ნაწილი. ამ დროისათვის, უ. პეტის, ა. სმითის, ჯ.ს. მილის და კ. მარქსის შემდეგ, პირველად ეკონომიკურ მეცნიერებაში საფუძვლიანად ვითარდება და მკვიდრდება აზრი იმის თაობაზე, რომ ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მთავარ ფაქტორს წარმოადგენს ადამიანი, როგორც უდიდესი ინტელექტუალური ფასეულობა და არა მანქანა-დანადგარები. შედეგად ეროვნული სიმდიდრის ცნება ფართოვდება და მასში კაპიტალის მატერიალურ კომპონენტთან ერთად ჩაერთვება ფინანსური აქტივები, მატერიალიზებული ცოდნა და მაღალმწარმოებლური შრომის უნარი. ხოლო თვით თანამედროვე ადამიანის ცნებაში ერთიანდება პიროვნების თვისებების მთელი სპექტრი: ინდივიდუალური და კოლექტიური, ბიოლოგიური და სოციალური.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში განვითარებულმა განსაკუთრებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მოვლენებმა ხელი შეუწვევს ადამიანისეული კაპიტალის თეორიის შემდგომ განვითარებას და შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდისათვის იგი ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო მიმართულება.

აღნიშნული მოვლენებიდან უნდა გამოიყოს:

1. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების შედეგად ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლა, რამაც გამოიწვია შრომის როლისა და შინაარსის ზრდა, მისი სირთულე, კვალიფიკაციაზე მოთხოვნების ზრდა. შედეგად განხორციელდა შრომის, სამუშაო ძალის როლისა და ადგილის გადახედვა საწარმოო პროცესში;

2. თვით საწარმოო პროცესების შინაარსის ღრმა ცვლილებების შედეგად, რომელიც უკავშირდება წარმოებული პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების თვითღირებულების სტრუქტურის ცვლილებას. ეს უკანასკნელი გულისხმობს საერთო დანახარჯებში ინტელექტუალური, მაღალკვალიფიციური შრომის დანახარჯების ხვედრითი წილის ზრდას;

3. მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ჰუმანიზაციის პროცესების დაჩქარება, იზრდება "ადამიანისეული ღირებულების იდეის" სტაბილურობა და ავტორიტეტი ეკონომიკური მართვის ყველა დონეზე;

4. მსოფლიო ეკონომიკურ აზროვნებაში ადამიანისეული კაპიტალის კონცეფციის სფეროში დაგროვილი თეორიული და მეთოდოლოგიური პოტენციალი.

აღნიშნული ფაქტორების ზეგავლენის შედეგად შესაძლებელი გახდა ადამიანისეული კაპიტალის კონცეფციის სფეროში დაგროვილი სამეცნიერო შეხედულებების კრიტიკულად შეფასება და მათ საფუძველზე, საზოგადოებაში არსებული რეალური სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, დამოუკიდებელი სამეცნიერო მიმართულების ადამიანისეული კაპიტალის პრინციპულად ახალი თეორიის ჩამოყალიბება.

ადამიანისეული კაპიტალის თანამედროვე თეორიის წარმოშობის პერიოდად მიიჩნევა 1960-იანი წლები, ამერიკელი მეცნიერების თ. შულცის [Schultz, 1961] და გ. ბეკერის [Becker, 1964] ფუძემდებლური ნაშრომების გაჩენის შემდეგ.

ნეოკლასიკური ზრდის თეორიის თანახმად, ჯერ კიდევ სოლოუს [Solow, 1956] და სვანის [Swan, 1956] მიერ, აღნიშნული იყო, რომ კაპიტალისა და შრომის გარდა, ტექნოლოგიური განვითარების როლი ეკონომიკურ ზრდაში დიდია.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე და ათვისებაზე ორიენტირებული ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისთვის განათლების მნიშვნელობაზე ყურადღებას პირველები ამახვილებენ ნელსონი და ფელპსი [Nelson, Phelps, 1966].

ენდოგენური ეკონომიკური ზრდის თეორიაში რომერმა [Romer, 1986, 1990] ხაზგასმით აღნიშნა ადამიანისეული კაპიტალის პრიორიტეტულობა და გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკონომიკურ ზრდაში ახალი იდეების გენერირების კონტექსტით.

ეკონომიკური ზრდის ენდოგენური მოდელების ჯგუფში წარმოდგენილია ადამიანისეული კაპიტალის ეკონომიკური ზრდაზე პროდუქტიულობის ცვლილების გზით ზემოქმედება. მოდელების ეს ჯგუფი მოცავს სხვა მექანიზმებს, რომლებშიც პროდუქტიულობის ზრდას განაპირობებს R&D სექტორი. ეს მოდელები არ გულისხმობს მასობრივ განათლებას. აქ მოიაზრება სპეციალიზებული სამეცნიერო ან საინჟინრო მიმართულების განათლება. ეს მოდელები განიხილავენ ადამიანისეული კაპიტალისა და ეკონომიკური ზრდის დამაკავშირებელ ყველაზე ზოგად მექანიზმებს. აღნიშნული უპირატესად თეორიული მოდელების შედეგების გამოყენებით შესაძლებელია ადამიანისეული კაპიტალის ზომასა და ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის უფრო კონკრეტული კავშირების დადგენა.

შეიძლება გამოიყოს კვლევის პრობლემისადმი მიძღვნილი უცხოელი ავტორების ლიტერატურული წყაროები, რომლებშიც წარმოდგენილია თეორიული და პრაქტიკული ხასიათის მასალები [იხ., მაგალითად: სმითი, 2007; Barro, 2001; Becker, 1964; Blaug, 1976; Bulina et al., 2020; Deming, 2022; Jones, 2014; Kuznets, 1955; Lucas, 2015; Mankiw et al., 1992; Manuelli, Seshadri, 2014; Mincer, 1958; Sharma, 2018; Schultz, 1961; Solow, 1991; Uzawa, 1965; Weil, 2007]. საინტერესო კვლევებია წარმოდგენილი ასევე საქართველოშიც [იხ., მაგალითად: ბედიანაშვილი, ბიჭია, ნაცვლიშვილი, 2021; გიორხელიძე, 2019; ვერულავა, 2019; თოთლაძე, ხუსკვიცაძე, 2019, 2022; პაიჭაძე, 2019; სანაძე, 2020; ტუხაშვილი, 1998ა, 1998ბ; ტყემალაძე, 2021; ცარციძე, 1999, 2003ა, 2003ბ, 2022; ცარციძე, ლაცაბიძე, 2021; Bedianashvili, 2023; Kharashvili, Chavleishvili, Lobzhidze, 2018; Lobzhanidze, 2006; Mikiashvili, 2017; Shelia, Tukhashvili, 2023; Totladze, 2020; Zubiashvili, Veshapidze, 2019].

ეკონომიკურ ზრდასთან და განვითარებასთან მიმართებაში ადამიანისეული კაპიტალის დღევანდელი მეცნიერული კონცეპტუალური წარმოდგენების შესახებ ნათლად მეტყველებს ადამიანისეული განვითარების ინდექსი (Human Development Index – HDI) და ადამიანისეული კაპიტალის ინდექსი (Human Capital Index – HCI).

ადამიანისეული განვითარების ინდექსი (HDI) არის საშუალო მიღწევის ინტეგრალური საზომი ადამიანისეული განვითარების ძირითად განზომილებებში: ხანგრძლივი და ჯანსაღი ცხოვრება, ცოდნა და ცხოვრების ღირსეული სტანდარტი. ამასთან, HDI არის ნორმალიზებული ინდექსების გეომეტრიული საშუალო სამივე მაჩვენებლისთვის [UNDP, 2015].

ადამიანისეული კაპიტალის ინდექსი (HCI) მუშავდება მსოფლიო ბანკის მიერ 2018 წლიდან რეგულარულად 2-3 წელიწადში ერთხელ და რაოდენობრივად ასახავს ჯანმრთელობისა და განათლების წვლილს მომავალი თაობის მუშაკების პროდუქტიულობაში [World Bank, 2018].

ვფიქრობთ, ადამიანისეული განვითარების ინდექსი და ადამიანისეული კაპიტალის ინდექსი ეკონომიკურ ზრდაზე ადამიანისეული ფაქტორის ზემოქმედების

კვლევის, შესაბამისი პოლიტიკის ფორმირების და რეალიზაციის კონტექსტით მნიშვნელოვნად ავსებენ ერთმანეთს.

**ემპირიული კვლევის შედეგების ანალიზი  
ეკონომიკურ ზრდასა და ადამიანურ კაპიტალს შორის  
არსებული კავშირის რაოდენობრივი შეფასება**

ადამიანისეული კაპიტალის ეკონომიკურ ზრდაზე შესაძლო გავლენის დადგენის მიზნით, გამოყენებული გვაქვს რამდენიმე მცირე ქვეყნის მონაცემები. საქართველოსთან ერთად გამოიყო ე. წ. ბენჩმარკ ქვეყნები, რისთვისაც მოსახლეობის რიცხოვნობა, ქვეყნის ფართობი და განვითარების დონეა გათვალისწინებული. ბენჩმარკ ქვეყნებად შერჩეულია 3 ევროპული (ევროკავშირის წევრი) ქვეყანა: ირლანდია, ლატვია და ლიეტუვა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ამ ქვეყნების მახასიათებლები ფართობისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (ცხრ. 1).

**ცხრილი 1. საქართველოსა და ბენჩმარკ ქვეყნების ფართობი და მოსახლეობის რაოდენობა, 2021 წელი**

ქვეყანა	მოსახლეობის რიცხოვნობა (მლნ კაცი)	ფართობი (კმ2)
საქართველო	3.73	69 700
ირლანდია	5.04	70 273
ლატვია	1.89	64 559
ლიეტუვა	2.80	65 300

წყარო: [www.imf.org](http://www.imf.org), [www.worldometers.info](http://www.worldometers.info)

საქართველოსა და შერჩეული ქვეყნებისთვის ეკონომიკურ ზრდასა და ადამიანისეულ კაპიტალს შორის კავშირის ანალიზისთვის გამოყენებულია შემდეგი მონაცემები: ეკონომიკურ ზრდისთვის განხილული მონაცემები მოიცავს მთლიანი სამამულო პროდუქტის („მთლიანი სამამულო პროდუქტი“ როგორც GDP-ის ქართულენოვანი თარგმანის შესახებ, იხილეთ: პაპავა, სილაგაძე, 2019) შესახებ ინფორმაციას, სადაც ეს უკანასკნელი წარმოდგენილია როგორც წლიური პროცენტული ზრდით, ასევე - მისი მოცულობით მოსახლეობის ერთ სულზე, მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით. ასევე აღებულია სახელმწიფო ხარჯების შესახებ ინფორმაცია. ადამიანისეულ კაპიტალზე სახელმწიფო ხარჯების დასახასიათებლად შერჩეულია გაწეული ხარჯები განათლებაზე, ჯანდაცვასა და გარემოს დაცვაზე. განათლებისთვის აღებულია სკოლაში გატარებული წლების რაოდენობა, როგორც პირველადი და მეორადი განათლების (primary და secondary) ჯამი. ამასთან ერთად გათვალისწინებულია ადამიანისეული განვითარების ინდექსი. ჯანდაცვის კუთხით ასევე აღებულია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა თითოეულ ქვეყანაში, ხოლო გარემოს დაცვის ნაწილში ასევე აღებულია CO<sub>2</sub>-ის გამოფქვევის მოცულობა თითოეულ ქვეყანაში. ანალიზისთვის გამოყენებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ხელმისაწვდომი მონაცემები 2000 წლიდან 2021 წლამდე, ხოლო ადამიანისეული განვითარების ინდექსისთვის გამოყენებულია გაეროს განვითარების პროგრამის მონაცემები. გათვალისწინებულია მსოფლიო ბანკის ადამიანისეული კაპიტალის პროექტის ფარგ-

ლებში შემუშავებული ადამიანისეული კაპიტალის ინდექსი, რომელის ბოლო მომზადებული დოკუმენტი მოიცავს 2020 წლის მონაცემებს [World Bank, 2020].

გამოვიკვლიეთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი განათლებაზე, ჯანდაცვაზე და გარემოს დაცვაზე გაწეულ ხარჯებსა (%GDP) და ეკონომიკურ ზრდას შორის.

ცვლადებს შორის კავშირის დასადგენად თავდაპირველად განსაზღვრულია სტაციონალურობა ინტეგრაციის ხარისხის დასადგენად, რისთვისაც ერთეულოვანი ფესვის (unit root) შემოწმება ხდება სხვადასხვა ტესტების მეშვეობით, შემდეგ კი კონტეგრაცია განსაზღვრება, რაც ამოწმებს დროით მწკრივებს შორის არსებულ კორელაციას. კონტეგრაციის ხარისხის განსაზღვრის შემდეგ ხდება მიზეზ-შედეგობრიობის განსაზღვრა შესაბამისი ტესტის მიხედვით, რაც გვამღევეს შესაძლებლობას, შევამოწმოთ იწვევს თუ არა რომელიმე შერჩეული სახელმწიფო ხარჯი ეკონომიკურ ზრდას მოცემული ქვეყნებისთვის.

განათლების, ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის ხარჯები აღებულია %-ულად მთლიან სამამულო პროდუქტთან (%GDP). გამომდინარე იქიდან, რომ მონაცემები არასტაციონალურია, მოხდა მათი გასტაციონალურება პირველი რიგის სხვაობაზე. აღნიშნული გარდაქმნა მწკრივებზე კონტეგრაციის შემოწმების საშუალებას იძლევა დადგინდეს ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. ზოგიერთ შემთხვევაში არ დადასტურდა ან ვერ მოხერხდა კონტეგრაციის ვექტორის შემოწმება. მაგალითად საქართველოსთვის ეკონომიკურ ზრდასა და განათლების ხარჯებს შორის იოჰანსენის (Johansen) კონტეგრაციის ტესტმა დაადასტურა ნულოვანი ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ მოდელში არ არის კონტეგრაცია.

**ცხრილი 2. Johansen-ის კონტეგრაციის ტესტი საქართველოსთვის, ეკონომიკურ ზრდასა და განათლებაზე გაწეულ ხარჯებს შორის**

Hypothesized No. of CE(s)	Eigenvalue	Trace Statistic	0.05 Critical Value	Prob.**
None	0.334673	6.828845	15.49471	0.5976
At most 1	0.046656	0.716698	3.841465	0.3972
Trace test indicates no cointegration at the 0.05 level				
* denotes rejection of the hypothesis at the 0.05 level				
**MacKinnon-Haug-Michelis (1999) p-values				
Unrestricted Cointegration Rank Test (Maximum Eigenvalue)				
Hypothesized No. of CE(s)	Eigenvalue	Max-Eigen Statistic	0.05 Critical Value	Prob.**
None	0.334673	6.112148	14.26460	0.5989
At most 1	0.046656	0.716698	3.841465	0.3972
Max-eigenvalue test indicates no cointegration at the 0.05 level				
* denotes rejection of the hypothesis at the 0.05 level				
**MacKinnon-Haug-Michelis (1999) p-values				

ანალოგიური შედეგია საქართველოსთვის ეკონომიკურ ზრდასა და ჯანდაცვაზე გაწეულ ხარჯებს შორის კონტეგრაციის ტესტით. რაც შეეხება გარემოზე გაწეულ ხარჯებს, ტრეის სტატისტიკით (Trace Statistic) ტესტმა კონტეგრაციის 2

ვექტორის არსებობა აჩვენა, მაქსიმალური ეიგენის სტატისტიკის (Maximum Eigenvalue) მიხედვით, კოინტეგრაციის ვექტორი არ არსებობს აღნიშნულ ცვლადებს შორის.

**ცხრილი 3. იოჰანსენის (Johansen) კოინტეგრაციის ტესტი საქართველოსთვის, ეკონომიკურ ზრდასა და გარემოზე გაწეულ ხარჯებს შორის**

Unrestricted Cointegration Rank Test (Trace)				
Hypothesized No. of CE(s)	Eigenvalue	Trace Statistic	0.05 Critical Value	Prob.**
None *	0.679546	19.00906	15.49471	0.0141
At most 1 *	0.622469	8.766923	3.841465	0.0031

Trace test indicates 2 cointegrating eqn(s) at the 0.05 level  
 \* denotes rejection of the hypothesis at the 0.05 level  
 \*\*MacKinnon-Haug-Michelis (1999) p-values

Unrestricted Cointegration Rank Test (Maximum Eigenvalue)				
Hypothesized No. of CE(s)	Eigenvalue	Max-Eigen Statistic	0.05 Critical Value	Prob.**
None	0.679546	10.24214	14.26460	0.1965
At most 1 *	0.622469	8.766923	3.841465	0.0031

Max-eigenvalue test indicates no cointegration at the 0.05 level  
 \* denotes rejection of the hypothesis at the 0.05 level  
 \*\*MacKinnon-Haug-Michelis (1999) p-values

ვინაიდან ერთ-ერთმა ტესტმა კავშირის არსებობა აჩვენა, მიზეზ-შედეგობრივობის შესამოწმებლად უნდა გამოვიყენოთ მიზეზ-შედეგობრივობის (Granger Causality) ტესტი. შერჩეული ცვლადები არასტაციონალურია და პირველი რიგის სხვაობაზე I(1) სტაციონალურდება, გამოვიყენებთ ვექტორული ცდომილების კორექტირების (Vector Error Correction-VECM) მეთოდს და შევამოწმებთ მიზეზ-შედეგობრივობის ტესტზე. შედეგები გვიჩვენებს, არც-ერთი ცვლადი არ იწვევს მეორეს.

**ცხრილი 4. მიზეზ-შედეგობრივობის (Granger Causality) ტესტი**

Null Hypothesis:	Obs	F-Statistic	Prob.
GEORGIA_EXPENDITURE_ON_ENVIRONMENT_PROTECTION does not Granger Cause GEORGIA_ECONOMIC_GROWTH	9	0.73649	0.5342
GEORGIA_ECONOMIC_GROWTH does not Granger Cause GEORGIA_EXPENDITURE_ON_ENVIRONMENT_PROTECTION		2.71177	0.1802

თუ ეკონომიკური ზრდის ნაცვლად ავიღებთ მთლიანი სამამულო პროდუქტის მონაცემებს მოსახლეობის ერთ სულზე, შედეგებმა გვიჩვენა რომ კვლავ არ არის კავშირი განათლებისა და ჯანდაცვის ხარჯების შემთხვევაში, თუმცა გარემოზე გაწეულ ხარჯებზე ორივე ტესტმა (Trace Statistic და Maximum Eigenvalue) კოინტეგრაციის 1 ვექტორის არსებობა დაადასტურა.

**ცხრილი 5. იოჰანსენის (Johansen) კონტეგრაციის ტესტი საქართველოსთვის, მოსახლეობის ერთ სულზე GDP-სა და გარემოზე გაწეულ ხარჯებს შორის**

Unrestricted Cointegration Rank Test (Trace)				
Hypothesized No. of CE(s)	Eigenvalue	Trace Statistic	0.05 Critical Value	Prob.**
None *	0.753213	20.73164	15.49471	0.0074
At most 1	0.078362	1.142443	3.841465	0.2851
Trace test indicates 1 cointegrating eqn(s) at the 0.05 level				
* denotes rejection of the hypothesis at the 0.05 level				
**MacKinnon-Haug-Michelis (1999) p-values				
Unrestricted Cointegration Rank Test (Maximum Eigenvalue)				
Hypothesized No. of CE(s)	Eigenvalue	Max-Eigen Statistic	0.05 Critical Value	Prob.**
None *	0.753213	19.58919	14.26460	0.0065
At most 1	0.078362	1.142443	3.841465	0.2851
Max-eigenvalue test indicates 1 cointegrating eqn(s) at the 0.05 level				
* denotes rejection of the hypothesis at the 0.05 level				
**MacKinnon-Haug-Michelis (1999) p-values				

უმუალოდ მიზეზ-შედეგობრიობის შემოწმებისას კი მივიღეთ, რომ მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტი იწვევს გარემოზე გაწეული ხარჯების ცვლილებას.

**ცხრილი 6. მიზეზ-შედეგობრიობის (Granger Causality) ტესტი**

Null Hypothesis:	Obs	F-Statistic	Prob.
GEORGIA_EXPENDITURE_ON_ENVIRONMENT_PROTECTION does not Granger Cause GEORGIA_GDP_PER_CAPITA	14	0.28353	0.7596
GEORGIA_GDP_PER_CAPITA does not Granger Cause GEORGIA_EXPENDITURE_ON_ENVIRONMENT_PROTECTION		4.94484	0.0356

ირლანდიისთვის იოჰანსენის ტესტმა კონტეგრაციის 1 ვექტორი აჩვენა როგორც ეკონომიკურ ზრდასა და განათლების ხარჯებს შორის, ასევე - ეკონომიკურ ზრდასა და გარემოზე გაწეულ ხარჯებს შორის, ხოლო 2 ვექტორი - ეკონომიკურ ზრდასა და ჯანდაცვის ხარჯებს შორის. თუმცა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ანალიზისას მივიღეთ, რომ არც-ერთი ცვლადი არ იწვევს მეორეს.


ოგივე მაჩვენებლების მოსახლეობის ერთ სულზე GDP-სთან ანალიზისა და მიზეზ-შედეგობრიობის ტესტის მიხედვით, გარემოზე გაწეული ხარჯები იწვევს მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ცვლილებას. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დადასტურდა ლატვიის შემთხვევაშიც, სადაც მოსახლეობის ერთ სულზე GDP იწვევს გარემოზე გაწეული ხარჯების ცვლილებას. იოჰანსენის ტესტის მიხედვით, ლატვიას 1 კონტეგრაციის ვექტორი აქვს განათლებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის, რაც დასტურდება როგორც Trace Statistic-ის მიხედვით, ასევე - Max-Eigen Statistic-ის მიხედვითაც. ლიეტუვასთვის არ დადასტურდა ზემოაღნიშნული ქვეყნების მსგავსი რაიმე ტიპის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ანალიზის შედეგად საქართველოსთვის ადამიანისეულ კაპიტალზე გაწეული ხარჯები არ იწვევს ეკონომიკურ ზრდას, რაც


შესაძლოა სხვადასხვა მიზეზით იყოს ახსნილი. ანალიზისთვის ხელმისაწვდომი და არსებული პერიოდი არ არის საკმარისად დიდი ისეთი დროითი მწკრივის ანალიზისთვის, როდესაც სტრუქტურული ცვლადების ანალიზი ხდება და მათზე გაწეული ხარჯების ეკონომიკაზე ასახვას წლები სჭირდება. შესაბამისად, დროითი ლაგის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია. ასევე, საქართველო განვითარების ისეთ ეტაპზეა, როდესაც ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებაა საჭირო, რაც მიმდინარე ხარჯებთან შედარებით კაპიტალურ ხარჯებზე აქცენტირებას გულისხმობს. ჩვენ მიერ განხილული ხარჯები კი მიმდინარე ხარჯების ნაწილია, რასაც მეტი ყურადღება ეთმობა განვითარების გარკვეული ეტაპის მიღწევის შემდეგ. აღნიშნული ასევე დასტურდება სხვა ქვეყნების მაგალითზეც, რომლებიც გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ აკეთებენ აქცენტს განათლებასა და გარემოს დაცვაზე.

გასათვალისწინებელია, რომ რადგან მიზეზ-შედეგობრივი ანალიზისას საქართველოსა და ლატვიისთვის მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტი იწვევს გარემოზე გაწეული ხარჯების ცვლილებას, ხოლო ირლანდიის შემთხვევაში - გარემოზე გაწეული ხარჯებია ამხსნელი ცვლადი, შესაძლოა ადამიანისეულ კაპიტალთან დაკავშირებული სხვა ცვლადებიც იყოს მნიშვნელოვანი, რაც ანალიზში ჩართული არ არის (განსახილველი ქვეყნების ჭრილში ადამიანისეულ კაპიტალთან დაკავშირებული ცვლადების ურთიერთმიმართება გრაფიკულად ასახულია ნახატებზე 2-7).


ნახატი 2. ირლანდია




ნახატი 3. ლატვია



ნახატი 4. ლიეტუვა




ნახატი 5. საქართველო






ნახატი 6. ადამიანისეული განვითარების ინდექსი



ნახატი 7. CO2 ემისია (კილოტონა)



წყარო: ნახ.2-7 აგებულია ავტორების მიერ IMF, WB და UN მონაცემების გამოყენებით.

**შემოსავლების ფაქტორი და ადამიანისეული კაპიტალი: მოდელირება ხელოვნური ინტელექტის (მანქანური დასწავლის) საფუძველზე**

ადამიანისეული კაპიტალის განხილვისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წამოადგენს შემოსავლები. ამდენად, მნიშვნელოვანია გაირკვეს ის ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ შემოსავლებზე. აღსანიშნავია, რომ მსგავსი კვლევები არსებობს სხვა ქვეყნებისთვისაც (მაგალითად, Chakrabarty, Biswas, 2018).

ჩვენი ქვეყნისთვის ასეთი ტიპის სამუშაოები ჯერ არ ჩატარებულა. გათვლებში გამოვიყენეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული სამუშაო ძალის უდავოდ საინტერესო გამოკვლევა (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/130/samushao-dzalis-gamokvlevis-monatsemta-bazebi>). აღებული გვაქვს 2019 წლის მონაცემები (2020, 2021 და 2022 წლები კვლევის ამ ეტაპზე გამოვრიცხეთ, როგორც არაორდინალური გარე ფაქტორების მოქმედების პერიოდი - COVID-19-ის პანდემია და რუსეთის ომი უკრაინაში).

შემოსავალი (B17–B18–Net–earnings), რომელიც მოცემულ ბაზაში იყო აღნიშნული, მოიცავდა კლასებს, აქედან ავიღეთ ჩვენთვის საინტერესო მონაცემები და ზოგიერთი კლასი გავაერთიანეთ ერთ კლასად, შესაბამისად მივიღეთ ახალი კლასები შემდეგნაირად: '100 ლარი ან ნაკლები':1, '101-200 ლარი':1, '201-400 ლარი':1, '401-600 ლარი':1, '601-800 ლარი':2, '801-1000 ლარი':2, '1001-1500 ლარი':3, '1501-2000 ლარი':3, '2000 ლარზე მეტი':4.

შემდეგ კოდირებით ავტომატურად გადავაქციეთ ეს კლასები 0-დან 3-ის ჩათვლით კლასებად, სადაც 0 აღნიშვავდა 1-ს, 1 2-ს, 2 3-ს და 3 4-ს. შემოსავალი ჩვენ შემთხვევაში დამოკიდებული ცვლადია, საჭიროა დამოუკიდებელი ცვლადების არჩევა მონაცემებიდან. ეკონომიკური შინაარსიდან გამომდინარე ავარჩიეთ შემდეგ ცვლადები: ასაკი (Age); სქესი (Sex); მეორე სამსახური (D1–Second\_job); განათლების მიღწეული დონე (I1–Education); დასაქმების სტატუსი ISCE-93-ის მიხედვით (B7–Status); დაკავებული თანამდებობა/პოზიცია ძირითადი ჯგუფების მიხედვით (ISCO-88); დაკავებული თანამდებობა/პოზიცია 2 ციფრზე ISCO-88 კლასიფიკა-

ტორის მიხედვით, რომელიც მივიღეთ ბაზაში არსებული 4 ციფრა B5\_Occupation-ის 2 ციფრზე დაყვანით; ეკონომიკური საქმიანობის სახე ჯგუფის დონეზე NACE Rev.2 კლასიფიკატორის მიხედვით, რომელიც მივიღეთ ბაზაში არსებული B4\_NACE\_2-დან; ატიპიური სამუშაო (A\_typical\_work); კვირაში ნამუშევარი საათების ფაქტიური ხანგრძლივობა (C4\_M\_Actually\_worked); სამუშაოს ტიპი (მუდმივი, დროებითი, სეზონური, ერთჯერადი/შემთხვევითი) (B8\_Permanency\_of\_the\_job); შემოსავლების წყაროები (H2\_1\_Income\_sources, H2\_2\_Income\_sources, H2\_3\_Income\_sources, H2\_4\_Income\_sources, H2\_5\_Income\_sources, H2\_6\_Income\_sources, H2\_7\_Income\_sources).

მოვხდინეთ კატეგორიული ცვლადების კოდირება, სადაც თუ იყო მხოლოდ ორი კატეგორია მივანიჭეთ 0 და 1, მაგალითად სქესში ქალს დაეწერა 0, ხოლო კაცს 1 და მეორე სამუშაოში არას დაეწერა 0, ხოლო დიასხს 1. დანარჩენი კატეგორიული ცვლადები შეიცვალა One-Hot Encoding მეთოდის შესაბამისად პირველი კატეგორიის მოხსნით მონაცემებიდან. წავშალეთ ისეთი სტრიქონები ცხრილში, სადაც ზემოთხსენებული მონაცემების შესახებ არ იძებნებოდა ინფორმაცია. საბოლოო ჯამში მივიღეთ 13 558 სტრიქონი და 275 სვეტი დამოუკიდებელ მონაცემებში.

კვლევისთვის გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა ზედამხედველობითი მანქანური დასწავლის შემთხვევითი ტყის ალგორითმი (Random Forest) კლასიფიცირებისთვის (Breiman, 2001). ეს ალგორითმი დაფუძნებულია გადაწყვეტილების ხეებზე. დაყვავით მონაცემები გასაწრთვინელად და შესამოწმებლად, ამისთვის გამოვიყენეთ sklearn-ის train\_test\_split მეთოდი, რომელიც ასევე ახდენს მონაცემთა არევისას (კვლევის რეპროდუცირებისთვის გამოვიყენეთ random\_state ცვლადი 365-ის მნიშვნელობით) და ავირჩიეთ ტესტის ზომად 0.1, შედეგად ალგორითმი გაიწვრთნება მონაცემთა 90%-ზე და შემდეგ შემოწმდება 10%-ზე, ამგვარად შევამოწმებთ, თუ რამდენად კარგად ახდენს გენერალიზებას უკვე გაწვრთნილი მოდელი. რადგან დამოკიდებულ ცვლადში არსებული კლასები იყო არაბალანსირებული, ზემოთხსენებულ მეთოდით ასევე გამოვიყენეთ სტრატეგიული დასრულებული ცვლადის მიხედვით.

შემთხვევითი ტყის ალგორითმში კლასებს შორის დაუბალანსებლობის გამო ავირჩიეთ ბალანსირებული ქვეშერჩევა, რომელიც არაბალანსირებული მონაცემებისთვის გამოიყენება (კვლევის რეპროდუცირებისთვის ავირჩიეთ ცვლადი random\_state 365). შემთხვევითი ტყის მოდელის ჰიპერპარამეტრების შერჩევისთვის გამოვიყენეთ შემთხვევითი ძებნის ჯვარედინი ვალიდაცია. სადაც შესარჩევი ჰიპერპარამეტრები მოიცავს შემდეგნაირად:

- n\_estimators: 30, 82, 134, 186, 238, 291, 343, 395, 447, 500
- max\_features: 'auto', 'sqrt'
- max\_depth: 10, 14, 18, 22, 26, 30, 34, 38, 42, 46, 50, None
- min\_samples\_split: [2, 5, 10]
- min\_samples\_leaf: [1, 2, 3, 4, 5, 6, 7]
- bootstrap: [True, False]

რაც შეეხება შემთხვევითი ძებნის ჯვარედინი ვალიდაციისთვის შევარჩიეთ პარამეტრად იტერაციათა რაოდენობად 50, ხოლო cv პარამეტრად 10. რეპროდუცირებისთვის ავიღეთ რიცხვი 42, შემთხვევითი ტყე აქაც იყენებდა ბალანსირებულ ქვეშერჩევას.

500 მორგების შემდეგ მივიღეთ შემდეგი ჰიპერპარამეტრები:

```
{'n_estimators': 238,  
'min_samples_split': 2,  
'min_samples_leaf': 1,  
'max_features': 'sqrt',  
'max_depth': 34,  
'bootstrap': True}
```

ხოლო მოდელის საუკეთესო ქულა იყო: 0.7596289657765068.

ამ ჰიპერპარამეტრებით და ასევე ბალანსირებული ქვეშერჩევით ავაგეთ და გავწვრთენით მოდელი (რეპროდუცირებისთვის `random_state=365`), რომელიც შემდეგ შევამოწმეთ `sklearn` პროგრამულ ბიბლიოთეკაში არსებული F1 ქულით (შეწონილი) და ჯაკარდის ქულით (მიკრო), მივიღეთ შესაბამისად ასეთი ქულები: F1: 0.772, Jaccard: 0.638.

მსგავსი მოდელების ახსნა შედარებით რთულია სხვა ბევრი მოდელისგან განსხვავებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსგავსი მოდელებისას ახსნისას შესაძლებელია გავლენა იქონიოს კლასთა შორის დისბალანსმა, ასევე მულტიკოლინიარობამ ახსნაში, თუმცა რადგან გამოყენებულია ბალანსირებული ქვეშერჩევა, არაბალანსირებული კლასების მიერ გამოწვეული ეფექტები რომლებიც ამცირებს ინტერპრეტირების ეფექტიანობას შემცირებულია. რაც შეეხება მულტიკოლინიარობას, შესაძლებელია გავლენა იქონიოს მოდელის ინტერპრეტაციაზე ზოგიერთ ცვლადზე. მოდელის ასახნელად გამოვიყენეთ თამაშთა თეორიაში არსებული შაპლის მნიშვნელობებით (Shapley, 1951) მოდელების ახსნა Python-ის SHAP პროგრამული ბიბლიოთეკით (Lundberg, Lee, 2017), რომელსაც ასევე შეუძლია შედეგების ვიზუალიზაცია. ჩვენ შემთხვევაში გამოყენებულია TreeExplainer ალგორითმი (Lundberg et al., 2020) სატესტო მონაცემებზე, ეს ალგორითმი ასევე გარკვეულწილად ამცირებს მულტიკოლინიარობის ეფექტებს ახსნაში. ალგორითმა მოგვცა შედეგები თუ როგორ გავლენას ახდენს პარამეტრები თითოეულ კლასზე, ანუ ძირითადად რომელ პარამეტრებს ანიჭებს მოდელი მნიშვნელობას, როდესაც ერთ კონკრეტულ კლასში ათავსებს დაკვირვებას.

დიაგრამა 1(I) ასახავს, თუ ძირითადად რა ფაქტორების გამო აკლასიფიცირებს მოდელი კონკრეტულ დაკვირვებას 600 ლარზე და ნაკლებ წმინდა შემოსავლის მქონედ. აქ მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სქესი. ჩვენ გვაქვს აღნიშნული მამრობითი სქესი ერთიანით, ხოლო მდედრობითი სქესი ნულიანით. როგორც გრაფიკზე ჩანს, თუ მამრობითი სქესის მქონეა პირი, მაშინ ალბათობა იმისა, რომ მოდელი ამ კლასში მოათავსებს პირს მცირდება, ხოლო თუ პიროვნება ქალია, მაშინ ალბათობა იმისა, რომ მოდელი ამ პიროვნებას მოათავსებს ამ კლასში იზრდება. თუ იმატებს კვირაში ნამუშევარი ფაქტორივი საათების ხანგრძლივობა, მაშინ მოდელი უფრო ნაკლებად მოათავსებს პიროვნებას ამ კლასში, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მოდელი უფრო მეტად ჩართავს ამ კლასში პიროვნებას. ასაკის ზრდა ზრდის გარკვეულწილად იმის ალბათობას, რომ მეტად მოათავსდეს პიროვნებას ამ კლასში. ჩვენი კვლევის ფარგლებში საინტერესოა განათლებას მიღწეული დონის გავლენა. როგორც აღმოჩნდა თუ პირი არის მაგისტრატურის/რეზიდენტურის კურსდამთავრებული, მაშინ მოდელი უფრო ნაკლებად მოათავსებს ამ კლასში პიროვნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოდელმა შესაძლებელია უფრო მეტად მოათავსოს მოცემულ კლასში. მხოლოდ სრული ზოგადი განათლება და პრო-


ფესიული განათლება სრული ზოგადი განათლების ბაზაზე უფრო მეტად ზრდის იმის ალბათობას, რომ მოდელმა პიროვნება მოათავსოს ამ კლასში.


დიაგრამა 1(II)-ზე გამოსახულია, თუ ძირითადად რა ფაქტორების გამო აკლასიფიცირებს მოდელი დაკვირვებას 601-დან 1000 ლარის ჩათვლით წმინდა შემოსავლის მქონედ. აქაც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სქესი, თუ მამაკაცია პიროვნება, მაშინ მოდელი უფრო მეტად ათავსებს ამ კლასში დაკვირვებას, ხოლო თუ ქალია პირიქით. კვირაში ფაქტობრივად ნამუშევარი საათების ხანგრძლივობა გარკვეულწილად ზრდის პიროვნების ამ კლასში მოხვედრის ალბათობას. არამკაფიო დამოკიდებულება შეინიშნება ასაკზე, სრულ ზოგად განათლებაზეც რაც საჭიროებს დამატებით გამოკვლევას.

დიაგრამა 1(III)-ზე გამოსახულია, თუ ძირითადად რა ფაქტორების გამო აკლასიფიცირებს მოდელი დაკვირვებას 1001-დან 2000 ლარის ჩათვლით წმინდა შემოსავლის მქონედ. აქ მნიშვნელოვანი ფაქტორია ფაქტობრივად ნამუშევარი საათების ხანგრძლივობა კვირაში, თუ პიროვნება უფრო მეტ საათს მუშაობს, იზრდება იმის ალბათობა, რომ მოდელი ამ კლასში მოათავსებს პიროვნებას. შემდეგი ფაქტორი არის სქესი, თუ პიროვნება კაცია, მაშინ იზრდება იმის ალბათობა, რომ მოდელი ამ კლასში მოათავსებს პიროვნებას, თუ ქალია პირიქით. აქაც ასაკზე გარკვეულწილად შეინიშნება არამკაფიო დამოკიდებულება, თუმცა ასაკის ზრდა ამცირებს ამ კლასში მოხვედრის ალბათობას. თუ პიროვნება არის მაგისტრის/რეზიდენტურის კურსდამთავრებული, მაშინ მოდელი უფრო მეტად მოათავსებს პიროვნებას ამ კლასში, წინააღმდეგ შემთხვევაში პირიქით. თუ პიროვნებას გააჩნია მხოლოდ პროფესიული განათლება სრული ზოგადი განათლების ბაზაზე და ასევე მხოლოდ სრული ზოგადი განათლება, მაშინ მოდელი ნაკლებად მოათავსებს ამ კლასში პიროვნებას.

დიაგრამა 1(IV)-ზე გამოსახულია, თუ ძირითადად რა ფაქტორების გამო აკლასიფიცირებს მოდელი დაკვირვებას 2000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონედ. აქ მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორცაა ასაკი, ფაქტობრივად ნამუშევარი საათების ხანგრძლივობა კვირაში. ISCO 1.0 კლასის მქონე დასაქმებულს და მაგისტრის/რეზიდენტურის კურსდამთავრებულს, ასევე მამრობითი სქესის მქონე პირს უფრო მეტად მოათავსებს ამ კლასში მოდელი.

**დიაგრამა 1. SHAP მნიშვნელობები პირველი (I), მეორე (II), მესამე (III) და მეოთხე (IV) კლასისთვის (გაგლენა მოდელის გამოსავალზე)**





**წყარო:** საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით აგებულია ავტორების მიერ.

ამრიგად, კვლევამ დაგვანახა, რომ შემოსავლებზე მოქმედ ფაქტორებს შორის ძირითადია: სქესი, კვირაში ფაქტობრივად ნამუშევარი საათების ხანგრძლივობა, ასაკი, განათლება (უპირატესედ მაგისტრატურა/რეზიდენტურის).

## დასკვნა

- გასული პერიოდის ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანამედროვე მსოფლიო, გლობალური და ეროვნული ეკონომიკები ხასიათდებიან პრინციპულად ახალი განსხვავებული კონფრონტაციული გლობალიზაციის თავისებურებებით.
- კონფრონტაციული გლობალიზაციის ეტაპზე მნიშვნელოვანი მაკროსისტემური გამოწვევაა განუზღვრელობის განსაკუთრებით მაღალი დონე და უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება ცალკეული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მდგრადობა.
- კონფრონტაციული გლობალიზაციის კონტექსტში ადამიანისეული კაპიტალის კონცეფცია კვლავ აქტუალური და დიდი მნიშვნელობისაა.
- წინასწარი ემპირიული ანალიზი ეკონომეტრიკული მოდელების საფუძველზე გვიჩვენებს, რომ ცალკეული მიმართულების დანახარჯები ადამიანისეული კაპიტალის განვითარებაზე ვერ ზემოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს როგორც დანახარჯების გრძელვადიანი ეფექტების ბუნებასთან, ისე ქვეყნის განვითარების მოცემულ ეტაპზე მათი სტრუქტურის თავისებურებასთან;
- მნიშვნელოვანია სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის ჯანდაცვის სისტემისა და სოციალური უზრუნველყოფის. ჯანმრთელ, განათლებულ და მოტივირებულ ადამიანებს შეუძლიათ უფრო ეფექტიანად იმუშაონ და მეტი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში;
- საქართველოში ადამიანისეული კაპიტალის განვითარება უნდა განხორციელდეს არა ცალკეული კონკრეტული ღონისძიებების გატარების, არამედ კომპლექსური მიდგომის საფუძველზე;
- წინასწარი ემპირიული ანალიზი მანქანური დასწავლის საფუძველზე მიგვანიშნებს მომუშავეთა შემოსავლებში პროფესიული და უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შედარებით სუსტ როლზე, რაც მიუთითებს შესაბამისი ინსტიტუტების თვისებრივი განვითარების აქტუალობაზე;
- აუცილებლად უნდა გაიზარდოს პროფესიული განათლების სისტემის სტატუსი და პრესტიჟი, რომელიც დღეს ზოგად და უმაღლეს განათლებასთან შედარებით ნაკლებად მიზზედველია ქვეყნის მოსახლეობისათვის.
- მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმა, მათ შორის პროფესიული განათლების სისტემის რადიკალური გარდაქმნა უნდა განხორციელდეს საშუალო, პროფესიული, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სისტემის ერთობლივად განვითარების კომპლექსში. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაოზე დაფუძნებული პროფესიული სწავლების მეთოდების შემდგომ განვითარებას;
- სოციალური სამართლიანობის პრინციპის საყოველთაოდ დამკვიდრება, სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის ქმედითი მექანიზმის ფორმირება უნდა გახდეს საფუძველი თითოეული პიროვნებისათვის ხარისხიანი განათლების მიღებისა და ჯანდაცვის სფეროში საჭირო მომსახურების მისაღებად. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს მათი შრომითი პოტენციალის განვითარებასა და ეფექტიან გამოყენებას;
- ეკონომიკურ ზრდაზე ადამიანისეული კაპიტალის ზეგავლენის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს შრომის ბაზრის, მისი ინფრასტრუქტურისა და ერთიანი საინფორმაციო სისტემის განვითარება. საჭიროა ასევე შრომის

ბაზრის კვლევის, ანალიზისა და პროგნოზირების მექანიზმის შემუშავება, მისი მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული კადრების მომზადების მიზნით პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემის სწორი ორიენტირებისათვის;

- კონფრონტაციული გლობალიზაციის ეტაპზე განუზღვრელობის მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში ადამიანისეული კაპიტალის თვისებრივი განვითარების კონტექსტით ფრიად აქტუალურია მეწარმეთა და სპეციალისტთა მომზადებისას მომავლის უნარ-ჩვევებზე, ასევე მათი ადაპტაციის უნარების განვითარებაზე ორიენტირება, რა თქმა უნდა, მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ბედიანაშვილი გ., ბიჭია ქ., ნაცვლიშვილი ე., 2021. სამეწარმეო აქტიურობის განვითარება, შრომის ბაზარი და უმაღლესი განათლების თანამედროვე გამოწვევები. *გლობალიზაცია და ბიზნესი*. 12, გვ. 21-31.
- გიორხელიძე დ. 2018. ადამიანური კაპიტალის მდგომარეობა და ეკონომიკური ზრდის პრობლემები საქართველოში. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი: *აკადემიური მაცნე*. გვ. 220-226.
- ვერულავა თ., 2019. *ჯანმრთელობის კაპიტალი - წარმოების მდგრადი განვითარების ფაქტორი. ეკონომიკა და ბიზნესი*. 1, გვ. 45-59.
- თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ., 2019. ადამიანისეული კაპიტალის როლი ინკლუზიური მწვანე ზრდის უზრუნველყოფაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული: „*მწვანე ეკონომიკის ფორმირების აქტუალური პრობლემები*“. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, გვ. 263-266.
- თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ. 2022. ადამიანისეული კაპიტალის როლი ინოვაციური აქტივობის დეტერმინანტების ფორმირებაში. *ეკონომიკა, ბიზნესი და ადმინისტრირება*. II, 71-80.
- ილია II., 5 ნომბერი, 2014. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, საკვირაო ქადაგება. ჟურნალი „*საკატრიარქოს უწყებანი*“, 37 (737), 3.
- პაიჭაძე ნ., 2019. ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა და ორგანიზაციული სწავლება. *ეკონომისტი*, 2, 53. <http://ekonomisti.tsu.ge/doc/2-2019.pdf>
- პაპავა ვ., 2019. ინოვაციურ საქმიანობაში ადამიანისეული ფაქტორის გააქტიურების ძირითადი მიმართულებები ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. *თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული XII*. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი. გვ. 38-60.
- პაპავა ვ., სილაგაძე ა., 2019. ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის – “Gross Domestic Product”-ის ქართული სახელწოდების შესახებ. *ეკონომიკა და ბიზნესი*. №1, გვ. 180-182.
- სანაძე გ., 2020. „მაღალტექნოლოგიური ადამიანი“, როგორც ინოვაციური ეკონომიკის უნივერსალური ადამიანისეული ფაქტორი. *ეკონომისტი*. 4, გვ. 109-117.
- სმითი ა., 2007. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
- ტუხაშვილი მ., 1998ა. *საქართველოს შრომითი პოტენციალი*. თბილისის უნივერ-

- სიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
- ტუხაშვილი მ., 1998. *საქართველოს მოსახლეობის განათლების პოტენციალი*. „ლამპარი“. თბილისი.
- ტყემალაძე ი., 2021. დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისის პირობებში საქართველოში. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, 12, გვ. 55-161. <https://doi.org/10.35945/gb.2021.12.021>
- ცარციძე მ., 1999. სამუშაო ძალის კვლავწარმოება და შრომის ანაზღაურება ეროვნული შრომის ბაზრის ფორმირების პროცესში. თსუ გამომცემლობა “ცოდნის წყარო”, თბილისი.
- ცარციძე მ., 2003ა. სამუშაო ძალის ღირებულების განსაზღვრის მეთოდოლოგია. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი III, საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში*, გამომცემლობა “მეცნიერება”, თბილისი. გვ. 290-303.
- ცარციძე მ., 2003ბ. სამუშაო ძალის ღირებულება და ფასი შრომის ბაზრის ელემენტების სისტემაში. *ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა” იანვარ-თებერვალი*, 1, 42-51.
- ცარციძე მ., 2022. პროფესიული განათლება და ადამიანისეული კაპიტალის განვითარების სირთულეები საქართველოში თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, 6, გვ. 211-217.
- ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ., 2021. შრომის ბაზარი და არაფორმალური დასაქმების თავისებურებები გლობალური პანდემიის პირობებში. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, 12, 123-132. <https://doi.org/10.35945/gb.2021.12.017>
- ჭავჭავაძე ი., 2012. ჩვენი ხალხი და განათლება. *ტომი-4, პუბლიცისტური წერილები*, თბილისი. გვ. 128.
- ხუსკივაძე მ., თოთლაძე ლ., 2022. ადამიანკაპიტალის გაზომვის კონცეპტუალური ასპექტები. *ეკონომიკა და ბიზნესი*, 3, გვ. 91-107.
- Acemoglu D., 2022. Confronting the challenges of the post-Covid world. Prospects of the Global Economy after Covid-19. Centre for Economic Policy Research, L., EC1V 0DX. pp. 7-38.
- Ahir H., Bloom N., & Furceri D, 2023. Global Economic Uncertainty Remains Elevated, Weighing on Growth. February 2, online at <https://www.imf.org/en/Blogs/Articles/2023/01/26/global-economic-uncertainty-remains-elevated-weighing-on-growth>.
- Altmann A., Tolo L., Sander O. & Lengauer T., 2010. Permutation importance: a corrected feature importance measure, *Bioinformatics*, 26(10), pp.1340–1347.
- Aspinall E., 2021. The Geopolitics of Climate Change Transition: Security Threats, Power Struggles and a Test for Multilateralism, *BFEG*.
- Baker S., R., Bloom N., Davis S. J., 2016. Measuring Economic Policy Uncertainty. *The Quarterly Journal of Economics*, 131(4), pp. 1593–1636. <https://doi.org/10.1093/qje/qjw024>
- Barak M., & Bedianashvili G., 2021. Systematic Inventive Thinking (SIT): A Method for Innovative Problem Solving and New Product Development. *Proceedings on Engineering Sciences*, .3(1), pp. 111–122.
- Barro R. J., 2001. Human capital and growth. *American Economic Review (Papers and Proceedings)*, 91(2), 12–17.
- Becker G.S., 1964. *Human Capital*. – Columbia University Press.



- Bedianashvili G., 2021. Macroeconomic and Cultural Determinants of the COVID-19 pandemic crisis. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*. 15(2), pp. 191-197.
- Bedianashvili G., 2023. Macrosystemic Challenges of Uncertainty under the Conditions of Confrontational Globalization. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*. 17(2), pp. 174-179.
- Bedianashvili G., 2022a. Determinants of Economic Growth and Development in Conditions of the Modern Challenges of Globalization. *Economics, Business, and Administration*. II: 42-52 (In Georgian).
- Bedianashvili G., 2022b. The COVID-19 Pandemic, Globalization, and the Socio-Economic System of the Country (Macro Aspect). Materials of International Scientific Conference: *Covid Pandemic and Economics*. Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business, pp. 38-42.
- Berestycki C., Carattini S., Dechezleprêtre A., & Kruse T., 2022. *Measuring and assessing the effects of climate policy uncertainty*. OECD.
- Blaug M., 1976. The Empirical Status of Human Capital Theory: A Slightly Jaundiced Survey. *Journal of Economic Literature*, 14(3), pp. 827–855.
- Breiman L. (2001). Random Forests. *Machine Learning*. 45, pp. 5–32.
- Bulina A., Mozgovaya K., & Pakhnin M., 2020. Human capital in economic growth theory: Classical models and new approaches. *St Petersburg University Journal of Economic Studies*, 36(2), pp. 163-188. <https://doi.org/10.21638/spbu05.2020.201>.
- Chakrabarty N. & Biswas S., 2018. A Statistical Approach to Adult Census Income Level Prediction. *International Conference on Advances in Computing, Communication Control and Networking (ICACCCN)*, Greater Noida, India, 207-212. <https://doi.org/10.1109/ICACCCN.2018.8748528>.
- Kharaishvili E., Chavleishvili M., Lobzhanidze M. (2018). The Socio-Economic Consequences of Educational Migration for Georgia. Conference proceedings: *20th International Conference on Economics, Business and marketing management*. Barcelona, Spain.
- Deming D. J., 2022. Four Facts about Human Capital. *Journal of Economic Perspectives*, 36(3), pp. 75-102.
- EaP 2022. *Developing Long-Term Climate Strategies in the EU Eastern Partnership countries*. UNDP. <https://dx.doi.org/10.1787/34483d83-en>
- Jones B.F., 2014. The Human Capital Stock: A Generalized Approach. *American Economic Review*, 104(11), pp. 3752–3777.
- Kuznets S., 1955. Economic Growth and Income Inequality. *American Economic Review*. 45(1), pp. 1-28.
- Lobzhanidze M. 2006. *Problems of Youth Employment and Directions of Regulation*. Universali, Tbilisi.
- Lucas R.E., 2015. Human Capital and Growth. *American Economic Review: Papers and Proceedings*, 105(5), pp. 85–88.
- Lundberg S. M., & Lee S.-I., 2017. A Unified Approach to Interpreting Model Predictions. In I. Guyon, U. V. Luxburg, S. Bengio, H. Wallach, R. Fergus, S. Vishwanathan, & R. Garnett (Eds.), *Advances in Neural Information Processing Systems 30* (pp.4765–4774). Curran Associates, Inc. <http://papers.nips.cc/paper/7062-a-unified-approach-to-interpreting-model-predictions.pdf>
- Lundberg S. M., Erion G., Chen H., DeGrave, A., Prutkin J. M., Nair B., Katz R., Himmelfarb J., Bansal N. & Lee S.I., 2020. From local explanations to global understanding with explainable AI for trees. *Nat Mach Intell*. №2, pp. 56–67. <https://doi.org/10.1038/s42256-019-0138-9>
- Mankiw N.G., Romer D., Weil D.N., 1992. A Contribution to the Empirics of Economic Growth. *Quarterly Journal of Economics*, 107(2), pp. 407–437.

- Manuelli R.E., Seshadri A., 2014. Human Capital and the Wealth of Nations. *American Economic Review*, 104(9), pp. 2736–2762.
- Matthew E. Kahn, Kamiar Mohaddes, Ryan N. C. Ng, M. Hashem Pesaran, Mehdi Raissi & Jui-Chung Yang, 2019. *Long-Term Macroeconomic Effects of Climate Change: A Cross-Country Analysis*. International Monetary Fund.
- Mikiashvili N. 2017. Human Resources of Low-Income Country and Migration Flows (Example Georgia). *Journal of International Economic Research JIER*, 3(1), pp. 53-60.
- Mincer J., 1958. Investment in Human Capital and Personal Income Distribution. *Journal of Political Economy*, 66(4), pp. 281–302.
- Papava V., 2022a. Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization. *Eurasia Review*, May 23. <https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/?fbclid=IwAR1zLFJs1kUFJWgp6qRXRWhLOy2OWnWjwIVUjMwjphnjqS00K0UQSi12Z4I>
- Papava V., 2022b. On Illegal Globalization, or Can Globalization Ever End? *Eurasia Review*, December 19. <https://www.eurasiareview.com/19122022-on-illegal-globalization-or-can-globalization-ever-end-oped/>
- Pedregosa F., Varoquaux, G., Gramfort A., Michel V., Thirion B., Grisel O., Blondel M., Prettenhofer P., Weiss R., Dubourg V., Vanderplas J., Passos A., Cournapeau D., Brucher M., Perrot M., & Duchesnay E., 2011. Scikit-learn: Machine Learning in Python. *Journal of Machine Learning Research*, 12, pp.2825–2830.
- Sachs J., Lafortune G., Kroll C., Fuller G., Woelm F., 2022. From Crisis to Sustainable Development: the SDGs as Roadmap to 2030 and Beyond. *Sustainable Development Report 2022*. Cambridge: Cambridge University Press.
- Schultz T.W., 1961. Investment in Human Capital. *American Economic Review*, 51(1), pp. 1–17.
- Shapley L., 1951. *Notes on the N-Person Game — II: The Value of an N-Person Game*. RAND Corporation.
- Shelia M., Tukhashvili M. (2023). Formation and Employment of the Retirement Age Workforce in Post-Soviet Georgia. In: Maximova, S.G. (eds) *Complex Social Systems in Dynamic Environments. Lecture Notes in Networks and Systems*, vol 365. Springer, Cham. [https://doi.org/10.1007/978-3-031-23856-7\\_31](https://doi.org/10.1007/978-3-031-23856-7_31)
- Sharma R., 2018. Health and economic growth: Evidence from dynamic panel data of 143 years. *PLoS ONE* 13(10), 1-20: e0204940. <https://doi.org/10.1371/journal.pone.0204940>
- Silagadze A., 2022. Contemporary Global Economic Trends: Transitional Economies during Covid-Depression. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 16(3), pp.130-135.
- Solow R.M., 1991. Growth Theory. In: *Companion to Contemporary Economic Thought*. M. Bleaney, D. Greenaway, I. Stewart (eds.). London, Routledge.
- Tahir M., Hayat A., Rashid K., Afridi M.A. and Tariq Y.B., 2020. Human capital and economic growth in OECD countries: some new insights, *Journal of Economic and Administrative Sciences*, 36(40), pp. 367-380. <https://doi.org/10.1108/JEAS-07-2019-0073>
- The World Bank Group, 2021. *Climate Risk Country Profile: Georgia*, February 7, at online. <https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/36382>
- The World Bank Group, 2022. *The Climate Change Action Plan 2021–2025: Supporting Green, Resilient, and Inclusive Development*. January 11, at online <https://reliefweb.int/report/world/world-bank-group-climate-change-action-plan-2021-2025-supporting-green-resilient-and?gclid=CjwKCAiAuaKfBhBtEiwAht6H7->

[hqp9BfcaxOMLEDDL74uQXAtAakZUxz1ENm0eKyaJAs-MsIKcRZXxoCqisQAvD\\_BwE](https://doi.org/10.56734/ijbms.v3n9a4)

- Totladze L., 2020. The Impact of Government Expenditure on Education and R&D as Factor of Homan Capital on Economic Growth. *Ekonomisti*. 2, pp. 79-86.
- Totladze L., Khuskivadze M., 2022. Impact of Human Capital and Innovation Determinants on Economic Growth: Evidence from Georgia. *International Journal of Business & Management Studies*. 3(09), 28-33. DOI: 10.56734/ijbms.v3n9a4.
- UNDP. February 19, 2015. What is Human Development? <https://hdr.undp.org/content/what-human-development>
- Uzawa H., 1965. Optimum Technical Change in an Aggregative Model of Economic Growth. *International Economic Review*, 6(1), pp.18–31.
- Veshapidze S., Otinashvili R., Gvarutsidze A., Abuselidze G., Zoidze G., 2022. Modern technologies to overcome the challenges of globalization. *Entrepreneurship*, 10(2), pp. 22-32. DOI: 10.37708/ep. so.v10i2.2
- Veshapidze S., & Karchava L., 2022. Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*. 16(4), pp. 152-157.
- Veshapidze S., Zubiashvili T., & Chiabrishvili K. 2021. Globalization and New Opportunities for Georgia. *Globalization and Business*. 12, pp. 32-36. <https://doi.org/10.35945/gb.2021.12.003>
- Weil D., (2007). Accounting for the effect of health on economic growth. *The Quarterly Journal of Economics*, 122(3), pp.1265–1306.
- World Bank., 2018. The Human Capital Project. © World Bank, Washington, DC. <http://hdl.handle.net/10986/30498>
- World Bank., 2020. The Human Capital Index 2020 Update: Human Capital in the Time of COVID-19. © World Bank, Washington, DC. <http://hdl.handle.net/10986/34432>
- Zhylinska O., Bazhenova O., Zatonatska T., Dluhopolskyi O., Bedianashvili G., & Chornodid I., 2020. Innovation processes and economic growth in the context of European integration. Scientific Papers of the University of Pardubice, Series D: Faculty of Economics and Administration. 28(3), 1209, pp. 1-12.
- Zubiashvili T., Veshapidze S. 2019. Labor Emigration and Employment in Georgia. *Humanities and Social Sciences Review*. 09(01), pp. 127-135.

**Givi Bedianashvili**

*Doctor of Economic Sciences, associate professor,  
Ivane Javakhishvili Tbilisi state university;*

**Murman Tsartsidze**

*Doctor of Economic Sciences, associate professor,  
Ivane Javakhishvili Tbilisi state university;*

**Nino Mikeladze**

*PhD student,  
Ivane Javakhishvili Tbilisi state university;*

**Zviad Gabroshvili**

*Graduate Student  
Ivane Javakhishvili Tbilisi state university*

## **MODERN GLOBALIZATION, HUMAN CAPITAL AND ECONOMIC GROWTH IN GEORGIA: MACRO ASPECT**

DOI:

[10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Givi.Bedianashvili/Murman.Tsartsidze/Nino.Mikeladze/Zviad.Gabroshvili](https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Givi.Bedianashvili/Murman.Tsartsidze/Nino.Mikeladze/Zviad.Gabroshvili)

### **Expanded Summary**

In the modern global environment, the problems related to human capital and economic growth are gaining special importance. First of all, it is necessary to reveal the specificity of the globalization process itself, which determines the features of the functioning and development of the socio-economic systems of the world and individual countries, new requirements and challenges for human capital in the context of economic growth. In addition to the already existing features of globalization, it is necessary to take into account the specifics of small countries. The research showed us that it is acceptable to take into account that small countries are distinguished by different mechanisms of functioning and the development of socio-economic systems. The purpose of this study is to systematically analyze the relationship between human capital and economic growth in small countries, and to develop separate recommendations for Georgia, taking into account health, education, and skills.

The methods of induction, deduction, qualitative, quantitative, comparison, statistical analysis, and benchmarking were used in the research process. The research itself included the processing of existing literature, the search for statistical data (including with the direct help of the National Statistical Service of Georgia), the sorting and quantitative analysis of the data found, as well as the consideration of expert opinions within the research. Source of statistical data: International Monetary Fund (IMF), World Bank (WB), and United Nations (UN), as well as materials of the National Statistical Service of Georgia. Econometric research methods and Artificial Intelligence (AI), in particular, Machine Learning (ML) models were used.

The modern world globalization process encourages humanity to reconsider the role and importance of the entire system of upbringing and education in the development of public potential and the formation of a progressive civilized public mentality corresponding to the 21st century.

In the context of modern confrontational globalization, the concept of human capital is still relevant and of great importance. Human capital refers to people's knowledge, skills, experience, education, and talents that can be used to create tangible and intangible value.

Confrontational globalization is characterized by tense relations between states, competition, and political and economic conflicts. In such a situation, it is important to develop and attract highly qualified human capital to ensure competitiveness and sustainability in the face of global competition.

Human capital becomes the main resource that determines the economic growth and development of the country in the period of confrontational globalization. It is important to invest in education, science, and innovation to develop citizens' skills and knowledge. This will help create a highly qualified workforce that can compete in the global labor market.

In the context of confrontational globalization, the concept of human capital is still relevant and of great importance.

A preliminary empirical analysis based on econometric models shows that individual expenditures on the development of human capital cannot affect economic growth, which may be due to the nature of the long-term effects of expenditures, as well as the inefficiency of their structure.

It should be noted that it is important to develop social infrastructure, including the health system and social security, to ensure human well-being and development in the country. Healthy, educated, and motivated people can work efficiently and contribute more to the economic growth of the country.

Preliminary empirical analysis based on machine learning indicates the relatively weak role of the first level of professional and higher education in the incomes of workers, which indicates the relevance of the qualitative development of the relevant institutions;

The status and prestige of the professional education system, which is considered secondary compared to general and higher education, must be increased. It is less relevant to the population of the country and is considered a separate part of a single education system.

The educational reform, including the radical transformation of the professional education system, should be implemented in the complex of joint development of the secondary, professional, higher education and scientific education system. Due attention should be paid to further development of work-based vocational training methods;

In order to strengthen the impact of human capital on economic growth, it is important to develop the Georgian labor market, its infrastructure, and a unified information system. It is also necessary to develop a mechanism for labor market research, analysis, and forecasting, which is necessary for training professional staff corresponding to its requirements for the correct orientation of the professional and higher education system.

At the stage of confrontational globalization In the context of the growth of uncertainty, in the context of the qualitative development of human capital, it is very relevant to focus on the skills of the future in the training of entrepreneurs and specialists, as well as the development of adaptation skills, taking into account the best practices in the world.

შოთა ვეშაპიძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საქართველოს საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის  
თანამედროვე პრიორიტეტები

DOI: [10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Shota.Veshapidze](https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Shota.Veshapidze)

**ანოტაცია.** საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოება არის ქვეყანაში ეკონომიკური პროცესების ისეთი განვითარების უზრუნველყოფა, რომელიც შექმნის აუცილებელ (მისაღებ) პირობებსა და რესურსებს ეკონომიკური სტაბილურობისა და საზოგადოების განვითარებისთვის. ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება, პირველ რიგში, ეკონომიკის მდგომარეობით და მსოფლიო ბაზრებზე მისი კონკურენტუნარიანობით ხასიათდება. რაც უფრო სტაბილური და კონკურენტუნარიანია ეკონომიკა, მით უფრო მაღალია მისი ეკონომიკური უსაფრთხოების დონე.

საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოება, მოიცავს მის უზრუნველყოფას საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითად ფორმებში, როგორცაა: შრომის საერთაშორისო დანაწილების ფარგლებში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები; გლობალურ ეკონომიკაში პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების შედეგების შეფასება ქვეყნის საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის; საერთაშორისო ვაჭრობის საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; თანამედროვე სავალუტო და საფინანსო სისტემა და საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოება.

საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების ეფექტური სისტემის ასაშენებლად აუცილებელია ყველაზე საშიში გარე საფრთხეების იდენტიფიცირება, მათი რანჟირება, რათა განისაზღვროს მიმართულებები, რომლებიც საჭიროებენ ოპერატიული რეგულირებას ან თანმიმდევრულ სტრატეგიულ ნეიტრალიზაციას. საფრთხეების შეფასებისას აუცილებელია გამოვიყენოთ როგორც ინდიკატორების მთლიანი რთული სისტემა, ასევე მათი ზღვრული მნიშვნელობები, რომლებიც ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების საზღვრებს ასახავს. ეს შესაძლებელს გახდის, გამოვლინდეს საქართველოს საგარეო ეკონომიკური საფრთხეები, გამოწვევები და რისკები, განისაზღვროს მისი გადაჭრის ინსტრუმენტები და რეკომენდაციები.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ჩამყალიბება შეიძლება 5 საფეხურიანი სისტემური სქემის მიხედვით განისაზღვროს, რომელიც მოიცავს: სტრატეგიის თეორიული კონცეფციების, მეთოდოლოგიური წყაროების და ძირითადი ცნებების განსაზღვრა; არსებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე დღევანდელ მსოფლიოში საქართველოს ჩართულობის შეფასება: ტენდენციები და შესაძლებლობები; საქართველოს ეროვნული ინტერესები და სტრატეგიული ეროვნული პრიორიტეტები; ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სტრატეგიის რეალიზაციის ორგანიზაცია და მექანიზმები.

**საკვანძო სიტყვები:** ეროვნული უსაფრთხოება; ეროვნული ინტერესები; საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოება; ეროვნული ინტერესები და სტრატეგიული ეროვნული პრიორიტეტები; ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა.

## შესავალი

ეკონომიკური უსაფრთხოება ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია, ხოლო ქვეყნის ეკონომიკის უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მისი კონკურენტული და მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობაა. ამიტომ, საქართველოს საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების გამოწვევების განზოგადება, გაანალიზება და გამოკვლევა აქტუალური საკითხია. ეს შეეხება საქართველოში გლობალური დინამიზმის პრობლემებს, ქვეყნის ეკონომიკის თავისუფალ განვითარებას, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, საგარეო ვალის, ტრანსნაციონალური კორპორაციების, ეკონომიკური სანქციების როლს და მნიშვნელობას თანამედროვე საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების, მსოფლიო და რეგიონულ პროექტებში მონაწილეობის საფრთხეებს და შესაძლებლობებს. მნიშვნელოვანია აღნიშნული ტენდენციების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება თანამედროვე ეტაპზე საქართველოს საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების ახალი გამოწვევების დამლევის და სრულყოფის მიმართულებით. [1–2, 7–8, 11, 13, 17–18].

წარმოდგენილი სტატიის ინტერესის სფეროს წარმოადგენს საქართველოს საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამედროვე გამოწვევების და პერსპექტივების გამოვლენა და განსაზღვრა. საკვლევი თემით დაინტერესება გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მსოფლიო ეკონომიკაში განვითარებულ მოვლენებზე, დანარჩენი ქვეყნების გეოსტრატეგიულ მიზნებზე და მათ გათვალისწინებაზე.

სტატიის ფარგლებში განხორციელებული კვლევის მიზანია საქართველოს საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თავისებურებების გამოკვლევა, ძირითადი საფრთხეებისა და გამოწვევების, მაჩვენებლების, ასევე ამ ტიპის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფის პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა, შემდეგი ძირითადი სფეროების მიხედვით: საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა; სახელმწიფოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია; საგარეო ვალის მდგომარეობა; საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების ზეგავლენა; გლობალური კრიზისების ზეგავლენა; წარმოების ფაქტორების ლეგალური და უკანონო დინამიკის ზრდა.

კვლევის საგანს წარმოადგენს, საქართველოს საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონცეპტუალური საფუძვლების ანალიზი, თანამედროვე გამოვლინებების შეფასება და სისტემატიზაცია. ანალიზი მოიცავს, რა შედეგები მოუტანა ქვეყანას საერთაშორისო თანამეგობრობასთან კავშირებმა და მსოფლიო ეკონომიკაში ჩართულობამ, ასევე რა საფრთხეები და შესაძლებლობები იკვეთება სამომავლოდ. კვლევის ობიექტია დღევანდელ ეტაპზე ჩამოყალიბებული საქართველოს საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მდგომარეობა, ქვეყნის სტაბილური გრძელვადიანი განვითარების ხელსაყრელი პირობების შექმნა, ქვეყნის ეკონომიკის თავისუფალ განვითარების უზრუნველყოფა, საჭირო საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, ჯანსაღი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გატარება და ა. შ.

გამოყენებული კვლევის ძირითადი მეთოდებიდან აღსანიშნავია ინდუქციისა და დედუქციის ზოგადი სამეცნიერო მეთოდები, თეორიული სისტემური ანა-



ლიზის მეთოდი და მონოგრაფიული (აღწერითი) მეთოდი. კერძოდ, საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისას, გამოიყენება რამდენიმე მეთოდი: – ზოგადი: საგარეო ეკონომიკურ სფეროში ეროვნული ინტერესების სისტემის ჩამოყალიბება, რისკებისა და საფრთხეების იდენტიფიცირება, საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასების სისტემის შემუშავება და ა.შ.; – სპეციალური: საინფორმაციო სისტემების შემუშავება საქონლისა და სერვისების ნაკადში ცვლილებებისა და კრიტიკული ცვლილებების თვალყურის დევნისა და პროგნოზირებისთვის, ფინანსური და არაფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეთა მხარდასაჭერად, ინსტრუმენტების ავტომატიზაცია საგარეო სავაჭრო პარტნიორების საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში კონტროლისთვის და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ დღევანდელ შეცვლილ პირობებში, კომპლექსურად გამოვიკვლიოთ საქართველოს საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების პრიორიტეტები.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს გლობალური ეკონომიკის ტენდენციებისა და რისკების მიმოხილვასა და ანალიზში, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის არსებული საფრთხეების იდენტიფიცირებაში, ასევე საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესების მიმართულელების შემუშავებაში.

კვლევის შედეგების მდგრადობა გამოიხატება შემდეგში. თანამედროვე გლობალური მსოფლიოს სწრაფი ცვლილებების პირობებში იზრდება საგარეო ეკონომიკური ასპექტების მნიშვნელობა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემისთვის. არ არის საკმარისი, როდესაც საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოება განიხილება ან საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ეროვნული პოტენციალის უზრუნველყოფის კონტექსტში, ან საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით. ამიტომ, წარმატებული ისეთი მიდგომა იქნება, როდესაც ქვეყნის საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრიორიტები მთლიანობაში, ანუ სისტემურად იქნება გააზრებული. სტატია წარმოაჩენს ჯერ კიდევ არსებულ პრობლემებს საქართველოს საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით და ამავდროულად, მათი გადაჭრისთვის საჭირო რეკომენდაციებს გვთავაზობს.

### **ძირითადი ნაწილი**

მატერიალური სამყაროს შესწავლის სისტემატური მიდგომა გულისხმობს, რომ უსაფრთხოების ნებისმიერი ობიექტი უნდა განიხილებოდეს, როგორც სისტემა, რომელსაც აქვს გარკვეული სტრუქტურა და შედგება ცალკეული ელემენტებისაგან, რომლებიც გარკვეულ კავშირში არიან და ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ. ამ მტკიცებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უსაფრთხოების ობიექტის ნებისმიერ დაცვაზე შიდა და გარე საფრთხისა და საფრთხეებისგან მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ობიექტს მთლიანობაში და მის თითოეულ ელემენტს ცალკე შეუძლია სტაბილურად შეასრულოს ყველა თავისი ფუნქცია. უსაფრთხოების ობიექტად უნდა განიხილებოდეს როგორც საზოგადოება მთლიანობაში, ისე მისი ცხოვრების ცალკეული, ინფორმაციული, სოციალური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, პოლიტიკური, სამხედრო სფეროები. ეკონომიკურ უსაფრთხოებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეროვნული უსაფრთხოების მთლიან სტრუქტურაში. ეს გამოწვეულია იმით, რომ ყველა სახის



ეროვნული უსაფრთხოება ამა თუ იმ ხარისხით არ რეალიზდება ეკონომიკური მხარდაჭერის გარეშე. [12, 29, 35, 38, 40–42, 46–47].

საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოება, მოიცავს მის უზრუნველყოფას საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითად ფორმებში, როგორცაა: შრომის საერთაშორისო დანაწილების ფარგლებში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები; გლობალურ ეკონომიკაში პირდაპირი და პორტფელის ინვესტიციების შედეგების შეფასება ქვეყნის საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის; საერთაშორისო ვაჭრობის საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; თანამედროვე სავალუტო და საფინანსო სისტემა და საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოება. [3–4. 10, 51–52].

საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების მეცნიერული მიდგომის საფუძვლები ჩამოყალიბებულია სხვადასხვა კონცეფციებში. მათგან აღსანიშნავია კამერალისტური, კეინზიანური და ადმინისტრაციული ბარიერებისგან დაცვის ინსტიტუციონალური კონცეფციები. საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის კამერალისტური კონცეფცია XIX საუკუნის შუა ხანებიდან იღებს სათავეს. მისი ფუძემდებელი არის მე-19 საუკუნის გერმანელი ეკონომისტი, პუბლიცისტი და პოლიტიკოსი. ფრიდრიხ ლისტი. ფ. მიერ შემუშავებული ეროვნული ეკონომიკური ინტერესებისა და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიას, რომელიც ფოკუსირებულია გლობალურ საფრთხეებზე, ეწოდა კამერალური კონცეფცია. ფ. ლისტის იდეებმა, შესამჩნევი გავლენა იქონია პერიფერიულ ქვეყნებზე. ამ ქვეყნებისთვის აქტუალური იყო პროტექციონიზმის პოლიტიკა, ვინაიდან ეროვნული ეკონომიკური ინტერესები დაცული იყო უცხოური ბიზნესისგან, ზოგიერთი პერიფერიული ქვეყანა გახდა ეკონომიკური ლიდერი. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების კამერალისტური თეორიის მიხედვით, მიჩნეულია, რომ სამთავრობო ორგანოების მთავარი საქმეა უსაფრთხოების უზრუნველყოფა. [51].

შიდა მაკროეკონომიკური საფრთხეებისგან დაცვის კეინზიანური კონცეფცია მე-20 საუკუნის მეორე მესამედიდან ჩამოყალიბდა. ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების კეინზიანურმა კონცეფციამ ჩაანაცვლა კამერალისტური კონცეფცია. ჯონ მეინარდ კეინზის კონცეფციის თანახმად, „ნაციონალური ეკონომიკის მთავარ საფრთხედ განიხილებოდა არა უცხოური საქონლის კონკურენცია, არამედ უმუშევრობა და ეკონომიკური დეპრესია.“ [10]. წარმომოხილ საფრთხეებთან გასამკლავებლად მთავრობას რეკომენდაცია მიეცა გაეტარებინა ეკონომიკის აქტიური რეგულირება კონკურენციის პირდაპირი ადმინისტრაციული კონტროლის გზით. ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ვერსიას, რომელიც ფოკუსირებულია ეროვნული ეკონომიკური ზრდის შიდა მაკროეკონომიკურ პირობებზე, უწოდებენ კეინზიანურ ვერსიას.

ადმინისტრაციული ბარიერებისგან დაცვის ინსტიტუციონალურმა კონცეფციამ, მე-20 საუკუნის ბოლოდან, 1980-იან წლებში დაიწყო პრიორიტეტული ეკონომიკური თეორიის როლის პრეტენზია. მისი ფუძემდებლის, ე. დე სოტოს მთავარი მეცნიერული აღმოჩენა არის ფუნდამენტურად ახალი მიდგომა ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდის მიზეზების ასახსნელად. მისი აზრით, „უზრუნველყოფილი არააფორმალური სექტორის ზრდის მთავარი მიზეზი არის არა ღარიბებისა და მიგრანტების ჩამორჩენილობა და კრიმინალურობა, რომლებიც თითქოსდა ვერ პოულობენ ადგილს ლეგალურ სექტორში, არამედ ბიუროკრატიული გადაჭარბებული ორგანი-

ზაცია, რომელიც აფერხებს კონკურენტული ურთიერთობების თავისუფალ განვითარებას.” [52].

აღნიშნული კონცეფციებიდან გამომდინარეობს, რომ საფრთხეებს თითოეული ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში შეიძლება ქმნიდნენ უცხოელი კონკურენტები (ფ.ლისტის მიხედვით), „ბაზრის წარუმატებლობა“ (ჯ.მ. კეინსის მიხედვით) და „სახელმწიფო წარუმატებლობა“ (ე. დე სოტოს მიხედვით).

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ჩამყალიბება შეიძლება 5 საფეხურიანი სისტემური სქემის მიხედვით განისაზღვროს, რომელიც მოიცავს: 1. სტრატეგიის თეორიული კონცეფციების, მეთოდოლოგიური წყაროების და ძირითადი ცნებების განსაზღვრა; 2. არსებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე დღევანდელ მსოფლიოში საქართველოს ჩართულობის შეფასება: ტენდენციები და შესაძლებლობები; 3. საქართველოს ეროვნული ინტერესები და სტრატეგიული მდგრადი განვითარების ეროვნული პრიორიტეტები; 4. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა; 5. სტრატეგიის რეალიზაციის ორგანიზაცია და მექანიზმები.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის დამუშავების მთავარი წყარო არის ქვეყნის კონსტიტუცია, რომელიც ამტკიცებს ფუნდამენტურ ღირებულებებსა და პრინციპებს. ისინი ქმნიან საქართველოს საზოგადოების, ქვეყნის უსაფრთხოების, საქართველოს სახელმწიფოს შემდგომი განვითარების საფუძვლებს, რომელშიც უზენაესი მნიშვნელობა აქვს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, საქართველოს მოქალაქეების ღირსების დაცვას. ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია (ან სტრატეგიები) სტრატეგიული დაგეგმვის საბაზო დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ეროვნულ ინტერესებსა და სტრატეგიულ ეროვნულ პრიორიტეტებს, სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებსა და ამოცანებს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაში. ასეთი სტრატეგია ეფუძნება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განუყოფელ ურთიერთკავშირს და ურთიერთდამოკიდებულებას. საქართველოს კონსტიტუციით, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის განმსაზღვრელი საბაზო დოკუმენტებით, ქვეყნის განვითარების სტრატეგიებით, კონცეფციებით, კანონებით, ხელისუფლების სხვადასხვა შტოების დადგენილებებით, განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ინტერესები და სტრატეგიულ ეროვნულ პრიორიტეტები, სახელმწიფო პოლიტიკის მიზნები და ამოცანები, ეროვნული უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაში.

ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიულ დოკუმენტებში, ობიექტურად აღნიშნულია, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, განუყოფელ ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფება. მისი დახასიათება შემდეგი ძირითადი ცნებებით შეიძლება: ეროვნული უსაფრთხოება, ეროვნული ინტერესები, სტრატეგიული ეროვნული პრიორიტეტები, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ეროვნული უსაფრთხოების საფრთხე, ეროვნული უსაფრთხოების სისტემა. [19-25].

21-ე საუკუნის მესამე ათწლეულის მიჯნაზე, მსოფლიოში კორონავირუსის პანდემიით განპირობებული სოციალური პრობლემები და გლობალური ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე აისახა. პანდემიის გრძელვადიანი ეფექტები ჯერაც მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად

რჩება სწრაფი განვითარების გზაზე. უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიამ კიდევ უფრო კომპლექსური, ცვალებადი და მყიფე გახადა მსოფლიო უსაფრთხოება. იზრდება პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური საფრთხეები. განსაკუთრებული გამოწვევაა საერთაშორისო წესრიგის შეცვლის მცდელობები. ამ ურთულესი საერთაშორისო ვითარების მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლების მიერ ბოლო წლებში გატარებული მასშტაბური რეფორმების შედეგად სახეზე გვაქვს მნიშვნელოვანი პროგრესი. შეცვლილი საერთაშორისო რეალობა, პრობლემებთან ერთად, ახალ შესაძლებლობებს ქმნის. ტექნოლოგიების განვითარებისა და გლობალური კონკურენციის ახალ პირობებში საკუთარი პოტენციალის მაქსიმალური გამოყენებით კიდევ უფრო დაჩქარდება ქვეყნის სტაბილური წინსვლა. ასეთ პირობებში საქართველოში შენარჩუნებულია მშვიდობა, უსაფრთხოება და სტაბილურობა, კეთილდღეობა, სწრაფი ეკონომიკური ზრდა. [15–16, 28, 30, 31–34. 35, 38,44, 48–50].

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს: ა) სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა; ბ) თავისუფლება; გ) დემოკრატია და კანონის უზენაესობა; დ) უსაფრთხოება; ე) კეთილდღეობა; ვ) მშვიდობა. ეროვნული ღირებულებების საფუძველზე ყალიბდება ეროვნული ინტერესები. საქართველოს ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფა და დაცვა ხორციელდება საჯარო ხელისუფლების, ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების ძალისხმევით და რესურსების კონცენტრირებით შემდეგი სტრატეგიული ეროვნული პრიორიტეტების განხორციელებაზე: 1) საქართველოს ხალხის დაცვა და ადამიანური პოტენციალის განვითარება; 2) ქვეყნის თავდაცვა; 3) სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოება; 4) ინფორმაციული უსაფრთხოება; 5) ეკონომიკური უსაფრთხოება; 6) სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარება; 7) ეკოლოგიური უსაფრთხოება და რაციონალური ბუნებათსარგებლობა; 8) ქართული ტრადიციული სულიერ-მორალური ფასეულობების, კულტურისა და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა; 9) სტრატეგიული სტაბილურობა და ურთიერთხელსაყრელი საერთაშორისო თანამშრომლობა. [5–6, 9, 26, 36–37, 43].

ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება უზრუნველყოფილია მიზნების მიღწევით და სტრატეგიული ეროვნული პრიორიტეტების ფარგლებში გათვალისწინებული ამოცანების გადაწყვეტით. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს თანამედროვე სტრატეგიული ეროვნული პრიორიტეტებია: 1. საგარეო პოლიტიკა, [რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება 2. ეკონომიკური განვითარება 3. სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება 4. სახელმწიფო მმართველობა. ეროვნული პრიორიტეტების მიხედვით განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიზნები და ამოცანები შესაბამისი სფეროების და სექტორების მიხედვით, როგორცაა: 1. მაკროეკონომიკური სტაბილურობა; 2. საგარეო ვაჭრობა; 3. სამეწარმეო და საინვესტიციო საქმიანობა; 4. კაპიტალის ბაზარი; 5. წიაღისეული და სამთომოპოვება; 6. ენერჯეტიკა; 7. ტრანსპორტი და ლოგისტიკა; 8. ციფრული ეკონომიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები; 9. ტურიზმი; 10. ინფრასტრუქტურის განვითარება; 11. რეგიონული განვითარება; 12. სოფელი და სოფლის მეურნეობა; 13. გარემოს დაცვა. [24].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საჭიროა არა ერთი ტიპის საფრთხის მნიშვნელობის აღნიშვნა სხვებთან მიმართე-

ბაში, არამედ მათი ურთიერთკავშირის, ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგავლენის შესწავლა. ლოგიკურია, რომ შიდა საფრთხის ხანგრძლივი არსებობა ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის გარეშე ქვეყანას უფრო მოწყვლადს ხდის გარე საფრთხეების მიმართ, ხოლო შიდა საფრთხეების გაძლიერება შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს საგარე ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გართულების წინაპირობად. იმიტომ, რომ შიდა საფრთხეებთან გამკლავების გარეშე, სახელმწიფოს ართმევს შესაძლებლობას გაატაროს აქტიური საგარეო პოლიტიკა, დაიცვას შიდა მწარმოებლების ინტერესები, ხელი შეუწყოს შიდა პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდას, ახალი გაყიდვების ბაზრების დაპყრობას და ა.შ. ამასთან, საშინაო და საგარეო საფრთხეების ურთიერთქმედებას მათი ზეგავლენის ეფექტის ამპლიტუდური დამთხვევისას, შეუძლია როგორც აგრეგირებულად გააძლიეროს საერთო საფრთხე, ასევე შეასუსტოს ერთობლივი ნეიტრალიზაციით.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაგეგმვის ორგანიზება, გარდა გარე და შიდა საფრთხეების მახასიათებლების გამოყოფის და თვალყურის ჭერისა, მოიცავს ეკონომიკის მდგომარეობის კრიტერიუმებისა და პარამეტრების განსაზღვრას, რომელიც პასუხობს ეკონომიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების დაცვას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება განხორციელდეს სამმართველო გადაწყვეტილებების სრული შესრულების ეფექტურობის შეფასება და კონტროლი. ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმი - ეს არის ეკონომიკის მდგომარეობის შეფასება ყველაზე მნიშვნელოვანი, ეკონომიკური უსაფრთხოების არსის ამსახველი პროცესების თვალსაზრისით. ამ მიზნებისათვის გამოიყენება მაჩვენებელთა სისტემა - სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი მახასიათებლები, რომელთა გაზომვა და შედარება შესაძლებელს ხდის ეკონომიკური უსაფრთხოების დინამიკის დახასიათებას. ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორებისა და მათი ზღვრული მნიშვნელობების ურთიერთდამოკიდებულების სისტემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეროვნული უსაფრთხოების მდგომარეობის მაკროეკონომიკურ და მიკროეკონომიკურ ანალიზში. [26].

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მიერ მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა შიდა და გარე ეკონომიკური უსაფრთხოების თხუთმეტ ათეულამდე ინდიკატორს, რომელთაგან, შეიძლება გამოიყოს ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრული სიდიდეების მაჩვენებლები, შესაბამისი საზომი ერთეულების მიხედვით, როგორცაა: 1. მშპ-ს მოცულობა, მლრდ. აშშ დოლარი; 2. მარცვლეულის მთლიანი მოსავალი, მლნ. ტონა; 3. ინვესტიციის წილი ძირითად კაპიტალიში, მშპ-ს %; 4. თავდაცვის დანახარჯების წილი, მშპ-ს %; 5. დანახარჯების წილი სამოქალაქო მეცნიერებებზე, მშპ-ს %; 6. ინოვაციური პროდუქტების წილი მთლიან სამრეწველო წარმოებაში, %; 7. მანქანათმშენებლობისა და ლითონის დამუშავების წილი სამრეწველო წარმოებაში; 8. საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანების წილი მთლიან მოსახლეობაში, %; 9. შემოსავლის დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი; 10. უმუშევრობის დონე, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის %; 11. მონეტიზაციის დონე, მშპ-ის %; 12. საგარეო ვალი, მშპ-ს %; 13. სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე ბიუჯეტის ხარჯების წილი, მთლიანი ბიუჯეტის ხარჯების %; 14. ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი, მშპ-ს %; 15. ინფლაციის მაჩვენებელი, %; 16. ოქროს და სავალუტო რეზერვების მოცულობა, % მშპ-ს მიმართ; 17. საგარეო ვალის



გადასახდელების თანაფარდობა წლიური ექსპორტის მოცულობასთან, %; 18. იმპორტით მიღებული სურსათის წილი სასურსათო რესურსების მთლიან მოცულობაში, %. მართვის სისტემის ფორმირებისას ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები და კრიტერიუმები უზრუნველყოფს: ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროს თვისებრივი მდგომარეობის შეფასების, ეკონომიკური განვითარების პროცესების მონიტორინგის, მათ შორის ნეგატიური პროცესების და შესაბამისად, წარმოშობადი საფრთხეების იდენტიფიცირების, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების, მიღებული მმართველობითი ზემოქმედებისა და მისი განხორციელების ღონისძიებების ეფექტურობის შეფასების, მართვის ობიექტსა და სუბიექტის საქმიანობაში კორექტირების შეტანის საფუძვლებს. [27].

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უძრუნველყოფა თანამედროვე ეტაპზე გარკვეული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, რომელთაგან აღსანიშნავია: 1. სიღარიბე და შემოსავლების უთანასწორობის მაღალი დონე; 2. ბიუჯეტის დეფიციტი; 3. დოლარიზაციის მაღალი დონე, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალი, რომლის წილი საქართველოს მთავრობის ვალში ისტორიულად მაღალია, რაც ვალის მართვის უმთავრეს პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. 2020 წლის მდგომარეობით, ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებულმა ვალმა მთლიანი ვალის პორტფელის 20.9% შეადგინა, რაც რეგიონისა და სხვა შესადარი ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს მკვეთრად ჩამორჩება; 4. საქართველოს მიმდინარე ანგარიშის ბალანსი ისტორიულად უარყოფითი აქვს (დეფიციტი), რაც, როგორც წესი, ფინანსდება საგარეო ვალით ან/და უცხოური ინვესტიციებით. 5. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2016 წლიდან პერმანენტულად უმჯობესდებოდა, თუმცა, 2020 წელს COVID პანდემიის მიერ გამოწვეული კრიზისის შედეგად კვლავ გაუარესდა და მშპ-ის 12.5% შეადგინა. 2021 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა გაუმჯობესება დაიწყო და 10.1% შეადგინა. 6. აღსანიშნავია, რომ ვალის მართვის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ახალი სესხების აღების პრიორიტეტიზაციის ერთიანი ჩარჩოს არარსებობა, რომელიც აუმჯობესებს სესხების შეფასების მექანიზმს და ეფექტიანი ხარჯვის გარკვეულ გარანტიას იძლევა. 7. ფისკალური სისტემის მდგრადობისა და საჯარო ფინანსების მართვის ერთ-ერთი გამოწვევა სახელმწიფო საწარმოთა არაეფექტიანობაა, რომლის ერთ-ერთი მიზეზია სექტორში კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკების არარსებობა, რაც ხელს უშლის მართვის თითოეული რგოლის ეფექტიანობის მიღწევასა და საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას. 8. ცალკე გამოიყოფა გამოწვევები ეკონომიკის სექტორების მიხედვით, როგორცაა: საგარეო ვაჭრობა, სამეწარმეო და საინვესტიციო საქმიანობა, კაპიტალის ბაზარი, ტრანსპორტი და ლოგისტიკა, ციფრული ეკონომიკა და საინფორმაციო საზოგადოება, ინფრასტრუქტურა, დასაქმება, შრომითი მიგრაცია, განათლება და მეცნიერება. [24–25].

აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას აზრით, დღეს, მთავარი ფაქტორი, რასაც შეუძლია სიტუაცია დრამატულად შეცვალოს და საქართველოს ეკონომიკური ზრდა შეაფერხოს, არის უკრაინის „ავღანეთიზაციის“ საფრთხე და საქართველოს ეკონომიკური გამოწვევები. დროში გაწელილი ომი, გარდა იმისა, რომ ადამიანები იღუპებიან, ანგრევს ყველაფერს, ინფრასტრუქტურას, ეკონომიკას, კულტურას, მეცნიერებას და სხვ. საფრთხეებს წარმოშობს მსოფლიოში დაწყებული დედოლარიზაციის პროცესი, ახალი ვალუტების გამოჩენა, რომელმაც, შესაძლოა საქართველო აიძულოს, დაეთანხმოს ვაჭრობაში სხვა ვალუტა გამოიყენოს. ბოლო წლებში მიღწეული

სწრაფი ეკონომიკური ზრდა განპირობებულია იმით, რომ საქართველომ დაიცვა თავისი ქვეყნის ინტერესები და ის ომში არ ჩაერთო. ამ ფონზე მოსახლეობის განწყობა არ შეცვლილა. ხალხი ვერ გრძნობს ეკონომიკურ ზრდას. ბოლო დროს ქვეყნიდან მოსახლეობა სწორედ ეკონომიკური პრობლემების გამო გაედინება და არის საშიშროება, რომ მათ ადგილს სხვა ქვეყნიდან შემოსულები დაიკავებენ. ამ პროცესის შეკავება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ეკონომიკური განვითარებით, რომ ჩვენი მოქალაქეები ჩართულნი იყვნენ ქართული ეკონომიკის წარმოებაში, რაც ინკლუზიურ ზრდას განაპირობებს. ეს კი დამოკიდებულია მრეწველობის განვითარებაზე, საზოგადოდ, წარმოების განვითარებაზე. მნიშვნელოვანია, რომ პროექტი "აწარმოე საქართველოში" გახდეს უფრო მასშტაბური, პროგრამებიდან ამოიღონ ტურისტული და მომსახურების სექტორის კომპონენტები და დარჩეს მხოლოდ ის, რასაც მართლა ჰქვია წარმოება - მატერიალური დოვლათის წარმოება. საჭიროა უფრო მეტი ინტენსივობით მუშაობა. დღეს საქართველოს ეკონომიკისთვის მთავარ გამოწვევად რჩება, რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტიანად ავამოქმედოთ შუა დერეფნის პროექტი. ეს უნდა გახდეს ჩვენი ეკონომიკური აღმავლობის მამოძრავებელი ძალა. ამის ყველა საფუძველი არსებობს და აუცილებელია თანამიმდევრული მუშაობა. [11].

### დასკვნა

ეკონომიკასთან მიმართებაში უსაფრთხოება გულისხმობს ეკონომიკისა და მისი ელემენტების (მიკრო ან მაკრო დონეზე) ფუნქციონირებას და განვითარებას, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტების, ასევე სხვა ფაქტორების (პოლიტიკური, გარემოსდაცვითი და ა.შ.) საფრთხის მიღების გარეშე.

„ეროვნული უსაფრთხოება“ გამოიყენება სახელმწიფოს ცხოველქმედების ძირითადი სფეროების, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო, საინფორმაციო და ა.შ., მდგომარეობის დასახასიათებლად. ტერმინის შინაარსში მთავარი ადგილი უჭირავს ინტერესებს, ამ ინტერესების საფრთხეებს, ასევე სახელმწიფოს ინტერესების დაცვის უნარს. აქედან გამომდინარე, საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოება შესაძლებელია განისაზღვროს, როგორც ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების სისტემის მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების რეალიზებასა და დაცვას გარე და შიდა საფრთხეებისგან საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სფეროში.

21-ე საუკუნეში გლობალური მსოფლიო სწრაფ ცვლილებებს განიცდის. მისთვის დამახასიათებელი გახდა: გეოპოლიტიკური დამაბულობის ზრდა; მსოფლიო ბაზრებზე კონკურენციის ამაღლება; პროტექციონიზმის ზრდა; ახალი არქიტექტურისა და მსოფლიო წესრიგის წესების ფორმირება; მრავალპორალული მსოფლიო წესრიგის განმტკიცება და ძალაუფლების ახალი ცენტრების აქტიური ჩამოყალიბება. გამოიკვეთა მრავალი ახალი ტენდენცია, რომელთაგან აღსანიშნავია: გლობალური არასტაბილურობის ტენდენცია; სახელმწიფოთაშორისი წინააღმდეგობების ზრდა; ეკონომიკური ზეწოლა, რომელიც ამცირებს საერთაშორისო ინსტიტუტების გავლენას და მნიშვნელობას გლობალური მმართველობისა და რეგულირების კონტექსტში; მცირდება გლობალური უსაფრთხოების სისტემის ეფექტურობა; მძაფრდება რეგიონალიზაციის ტენდენცია.

ამ პირობებში იზრდება საგარეო ეკონომიკური ასპექტების მნიშვნელობა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემისთვის. საგარეო ეკონომიკურ უსაფრთხოება სათანადო ყურადღებას მოითხოვს. არ არის საკმარისი, როდესაც

საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოება განიხილება ან საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ეროვნული პოტენციალის უზრუნველყოფის კონტექსტში, ან საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ისეთი მიდგომა, როდესაც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ძირითად დოკუმენტებში, საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიდგომები მთელი სისრულით იქნება ასახული.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ. (2020).** საქართველოს ინოვაციური პოლიტიკა და სისტემა. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი XIII. თბილისი, გვ.10–46. ელექტრონული რესურსი: <https://www.pgie.tsu.ge/contentimage/xxxx/shr.kreb.2020.pdf>
2. **აბესაძე რ. (2022).** საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი XV. თბილისი, გვ.9–27. ელექტრონული რესურსი: <http://pgie.tsu.ge/contentimage/xxxx/2022srkrydit.pdf>
3. **ასლამაზიშვილი ნ. (2003).** საგარეო ვაჭრობა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
4. **ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ. (2001).** პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი.
5. **ბედიანაშვილი გ. (2023).** პოსტპანდემიური პერიოდის მაკროსისტემური სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები. ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის მასალები: *“მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები”*. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. 41-46.
6. **ბედიანაშვილი გ. (2018).** კულტურა როგორც ცოდნის ეკონომიკის ფორმირების ფაქტორი პარადიგმული ცვლილებების სისტემურ-ინსტიტუციური კონტექსტით. *გლობალიზაცია და ბიზნესი*. 6, 58-66. DOI: [10.35945/gb.2018.06.007](https://doi.org/10.35945/gb.2018.06.007)
7. **ბერულავა გ., ცუცქერიძე მ. (2022).** ეკონომიკური უსაფრთხოების და ეკონომიკური მდგრადობის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები: საერთაშორისო გამოცდილება. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი XV. თბილისი, გვ.114–129. ელექტრონული რესურსი: <http://pgie.tsu.ge/contentimage/xxxx/2022srkrydit.pdf>
8. **ბურდული ვ. (2022).** გლობალური ეკონომიკური საფრთხეები და მათი გავლენა ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი XV. თბილისი, გვ.55–113. ელექტრონული რესურსი: <http://pgie.tsu.ge/contentimage/xxxx/2022srkrydit.pdf>
9. **ვეშაპიძე შ. (2018).** კაცობრიული ღირებულებები ეკონომიკური ხედვით. თბილისი, „SMARTY.”

10. კეინსი ჯ. (1995). დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია / თარგმნა რამაზ ნამიჭიჭიშვილმა; [რედ.: ელგუჯა თავბერიძე]. ქუთაისი : ს/ს "სტამბა"
11. კვარაცხელია მ. (2022). გლობალიზაცია და ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი XV. თბილისი, გვ.130–144. ელექტრონული რესურსი: <http://pgie.tsu.ge/contentimage/xxxx/2022srkrydit.pdf>
12. თოდუა გ. (1996). მდგრადი ეკონომიკისა და შეფარდებითი უპირატესობის ერთიანობის საყოველთაო კანონი. ჟურნალი „ეკონომიკა“, N 12, გვ. 28–32.
13. ლაზარაშვილი თ., კაკულია ე. (2022). გლობალური სოციალური საფრთხეები და მათი ეროვნულ სოციალურ უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი XV. თბილისი, გვ.155–171. ელექტრონული რესურსი: <http://pgie.tsu.ge/contentimage/xxxx/2022srkrydit.pdf>
14. მაჩაიძე რ. (2023). უკრაინის „ავღანეთიზაციის“ საფრთხე და საქართველოს ეკონომიკური გამოწვევები. 20 ივლისი. <https://kvirispalitra.ge/article/105165-ukrainis-avganetizaciis-saprtxe-da-sakartvelos-ekonomikuri-gamocvevebi/>
15. მექვაბიშვილი ე. (2018). გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი.“
16. პაპავა ვ. (2022). დეგლობალიზაციის პრობლემა და განახლებული გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი XV. თბილისი, გვ.28–54. ელექტრონული რესურსი: <http://pgie.tsu.ge/contentimage/xxxx/2022srkrydit.pdf>
17. ქისტაური, ნ; მელაშვილი, მ; ქველაძე, ვ. (2018). ეკონომიკური უსაფრთხოება და მასზე მოქმედი ფაქტორები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენცია. Web:[https://www.researchgate.net/publication/330637847\\_ekonomikuri\\_usaprtkhoa\\_ba\\_da\\_masze\\_mokmedi\\_paktorebi](https://www.researchgate.net/publication/330637847_ekonomikuri_usaprtkhoa_ba_da_masze_mokmedi_paktorebi). ბოლო ნახვა: 30/05/2023.
18. ხუციკვაძე მ. (2022). ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის გამოცდილების განზოგადება. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი XV. თბილისი, გვ.222–238. ელექტრონული რესურსი: <http://pgie.tsu.ge/contentimage/xxxx/2022srkrydit.pdf>
19. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის. <https://faolex.fao.org/docs/pdf/geo216923.pdf>
20. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. <https://mfa.gov.ge/national-security-concept>
21. საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ. [http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/kavshirgambuloba/informaciuli\\_usafrtxoeba.pdf](http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/kavshirgambuloba/informaciuli_usafrtxoeba.pdf)



22. საქართველოს კანონი „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ.“ მიღების თარიღი: 23/03/2015. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2764463?publication=13>
23. საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ.“ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. მიღების თარიღი: 05/06/2012. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1679424?publication=5>
24. ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია. <https://www.gov.ge/wp-content/uploads/2022/11/khedva-2030-saqarthvelos-ganvitharebis-strategia-1.pdf>
25. საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია. [https://migration.commission.ge/files/ms\\_2021-2030\\_geo.pdf](https://migration.commission.ge/files/ms_2021-2030_geo.pdf)
26. **Bedianashvili G. (2023).** Macrosystemic Challenges of Uncertainty under the Conditions of Confrontational Globalization. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*. 17(2), 174-179.
27. **Gadzhiev N. G., Gazimagomedov M. A., Doronin A. V. (2021).** *Ekonomicheskaya bezopasnost* [Economic security] (in Russian).
28. **Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016a).** European Values: What Can We Implement from Them and How Can We Implement Them in Georgia. *Globalization & Business*. (1). 40-46. (In Georgian).
29. **Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016b).** Values: Limits and Contradictions. *Globalization & Business*, (1). 35-39. (In Georgian).
30. **Otinashvili, R., Veshapidze, S., & Zoidze, G. (2021).** IMPACT OF ECONOMIC CRIME ON THE SUSTAINABLE DEVELOPMENT OF THE STATE. *Three Seas Economic Journal* 4 (1), 10-17
31. **Papava, V. (2018).** The Economics in Crisis and the Main Directions for Transformation of Economic Science. *Transformations*, 3-4(98-99), 90-108
32. **Papava, V. (2021).** On Pseudo De-Globalization, Silk Road Of Global Value Chains And Role Of Georgia – OpEd. <https://www.eurasiareview.com/18102021-on-pseudo-de-globalization-silk-road-of-global-value-chains-and-role-of-georgia-oped/>.
33. **Papava, V. (2022a).** Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization. *Eurasia Review*, May 23, <https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/>.
34. **Papava, V. (2022b).** On Sanctionomics. *Eurasia Review*, March 14. Available at: <https://www.eurasiareview.com/14032022-on-sanctionomics-oped/>.
35. **Silagadze, A., Atanelishvili, T., & Silagadze, N. (2022).** Covid Depression and Search for a New Paradigm. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci.*, 16(1).
36. **Veshapidze, S., (2017).** THE TRADITIONS ORIENTATED ON EUROPEAN VALUES IN GEORGIA. *Sciences of Europe*. VOL 4, No 13 (13)
37. **Veshapidze, S. (2022).** Ilia Chavchavadze on the Methodological Aspects of Economic Processes Research and Modernity. Conference: VII International Scientific Conference. At: Tbilisi, Georgia.
38. **Veshapidze, S., & Karchava, L. (2022).** Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci.*, 16(4).
39. **Veshapidze, S., & Putkaradze, R. (2023).** International economic relations of Georgia at the modern stage of globalization. “*Ekonomisti*” #1, 58–69.
40. **Veshapidze, S., & Zoidze, G. (2021).** Institutional Evolution of Higher Education in Georgia. *The New Economist*, 16(2), 1–1. DOI: <https://doi.org/10.36962/NEC6102202133>
41. **Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022a).** On State Intervention in the Economy through the Budget in Georgia. *WORLD ECONOMY AND INTERNATIONAL ECO-*

*NOMIC RELATIONS. - International Scientific Collection - Vol. 5. Kyiv – CUL.*  
<https://doi.org/10.5281/zenodo.5807500>

42. **Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022b).** Value Choices of the Community in the Context of the COVID-19 Pandemic. DOI: <https://doi.org/10.5281/zenodo.6373197>.
43. **Veshapidze, S., Babuadze, N., & Beridze, T. (2015).** EUROPEAN VALUES AND CHOICE OF GEORGIA (HUMAN DIGNITY, LAWFUL SOVEREIGNTY, DEMOCRACY AND WELLBEING). *ACTUAL PROBLEMS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF NATIONAL ECONOMIES. (10-11 July, 2015). PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY. Tbilisi, 79-83.*
44. **Veshapidze, S., Zubiashvili, T., & Chiabrishvili, K. (2021).** Globalization and New Opportunities for Georgia. *Globalization and Business. 12, 32-36.*  
<https://doi.org/10.35945/gb.2021.12.003>
45. **Veshapidze S., Otinashvili R., Gvarutsidze A., Abuselidze G., Zoidze G. (2022).** Modern technologies to overcome the challenges of globalization. *Entrepreneurship, 10 (2), 22-32* DOI: 10.37708/ep.swu.v10i2.2
46. **Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022a).** The Modern Economy and Values. *Cambridge Scholars Publishing. P. 125;*
47. **Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022b).** Transformation of Economic Policy Priorities Under Covid-19. *Three Seas Economic Journal, 3(2), 35-43.*
48. **The Global Risks Report 2021.** Weforum.org. [ელექტრონული რესურსი]. [http://www3.weforum.org/docs/WEF\\_The\\_Global\\_Risks\\_Report\\_2021.pdf](http://www3.weforum.org/docs/WEF_The_Global_Risks_Report_2021.pdf) (ბოლო ნახვა: 28.07.2023).
49. **The Global Risks Report 2022.** weforum.org. [ელექტრონული რესურსი]. [https://www3.weforum.org/docs/WEF\\_The\\_Global\\_Risks\\_Report\\_2022.pdf](https://www3.weforum.org/docs/WEF_The_Global_Risks_Report_2022.pdf) (ბოლო ნახვა: 28.07.2023).
50. **The Global Risks Report 2023.** weforum.org. [ელექტრონული რესურსი]. [https://www3.weforum.org/docs/WEF\\_Global\\_Risks\\_Report\\_2023.pdf](https://www3.weforum.org/docs/WEF_Global_Risks_Report_2023.pdf) (ბოლო ნახვა: 28.07.2023).
51. **Лист Ф.** Национальная система политической экономики. М., 2005.
52. **Сото Э. де.** Иной путь. Невидимая революция в третьем мире. М. : Catallaxy, 1995.

**Shota Veshapidze**

*Doctor of Economic Sciences,*

*Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**MODERN PRIORITIES OF ENSURING FOREIGN ECONOMIC SECURITY OF GEORGIA**

DOI: [10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Shota.Veshapidze](https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Shota.Veshapidze)

### **Expanded Summary**

Economic security is one of the most important features of the economy, and ensuring the safe functioning of the country's economy is a necessary condition for its competitive and sustainable development. It is important to systematize conceptual approaches to ensuring external economic security in the context of global risks and threats.

Basic approaches to the concept of economic security of the country and methods of fighting it are defined by different concepts. Among them, the institutional concepts of protection against cameralist, Keynesian and administrative barriers are noteworthy. Foreign competitors (according to F. Liszt), "market failure" (according to J. M. Keynes) and "state failure" (according to H. De Soto) can pose threats to the economic security of each country.

Different strands of foreign trade policy are important, including mercantilism, protectionism, free trade, super-protectionism, private monopoly protectionism, collective protectionism, and neo-protectionism. Depending on the different motives for the introduction of trade barriers, five types of neo-protectionism can be distinguished: "protectionism of lobbyists," "protectionism of industrialists," "protectionism of geostrategists," "protectionism of populists," "benevolent protectionism." The main role in the intensive growth of trade barriers belongs to developed countries, which previously supported free trade and globalization. They were catchers.

External economic security is ensuring the development of economic processes in the country, which will create the necessary (acceptable) conditions and resources for economic stability and development of society. The national security of the country is characterized, first of all, by the state of the economy and its competitiveness on the world markets. The more stable and competitive the economy, the higher its level of economic security.

Foreign economic security includes its provision in the main forms of international economic relations, such as: problems of ensuring economic security within the international division of labor; Assessment of the results of direct and portfolio investments in the global economy for the external economic security of the country; ensuring foreign economic security of international trade; Modern monetary and financial system and international economic security.

There is a close relationship between modern technologies, economic security and the growth of sustainable economic development potential in Georgia. The influence of the fourth industrial revolution on the economic and innovative potential of Georgia is decisive. Technological progress helps increase economic opportunity and prosperity. The role of innovative policy in ensuring the economic security of the state is great. Successfully solving the problems of attracting investments in the field of science is an important factor in the growth of natural, industrial, scientific, technical and labor potential of Georgia. The emergence of the Internet, the development of artificial intelligence, blockchain, Internet of Things and 5G technologies has accelerated the digital transformation of the world economy. The rapid development of digital technologies has created a highly coordinated digital economy that transcends geographic boundaries and industry sectors. Digital transformation in the global economy brings both positive results and threats to its development.

Significant economic benefits resulting from the digitization of the economy include increased productivity, job creation, enhanced international trade and innovation. In addition, there are potential risks and negative effects. The workplace is being replaced by technology, data privacy is at risk, market issues and etc.

The official documents received by the Georgian state allow for the regulation and maintenance of the country's security management processes. At the same time, the mod-

ern mechanism of ensuring economic security must be constantly transformed along with new risks and threats emerging in the country's economic sector. Correct positioning to overcome external and internal threats to the national economy ensures the economic sovereignty of the country, the unity of its economic space and the conditions for the implementation of strategic national priorities.

Practical importance It is important to identify the existing threats to the external economic security of the Republic of Georgia and to develop directions for improving the security system, which ensures a favorable international position of the national economy. This means not identifying the importance of one type of threat in relation to others, but studying their interrelationship, interdependence and mutual influence.

To build an effective system of external economic security, it is necessary to identify the most dangerous external threats, to rank them in order to determine the directions that require operational regulation or consistent strategic neutralization. When assessing threats, it is necessary to use both the entire complex system of indicators, as well as their threshold values, which reflect the boundaries of safe development of the national economy. This will make it possible to identify Georgia's external economic threats, challenges and risks, develop tools and recommendations for its solution.

The formation of the national security strategy of Georgia can be determined according to a 5-step system scheme, which includes: Determination of the theoretical concepts, methodological sources and basic concepts of the strategy; Assessment of Georgia's involvement in today's world based on the analysis of the current situation: trends and opportunities; National interests and national strategic priorities of Georgia; Ensuring national security; Strategy realization organization and mechanisms.

**Keywords:** national security; national interests; foreign economic security; national interests and national strategic priorities; National security assurance system.



სტატია ფინანსურად მხარდაჭერილია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ პროექტის №YS-21-3831

**გიორგი მიქელაძე**  
ეკონომიკის დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;  
**მარიამ ოქრუაშვილი**  
დოქტორანტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ეკონომიკური განვითარების ასიმეტრია საქართველოში**

**ანოტაცია.** სტატიაში განხილულია, საქართველოს ეკონომიკის განვითარების ასიმეტრია ტერიტორიულ ჭრილში, თვითმმართველი ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური პოლიტიკის დაფინანსების ძირითადი წყაროები: ბიუჯეტი, ცენტრალური ბიუჯეტის დახმარება და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერის ფონდი. ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე სტატიაში დასაბუთებულია, რომ საქართველოს რეგიონალურ დონეზე საზოგადოებრივი სიკეთის მოცულობა ძლიერ განსხვავებულია.

სტატიაში დადასტურებულია ჰიპოთეზის: „რეგიონული ასიმეტრიული განვითარების ზომა უკუპროპორციულ დამოკიდებულებებშია ქვეყნის ტერიტორიული მასშტაბის ზრდასთან“ ვალიდურობა, 2019 წელს მსოფლიო ბანკის მიერ სიღარიბის მაჩვენებლებზე განხორციელებული კვლევის შედეგების და შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების საშუალო თვიური მნიშვნელობების ანალიზის საფუძველზე. სტატია მოიცავს რეკომენდაციებს კვლევის შემდგომი ეტაპისთვის შერჩევის ზომის სიმცირის გამო, გამოწვეული მაღალი ზღვრული ფარდობითი ცდომილების ნაკლოვანების აღმოფხვრის მიზნით განხორციელებულ მცდელობებზე, მცირე ზომის ტერიტორიული ერთეულების შეფასების (SAE) და დროითი მწკრივების ანალიზის მოდელების ემპირიული რეალიზაციის მეშვეობით.

**საკვანძო სიტყვები:** თანაბარი საზოგადოებრივი სიკეთე, რეგიონული და მუნიციპალური განვითარების ასიმეტრია საქართველოში, ცხოვრების დონის სტატისტიკური მაჩვენებლები მცირე ტერიტორიულ ჭრილში.

**JEL Codes:** P 20, P 31, P 40, P 52

**შესავალი**

ნებისმიერი სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს უზრუნველყოს საკუთარი მოქალაქეები თანაბარი საზოგადოებრივი სიკეთით. ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოები დიდ წილად ახერხებენ მიაღწიონ სხვადასხვა ტერი-

ტორიული ერთეულების თანაბარ განვითარებას, თუმცა, მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში შეინიშნება ეკონომიკური განვითარების ასიმეტრია. კერძოდ, ეკონომიკურად მეტად აქტიური და განვითარებული მხოლოდ დედაქალაქის მიმდინარე ტერიტორიული ერთეულებია და იშვიათ შემთხვევაში მას შესაძლოა დაემატოს ერთი ან რამდენიმე სხვა ტერიტორიული ერთეულიც.

საქართველო ამ მხრივ არ წარმოადგენს გამონაკლისს, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძლიერი ასიმეტრიიდან გამომდინარეობს. აღნიშნულ მოსახურებას, ამყარებს ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ძლიერ განხსვავებული მნიშვნელობები რეგიონების მიხედვით. აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში, სასურველია შემოწმდეს ჰიპოთეზა: რეგიონული ასიმეტრიული განვითარების ზომა უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია ქვეყნის ტერიტორიულ მასშტაბის ზრდასთან. კერძოდ, იზრდება თუ არა ეკონომიკურ მდგომარეობას შორის სხვაობა, შედარებით მცირე ტერიტორიული ერთეულების ჭრილში.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა მოიცავს მუნიციპალური განვითარების 2 პროგრამას: 1) ცენტრალური ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტების ბიუჯეტისთვის დახმარების გაცემას, რაც ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს ეკონომიკური პოლიტიკის გატარების ერთ-ერთ მთავარ მატერიალურ საშუალებას წარმოადგენს (საქართველოს პარლამენტი, 2023) და 2) საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საქმიანობას, რომელიც ქვეყანაში მოქმედ მსოფლიოს ყველა მსხვილ საინვესტიციო ბანკთან და ფინანსურ ინსტიტუტთან თანამშრომლობს.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს შეფასდეს ქვეყნის შედარებით მცირე ტერიტორიული ერთეულების დონეზე არსებული მდგომარეობა შესაბამისი ემპირიული მონაცემების საფუძველზე, განისაზღვროს საჭირო სტატისტიკური მახასიათებლები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია სტატისტიკურად საიმედო ცხოვრების დონის მაჩვენებლების შეფასება. ნაშრომი მოიცავს რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკის, მისი ეფექტურობისა და მუნიციპალური განვითარების პროგრამის საჭიროების შეფასებას.

### **ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის ასიმეტრია საქართველოში**


საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის, კერძოდ კავკასიის გზაჯვარედინზე. დასავლეთიდან ესაზღვრება შავი ზღვა, ჩრდილოეთით - რუსეთის ფედერაცია, სამხრეთ-აღმოსავლეთით - აზერბაიჯანი, სამხრეთით - სომხეთი და თურქეთი. საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის საზღვრების სიგრძეა: სომხეთი - 164 კმ, აზერბაიჯანი - 322 კმ, რუსეთი - 723 კმ, თურქეთი - 252 კმ. საქართველოს ფართობი 69,700 კვადრატული კილომეტრია. ტერიტორიის მაქსიმალური სიგრძეა 613 კმ ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. მერიდიანის ჩრდილოეთ და სამხრეთ წერტილებს შორის მანძილი 275 კმ-ია. საქართველო შედგება თბილისის, 9 რეგიონის, ორი ავტონომიური რესპუბლიკის, 69 მუნიციპალიტეტისა და დედაქალაქის 11 რაიონისგან.

საქართველოს მოსახლეობა 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 3,688,647 ადამიანს შეადგენს. მონაცემები არ მოიცავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებს. მოსახლეობის განაწილება რეგიონების მიხედვით განსხვავებულია. თბილისის რეგიონში 1,201,769-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, რაც მთლიანი მოსახლეობის მესამედს, 33%-ს შეადგენს, ხოლო ყველაზე ნაკლები მოსახლეობა მაღალმთიან რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვ-

ნეთის რეგიონში ცხოვრობს, 27,616 ადამიანი (მთლიანი მოსახლეობის 0.7 პროცენტი).


ქვეყნის რეგიონები ძლიერ განსხვავდება ეკონომიკური მდგომარეობით. 2021 წელს მთლიანი შიგა პროდუქტის მაქსიმალური მნიშვნელობა მიმდინარე ფასებში ერთ სულზე წარმოადგენს 21,866 ლარს თბილისში, რომელიც 1.5 ჯერ აღემატება ქვეყნის, ხოლო 2.6 ჯერ ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე რეგიონის საშუალო მნიშვნელობას.

**ცხრილი 1:** მთლიანი შიგა პროდუქტი მიმდინარე ფასებში ერთ სულზე 2021 წელს, წყარო: ავტორის გაანგარიშება.



2021 წელს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი თბილისის რეგიონში 13.9%-ს შეადგენს, რაც 0.8 - ჯერ ნაკლებია ქვეყნის, ხოლო 0.4 - ჯერ ყველაზე მაღალი მნიშვნელობის მქონე რეგიონის შესაბამის მაჩვენებელზე (Mikeladze, Okruashvili, 2023).

**ცხრილი 2:** სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი, 2021 წელი, წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.



კერძო შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების საშუალო თვიური მნიშვნელობები გაანგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე მნიშვნელოვნად არ განსხვავდება რეგიონების მიხედვით, თუმცა, მაჩვენებლის საშუალო მნიშვნელობებს შორის სხვაობა მკვეთრად იზრდება ტერიტორიული მასშტაბის ზრდის პირობებში. კერძოდ, სხვაობა მნიშვნელოვნად განსხვავებულია მუნიციპალურ/რაიონულ დონეზე გაანგარიშებულ მაჩვენებლებს შორის. აღსანიშნავია, რომ შედარებით მცირე ზომის ტერიტორიული ერთეულის ჭრილში შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების შერჩევითი გამოკვლევებიდან გაანგარიშებული მაჩვენებლები, შერჩევის ზომის სიმცირის გამო, ხასიათდება ზღვრული ფარდობითი ცდომილების მაღალი მნიშვნელობით, რომელიც მერყეობს 4% - 65% ინტერვალში (მიქელაძე, 2022).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების შერჩევითი გამოკვლევის ძირითადი მაჩვენებლების სტანდარტული გადახრის, ნდობის ინტერვალის და ზღვრული ფარდობითი ცდომილების შესაბამისი გაანგარიშება მუნიციპალურ/რაიონულ ჭრილში ეფუძნება კომპლექსური გამოკვლევის სტანდარტული შეცდომის გამოსათვლელი ფორმულის მოდიფიცირებულ ვარიანტს კლასტერული შერჩევის დიზაინ ეფექტის და სტატისტიკური წონების სტრატეგიაში კორექტირების გათვალისწინებით (Lohr, 2021):

$$SE(\bar{y}_{str}) = \sqrt{\sum_{h=1}^H \left(\frac{N_h}{N}\right)^2 \left(1 - \frac{n_h}{N_h}\right) \frac{s_h^2}{n_h} def_{fh} def_{wh}} \quad (1)$$

სადაც  $SE(\bar{y}_{str})$ - წარმოადგენს სტანდარტულ შეცდომას სტრატეფიცირებული შერჩევის პირობებში,  $H$  - სტრატების რაოდენობას,  $n_h$  -  $h$  სტრატაში გამოკითხული ელემენტების რაოდენობას,  $N_h$  - ამავე  $h$  სტრატის ზომას ( $h$  სტრატის ყველა ელემენტის ჯამი),  $N$  - შერჩეული ელემენტების რაოდენობა,  $def_{fh}$  - კლასტერული შემთხვევითი შერჩევის დროს დიზაინ ეფექტი, ხოლო  $def_{wh}$  - წონების სტრატეფიცირებული შესწორების დიზაინ ეფექტი.

მცირე ტერიტორიულ ჭრილში მოსახლეობის განსხვავებულ სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებს მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული გამოკვლევა. 2019 წელს მსოფლიო ბანკის ინიციატივით განხორციელდა მუნიციპალიტეტების მიხედვით სიღარიბის მაჩვენებლების მნიშვნელობების შეფასება, SAE-ს მეთოდის გამოყენებით. კვლევის ფარგლებში, საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერის და შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემების საფუძველზე, განხორციელდა სტატისტიკური დაკვირვების ერთეულის დონეზე არსებული ელბერსის, ლენჯოუს და ლენჯოუს (ELL) და სტატისტიკური დაკვირვების აგრეგირებული ერთეულის (ძირითადად დასახლების) დონეზე არსებული ფი ჰერიოტის (FH) მოდელების ემპირიული რეალიზაცია. მსოფლიო ბანკმა სტატისტიკური მახასიათებლების მიხედვით უპირატესობა მიენიჭა ELL მოდელის შედეგებს (Nozaki, Cancho, Fuchs, 2019). ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არსებობს მნიშვნელოვანი სტატისტიკური განსხვავება სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილის მაჩვენებლებს შორის.

### **საქართველოში მოქმედი მუნიციპალური განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა**

#### სახელმწიფოს მხარდაჭერის პროგრამა მუნიციპალიტეტების განვითარებაში:

ყველა ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობა სა-



ბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია: კანონით განსაზღვრული საკუთარი შემოსულობებით და ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის გადასახდელების გაწვევის დამოუკიდებლად განსაზღვრით, აგრეთვე, დელეგირებული უფლებამოსილებათა კანონით განსაზღვრული დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლებით. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებას, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებებს არა აქვთ უფლება, ჩაერიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში (საქართველოს პარლამენტი, 2023).

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გამოთანაბრების უზრუნველსაყოფად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა ფინანსური დახმარება.

ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით გადაეცემა გამოთანაბრებითი ტრანსფერი.

გამოთანაბრებითი ტრანსფერის გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გადასაცემი გამოთანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა განისაზღვრება ფორმულით (საქართველოს პარლამენტი, 2023):

$$Ti=(E-R)*K \tag{2}$$

სადაც:

– Ti არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გამოსაყოფი გამოთანაბრებითი ტრანსფერი;

– E არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი;

– R არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა);

– K არის მხარდაჭერის კოეფიციენტი.

ამასთან, E – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი გამოითვლება ფორმულით (საქართველოს პარლამენტი, 2023):

$$E=\sum Cn*Pn \text{ ანუ } C1*P1+C2*P2+C3*P3+C4*P4+C5*P5+C6*P6 \tag{3}$$

სადაც:

– Cn ანუ C1, C2, C3, C4, C5, C6 არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სტატისტიკური მაჩვენებლები (მოსახლეობა, 0-დან 6 წლამდე ბავშვები, ფართობი, 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობა, დედაქალაქის სტატუსი, ადგილობრივი მნიშვნელობის გზები);

– Pn ანუ P1, P2, P3, P4, P5, P6 არის გამოთანაბრებითი კოეფიციენტები, რომლებიც წარმოადგენენ ურთიერთკავშირს გადასახდელის თითოეულ კატეგორიასა და სტატისტიკურ მაჩვენებლებს შორის. გამოთანაბრებითი კოეფიციენტების ოდენობები გაიანგარიშება რეგრესული ანალიზის მეშვეობით და ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის უცვლელია.

R არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა), რომლებიც ცალკეული ადგილობრივი თვითმმართველი ერ-

თეულისათვის გაიანგარიშება მიმდინარე წლის პროგნოზისა და გასული 3 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლების ტენდენციის მიხედვით.

K – მხარდაჭერის კოეფიციენტის ქვედა ზღვარი შეადგენს 60%-ს.

საერთაშორისო დონორების მხარდაჭერა: საქართველოში 1997 წელს დაფუძნდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, რომელიც ქვეყანაში მოქმედ მსოფლიოს ყველა მსხვილ საინვესტიციო ბანკთან და ფინანსურ ინსტიტუტთან თანამშრომლობს. აღნიშნული ფონდის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებას, ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში ინვესტირებას, ადგილობრივი მოსახლეობის როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და სხვა (საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, 2023).

გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტებში მმართველობის, პოლიტიკისა და სერვისების გაუმჯობესებას. ამჟამად საქართველოს ექვს მუნიციპალიტეტში, ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამისა და ადგილობრივი თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ხელშეწყობით იმართება პროექტები, რომლებიც ხელს უწყობენ ამავე მუნიციპალიტეტებში ურბანული გარდაქმნების ხელშეწყობას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, საზოგადოებრივი სივრცეების რეაბილიტაციასა და მოწყობას, სკოლამდელი განათლების გაუმჯობესებასა და ხარისხიანი მუნიციპალური სერვისების განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ევროკავშირის ელჩი და გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელიც მხარს უჭერენ ადგილობრივ პროექტებს, რომლებიც მიზანმიმართულია ადამიანების საჭიროებებსა და მოლოდინებზე, რაც, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს შეიქმნას თანასწორი გარემო. სწორედ რეგიონებს შორის არსებული სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის მინიმიზაცია და აღმოფხვრა უზრუნველყოფს ინტეგრირებულ ტერიტორიულ განვითარებას, რაც განაპირობებს არა მარტო თანასწორი გარემოს შექმნას, არამედ ცალკეული ინდივიდის კეთილდღეობის ამაღლებას (UNDP, საქართველო, 2023).

### **დასკვნები და რეკომენდაციები**

საქართველოს რეგიონალურ დონეზე ეკონომიკური განვითარების დონე მეტად განსხვავებულია, რასაც ადასტურებს შემდეგი ფაქტები: 1) სტატისტიკური მახასიათებლების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ რეგიონალურ დონეზე ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მნიშვნელობები ძლიერ განსხვავებულია და შეინიშნება საზოგადოებრივი სიკეთის კონცენტრირება ქვეყნის ერთ ტერიტორიაზე, 2) ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოების ბიუჯეტი საკმაოდ მწირია, ვინაიდან საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცხოვრობს რამდენიმე რეგიონში, მათ შორის, დედაქალაქში მცხოვრები მოსახლეობის წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში ერთ მესამედს შეადგენს. აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე სხვა ტერიტორიული ერთეულები ხასიათდებიან მცირე ეკონომიკური აქტივობით. მუნიციპალიტეტების ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მოქმედებს: ა) სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსურ დახმარებას ცენტრალური ბიუჯეტიდან და ბ) საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, რომელიც ქვეყანაში მოქმედ მსოფლიოს ყველა მსხვილ საინვესტიციო ბანკთან და ფინანსურ ინსტიტუტთან თანამშრომლობს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართვე-

ლობის გაძლიერებას, ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში ინვესტირებას, ადგილობრივი მოსახლეობის როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჰიპოთეზა: „რეგიონული ასიმეტრიული განვითარების ზომა უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია ქვეყნის ტერიტორიული მასშტაბის ზრდასთან“ დასტურდება შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების საშუალო თვიური მნიშვნელობების ანალიზის საფუძველზე, შედარებით მცირე ტერიტორიული ერთეულის ჭრილში, თუმცა, აღსანიშნავია ფაქტი, რომ მცირე ტერიტორიულ ჭრილში ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლების ზღვრული ფარდობითი ცდომილების მნიშვნელობები, რომლებიც ეფუძნება კომპლექსური გამოკვლევის სტანდარტული შეცდომის გამოსათვლელი ფორმულის მოდიფიცირებას კლასტერული შერჩევის დიზაინ ეფექტის და სტატისტიკური წონების სტრატეგიაში კორექტირების გათვალისწინებას, შერჩევის ზომის სიმცირის გამო ხასიათდებიან შედარებით მაღალი მნიშვნელობით. აღნიშნული ნაკლოვანების დასაძლევად სასურველია განხორციელდეს მცდელობა 1) ფეი-ჰერიოტის (FH) (Fay, Herriot, 1979); 2) ელბერსის, ლენჯოუს და ლენჯოუს (ELL) (Elbers, Lanjouw, Lanjouw, 2003) და 3) დროითი მწკრივების ანალიზის მოდელების და მეთოდების გამოყენებით. ასევე, მცირე ტერიტორიულ ჭრილში მოსახლეობის განსხვავებულ სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებს მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული გამოკვლევა. აღნიშნული გამოკვლევის ფარგლებში შეფასდა სიღარიბის მაჩვენებლები Small area estimations-ს სტატისტიკური დაკვირვების ერთეულის დონეზე არსებული ელბერსის, ლენჯოუს და ლენჯოუს (ELL) მოდელისა და სტატისტიკური დაკვირვების აგრეგირებული ერთეულის (ძირითადად დასახლების) დონეზე არსებული ფეი ჰერიოტის (FH) მოდელის გამოყენებით მცირე ტერიტორიულ ერთეულებში. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არსებობს მნიშვნელოვანი სტატისტიკური განსხვავება სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილის მაჩვენებლებს შორის.

### გამოყენებული ლიტერატურა

- [1] მიქელამე, გ. (2022). საქართველოს შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების ეკონომეტრიკულ-სტატისტიკური მოდელირების შესაძლებლობები მცირე ზომის ერთეულების მიხედვით. ჟურნალი „ეკონომისტი“ (N3. გვ. 16-45).
- [2] Elbers, C., Lanjouw, J. O., & Lanjouw, P. (2003). Micro-level estimation of poverty and inequality. *Econometrica*, 71(1), 355-364.
- [3] Fay III, R. E., & Herriot, R. A. (1979). Estimates of income for small places: an application of James-Stein procedures to census data. *Journal of the American Statistical Association*, 74(366a), 269-277.
- [4] Lohr, S. L. (2021). *Sampling: design and analysis*. CRC press.
- [5] Mikeladze, G., Okruashvili M., (2023). The Role of Municipal Statistics in Georgia. *Proceedings of The 7th International Conference on Research in Management and Economics*.

- [6] Nozaki N. K., Cancho C. A & Fuchs A (2019). Poverty Mapping in Georgia. Poverty and Equity Global Practice, The World Bank.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მეთოდოლოგია, ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/552/methodologia-sotsialuri-statistika> (ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 26 აპრილს 2023).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ცხოვრების დონის სტატისტიკა, ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: <https://www.geostat.ge/en/modules/categories/48/standard-of-living> (ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 26 აპრილს 2023).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ეროვნული ანგარიშები, ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: <https://www.geostat.ge/en/modules/categories/22/national-accounts> (ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 26 აპრილს 2023).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობა და დემოგრაფია, ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: <https://www.geostat.ge/en/modules/categories/316/population-and-demography> (ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 26 აპრილს 2023).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის ელექტრონული ბაზები, ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/128/2009-2016-tslebis-shinameurneobebis-integrirbuli-gamokvlevis-da-2017-tslis-shinameurneobebis-shemosavlevisa-da-kharjebis-kvlevis-monatsemta-bazebi> (ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 26 აპრილს 2023).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ინფორმაცია ფონდის შესახებ, ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: <http://mdf.org.ge/?site-lang=ka&site-path=fund/about/> (ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 26 აპრილს 2023).

UNDP საქართველო, მმართველობის, პოლიტიკისა და სერვისების გაუმჯობესება საქართველოს რეგიონებში, ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: <https://www.undp.org/ka/georgia/press-releases/integrated-territorial-development> (ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 26 აპრილს 2023).

სხვა თანაბარ პირობებში, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოცემულ საკითხზე კვლევის ჩატარება ნაკლებად აქტუალურია, ვინაიდან გარდამავალი პერიოდი ამ ჯგუფში შემავალი ქვეყნებისათვის დაახლოებით 30 წლის წინ დაიწყო [IMF, 2000, გვ.89] და ამ საკითხის გარშემო არაერთი ნაშრომი გამოქვეყნებული [Svejnar, 2002; Blanchard, 1997; Kornai, 1999; Brada, King, Kutan, 2000; Campos, Coricelli, 2002; Gerard, 2000 და სხვა] თუმცა, ამავე დროს, რთულია ამ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი დასრულებულად მივიჩნიოთ. უფრო მეტიც, ეკონომიკის ტრანსფორმაცია და საბაზრო სისტემის ჩამოყალიბება, ეკონომიკური თავისუფლების ხელშეწყობა ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ სამიზნედ რჩება. გასული პერიოდი ცხადყოფს, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის: მიუხედავად საერთო საწყისისა ეკონომიკური ზრდის დეტერმინანტები ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია, საყურადღებოა მათი ვარიაცია დროითი ლაგის გათვალისწინებით; დისკუსიის საგანია „გარდამავალი ეკონომიკის“ ჯგუფში შემავალი ქვეყნების რაოდენობა და ეკონომიკური რეფორმების ეფექტიანობის შეფასების ინდიკატორები; მნიშვნელოვანია რეფორმების საწყისი პერიოდის მნიშვნელოვნების ანალიზი და ა.შ. მოცემული არასრული ჩამონათვალი ხაზს უსვამს წინამდებარე კვლევის აქტუალობას, რომელიც მიზნად ისახავს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის დეტერმინანტების შეფასებას გაფართოებული მოდელის საფუძველზე. კვლევის ფარგლებში შეფასებულია 25 ქვეყანა, 1996-2014 წლების მონაცემებზე დაყრდნობით<sup>28</sup>.

## 1. ლიტერატურის მიმოხილვა

ეკონომიკური ზრდის თეორიების ევოლუცია დაკავშირებულია მოდელის ფარგლებში შესაფასებელი დეტერმინანტების გაფართოებასთან [Piętak, 2014; Kawalec, 2020; Shachmurove, Zilberfarb, 2020; Joffe, 2017 და სხვა]. კერძოდ, 1950-60-იან წლებში ჩამოყალიბებული საბაზისო მოდელები ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორად განიხილავს: შრომას, კაპიტალსა და ტექნოლოგიურ პროგრესს [Solow, 1956; Swan, 1956, Mankiw, Romer, Weil, 1992]; 1980-იანი წლებში ამ ჩამონათვალს დაემატა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა [Romer, 1990; Barro, Sella-i-Martin, 1995; Olson, Sarna, Swamy, 2000]; განვითარების შემდეგი ეტაპი უკავშირდება კერძო საკუთრების, კანონის ძალის, ინსტიტუციებისა და კორუფციის განხილვას ფაქტორებს შორის [North, 1989; Acemoglu, Johnson, Robinson, 2005]. ეკონომიკური ზრდის დეტერმინანტებად, ასევე, წარმოდგენილია: ინვესტიციები, ადამიანისეული კაპიტალი, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, კერძო საკუთრების დაცვის ინდიკატორები, საგადასახადო ტვირთი, ტრანსფერენტულობა, პოლიტიკური სტაბილურობა, სტრუქტურული რეფორმები, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ვაჭრობის დიაობა [Havrylyshyn, Wolf, 1999; Campos, Coricelli, 2002; Workie, 2005; Mervar, 2003; Havrylyshyn, Izvorski, Rooden, 1998; Horowitz, 2004 და სხვა]. ნათელია, რომ ეკონომიკური ზრდა არის კომპლექსური პროცესი, რომელსაც აქვს მრავალი დეტერმინანტი [ბედიანაშვილი, 2022]. ამასთან, ეკონომიკური თეორია არ გვაძლევს

<sup>28</sup> აღნიშნული პერიოდით შემოვიფარგლეთ კვლევის მიზნებისთვის საჭირო მონაცემების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. იხილეთ, EBRD „გარდამავალი ინდიკატორები 1989-2014“, ვებგვერდი: <https://www.ebrd.com/economic-research-and-data/transition-qualities-asses.html>, ნანახია: 11/02/2023.

შეთანხმებულ პოზიციას მოდელის “სწორი” სპეციფიკაციების შესახებ [Havrylyshyn, Izvorski, Rooden, 1998, გვ.13].

ეკონომიკური ზრდის დეტერმინანტების ანალიზი ერთ-ერთი აქტუალური საკითხია, განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. რომელი ფაქტორები ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე? ამ კითხვაზე პასუხის მოძიებისას ჩატარებულ კვლევებში განსხვავებული ფაქტორებია შეფასებული, თუმცა შესაძლებელია მათი დაჯგუფება საერთო ნიშნით:

○ სტრუქტურული რეფორმები და ლიბერალიზაცია [de Melo, Denizer, Gelb, 1996; De Melo, Denizer, Tenev, 1997; Fischer, Sahay, Végh, 1996a, 1996b; Hernández-Catá 1997; Berg, Sahay, Zettelmeyer, 1999];

○ მაკროეკონომიკური სტაბილურობა [Fischer, Sahay, Végh, 1996a, 1996b; Hernández-Catá, 1997; Loungani, Sheets, 1997; Christoffersen, Doyle, 1998; Berg, Sahay, Zettelmeyer, 1999];

○ საბიუჯეტო დეფიციტი [Berg, Sahay, Zettelmeyer, 1999; Fischer, Sahay, Végh, 1996a, 1996b];

○ საწყისი მდგომარეობა [de Melo, Denizer, Gelb 1996; De Melo, Denizer, Tenev, 1997; Heybey, Murrell 1998; Berg, Sahay, Zettelmeyer, 1999].

კვლევის ავტორები, ერთი მხრივ, ხაზს უსვამენ ქვეყნებს შორის განსხვავებულ გარემო პირობებს, მეორე მხრივ, ავლენენ საერთო ფაქტორებს, რომლებიც ყველა ქვეყანაში გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. ასეთი (დამოუკიდებელი) ფაქტორებია: სტრუქტურული რეფორმები, საწყისი მდგომარეობა, ინფლაცია (მიმდინარე და ლაგით), საბიუჯეტო ხარჯები/დეფიციტი (მიმდინარე და ლაგით), ომი (ფიქტიური ცვლადი), რუბლის ზონა, გაცვლითი კურსი (ფიქტიური ცვლადი), საბჭოთა კავშირის დაშლა (ფიქტიური ცვლადი) და სხვა ფაქტორები. ამასთან, ფართოდ არის დასაბუთებული და ახსნილი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორი, რომლებზეც მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეთანხმებულია თუმცა, დღემდე სადავოდ რჩება ამ ფაქტორების ფარდობითი მნიშვნელობის საკითხი [Mervar, 2003].

ეკონომიკური ზრდის თეორიებში კონსენსუსი მიღწეულია ინვესტიციების, როგორც ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მნიშვნელოვანი ფაქტორის შესახებ. თუმცა, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რომლებიც ხასიათდებიან, მემკვიდრეობით მიღებული არაეფექტიანი სისტემით, ინვესტიციების როლი მოკლევადიან პერიოდში შეიძლება ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს ეკონომიკის სტიმულირებისათვის. აღნიშნული თავისებურების გათვალისწინებით ამ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის შეფასებისას ინვესტიციებს უფრო ნაკლები როლი ენიჭება, ვიდრე სტრუქტურულ რეფორმებსა და კერძო საკუთრების დაცვაზე ორიენტირებულ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას [Havrylyshyn, Izvorski, Rooden, 1998, გვ.24].

## 2. მოდელის შერჩევა

ეკონომიკურ მეცნიერებაში არ არის შეთანხმებული პოზიცია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მოდელზე, ასევე, არაერთმნიშვნელოვანია გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის კატეგორიაში შემავალი ქვეყნების ჩამონათვალი<sup>29</sup>.

<sup>29</sup>გაერო-17 ქვეყანა [UN, 2022], EBRD-35 ქვეყანა (იხ. „გარდამავალი ინდიკატორები“), IMF - 31 ქვეყანა [IMF, 2000].

ეკონომიკის ისტორიაში გარდამავალი ეკონომიკის ყველაზე ცნობილ მაგალითად გვევლინება ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნები, რომლებიც ეკონომიკის ცენტრალიზებული დაგეგმვიდან, უმოკლეს დროში გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ჯგუფში აღმოჩნდნენ. გარდამავალ ეკონომიკებად განიხილება ის ქვეყნები, რომლებიც ახორციელებენ მაკროეკონომიკურ რეფორმებს, რათა შეცვალონ ეკონომიკის მართვის გზები. ტრადიციულად, ეს გულისხმობს, სტრუქტურულ რეფორმებს სახელმწიფოს მიერ მართული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად [Round, 2009]. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების გატარების ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიზეზად იქცა არაეფექტიანი ეკონომიკის არსებობა, სადაც ეკონომიკური ზრდის 90% მიღწეული იყო რესურსების (მიწა, სამუშაო ძალა, კაპიტალი) გადიდების ხარჯზე. ეკონომიკური მოდელის ტრანსფორმაცია და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში განსხვავებული გზებით მიმდინარეობდა [Havrylyshyn, 2007, გვ.6] თუმცა, ყველა ქვეყანაში ტრანსფორმაციის საწყისი პერიოდი ეკონომიკური ზრდის ტემპის მკვეთრი შემცირებით დაიწყო (ცხრილი 1). ამ ქვეყნებში ეკონომიკის შემცირების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 1992 წელს (-44.9%), ზრდის 1990 წელს (35.4%), ხოლო 2000 წელს ყველა ქვეყანაში პირველად დაფიქსირდა ეკონომიკური ზრდა. ამ წლისათვის გამოყენებული ყველა სტატისტიკური მაჩვენებელი დადებულია.

ცალკეული ავტორი ეკონომიკური ზრდის მკვეთრი შემცირების მიზეზად “ტრანსფორმაციის” რეცესიას ასახელებს და მიუთითებს შემდეგი ცვლილებების არსებობაზე: გამყიდველის ბაზრიდან მყიდველის ბაზარზე გადასვლა (ფასების ლიბერალიზაცია), ბიუჯეტის მდგრადი სისტემა (პრივატიზაცია, სახელმწიფო დახმარებებისა და ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება), რომელიც საბაზრო ეკონომიკისკენ ორიენტირებული ქვეყნით ხელს უწყობს ყველა ეკონომიკური აგენტის სარგებლის მაქსიმიზაციას [Kornai, 1994]; რესურსების გადაადგილება ძველიდან ახალ აქტივობებზე და რესტრუქტურისაციისას არსებული ფირმების გადარჩენა [Blanchard, 1997]; ეკონომიკური რეფორმების ეფექტიანობისათვის, ასევე, მნიშვნელოვანია რეფორმების საწყისი მდგომარეობა [De Melo, Denizer, Gelb, 1997; Fischer, Sahay, Carols, 1998].

**ცხრილი 1.** ეკონომიკური ზრდა გარდამავალ ეკონომიკებში (1989-2000)

ქვეყნები	1989	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000
ალბანეთი	9.8	-9.6	-28.0	-7.2	9.6	8.3	13.3	9.1	-10.9	8.8	12.9	6.9
სომხეთი			-11.7	-41.8	-8.8	5.4	6.9	5.9	3.3	7.3	3.3	5.9
აზერბაიჯანი			-0.7	-22.6	-23.1	-19.7	-11.8	1.3	5.8	10.0	7.4	11.1
ბულგარეთი	-3.3	-9.1	-8.4	-7.3	-1.5	1.8	2.9	5.2	-14.1	3.8	-8.4	4.6
ბელორუსია			-1.2	-9.6	-7.6	-11.7	-10.4	2.8	11.4	8.4	3.4	5.8
ჩეხეთი			-11.6	-0.5	0.1	2.9	6.5	4.3	-0.5	-0.4	1.4	4.0
ესტონეთი								4.9	13.1	4.3	-0.4	10.1

საქართველო	-7.2	-14.8	-21.1	-44.9	-29.3	-10.4	2.6	11.2	10.5	3.1	2.9	1.8
ხორვატია								6.3	6.2	2.3	-0.7	2.9
უნგრეთი				-3.1	-0.6	2.9	1.5	0.1	3.1	3.9	3.1	4.5
ყაზახეთი			-11.0	-5.3	-9.2	-12.6	-8.2	0.5	1.7	-1.9	2.7	9.8
ყირგიზეთი	2.8	5.7	-7.9	-13.8	-15.5	-20.1	-5.4	7.1	9.9	2.1	3.7	5.4
ლიტვა								5.2	8.3	7.5	-1.1	3.7
ლატვია								2.6	8.8	6.3	2.8	5.7
მოლდოვა								-5.9	1.6	-6.5	-3.4	2.1
ჩრდილოეთ მაკედონია			-6.2	-6.6	-7.5	-1.8	-1.1	1.2	1.4	3.4	4.3	4.5
პოლონეთი			-7.0	2.5	3.7	5.3	7.1	6.1	6.4	4.6	4.7	4.6
რუმინეთი			-12.9	-8.8	1.5	3.9	6.2	3.9	-4.8	-2.0	-0.4	2.5
რუსეთი		-3.0	-5.0	14.5	-8.7	-12.6	-4.1	-3.8	1.4	-5.3	6.4	10.0
სლოვაკეთი					1.9	6.2	5.8	6.6	5.9	4.1	-0.1	1.2
სლოვენია								3.2	5.0	3.3	5.3	3.7
ტაჯიკეთი	-6.5	-0.6	-7.1	29.0	-16.4	-21.3	12.4	-16.7	1.7	5.3	3.7	8.3
თურქმენეთი	-4.3	35.4	-4.6	15.0	1.5	-17.3	-7.2	6.7	11.4	7.1	16.5	5.5
უკრაინა	3.9	-6.3	-8.7	-9.9	-14.2	-22.9	12.2	-10.0	-3.0	-1.9	-0.2	5.9
უზბეკეთი	3.1	1.6	-0.5	11.2	-2.3	-5.2	-0.9	1.7	5.2	4.3	4.3	3.8
<i>ყველა ქვეყანა</i>												
საშუალო	-0.2	-0.1	-9.0	13.8	-6.6	-6.2	-1.1	2.4	2.6	3.3	3.0	5.4
მედიანური	-0.3	-3.0	-7.9	-9.8	-7.5	-5.2	-0.9	3.9	3.3	3.9	3.1	4.6
ყველაზე მაღალი	9.8	35.4	-0.5	2.5	9.6	8.3	13.3	11.2	11.4	10.0	16.5	11.1
ყველაზე დაბალი	-7.2	14.8	-28.0	44.9	-29.3	-22.9	12.4	-16.7	14.1	-6.5	-8.4	1.2

წყარო: [www.worldbank.org](http://www.worldbank.org).

შენიშვნა: ქვეყნები შერჩეულია EBRD-ის „გარდამავალი ინდიკატორების 1989-2014“ საფუძველზე.

გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში განხორციელებული რეფორმები მოიცავს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. შესაბამისად, რეფორმებსა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას შორის კავშირის შეფასებისათვის უპირატესია პანელური მოდელის გამოყენება, რომელიც გვამძლევს შესაძლებლობას დროის მოცემული პერიოდის განმავლობაში ერთსა და იმავე ჯვარედინი ერთეულები შევავსოთ. როგორც ცნობილია, პანელური მონაცემების სიმრავლე შესდგება მონაცემთა სიმრავლეში შემავალი თითოეული ჯვარედინი წევრის დროითი მწკრივებისაგან (ასეთი მოდელი უფრო მოქნილია და ქვეყნების მიხედვით განსხვავებული ქვეყნების მოდელირების შესაძლებლობას იძლევა). პანელური მოდელის შეფასებისათვის შემდეგი ორი ძირითადი პროცედურა გამოიყენება: ფიქსირებული ეფექტი - აღნიშნული მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია, როდესაც საქმე გვაქვს შესაფასებელი ქვეყნების დიდ რაოდენობასთან, რომელთა მონაცემები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით [Greene, 2002]; შემთხვევითი ეფექტი - ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ პანელური მონაცემების მოდელში შემავალი დროში მუდმივი დაუკვირვებადი ფაქტორები არაკორელირებულია მოდელის ამხსნელ ცვლადებთან დროის თითოეულ პერიოდში. რეგრესიულ ანალიზს არ შეუძლია “ახსნას” ეკონომიკური ზრდა, მაგრამ მას საუკეთესოდ შეუძლია მოახდინოს მისი ბუნების შეფასება [Harberger, 1998].

ეკონომიკური ზრდის პანელური მოდელი [Mankiw, Romer, Weil, 1992; Islam, 1995; Barro, 1997; Barro, Sala, 2004] შემდეგი სახისაა:

$$g_{it} = \beta Z_{it} + \lambda X_{it} + v_t + \mu_i + \varepsilon_{it}, \quad (1)$$

სადაც,  $g_{it}$  დამოკიდებული ცვლადია - (i) ქვეყნის მთლიან სამამულო პროდუქტის (GDP) ზრდა მოცემულ (t) პერიოდში;  $Z, X$  -ძირითადი ამხსნელი ცვლადები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ დამოკიდებულ ცვლადზე;  $\mu_i$  - ქვეყნის არადაკვირვებადი ფაქტორები, რომლებიც დროში არ იცვლებიან (თითქმის არ იცვლება);  $v_t$  - სპეციფიკური დროის ფაქტორი (ფიქტიური ცვლადი);  $\varepsilon_{it}$  - შეცდომების (ინოვაციების) ცვლადი.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის დეტერმინანტების შეფასებისათვის წინამდებარე კვლევა ეყრდნობა ჰავრილიშან, იზვორსკისა და როდენის ნაშრომს<sup>30</sup>, რომელიც თავის მხრივ მოიცავს (1) მოდელის მახასიათებლებს. აღნიშნულის გათვალისწინებით შესაფასებელი საბაზისო მოდელია:

$$Y_{i,t} = a_i + b_0 LNP_{i,t} + b_1 LNP_{i,t-1} + b_2 LNP_{i,t-2} + c_0 RI_{i,t} + c_1 RI_{i,t-1} + c_2 RI_{i,t-2} + d_0 g_{i,t} + d_1 g_{i,t-1} + d_2 g_{i,t-2} + \varepsilon_{i,t}. \quad (2)$$

სადაც,  $Y$ -მთლიან სამამულო პროდუქტის (GDP) რეალური ზრდა (%-ში);  $LNP$ -ინფლაციის მაჩვენებელი;  $RI$  - სტრუქტურული რეფორმების ინდექსი<sup>31</sup>;  $g$  - მთავრობის ხარჯები (პროცენტული წილი მთლიან სამამულო პროდუქტში (GDP)).

შეიძლება ითქვას, რომ (2) მოდელის ვერიფიცირებული ვარიანტების მიხედვით სტრუქტურულ რეფორმებს დადებითი გავლენა აქვს მთლიან სამამულო პროდუქტზე (GDP), ხოლო ინფლაციას უარყოფითი [Ari., Pula., Sun, 2022, 2021; Egert, 2017]. რაც შეეხება მთავრობის ხარჯების გავლენას მთლიან სამამულო პროდუქტზე (GDP), ცალკეული კვლევით დასტურდება მთავრობის ხარჯებსა და მთლიან

<sup>30</sup>Havrylyshyn, O., Izvorski, I., Rooden, R. (1998). Recovery and growth in transition economies, 1990-97: a stylized regression analysis. IMF/WP/98/141

<sup>31</sup> EBRD-ის მიერ შეფასებული ინდიკატორების საშუალო სიდიდე, გაანგარიშებულია ავტორის მიერ. .



სამამულო პროდუქტს (GDP) შორის პოზიტიური კავშირი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. ამ ქვეყნებში ჩატარებული რეფორმებიც ცხადყოფს, რომ კეინზიანურ პოლიტიკას დადებითი ეფექტი აქვს სწორი საბიუჯეტო პოლიტიკის პირობებში, ხოლო მთავრობის ხარჯების ეფექტიანობა მცირდება მის მიერ “სოციალური” პროექტების დაფინანსების ზრდისას [Havrylyshyn, Izvorski, Rooden, 1998, გვ.13-15]. ამასთან, ფისკალური პოლიტიკამ, კერძოდ საშუალო საგადასახადო განაკვეთის ზრდამ ერთობლივ მოთხოვნაზე შეიძლება იმოქმედოს როგორც დადებითად ასევე უარყოფითად. აღნიშნული ზემოქმედების ხასიათს განსაზღვრავს შინამეურნეობის მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილებასა და მთავრობის შესყიდვისადმი ზღვრულ მიდრეკილებას შორის არსებული თანაფარდობა. ქვეყნებისა და დროის პერიოდის მიხედვით ეს თანაფარდობა, როგორც წესი, განსხვავებულია [ანანიაშვილი, ზარდაველიძე, 2018].

(2) მოდელი მოიცავს ეკონომიკური ზრდის დეტერმინანტების აუცილებელ მაგრამ არასაკმარის რაოდენობას. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების განხორციელებული რეფორმები და მაკროეკონომიკური გამოწვევები მიგვითითებს ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორების დეტალური შეფასების მნიშვნელოვნებაზე [ტაბაღა, 2019, გვ.60-89]. ასეთ ფაქტორებს შორისაა: ინვესტიციები; ფასების ლიბერალიზაცია; სავაჭრო და გაცვლითი რეჟიმი; ბაზარზე შესვლის მაჩვენებელი (კონკურენციის პოლიტიკა) და პრივატიზაცია. მოცემული გარემოებები გვიბიძგებს, (2) მოდელის გაფართოებისკენ<sup>32</sup>, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$Y_{i,t} = a_i + b_0LNP_{i,t} + b_1LNP_{i,t-1} + b_2LNP_{i,t-2} + c_0RI_{i,t} + c_1RI_{i,t-1} + c_2RI_{i,t-2} + d_0g_{i,t} + d_1g_{i,t-1} + d_2g_{i,t-2} + e_0LIP_{i,t} + e_1LIP_{i,t-1} + e_2LIP_{i,t-2} + f_0LEN_{i,t} + f_1LEN_{i,t-1} + f_2LEN_{i,t-2} + C_0LEX_{i,t} + C_1LEX_{i,t-1} + C_2LEX_{i,t-2} + g_0LSP_{i,t} + g_1LSP_{i,t-1} + g_2LSP_{i,t-2} + d_0IN_{i,t} + d_1IN_{i,t-1} + d_2IN_{i,t-2} + \epsilon_{i,t}$$

სადაც, LIP - ფასების ლიბერალიზაციის ინდექსი; LEN - ბაზარზე შესვლის მაჩვენებელი (კონკურენციის პოლიტიკა); LEX - სავაჭრო და გაცვლითი რეჟიმი; LSP - პრივატიზაციის ინდექსი (დიდი და მცირე მასშტაბის პრივატიზაციის ინდიკატორების საშუალო სიდიდე); IN - ინვესტიციები (%-ლი წილი მთლიან სამამულო პროდუქტში (GDP)).

თეორიულ დონეზე შეგვიძლია დავუშვათ, რომ ამ ფაქტორების შესაფასებელი კოეფიციენტები ( $e_0, e_1, e_2; f_0, f_1, f_2; c_0, c_1, c_2; g_0, g_1, g_2; d, d_1, d_2$ ) დადებითია, თუმცა გარდამავალი ეკონომიკებისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გამო, ფაქტორების დროითი ლაგით ანალიზისას, შესაძლებელია ზოგიერთი მათგანი უარყოფითი აღმოჩნდეს. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), მსოფლიო ბანკისა (WB) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) შესაბამისი მონაცემები.

### 3. მოდელის შეფასება და მიღებული შედეგები

#### 3.1. შეფასება

(3) მოდელი გავანალიზეთ გარდამავალი ეკონომიკის ჯგუფში შემავალი 25 ქვეყნის მაგალითზე (ცხრილი 1), 1996-2014 წლების მონაცემების გამოყენებით (ტაბაღა, 2019, გვ.60-89). სადაც, დამოკიდებული ცვლადია: Y, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადებია: LNP; RI; g; LIP; LEN; LEX; LSP; IN. მოდელის ფარგლებში

<sup>32</sup>აღნიშნული მიდგომა აპრობირებულია სხვადასხვა კვლევებშიც [Popov, 2006; Piatkowski, 2002; Bassanini., Scarpetta., Hemmings, 2001; Zinnes, Eilat., Sachs, 2001 და სხვა].

განხილული ფაქტორების განსხვავებულ პერიოდში შეფასებისათვის საანალიზო პერიოდი, დაყავით ორ ნაწილად: 1999-2007 და 2007-2014 წლები.

აღსანიშნავია, რომ ანალიზის გაფართოების მიზნით არ შემოვიფარგლეთ (3) მოდელის ერთი სპეციფიკაციით და განვიხილეთ მისი რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფაქტორთა მოცვის ხარისხით. გარდა ამისა, სხვადასხვა ვარიანტისთვის გამოვიყენეთ ფიქსირებული და შემთხვევითი ეფექტის მეთოდები.

მოდელების სტატისტიკური მნიშვნელოვნების შეფასებისთვის გამოყენებულია: დეტერმინაციის ჩვეულებრივი და კორექტირებული  $R^2$  და  $\bar{R}^2$  კოეფიციენტები, დარბინ-უოტსონის სტატისტიკა (DW); F-სტატისტიკა და ჰაუსმანის (Hausman) ტესტი (ფიქსირებული და შემთხვევითი ეფექტების არჩევისას).

### 3.2. შედეგები

მოკლედ დავახასიათოთ (3) მოდელის სხვადასხვა ვარიანტების შეფასებები და მიღებული შედეგები:

**შემთხვევითი ეფექტების მოდელი.** სულ გაანალიზებულია 9 მოდელი (ცხრილი 2)<sup>33</sup>, რომელთა შორის კარგი სტატისტიკური შეფასებებით ხასიათდება (A6) მოდელი, სადაც ამხსნელ ფაქტორებად განხილულია ინფლაცია (LNP), მთავრობის ხარჯები (g), ფასების ლიბერალიზაციის ინდექსი (LIP), კონკურენციის პოლიტიკა (LEN), ვაჭრობა და უცხოური გაცვლითი სისტემა (LEX), პრივატიზაციის ინდექსი (LSP), ინვესტიციები (IN). ამ ფაქტორებიდან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა: მთავრობის ხარჯები (g), კონკურენციის პოლიტიკა (LEN) და ინვესტიცია (IN). ამასთან, მთლიან სამამულო პროდუქტზე (GDP)<sup>34</sup> მთავრობის ხარჯების გავლენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია პირველ პერიოდში, ხოლო მომდევნო პერიოდში ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება; კონკურენციის პოლიტიკა მთლიან სამამულო პროდუქტზე (GDP) მხოლოდ ერთი ლაგის დაგვიანებით ახდენს სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას; რაც შეეხება ინვესტიციებს, შეიძლება ითქვას, რომ ეს ფაქტორი ყველა სხვა დანარჩენთან შედარებით სტაბილური ზემოქმედებით გამოირჩევა და სამივე ლაგისთვის მნიშვნელოვანია. აუცილებელია აღინიშნოს, რომ როგორც (A6) მოდელში, ასევე, სხვა მოდელებშიც ზოგიერთი ფაქტორის შეფასებული კოეფიციენტის ნიშანი არ არის თანხვედრაში ზოგად თეორიულ საფუძვლებთან<sup>35</sup>.

მე-2 ცხრილში წარმოდგენილი სხვა მოდელებისა და ცვლადების ზოგადი შეფასება შემდეგ თავისებურებებზე მიგვითითებს:

○ ინფლაციის (LNP) უარყოფითი გავლენა მთლიან სამამულო პროდუქტზე (GDP) დასტურდება ყველა მოდელში;

○ სტრუქტურული რეფორმების ინდექსი (RI) ჩართული იყო მხოლოდ ერთ მოდელში და შეფასების მიხედვით მთლიან სამამულო პროდუქტზე (GDP) ეს ფაქტორი დადებითად ზემოქმედებს როგორც საწყის პერიოდში ასევე გრძელვადიან პერიოდში;

<sup>33</sup> ამ მეთოდით პანელური მოდელის გაანალიზება განპირობებულია “ჰაუსმანის ტესტით”.

<sup>34</sup> იხილეთ, პაპავა, სილაგაძე (2019).

<sup>35</sup> მაგალითად, (A6) მოდელის მიხედვით მთლიან სამამულო პროდუქტზე (GDP) მთავრობის ხარჯების და ინვესტიციების გრძელვადიანი გავლენა უარყოფითია.

○ მოდელების უმრავლესობის თანახმად მთავრობის ხარჯების (გ) გრძელვადიანი გავლენა მთლიან სამამულო პროდუქტზე (GDP) უარყოფითია;

○ მოდელებში მთლიან სამამულო პროდუქტზე (GDP) ზემოქმედების თვალსაზრისით არაერთგვაროვან სურათს ვაწყდებით ფასების ლიბერალიზაციის ინდექსა (LIP) და გაცვლით რეჟიმისთან (LEX) მიმართებაში;

○ მოდელების უმრავლესობაში ბაზარზე შესვლის მაჩვენებელი (LEN) სტატისტიკურად მნიშვნელოვან ეფექტს ერთი ლაგის დაგვიანებით იძლევა და ეს ეფექტი მთლიან სამამულო პროდუქტზე (GDP) ძირითადად უარყოფითია;

○ პრივატიზაციის ინდექსი (LSP) ჩართული იყო მხოლოდ ორ მოდელში. ორივე მათგანის მიხედვით LSP მთლიან სამამულო პროდუქტზე (GDP) დადებით გავლენას ახდენს საწყის პერიოდში, გრძელვადიანი ეფექტი კი უარყოფითია;

○ ყველა მოდელში ინვესტიციების დადებითი გავლენა მთლიან სამამულო პროდუქტზე (GDP) ძირითადად გრძელვადიან პერიოდში ვლინდება.

**საწყისი მდგომარეობა.** ცალკეულ კვლევებში გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის მქონე ქვეყნებში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების წარმატების თუ წარუმატებლობის განმაპირობებელ ფაქტორად ქვეყნის საწყისი მდგომარეობაც განიხილება [Fischer, Sahay, 2004]. საწყისი მდგომარეობის პირველი სტრუქტურული ანალიზი დე მელოს, დენიზერის და ტენევის<sup>36</sup> მიერ განხორციელდა, შემდეგი 11 კრიტერიუმის გამოყენებით: 1. ქვეყნის მდებარეობა<sup>37</sup>; 2. გასული პერიოდის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი; 3. განსხვავება ქვეყნებს შორის 1989 წლამდე ან მის მერე მიღებული დამოუკიდებლობით; 4. ბუნებრივი რესურსების რაოდენობა; 5. ინდუსტრიალიზაციის დონე; 6. ურბანიზაცია; 7. მთლიანი სამამულო პროდუქტი (GDP) ერთ სულზე 1989 წლის მაჩვენებლით; 8. ინფლაცია; 9. სავაჭრო დამოკიდებულება კომუნისტურ ქვეყნებს შორის; 10. ჩრდილოვანი ბაზარი და გაცვლითი კურსი; 11. კომუნისტურ სისტემაში გატარებული წლების რაოდენობა. როგორც მოყვანილი ჩამონათვალი გვიჩვენებს, საწყისი მდგომარეობის შეფასებისათვის ეკონომიკური თუ არაეკონომიკური ინდიკატორები გამოიყენება, რომლებიც ცალკეულ კვლევებში განსხვავებული კომბინაციითა და შინაარსით გვხვდება [Godoy, Stiglitz, 1992, გვ.6-9].

ზემოაღნიშნულისა გათვალისწინებით გადამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში საწყისი მდგომარეობის შეფასებისათვის გამოვიყენეთ ფაქტორები, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმაციის პერიოდში მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ ინდიკატორად შეიძლება მივიჩნიოთ: ფასების ლიბერალიზაციის ინდექსი (LIP); კონკურენციის პოლიტიკა (LEN); ვაჭრობა და გაცვლითი სისტემა (LEX); პრივატიზაციის ინდექსი (დიდი და მცირე მასშტაბის პრივატიზაციის ინდიკატორების საშუალო სიდიდე) (LSP); ინვესტიციები (IN). ამ ფაქტორების განსხვავებული კომბინაციით შევაფასეთ 11 მოდელი ფიქსირებული ეფექტის გამოყენებით, რაც ამ საკითხთან მიმართებაში ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდია [De Melo, Denizer, Tenev, 1997; Heybey, Murrell 1998; Berg, Sahay, Zettelmeyer, 1999]. ყველაზე მაღალი საწყისი მდგომარეობის მაჩვენებლით ხასიათდება: აზერბაიჯანი, უნგრეთი, ყაზახეთი, ხოლო მინიმალურით ბულგარეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, საქართველო,

<sup>36</sup> De Melo, M., Denizer, C., Tenev, S.(1997). Circumstances and choice: the role of initial conditions and policies in transition economies. World Bank Policy Research Working Paper No. 1866.

<sup>37</sup> იგულისხმება ცენტრალური ევროპის ქვეყნებიდან დაშორება.

მოლდოვა, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი. ქვეყნების უმრავლესობაში აღნიშნული საწყისი მდგომარეობა აღარ წარმოადგენს მთლიან სამამულო პროდუქტზე (GDP) გავლენის მქონე დეტერმინანტს (ცხრილი 3). ამასთან, ნათელია, რომ აღნიშნული ფაქტორის გავლენა მთლიან სამამულო პროდუქტზე (GDP) საკმაოდ მაღალია რეფორმების საწყის პერიოდში.

**ცხრილი 2.** მთლიანი სამამულო პროდუქტის (GDP) შერჩეული დეტერმინანტების შეფასება (შემთხვევითი ეფექტი, 1998-2014 წლები)

დამოკიდებული ცვლადი: მთლიანი სამამულო პროდუქტი (GDP)									
ცვლადები	A1	A2	A3	A4	A5	A6	A7	A8	A9
LNP	-0.008 (-0.62)	-0.01 (-0.85)	-0.002 (0.13)	-0.26 (-1.79)	-0.003 (-0.21)	-0.02 (-1.55)	-0.01 (-0.65)	-0.009 (-0.56)	-0.007 (0.63)
LNP-1	-0.0005 (-0.12)	-0.002 (-0.50)	-0.005 (-0.03)	-0.001 (-0.23)	-0.004 (-0.78)	-0.001 (0.25)	-0.009 (-0.20)	-0.003 (-0.61)	-0.001 (-0.53)
LNP-2	-0.005 (-1.66)	-0.006 (-2.16)	-0.005 (-1.18)	-0.006 (-2.15)	-0.005 (-1.71)	-0.003 (-1.30)	-0.004 (-1.61)	-0.004 (-1.54)	-0.004 (-1.48)
RI	7.11 (1.64)								
RI-1	-12.83 (-2.12)								
RI-2	3.37 (0.91)								
g	-0.31 (-3.79)				-0.32 (-3.85)	-0.27 (-3.56)	-0.28 (-3.60)	-0.32 (-3.88)	
g-1	0.03 (0.32)				0.03 (0.34)	0.09 (0.93)	0.07 (-0.77)	0.05 (0.50)	
g-2	0.06 (0.85)				0.05 (0.65)	-0.02 (-0.29)	-0.007 (-0.09)	0.04 (0.57)	
LIP		0.98 (0.70)	-0.76 (-0.34)		-0.96 (-0.39)	-0.30 (-0.14)	-1.90 (-0.86)	-0.35 (-0.14)	
LIP-1		0.79 (0.79)	1.31 (0.43)		1.08 (0.37)	-0.13 (-0.05)	0.70 (0.27)	0.69 (0.24)	
LIP-2		-1.08 (0.65)	-3.59 (-1.52)		-1.83 (-0.08)	1.16 (0.56)	0.37 (0.17)	-1.19 (-0.51)	
LEN		2.25 (0.15)		2.36 (1.62)	2.33 (1.55)	1.23 (0.93)	1.49 (1.10)	2.12 (1.42)	
LEN-1		-4.92 (0.01)		-4.94 (-2.57)	-4.36 (-2.35)	-4.18 (-2.48)	-3.70 (-2.23)	-4.57 (-2.46)	
LEN-2		1.15 (0.38)		0.47 (0.38)	1.81 (1.41)	1.78 (1.54)	1.45 (1.25)	2.06 (1.58)	
LEX		0.21 (0.90)			0.83 (0.45)	0.88 (0.55)	0.29 (0.17)	1.006 (0.55)	
LEX-1		-1.90 (0.42)			-1.07 (-0.46)	-1.03 (-0.50)	-1.11 (-0.54)	-0.94 (-0.41)	
LEX-2		-0.64 (0.70)			-0.44 (-0.27)	0.30 (0.21)	0.02 (0.01)	-0.20 (-0.12)	
LSP						0.61 (0.31)		2.96 (1.36)	
LSP-1						-3.77 (1.55)		-3.84 (-1.42)	

LSP-2						1.67 (1.11)		-0.05 (-0.03)	
IN	0.13 (1.76)					0.47 (9.50)	0.48 (9.48)		0.51 (9.92)
IN-1	-0.03 (-0.31)					-0.19 (-2.99)	-0.21 (-3.24)		-0.25 (-3.90)
IN-2	-0.12 (-1.16)					-0.19 (-3.83)	-0.18 (-3.53)		-0.25 (-4.92)
R <sup>2</sup>	0.20	0.11	0.04	0.08	0.22	0.43	0.36	0.25	0.23
$\bar{R}^2$	0.18	0.08	0.02	0.06	0.19	0.40	0.33	0.22	0.22
F- სტატისტიკა	11.41	4.15	2.99	5.93	7.49	14.14	12.48	7.45	20.23
DW	1.23	1.24	1.19	1.86	1.22	1.35	1.41	1.21	1.29
ჰაუსმან ტესტი	0.61	0.78	0.11	0.03	0.12	0.01	0.49	0.48	0.00

ცხრილი 3. საწყისი მდგომარეობის შეფასება (ფიქსირებული ეფექტი, 1998-2014 წწ)

	A1	A2	A3	A4	A5	A6	A7	A8	A9	A10	A11
ალბანეთი	-0.90	0.31	-0.30	0.71	0.83	-0.62	-1.98	-0.65	-1.81	-2.25	-0.43
სომხეთი	-1.88	2.05	1.43	2.65	2.42	0.99	-3.21	2.10	-1.36	-3.73	2.05
აზერბაიჯანი	2.07	4.11	4.63	5.60	5.32	4.69	2.20	4.32	3.03	3.55	5.69
ბელორუსია	2.17	-1.19	-0.32	-0.53	-0.03	0.86	3.24	-3.56	-0.38	4.87	0.13
ბულგარეთი	0.51	-0.05	-0.04	-0.55	-0.45	-0.38	0.56	-7.18	0.30	-0.31	-1.33
ხორვატია	0.45	-2.53	-2.79	-3.33	-3.00	-3.01	0.20	-2.33	-0.33	0.12	-3.12
ესტონეთი	2.30	0.78	0.60	-0.78	-0.97	0.38	2.81	0.19	1.54	2.16	-1.57
მაკედონია	-1.83	-1.89	-2.60	-1.65	-1.64	-2.90	-2.78	0.33	0.12	-2.91	-0.50
საქართველო	-2.27	1.08	0.28	1.09	1.12	-0.20	-3.50	0.54	-2.42	-4.28	0.01
უნგრეთი	4.63	-0.19	-0.28	-2.00	-2.10	-0.60	5.51	-0.33	3.52	4.89	-2.47
ყირგიზეთი	-0.75	0.08	-0.56	0.33	0.28	-1.02	-1.61	-0.21	-1.04	-2.10	-0.68
ლატვია	1.86	0.42	0.46	-0.28	-0.45	0.17	2.27	-0.08	1.26	2.05	-1.27
ლიტვა	0.99	0.37	0.62	-0.69	-0.69	0.47	1.57	1.10	1.72	1.08	-0.65
მოლდოვა	-0.23	-1.43	-1.34	-1.37	-0.56	-1.56	-0.73	-1.17	-0.84	-0.59	-1.35
პოლონეთი	0.59	0.68	0.81	-0.68	-0.69	0.59	1.11	0.99	1.36	1.14	-0.85
რუმინეთი	-1.09	-1.20	-0.87	-1.38	-1.12	-1.31	-0.74	-0.76	-0.61	-1.127	-2.04
რუსეთი	-0.37	-0.77	-0.80	-0.84	-1.07	-0.51	0.23	-0.78	-0.08	0.22	-0.44
სლოვაკეთი	2.95	1.12	1.04	-0.69	-0.62	0.90	3.46	1.44	2.73	2.88	-0.64

სლოვენია	1.36	-1.69	-1.81	-2.62	-2.08	-2.02	1.27	-1.64	0.55	1.66	-2.43
ტაჯიკეთი	-2.77	0.83	1.10	2.28	2.09	1.44	-3.05	1.34	-1.22	-2.45	2.91
თურქმენეთი	-2.56	2.88	3.90	6.37	5.83	5.40	-2.20	4.33	0.35	-0.48	9.41
უკრაინა	-0.32	-2.94	-2.61	-2.43	-2.7	-2.43	0.46	-2.28	-0.07	0.63	-1.91
უზბეკეთი	-0.96	-1.17	-0.57	0.035	-0.25	0.70	-0.34	-2.35	-2.50	-0.35	1.26
ყაზახეთი	-3.94	0.36	0.02	0.80	0.59	-0.01	-4.74	-0.52	-3.82	-4.70	0.27

**ცხრილი 4.** მთლიანი სამამულო პროდუქტის (GDP) ზრდის პანელური მოდელი (1999-2007 წწ)

ცვლადები	A1	A2	A3	A4	A5	A6
LNP	-0.02 (-1.87)	-0.02 (-1.93)	-0.01 (-1.18)	-0.02 (-2.41)	-0.02 (-2.31)	-0.02 (-2.23)
RI	-1.11 (-0.66)			-3.55 (-2.26)	-3.08 (-3.37)	
g	-0.19 (-4.15)	-0.20 (-4.40)	-0.21 (-4.69)			-0.23 (-5.25)
LIP						-2.89 (-1.66)
LEN	-0.73 (-2.60)	-1.31 (-2.35)				1.13 (0.15)
LEX			-0.40 (-0.47)			0.85 (0.97)
LSP				0.23 (0.22)		-0.61 (-0.76)
IN	0.24 (5.83)	0.23 (5.68)	0.21 (5.07)	0.23 (5.68)	0.23 (5.68)	0.20 (5.17)
R <sup>2</sup>	0.18	0.18	0.16	0.12	0.12	0.21
$\bar{R}^2$	0.16	0.16	0.15	0.11	0.11	0.19
F-სტატისტიკა	9.53	11.93	10.55	7.80	10.27	8.08
DW	1.48	1.47	1.44	1.36	1.38	1.40

**ცხრილი 5.** მთლიანი სამამულო პროდუქტის (GDP) ზრდის პანელური მოდელი (2007-2014 წწ)

ცვლადი	A1	A2	A3	A4	A5	A6
LNP	-0.001 (-0.02)	-0.001 (-0.03)	-0.038 (-0.78)	-0.05 (-0.92)	-0.05 (-0.95)	-0.003 (-0.69)
RI	0.04 (0.03)			-4.72 (-3.07)	-4.31 (-6.01)	
g	-0.33 (-7.05)	-0.33 (-8.36)	-0.36 (-7.07)			-0.35 (-7.11)
LIP						0.36 (0.86)

LEN	-1.35 (-1.55)	-1.33 (-2.88)				-1.03 (-0.80)
LEX			-0.38 (-0.63)			1.02 (1.34)
LSP				0.33 (0.30)		-1.27 (-1.68)
IN	0.20 (5.32)	0.21 (5.33)	0.22 (5.34)	0.23 (4.90)	0.23 (4.92)	0.22 (5.62)
R <sup>2</sup>	0.38	0.38	0.35	0.22	0.22	0.38
$\bar{R}^2$	0.36	0.37	0.33	0.20	0.21	0.36
DW	1.65	1.65	1.60	1.63	1.63	1.65
F-სტატისტიკა	23.17	29.20	25.38	13.48	18.12	16.69

**განსხვავებულ პერიოდთა შეფასება.** ორლაგიაანმა მოდელმა გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნა განხილული დეტერმინანტების როლზე ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის. ამავე დროს შეფასებულ ლაგურ მოდელში ცვლადთა საკმარისად დიდი რაოდენობა სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი აღმოჩნდა, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შეგვეფასებინა პანელური მოდელი ლაგური ცვლადების გათვალისწინების გარეშე. ასეთი მიდგომა ფორმალური ანალიზის თვალსაზრისით, გამართლებულია და უფრო დამაჯერებელ წარმოდგენას იძლევა ამა თუ იმ ფაქტორის როლისა და მნიშვნელობის შესახებ. გარდა ამისა, იმის დასადგენად, შეიცვალა თუ არა წლების განმავლობაში დეტერმინანტების როლი განხილულ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის სტიმულირების პროცესში, საანალიზო პერიოდებისთვის (1999-2007; 2007-2014 წლები) შევაფასეთ პანელური მოდელის ერთნაირი ვარიანტები (ცხრილი 4, ცხრილი 5).

#### 4. დასკვნა

წინამდებარე კვლევის ფარგლებში წარმოდგენილმა გაფართოებული მოდელმა მთლიანობაში გაამართლა. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის მოცემული დეტერმინანტების უმრავლესობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. ამასთან გვინდა გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება: ინფლაციისა და მთავრობის ხარჯების გავლენა მთლიან სამამულო პროდუქტზე (GDP) უარყოფითია; სტრუქტურული რეფორმების, ფასების ლიბერალიზაციის გავლენა მთლიან სამამულო პროდუქტზე (GDP) უარყოფითია 1999-2007 წლებში, დადებითია 2007-2014 წლებში; გაცვლითი რეჟიმის გავლენა მთლიან სამამულო პროდუქტზე (GDP) უარყოფითია (A3), ხოლო დადებითია (A6) მოდელში; ანალოგიური მდგომარეობაა პრივატიზაციის ინდექსის შემთხვევაში (A4 და A6 მოდელები); ინვესტიციების გავლენა მთლიან სამამულო პროდუქტზე (GDP) მნიშვნელოვანია ორივე პერიოდში, შეფასებული კოეფიციენტი 0.20-0.24 შუალედშია. ინვესტიციების მაქსიმალური მნიშვნელობა დაფიქსირდა (A1) მოდელში პირველ პერიოდში, ხოლო (A4) მოდელში მეორე პერიოდში. რაც შეეხება ზოგად სურათს, 2007-2014 წლების მოდელები ეკონომიკის ზრდის დეტერმინანტების უმრავლესობის შეფასებები გაუმჯობესებულია 1999-2007 წლების მოდელებთან შედარებით.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ანანიაშვილი, ი., ბარდაველიძე, ა. (2018). საქართველოს ეკონომიკაში ერთობლივ მოთხოვნაზე ფისკალური და მონეტარული ინსტრუმენტების ზემოქმედების თავისებურებების ეკონომეტრიკული ანალიზი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული.
2. ბედიანაშვილი, გ. (2022). ეკონომიკური ზრდის და განვითარების დეტერმინანტები გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევების პირობებში. ჟურნალი „ეკონომიკა, ბიზნესი და ადმინისტრირება“, II, 42-52. <http://sciencejournals.ge/index.php/bu/article/view/275/234>
3. პაპავა, ვ., სილაგაძე, ა.(2019). როგორ უნდა ითარგმნოს ქართულად ტერმინი“GROSS DOMESTIC PRODUCT”. ჟურნალი, გლობალიზაცია და ბიზნესი #7, 2019.
4. ტაბაღუა, ს. (2019). ფისკალური სტიმულების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. სადისერტაციო ნაშრომი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315854>
5. Ari, A., Pula, G., Sun, L. (2022). Structural Reforms and Economic Growth: A Machine Learning Approach. IMF Working Paper, WP/22/184
6. Ari, A., Pula, G. (2021). Assessing the Macroeconomic Impact of Structural Reforms in Ukraine, IMF Working Papers, 2021(100)
7. Acemoglu, D., Johnson, S., Robinson, J.(2005). Handbook of Economic Growth. Chapter 6 Institutions as a Fundamental Cause of Long-Run Growth. Volume 1, Part A, Pages 385-472.
8. Barro, R., Sala-i-Martin, X.(1995). Economic Growth (New York: McGraw Hill).
9. Barro, R. (1997). Determinants of Economic Growth: A Cross-Country Empirical Study. Cambridge, Mass.: MIT Press.
10. Barro, R., Sala, X. (2004). Economic Growth. Massachusetts Institute of Technology.
11. Brada, J., Arthur E., King, A., Kutun, M. (2000). Inflation Bias and Productivity Shocks in Transition Economies: The Case of the Czech Republic. Economic Systems. 24:2, pp. 119–38.
12. Blanchard, O. (1977). The Economics of Post-Communist Transition. Oxford: Clarendon Press
13. Bassanini, A., Scarpetta, S., Hemmings, P. (2001). Economic Growth: The Role of Policies and Institutions. Panel Data Evidence from OECD Countries’, Paris: OECD, Economics Department, Working Paper, No. 283.
14. Berg, A., Borensztein, E., Sahay, R., Zettelmeyer, J.(1999). The Evolution of Output in Transition Economies: Explaining the Differences. IMF Working Paper 99/73 (May), Washington, D.C.: International Monetary Fund.
15. Campos, N., Coricelli, A. (2002). Growth in transition: What we know, what we don’t, and what we should,” Journal of Economic Literature, XL, pp. 793–836.
16. Christoffersen, P., Doyle, D. (1998). From Inflation to Growth: Eight Years of Transition. International Monetary Fund.
17. De Melo, M., Denizer, C., Gelb, A. (1996). Patterns of transition from plan to market. World Bank publication.



18. De Melo, M., Denizer, C., Tenev, S. (1997). Circumstances and choice: the role of initial conditions and policies in transition economies. World Bank Policy Research Working Paper No. 1866.
19. Egert, B. (2017). The quantification of structural reforms: Extending the framework to emerging market economies. OECD Economics Department Working Paper No 1442
20. Fisher, S., Sahay, R., Vegh, C. (1996a). Stabilization and Growth in Transition Economies: The Early Experience. American Economic Associations.
21. Fisher, S., Sahay, R., Vegh, C. (1996b). Stabilization and Growth in Transition Economies: The beginning of growth. American Economic Associations.
22. Fisher, S., Sahay, R., Vegh, C. (1998). From Transition to Market: Evidence and Growth Prospects. IMF WP/98/52.
23. Fischer, S., Sahay, R. (2004). Transition Economies: The Role of Institutions and Initial Conditions. FischerSahay-Calvo Conference-April14.doc April 14.
24. Gerard, R. (2000). Transition and Economics: Politics, Markets and Firms, Cambridge, MA: MIT Press.
25. Godoy, S., Stiglitz, J.E. (2007). Growth, Initial Conditions, Law and Speed of Privatization in Transition Countries: 11 Years Later. In: Estrin, S., Kolodko, G.W., Uvalic, M. (eds) Transition and Beyond. Studies in Economic Transition. Palgrave Macmillan, London. [https://doi.org/10.1057/9780230590328\\_5](https://doi.org/10.1057/9780230590328_5)
26. Greene, W. (2002). Econometric Analysis. Fifth edition, New York University.
27. Harberger, A. (1998). A Vision of the Growth Process. The American Economic Review, Vol, 88.N.1. pp.1-32.
28. Havrylyshyn, O. (2007). Fifteen Years of Transformation in the Post-Communist World. Cato institute.
29. Hernández-Catá, E. (1997). Liberalization and the Behavior of Output During the Transition from Plan to Market", IMF Working Paper 97/53 (April), Washington, D.C.: International Monetary Fund.
30. Havrylyshyn, O., Wolf, T. (1999). Determinants of growth in transition countries, Finance and Development, Vol.36, No2, pp.12-15.
31. Horowitz, S. (2004). Structural Sources of Post-Communist Market Reform: Economic Structure, Political Culture, and War. International Studies Quarterly, 48(4), 755–778. <https://doi.org/10.1111/J.0020-8833.2004.00324.X>
32. Heybey, B., Murrell, P. (1998). The Relationship Between Economic Growth and Speed of Liberalization During Transition, Department of Economics and IRIS Center, University of Maryland, Manuscript.
33. Havrylyshyn, O., Izvorski, I., Rooden, R. (1998). Recovery and growth in transition economies, 1990-97 : a stylized regression analysis. IMF/WP/98/141
34. IMF, (2000). Focus on Transition Economies. A Survey by the Staff of the International Monetary Fund.
35. Islam, N. (1995). Growth Empirics: A Panel Data Approach. The Quarterly Journal of Economics Vol. 110, No. 4 (Nov., 1995), pp. 1127-1170.
36. Joffe, M. (2017). Evidence and the micro-foundations of economic growth. Economics and Business Review EBR 17(3), 52-79 DOI: 10.18559/ebr.2017.3.4
37. Kornai, J. (1999). Reforming the Welfare State in Postsocialist Economies, in When is Transition Over?. Annette Brown, ed. Kalamazoo, Mich.: W.E. Upjohn Institute for Employment Research, chapter 6.
38. Kawalec, P. (2020). The dynamics of theories of economic growth: An impact of Unified Growth Theory. Economics and Business Review EBR 20(2), 19-44 DOI: 10.18559/ebr.2020.2.3

39. Loungani, P., Sheets, N. (1997). Central Bank Independence, Inflation and Growth in Transition Economies. International Monetary Fund (IMF).
40. Mervar, A. (2003). Economic Growth and Countries in Transition. Croatian Economic Survey. This paper was originally published in Privredna kretanja i ekonomska politika (Economic Trends and Economic Policy), No. 92, 2002, pp. 53-87. Translated in 2003.
41. Mankiw, G., Romer, D. and Weil, D. (1992). A Contribution to the Empirics of Economic Growth, *Quarterly Journal of Economics*, 107 (May)
42. North, D. (1989). Institutions and Economic Growth: An historical introduction, *World Development*, Volume 17, Issue 9, Pages 1319-1332.
43. Olson, M., Sarna, N., Swamy, A.V. (2000). Governance and Growth: A Simple Hypothesis Explaining Cross-Country Differences in Productivity Growth. *Public Choice* 102, 341–364 <https://doi.org/10.1023/A:1005067115159>
44. Oslon, M. (1997). Distinguished Lecture on Economics in Government “Big Bills Left on the Sidewalk: Why Some Nationals Are Rich and Other Poor”. *Journal of Economics Perspectives*, Vol.10(2).pp.3-24.
45. Piatkowski, M. (2002). The new economy and economic growth in transition economies: The relevance of institutional infrastructure, WIDER Discussion Paper, No. 2002/62, ISBN 9291902497, The United Nations University World Institute for Development Economics Research (UNU-WIDER), Helsinki.
46. Popov, V. (2006). Shock therapy versus gradualism reconsidered: Lessons from transition economies after 15 years of reforms, TIGER Working Paper Series, No. 82, Transformation, Integration and Globalization Economic Research (TIGER), Warsaw.
47. Piętak, Ł. (2014). Review of theories and models of economic growth, *Comparative Economic Research*. Central and Eastern Europe, ISSN 2082-6737, De Gruyter, Warsaw, Vol. 17, Iss. 1, pp. 45-60, <https://doi.org/10.2478/cer-2014-0003>
48. Romer, P. (1990). Endogenous Technological Change. *Journal of Political Economy*, Vol.98.No.5. pp.S71-S102.
49. Round, J (2009). *International Encyclopedia of Human Geography (Second Edition)*.
50. Solow, R. (1956). A Contribution to the Theory of Economic Growth, *Quarterly Journal of Economics*, 70 (1)
51. Swan, T. (1956). Economic Growth and Capital Accumulation, *Economic Record*, 32.
52. Svejnar, J.(2002). Transition Economies: Performance and Challenges. *Journal of Economic Perspectives*-Volume 16, Number 1-Winter 2002—Pages 3–28
53. Shachmurove, Y., Zilberfarb, B. (2020). Macroeconomic performance of the Israeli economy in the 21st millennium. *Economics and Business Review EBR* 20(2), 45-65 DOI: 10.18559/ebr.2020.2.4
54. Workie, M. (2005). Determinants of growth and convergence intransitive economies in the 1990s: Empirical evidence from a panel data, *Prague Economic Papers* 3/2005, pp.239-51.
55. Zinnes, C., Eilat, Y., Sachs, J. (2001). Benchmarking Competitiveness in Transition Economies, *Economics of Transition*, Vol. 9, No. 2, pp. 315–53.

ჯანდაცვის ეკონომიკა – ECONOMIC OF HEALTHCARE

**თენგიზ ვერულავა**

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლა, კავკასიის უნივერსიტეტი;

**ავთანდილ ჯორბენაძე**

მედიცინის დოქტორი, ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის  
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება საქართველოს ჯანდაცვის სისტემის  
განვითარებაში

DOI: [10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Tengiz.Verulava/Avtandil.Jorbenadze](https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Tengiz.Verulava/Avtandil.Jorbenadze)

**ანოტაცია.** ფასდაუდებელია ამერიკელი ხალხისა და მთავრობის წვლილი საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის საქმეში, მის დემოკრატიულ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. ასევე, უმნიშვნელოვანესია აშშ-ის დამსახურება დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი წლებიდან საქართველოს ჯანდაცვის სისტემის კრიზისიდან გამოყვანაში, მის შემდგომ რეფორმირებასა და განვითარებაში. ამ უაღრესად რთულ პერიოდში აშშ-ის დახმარებით უამრავი ადამიანი გადაურჩა შიმშილს, ავადმყოფობას, სიკვდილს და გაიუმჯობესა ჯანმრთელობის მდგომარეობა. საქართველოსთვის ამერიკული დახმარება შეიძლება სამ ეტაპად დავყოთ: ჰუმანიტარული დახმარება (მედიკამენტები და სამედიცინო სახარჯი მასალა), ტექნიკური დახმარება (ქვეყანაში მედიცინის ახალი მიმართულებების შემოტანა, სამედიცინო პერსონალის და საზოგადოების განათლების ამაღლება, ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხელშეწყობა (აშშ-ის სხვადასხვა ორგანიზაციებთან, ფონდებთან, სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან ერთობლივი პროექტების, პროგრამების და კვლევების გაკეთება). ეს ფაქტი ადასტურებს ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე მხარდაჭერას დაეხმაროს ქართველ ხალხს დემოკრატიული საზოგადოების შენებაში, უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ქვეყნის კეთილდღეობის და ეკონომიკური წინსვლის მიღწევაში.

**საკვანძო სიტყვები:** აშშ-ის დახმარება, საქართველოს ჯანდაცვა, ჯანდაცვის სისტემა

**აშშ-ის ჰუმანიტარული დახმარება საქართველოს**

1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პირველი ოთხი წლის განმავლობაში, საქართველომ განიცადა სამამულო და სამოქალაქო ომების, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ შექმნილი მძიმე ეკონომიკური კრიზისების რთული პერიოდი. ექსპერტთა გათვლებით, 1990-1994 წლებში მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტი (მშპ) დაახლოებით \$8,000-დან \$2,200-მდე, ანუ 70%-ით შემცირდა, რაც ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო ევრაზიის ქვეყნებს შორის. 1994 წელს ინფლაციის წლიურმა დონემ 7840%-ს გადააჭარბა, ხოლო სამრეწველო წარმოება შემცირდა ნახევარზე მეტით (პაპავა 2013).

მწვავე ეკონომიკური კრიზისის შედეგად მოიშალა ჯანდაცვის სისტემა. მკვეთრად შემცირდა სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის სფეროს დაფინანსება. სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრები მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სამედიცინო მომსახურების მინიმალურად აუცილებელ საჭიროებას. 1990-იანი წლების დასაწყისში სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანდაცვის წილი 13.2%-დან (1991) 0.54%-მდე (1994) შემცირდა (World Bank, 2012). ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში სახელმწიფოს წილი 1995 წელს 4.9%-მდე შემცირდა (Gzirishvili et al. 1997). ჯანდაცვის ხარჯები მოსახლეობის ერთ სულზე 1985 წელს 95,5 აშშ დოლარს შეადგენდა, 1990 წელს - 13 დოლარს, ხოლო 1994 წლისათვის 0,90 დოლარამდე დაეცა (Gamkrelidze et al. 2002).

არსებული ეკონომიკური კრიზისის შედეგად, სამედიცინო პერსონალის ანაზღაურება იმდენად სიმბოლური გახდა, რომ წლიური შემოსავალი თვიურ საარსებო მინიმუმზე ნაკლებს შეადგენდა. დაბალი ანაზღაურების გამო, მკვეთრად შემცირდა ექთნების რაოდენობა. დაბალი ხელფასებისა და არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ბევრმა ცნობილმა სპეციალისტმა დატოვა პროფესია და ქვეყანაც (Kalandadze et al. 1999).

ჯანდაცვაზე მჭირი სახელმწიფო დანახარჯების შედეგად ადამიანებს საკუთარი ჯიბიდან უწევდა სამედიცინო მომსახურების საფასურის გადახდა. უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობა უსახსრობის გამო ვერ იღებდა სასიცოცხლოდ აუცილებელ სამედიცინო დახმარებას. გაუარესდა მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლები: გაიზარდა ავადობა, შემცირდა შობადობა, მოიმატა სოციალურად საშიში დაავადებების რიცხვმა. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 3 წლით შემცირდა და 1995 წელს 70.3 წელი შეადგინა (WHO, 1996). გაუარესდა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა. 1990 წლიდან 1995 წლამდე პერიოდში დედათა სიკვდილიანობა 20.5-დან 55.1-მდე (100000 ცოცხალშობილზე), ხოლო ბავშვთა მოკვდაობა - 20.7-დან 28.6-მდე გაიზარდა. ექსპერტთა შეფასებით, შეიძლებოდა ბავშვთა სიკვდილიანობის 57%-ის თავიდან აცილება სამედიცინო მომსახურების უკეთ მართვის პირობებში (World Bank, 1996). მკვდრადშობადობის შემთხვევებიდან 74.2% დაიღუპა მშობიარობის დაწყებამდე, მაშინ როდესაც 1 წლამდე ასაკის პაციენტთა 72%-ის ჰოსპიტალიზაცია საავადმყოფოში 36-48 საათის დაგვიანებით მოხდა (ჯანდაცვის სამინისტრო, 1999).

დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან აშშ საქართველოს პირველი დონორი ქვეყანა იყო როგორც ფინანსური, ასევე ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების კუთხით. აშშ-მა საქართველოს დამოუკიდებლობა პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში, 1991 წლის 25 დეკემბერს აღიარა. ეს თარიღი უდევს საფუძვლად ქართულ-ამერიკულ ურთიერთობების დაწყებას.

ამ ურთულეს პერიოდში საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო ამერიკული დახმარება, რომელიც შეიძლება სამ ეტაპად დავყოთ:

1. ჰუმანიტარული დახმარება (მედიკამენტები და სამედიცინო სახარჯი მასალა);
2. ტექნიკური დახმარება (ქვეყანაში მედიცინის ახალი მიმართულებების შემოტანა, სამედიცინო პერსონალის და საზოგადოების განათლების ამაღლება;

3. ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხელშეწყობა (აშშ-ის სხვადასხვა ორგანიზაციებთან, ფონდებთან, სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან ერთობლივი პროექტების, პროგრამების და კვლევების გაკეთება.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განსაკუთრებით უმძიმესი ვითარება შეიქმნა სასიცოცხლოდ აუცილებელი მედიკამენტების და სამედიცინო სახარჯი მასალის მომარაგებაში. სათანადო მასალების უქონლობის გამო, ფაქტიურად ფერხდებოდა გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების ჩატარება. პრობლემები შეიქმნა მწვავე და ქრონიკული ავადმყოფების მკურნალობაში. განსაკუთრებით უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის ავადმყოფები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც მუდმივ ჩანაცვლებით თერაპიულ მკურნალობას ექვემდებარებოდნენ და მედიკამენტებს მუდმივად სახელმწიფოსგან ღებულობდნენ. უკიდურესად მძიმე ვითარება შეიქმნა როგორც ბავშვთათვის ასევე მოზრდილებისთვის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა ინსულინით მომარაგებაში.

მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა აფხაზეთში და სამაჩაბლოში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად სასიცოცხლოდ აუცილებელი მედიკამენტების გარეშე დარჩენილი დაჭრილების დიდი რაოდენობა. ქვეყანა სასწრაფოდ საჭიროებდა სამედიცინო ჰუმანიტარულ დახმარებას.

ამ ურთულეს პერიოდში აშშ-ის დახმარება შეიძლება განვიხილოთ როგორც ქართველი ხალხის გადარჩენისათვის ღონისძიებების კომპლექსი.

აღსანიშნავია, რომ აშშ საქართველოს ჰუმანიტარულ დახმარებას დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებამდეც უზღავნიდა. აღიარებიდან ერთი თვის შემდეგ, 1992 წლის 22 იანვარს ჯორჯ ბუშმა (უფროსი) ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისადმი ჰუმანიტარული დახმარების საერთაშორისო კონფერენციაზე განაცხადა, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს და მათ შორის საქართველოს, ვაშინგტონი 600 მილიონი დოლარის ღირებულების ტექნიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას გაუწევდა (Bush, 1992a).

„ჩვენი მისიაა ერთად ვუპასუხოთ დრამატულ რევოლუციას, რომელმაც გაანადგურა საბჭოთა კომუნიზმი და მის ადგილას დატოვა 12 ახალი ერი, რომლებიც ცდილობენ თავიანთი ადგილი დაიმკვიდრონ მსოფლიოში და იბრძვიან გაუმკლავდნენ თავიანთი ხალხის გამოკვების კრიტიკულ ამოცანას ამ ზამთარს, გაზაფხულს და არამარტო. საბოლოო წარმატება თუ წარუმატებლობა დამოკიდებულია ამ ახალი ერების ძალისხმევასთან და სიბრძნესთან. მაგრამ ისინი მარტო ვერ შეძლებენ გამარჯვებას. ამ 12 ახალ ქვეყანას სჭირდება ჩვენი დახმარება და კეთილი ნება ყველა კონტინენტიდან. შეერთებულ შტატებს არ შეუძლია დააყოვნოს იმ მომენტში, როდესაც ეს ახალი სახელმწიფოები იბრძვიან იმ იდეალებისათვის, რისთვისაც დაარსდა ამერიკა“ (Bush, 1992a).

ამ განცხადებიდან ორ თვეში, 1992 წლის 23 მარტს შეერთებულმა შტატებმა საქართველოსთვის სამედიცინო და ჰუმანიტარულ დახმარება გამოყო (Tutwiler, 1992e).

ქართულ-ამერიკული ურთიერთობები განსაკუთრებით მაღალ დონეზე ავიდა საქართველოში ედუარდ შევარდნაძის დაბრუნების შემდეგ. 1992 წლის 23 აპრილს საქართველოსა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა, ხოლო იმავე წლის 25 მაისს კი საქართველოს ოფიციალური სამთავრობო ვიზიტით შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი ესტუმრა. საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმიდან გათავისუფლებული ქვეყნისთვის, რომელიც მწვავე

პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ კრიზისში იყო ჩაფლული, ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვიზიტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ვიზიტმა გადამწყვეტი როლი შეასრულა იზოლაციის გარღვევაში და ხაზს უსვამდა ვაშინგტონის ინტერესს ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიმართ. ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატების მკაფიო გზავნილი, რომ საქართველო მისი გეოპოლიტიკური ინტერესების არეალში შედიოდა. ჯეიმს ბეიკერმა, სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად, შექმნა საქართველოს მეგობართა ორგანიზაცია, რამაც დიდი როლი ითამაშა ქვეყნისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევაში. ბეიკერმა სამშობლოში დაბრუნებისთანავე პირველი და სასწრაფო დახმარება გაუწია საქართველოს. პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსმა) ასი ათასი ტონა ხორბალი გამოგზავნა. ქვეყნისთვის, სადაც სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა და მოსახლეობის დიდ ნაწილს პურის რიგში დგომა საათობით უწევდა, ბუნებრივია, ეს ნამდვილად უმნიშვნელოვანესი დახმარება იყო.

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბების შემდეგ გაიზარდა ამერიკული სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჰუმანიტარული მისიები. ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერდა საქართველოს გაწვევრიანებას საერთაშორისო ორგანიზაციებში, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში (Fitzwater, 1992a).

1992 წლიდან საქართველოში დაიწყო მუშაობა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს მისიამ (იუსაიდი - USAID), რომელიც უმთავრესად არასამხედრო საერთაშორისო დახმარების კოორდინატორი იყო. იგი აშშ-ის სამთავრობო ორგანიზაციაა და მიზნად ისახავს დაეხმაროს სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობას, რომლებიც ცდილობენ თავი დააღწიონ სიღარიბეს, გაიუმჯობესონ ცხოვრების პირობები, აღადგინონ უბედური შემთხვევებით მიყენებული ზარალი და ააშენონ თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყანა.

ამ დღიდან ამერიკელმა ხალხმა USAID-ის საშუალებით 1,8 მილიარდი დოლარის დახმარება გაუწია საქართველოს. წარმატებული პარტნიორობის პირობებში აშშ-ს მთავრობა ყოველწლიურად დაახლოებით 50 მილიონ დოლარს გამოყოფდა 55 სხვადასხვა პროგრამისთვის. ეს პროგრამები მხარს უჭერდა საქართველოს დემოკრატიულ, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე და დასავლეთზე ორიენტირებულ განვითარებას.

1992 წლის 4 მაისს საქართველოში სამედიცინო დახმარების ორი და საკვებით დახმარების სამი თვითმფრინავი ჩამოფრინდა (Tutwiler, 1992f), ხოლო 28 მაისს თეთრი სახლის პრესმდივანმა, მარლინ ფიზუოთერმა გააკეთა განცხადება კავკასიაში დევნილების ჰუმანიტარული დახმარების შესახებ (Fitzwater, 1992b). განცხადების თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატები 4 მილიონი დოლარის ღირებულების ჰუმანიტარულ დახმარებას გამოყოფდა „კავკასიის რეგიონში კონფლიქტების შედეგად დაზარალებულთათვის“. განცხადებაში ხაზგასმული იყო, რომ „ბოლო ორი წლის განმავლობაში კავკასიის რეგიონში გაიზარდა ეთნიკური დაპირისპირება, რამაც გამოიწვია შეიარაღებული კონფლიქტები აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის რეგიონში და საქართველოს სამხრეთ ოსეთში. ჰუმანიტარული დახმარების მიზანი იყო იძულებით გადაადგილებული პირების უზრუნველყოფა როგორც სამედიცინო, ისე სხვა სახის სოციალური პროგრამებით (Fitzwater, 1992b).

როგორც აღვნიშნეთ, მძიმე მდგომარეობა შეიქმნა შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ინსულინით მომარაგებაში. საქართველოში ინსულინდამოკიდებულ დიაბეტიანთა რაოდენობა 40 ათასს აჭარბებდა. არსებულ სიტუაციას განსაკუთრებით ამძიმებდა დიაბეტიანი ბავშვების მდგომარეობა (14 წლამდე ასაკის 300-ზე მეტი ბავშვი). ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო სახელმწიფო ვერ ახერხებდა ინსულინის შესყიდვას, რაც ათიათასობით დიაბეტიანის დაღუპვას ნიშნავდა.

უმწვავესი პრობლემის გადასაწყვეტად საქართველოს მთავრობის მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ პირადად თხოვა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ჯეიმს ბეიკერს. დახმარებამაც არ დააყოვნა. 1992 წლის 21 ივნისს საქართველოში ნიუ-ჯერსის შტატიდან თვითმფრინავი C141 დაეშვა. სამედიცინო და ჰუმანიტარული მისიის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეებს ინსულინის 194 000 ფლაკონი და 500 000 ცალი ნემსი გადაეცა (Tutwiler, 1992f). ამ მხრივ, აღსანიშნავია უდიდესი ამერიკული ფარმაცევტული კომპანიის ელი ლილი და კომპანიის (Eli Lilly and Company) განსაკუთრებული წვლილი. ამ პროგრამით 1992-94 წწ. საქართველომ აშშ-დან მიიღო ჰუმანიტარული წესით გამოგზავნილი 15 მილიონამდე დოლარის ღირებულების ინსულინი “ჰუმულინი”, რითაც ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე შენარჩუნებული იქნა (ამირხანაშვილი, 2005).

აქვე, აღსანიშნავია, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის დახმარების კოორდინატორის უილიამ ტელიორის განსაკუთრებული წვლილი, რომლის ხელშეწყობით ამერიკიდან მედიკამენტების დიდი პარტია და სამედიცინო აღჭურვილობა ჩამოვიდა და განაწილდა საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებსა და საავადმყოფოებში.

ხაზგასასმელია გაერთიანებული მეთოდური ეკლესიის ჰუმანიტარული კომიტეტის (UMCOR) წვლილი, რომელიც ახორციელებდა ბავშვთა სამედიცინო დახმარების, სპეციფიკურ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის, უმწეოთა დამატებითი სამედიცინო დახმარების პროგრამების მხარდაჭერას შემდეგი პროექტების მეშვეობით:

- ჯანდაცვის თვითანაზღაურებადი პროგრამა - შემოტანილი მედიკამენტების მონეტიზაციის შედეგად ამონაგები თანხით ხდებოდა ანტიეპილეფსიური პრეპარატების შეძენა და უფასოდ გადაცემა ნევროლოგიის ინსტიტუტში აღრიცხვაზე მყოფ 3 წლამდე ასაკის ყველა და 15 წლამდე სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის;

- ჰუმანიტარული მედიკამენტების დისტრიბუცია - ესენციალური მედიკამენტებისა და სამედიცინო მოხმარების საგნების დისტრიბუცია თბილისსა და იმერეთის რეგიონში, ექიმთა პროფესიული და საზოგადოების ცოდნის გაუმჯობესება;

საქართველოსა და აშშ შორის ურთიერთთანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდა ბილ ქლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში (1993-2001). ხელი მოეწერა მემორანდუმებს, რომლებიც აშშ-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავებასა და ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობებს ემსახურებოდა (The White House, 1994). საქართველომ 1994 წლიდან თამამი რეფორმების გატარება დაიწყო. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ქართულ მხარეს შესთავაზა გეგმა, რომელიც ქვეყანას არსებული კრიზისის დაძლევაში და საფინანსო თუ ეკონომიკური სახის რეფორმების გატარებაში დაეხმარებოდა. გეგმა მოიცავდა მთავრობის ხარჯების შემცირებას, დაბალი ეფექტური სახელმწიფო ორგანიზაციების გაუქმებას, სახელმწიფო მოსამ-

სახურეთა შტატისა და ბიუჯეტის შემცირებას, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვას და განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის ჰუმანიტარული დახმარება უკვე დიდი ხანი იყო, რაც ტექნიკურ დახმარებაში გადაიზარდა.

### **ბრძოლა ინფექციურ დაავადებებთან**

1990-იან წლებში ჯანდაცვის სისტემის მოშლამ, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესებამ და პროფილაქტიკური ღონისძიებების უკმარისობამ ხელი შეუწყო ინფექციური დაავადებების მნიშვნელოვნად ზრდას. ბავშვთა და მოზარდთა გემიური ვაქცინაციის ჩავარდნამ კიდევ უფრო გაართულა შექმნილი მდგომარეობა ასაგრელი მასალის უქონლობის გამო, რამაც განაპირობა დიფთერიისა და სხვა საშიშ ინფექციათა აფეთქება.

ამ ურთულეს პერიოდში აშშ-ის, იაპონიის და სხვა განვითარებული ქვეყნების მთავრობებისა და, განსაკუთრებით, გაეროს ბავშვთა ფონდის უდიდესი დახმარების შედეგად შესაძლებელი გახდა ჯერ გემიური აცრების დაწყება, ხოლო შემდეგ მოსახლეობის მასიური ვაქცინაცია. ამ ორგანიზაციების დახმარებით 1995-1996 წლებში ქვეყანაში ჩატარდა 3-60 წლის მოსახლეობის მასობრივი იმუნიზაციის კამპანია ტდ ვაქცინით, მოცვა – 83% (Gamkrelidze და სხვ. 2002). მათი მხარდაჭერით 1995 წელს კახეთში ჩატარდა სხვადასხვა ასაკის მოსახლეობის სეროლოგიური კვლევა ბუსტერ დოზის შემდგომ დიფთერიის საწინააღმდეგო იმუნიტეტის არსებობაზე. აღმოჩნდა, რომ 30-49 წლის ასაკის მოსახლეობას დამცველობითი იმუნიტეტი მაინც არ ჰქონდა. კვლევის საფუძველზე, 1997 წელს ჩატარდა ამ ასაკობრივი კონტინგენტის ტდ ვაქცინის მე-2 ბუსტერ დოზით ვაქცინაცია. მოცვა – 86%. შედეგად 1998 წლიდან დიფთერიის ეპიდემია კონტროლირებადი გახდა.

ეფექტური ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები იქნა გატარებული წყლისმიერი ნაწლავური ინფექციების, ჰეპატიტების, მუცლის ტიფის სხვადასხვა ეპიდემიების დროს (ახალციხე, ფოთი, ბათუმი, ქობულეთი, ხონი, რუსთავი...).

შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაში და უსაფრთხო სისხლის პროგრამის ფორმირებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ამერიკის ალერგიისა და ინფექციურ დაავადებათა ნაციონალური ინსტიტუტის დირექტორს ენტონი ფაუჩის.

აცრებით მოცვის მაღალი დონის მიღწევის გამო 2002 წლის ივნისში ჯანმო-ს ევროპის რეგიონის სასერთიფიკაციო კომისიამ საქართველოს მიანიჭა პოლიომიელიტისგან თავისუფალი ზონის სტატუსი, რომელსაც ჩვენი ქვეყანა დღემდე ინარჩუნებს.

აღსანიშნავია აშშ-ის აერონავტიკისა და კოსმოსური კვლევის ეროვნულ ცენტრთან დაწყებული თანამშრომლობა, რომელიც ითვალისწინებდა ეპიდემიოლოგიური კვლევების დაწყებას კოსმოსიდან, ტელემედიცინისთვის კომუნიკაციური სისტემების შექმნას. ცენტრის დახმარებით გაჩნდა შესაძლებლობა კოსმოსური სკანირების საშუალებით მიგველო ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე მიკრობული ფლორის გავრცელების შესახებ, რაც გვაძლევდა დაავადებათა გარკვეული ჯგუფის პროგნოზირების საშუალებას. პროგრამის ფარგლებში, ახალქალაქსა და ახალციხეში (შავი ჭირის ბუნებრივი კერა) და ლაგოდეხში (მალარიის ბუნებრივი კერა) განხორციელდა ეპიდემიოლოგიური კვლევები. ამ მხრივ, აღსანიშნავია აშშ-ის აერონავტიკისა და კოსმოსის ეროვნული სააგენტოს დირექტორის დანიელ გოლდინის და ამავე სააგენტოს წამყვანი სპეციალისტის მედიცინის საკითხებში არნაულ ნიკოგოსიანის წვლილი.



### ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაცია

ჯანმრთელობის დაცვის დარგში შექმნილი მწვავე კრიზისული მდგომარეობიდან გამოსასვლელად, 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან, დღის წესრიგში დადგა მისი ძირეული რეორგანიზაციის, პრინციპულად ახალი მოდელის ამოქმედების საკითხი.

ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო ღონის საერთაშორისო კონსულტანტებმა და ექსპერტებმა. ერთ-ერთი პირველი, ვისთანაც ჯანდაცვის მინისტრმა განახორციელა შეხვედრა იყო ემორის უნივერსიტეტის (ატლანტა, ჯორჯია) ჯანდაცვის პოლიტიკისა და მართვის დეპარტამენტის დირექტორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის პროფესორი რიჩარდ სოლტმანი. რიჩარდ სოლტმანის საერთაშორისო აღიარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მის მიერ იქნა დაარსებული ბრიუსელში ჯანმრთელობის სისტემებისა და პოლიტიკის ევროპული ობსერვატორია. შეხვედრაზე განისაზღვრა და შეთანხმდა რეორიენტაციის პრიორიტეტები, ღონისძიებები და ინდიკატორები, სექტორულ დაინტერესებულ მხარეებთან ინტენსიური ორმხრივი და ტექნიკური სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ორგანიზება. რიჩარდ სოლტმანმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროექტს და პირადად ჯანდაცვის მინისტრის მზაობას პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთმა პირველმა განახორციელოს დარგის ურთულესი რეფორმირება. მისი თქმით, „ექსპერტთა ინტელექტუალური მხარდაჭერის გარეშე რეფორმის განხორციელება შეუძლებელია, რადგან არსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებში საქართველოს არ შეეძლო ამ ტიპის რეორიენტაციის შესაბამისი სამუშაოების დაწყება“. დარგის მსოფლიოში აღიარებული ექსპერტების ჩართულობა ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროექტის შემუშავების პროცესში, საერთაშორისო ორგანიზაციების მეტი მხარდაჭერის მოზიდვისა შესაძლებლობას იძლეოდა.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან, ამერიკის საერთაშორისო ჯანდაცვის კავშირთან და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან თანამშრომლობამ მოამზადა ნიადაგი მსოფლიო ბანკის საქართველოს ჯანდაცვის სისტემის პროექტზე მუშაობისთვის. ამ მხრივ აღსანიშნავია ამერიკის საერთაშორისო ჯანდაცვის ალიანსის (American International Health Alliance – AIHA) აღმასრულებელი დირექტორის ჯეიმს სმიტის განსაკუთრებული მხარდაჭერა, რომლის მეშვეობით განხორციელდა ჯანდაცვის მინისტრის პირველი შეხვედრა მსოფლიო ბანკთან. ამ შეხვედრამ დიდად განსაზღვრა საქართველოში ჯანდაცვის სისტემაში ძირეული რეფორმების დაწყება და მისი წარმატებით განხორციელება. საქართველოს მიმართ გაწეული დამსახურებისათვის ამერიკის საერთაშორისო ჯანდაცვის ალიანსის აღმასრულებელი დირექტორი ჯეიმს სმიტი დაჯილდოვდა ღირსების მედლით.

შეხვედრისას მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ჯანდაცვის მინისტრის მიერ წარმოდგენილი რეორიენტაციის პროექტის ძირითადი მიმართულებები ემთხვევა მათ ხედვას და თანხმობა განაცხადეს ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროექტში მონაწილეობაზე. მსოფლიო ბანკმა გამოყო რეორიენტაციის პროექტზე მომუშავე სპეციალური მისია. საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მსოფლიო ბანკის წამყვან სპეციალისტებთან და მოწვეულ საერთაშორისო კონსულტანტებთან და ექსპერტებთან ერთწლიანი ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად შეიმუშავა ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის

პროექტი. ამ მხრივ, ხაზგასასმელია მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის ჯეიმს უოლფენსონის, მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის განყოფილების ხელმძღვანელის ჯუდი ოკონორი, მსოფლიო ბანკის საქართველოს ჯანდაცვის პროექტის მისიის წევრების ანტონიო კამპოსის, ლორა როუზის და ახტი კალიკორმი წვლილი.

მსოფლიო ბანკთან ურთიერთობამ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაინტერესებასა და მისგან რეფორმის პროცესის ცალსახად მხარდაჭერას.

1994 წლის ოქტომბრიდან ამოქმედდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სრული რეორგანიზაციის კონცეფცია. კონცეფცია მოიცავდა ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორგანიზაციის ყველა ასპექტს და განსაზღვრავდა მომდევნო წლებში განსახორციელებელი ცვლილებების სამართლებრივი ბაზას, სფეროს ორგანიზაციული მოწყობისა თუ დაფინანსების პრინციპებს.

რეორგანიზაციის კონცეფციამ თეორიული აპრობაცია გაიარა 1994-1995 წლებში ბორჯომში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე. კონფერენცია ღია დიალოგის ფორმატში ჩატარდა, სადაც პანელში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების ექსპერტები, მათ შორის მსოფლიო ბანკის ჯანდაცვის განყოფილების წამყვანი ექსპერტები, აშშ-ის ელჩები საქართველოში კენტ ბრაუნი და უილიამ ქორთნი. კონფერენციებზე ოფიციალურად მოხდა ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის ინიცირება. ჯანდაცვის სექტორში სტრუქტურული და ხარისხობრივი რეფორმის პროცესს მხარი დაუჭირა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, მსოფლიო ბანკმა, აშშ-ის იაპონიის, გერმანიის, შვედეთის, ბრიტანეთის მთავრობებმა.

ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აშშ-ის განვითარების საერთაშორისო სააგენტოს დახმარებას სამედიცინო სფეროში, რომელიც ორი მიმართულებით განხორციელდა:

1. გადაუდებელი დახმარება ჰუმანიტარული მედიკამენტები, ბავშვთა კვება და სხვა, რაც საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში მოხმარებული მედიკამენტების 70-75%-ს შეადგენს.

2. სპეციალური პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებენ სპეციალისტების მომზადების პროგრამების შემუშავებას და მათ განხორციელებას. მაგალითად, მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანს წარმოადგენდა ატლანტა თბილისის პარტნიორული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ახალი ტიპის სამედიცინო დაწესებულებების შექმნას, ინფორმაციულ უზრუნველყოფას, სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების რეფორმებში მონაწილეობას.

### **საზოგადოებრივი ჯანდაცვის განვითარება**

საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია აშშ-ის დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის, მსოფლიო ბანკის, ჯანმოს, და ისრაელის საზოგადოებრივი ჯანდაცვის და განსაკუთრებით შეერთებული შტატების ჯანდაცვისა და ადამიანური სერვისების მდივნის ქალბატონი დონა ედნა შალეილას წვლილი. ქალბატონი დონა ედნა შალეილას დახმარებით განხორციელდა ჯანდაცვის მინისტრის ვიზიტი აშშ-ის დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრში (Centers for Disease Control and Prevention – CDC). ცენტრმა დახმარება აღუთქვა საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამედროვე სისტემის მშენებლობაში, რისთვისაც გამოყვეს სპეცია-

ლური წარმომადგენელი, აშშ-ის დაავადებათა კონტროლის და პრევენციის თბილისის ოფისის ხელმძღვანელი, დოქტორი სტენლი მიუზიკი. საქართველოში აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრების პირველი მისია 1994-1996 წლებში განხორციელდა და მას ხელმძღვანელობდა სტენლი მიუზიკი.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში დაწყებული რეორიენტაციის შედეგად, საფუძველი ჩაეყარა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ახალ მიდგომას, რომელიც მოიცავდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის, სანიტარული ზედამხედველობისა და ჰიგიენური ნორმირების დეპარტამენტებს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში განისაზღვრა სამი ქვედანაყოფი: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადებათა პროფილაქტიკის ცენტრი, სამედიცინო სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრი. დეცენტრალიზაციის მიზნით ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორდონიანი სამსახურების სისტემა ცენტრალურ დონეზე და ადგილობრივ/მუნიციპალურ დონეზე. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება გადანაწილებული იყო ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე, ხოლო მენეჯმენტი და ადმინისტრირება - ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე. ამოქმედდა ჯანმრთელობის ხელშეწყობის, მოსახლეობის სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ღონისძიებათა მართვის სისტემა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ქსელის ჩამოყალიბებას საქართველოში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ეპიდზედამხედველობის მოწესრიგებისა და დაავადებათა კონტროლის სისტემის გაუმჯობესების მხრივ, ასევე ეპიდსიტუაციის პროგნოზირებისა და ადეკვატური პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავების და გატარების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ შემდგომ წლებში ბევრ სხვა ქვეყანასა და მათ შორის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც ჩამოყალიბდა მსგავსი ფუნქციებისა და სახელის მქონე საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურები. აღსანიშნავია, რომ საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა (გარდა ბალტიის ქვეყნებისა), რომელმაც უარი თქვა სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის საბჭოურ სისტემაზე, მოახდინა მისი სრული რეორგანიზაცია და ჩამოაყალიბა ევროპულ პრინციპებზე აგებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ახალი ინფრასტრუქტურა (Rechel, 2014).

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით ფუნქციონირება დაიწყო თბილისი-მინეაპოლისი (მინესოტა) პარტნიორულმა პროგრამამ, რომლის მიზანს შეადგენდა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში საავადმყოფოთა ეპიდემიოლოგების და გამოცდილი მედლების გადამზადების პროგრამების შექმნა საავადმყოფოსშიდა ინფექციური კონტროლის გასაუმჯობესებლად. პროგრამის ფარგლებში შესამღებელი გახდა ქართველი ეპიდემიოლოგების პირველი კოჰორტის მომზადება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თბილისი-სან-ფრანცისკოს (კალიფორნია) პარტნიორული პროგრამა, რომლის მიზანს შეადგენდა ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც შეძლებს საკუთარი რესურსებით არსებობას და უზრუნველყოფს საქართველოს მოსახლეობას უსაფრთხო სისხლითა და სისხლის კომპონენტებით (სისხლის ბანკი).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლუგარის ცენტრის შექმნა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1997 წელს ამერიკის შეერთებული შტატების და საქართველოს პრეზიდენტების მიერ ბიოუსაფრთხოების შესახებ ხელმოწერილი ხელშეკრულების

დადების შემდეგ. იგი ეხებოდა ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გაუვრცელებლობას მსოფლიოში და წარმოადგენდა ქვეყნის ბიოლოგიური უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს. შეთანხმებამ საფუძველი დაუდო ამ ტიპის პროგრამების განვითარებას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად აღმოსავლეთ ევროპაში. საქართველოში ცენტრის შექმნას განსაკუთრებით ლობირებდა ცნობილი რესპუბლიკელი სენატორი რიჩარდ ლუგარი. 1998 წელს განხორციელდა ლუგარის პირველი ვიზიტი პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან და გადაწყდა ლუგარის ლაბორატორიის დაარსება. იმის გათვალისწინებით, რომ ლუგარის ცენტრი ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, 2002 წელს რიჩარდ ლუგარის და სახელმწიფო მინისტრის შეხვედრაზე მოხდა შეთანხმება, რომ ლუგარის ცენტრი ყოფილიყო ჯანდაცვის სექტორის დაქვემდებარების ქვეშ და შესულიყო საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში.

დღეისათვის ლუგარის ცენტრი ერთ-ერთი საუკეთესო ბაზაა კავკასიის რეგიონში ბიოსამედიცინო სფეროში და ბიოუსაფრთხოებაში სამეცნიერო კვლევებისათვის. ცენტრი უმაღლესი სტანდარტებით არის მოწყობილი და ბიოუსაფრთხოების მესამე დონე აქვს მინიჭებული, რაც ნიშნავს, რომ აქ თითქმის ყველა სახის მიკრობს იკვლევენ. საქართველოს თანამედროვე კლასიფიკაციით მესამე დონის ლაბორატორიას კორონავირუსის დიაგნოსტიკებაც შეუძლია, რაც ამ ინფექციის დროულად გამოვლენისა და მართვის შესაძლებლობას იძლევა. მისი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე პანდემიების ხანაში.

### **პირველადი ჯანდაცვის რეფორმირება**

1995 წლიდან განხორციელდა მთელი რიგი საპილოტე პროექტები, რომლებიც მიმართული იყვნენ პირველადი ჯანდაცვის სისტემის განმტკიცებისაკენ. შემუშავებულ იქნა პროგრამები, რომელთა მთავარ მიზანს შეადგენდა ექიმების გადამზადება ოჯახის ექიმებად.

სოფლის პირველადი ჯანდაცვის განვითარება დაფინანსდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ და განხორციელდა ამერიკის საერთაშორისო ჯანმრთელობის ალიანსის (American International Health Alliance - AIHA და საერთაშორისო სამედიცინო კორპუსის (International Medical Corps - IMC) პროგრამით.

2002 წლიდან მსოფლიო ბანკის მიერ დაიწყო პირველადი ჯანდაცვის სექტორის შემდგომი რეფორმირების მხარდაჭერა. დაიგეგმა საოჯახო მედიცინის პერსონალის სწავლება. პირველადი ჯანდაცვის განმტკიცების პოლიტიკის ფარგლებში დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდა მედიკამენტების რაციონალური და ხარჯთ-ეფექტური გამოწერის პროექტი.

ამავე პერიოდში ამოქმედდა მსოფლიო ბანკის მეორე პროექტი, რომელიც მიმართული იყო პირველადი ჯანდაცვის ქსელის შემდგომ განვითარებაზე. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ შიდა ქართლის, გურიის და მცხეთა მთიანეთის რეგიონებში დაიწყო პირველადი ჯანდაცვის პროექტების ამოქმედება. ევროკავშირის, ბრიტანეთის, შვედეთის და იაპონიის მთავრობების მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა რამდენიმე ასეული ექიმისა და ექთნის გადამზადება საოჯახო მედიცინის სპეციალობით.

ფუნქციონირება დაიწყო მცხეთა-მთიანეთი-მილუოკი (ვისკონსინი) პარტნიორულმა პროგრამამ, რომლის მიზანს შეადგენდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში

პირველადი ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში, ამერიკის საერთაშორისო ჯანმრთელობის ალიანსის (American International Health Alliance – AIHA) პარტნიორი ორგანიზაციის - დენიელ მიჰენის საოჯახო ფონდიდან გამოყოფილი რესურსებით მცხეთაში აშენდა პირველი საოჯახო მედიცინის ცენტრი, რომელიც დაკომპლექტდა მილუოკის (Milwaukee, Wisconsin) საოჯახო მედიცინის ცენტრში გადამზადებული ექიმებითა და ექთნებით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ოცამდე ექიმი და ექთანი გადამზადდა აშშ-ში. ამერიკელების დახმარებით შექმნილი საოჯახო მედიცინის ცენტრი იყო ერთ-ერთი პირველი სერიოზული ინვესტიცია ქვეყანაში პირველადი ჯანდაცვის სისტემის განსავითარებლად, რომელიც დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს.

გაერთიანებული მეთოდური ეკლესიის ჰუმანიტარული კომიტეტის (UMCOR) ხელშეწყობით განხორციელდა ჯანდაცვის პირველადი რგოლების განვითარების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა იმერეთის რაიონების (წყალტუბო, თერჯოლა) ჯანდაცვის პირველადი რგოლის დაწესებულებათა რეაბილიტაციას და სამედიცინო პერსონალის ტრენინგებს.

სერიოზული ინვესტიციები განხორციელდა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების მატერიალური ბაზის გასაახლებლად. საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით დაიწყო ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები. მსოფლიო ბანკის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ევროკავშირის, ბრიტანეთის და იაპონიის მთავრობების მიერ დაიგეგმა და დაიწყო პირველადი ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ტექნიკური აღჭურვილობის მოწოდება. აღნიშნულმა პროექტებმა შესაძლებელი გახადა 200-მდე ამბულატორიის რეაბილიტაცია და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა.

### **ჰოსპიტალური სექტორის რეფორმირება**

რეორიენტაციის ერთ-ერთი მთავარ მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა ჰოსპიტალური სექტორის რეფორმირება, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს ფინანსურ და ექსპერტულ დახმარებას უწევდნენ. ჰოსპიტალური სექტორის ოპტიმიზაცია რეალურად 1999 წლიდან დაიწყო. მსოფლიო ბანკმა შეიმუშავა საქართველოსთვის „ჰოსპიტალების რესტრუქტურისაციის პროგრამა“, რომლითაც განისაზღვრა, თუ რომელ საავადმყოფოებს უნდა გაეგრძელებინათ ფუნქციონირება და რომლებს უნდა შეეწყვიტათ ან შესულიყვნენ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში.

მსოფლიო ბანკის გეგმაში ერთ-ერთი მთავარი პუნქტის თანახმად უნდა შექმნილიყო სპეციალური სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფდა ჰოსპიტალური სექტორის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული იურიდიული საკითხების დარეგულირებას და “ჰოსპიტალური სექტორის რესტრუქტურისაციის ფონდის” ადმინისტრირებას. ფონდში ჩაირიცხებოდა B ჯგუფის საავადმყოფოების პრივატიზაციიდან მიღებული თანხები, რაც შემდგომში ჯანდაცვის სფეროს ინფრასტრუქტურისა და ტექნიკის განახლებისთვის იქნებოდა გამოყენებული. ასევე, გათავისუფლებული მედპერსონალისთვის ერთჯერადი კომპენსაციების გადახდას. 2000 წელს იქმნება საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურისაციის ფონდი, სადაც გროვდება აქტივების გაყიდვითა და იჯარიდან შემოსული თანხები, რომელიც შემდგომ პრიორიტეტული დაწესებულების რეაბილიტაციას ხმარდება. მოგვიანებით სოციალური და ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტთან ერთად ფონდი შეერწყა საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების გან-

მახორციელებელ ცენტრს (2006 წელს). ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) ძირითადად ჩართული იყო საავადმყოფოების აკრედიტაციის სისტემის შემუშავების პროცესებში.

ჰოსპიტალური რეფორმა ითვალისწინებდა სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის სხვადასხვა ფორმების, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო მომგებიანი და არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობას. ამით, გაიზრდებოდა სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის ფორმებს შორის კონკურენცია, რაც ხელს შეუწყობდა პაციენტის მიერ მისთვის სასურველი, ფინანსურად ხელმისაწვდომი სამედიცინო დაწესებულების არჩევის შესაძლებლობას, სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლებას და ჯანდაცვის ხარჯების შეკავებას.

საქართველოში სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის მრავალი ფორმების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 1996 წლის 16 სექტემბერს დაფუძნდა ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი, როგორც ბავშვთა კარდიოლოგიის და გულის თანდაყოლილი მანკების სადიაგნოსტიკო და სამკურნალო დაწესებულება. იგი წარმოადგენდა ჯო ენის სამედიცინო ცენტრი არის საქართველოში პირველ „ააიპ“ იურიდიული სტატუსის მქონე, არაკომერციულ, არამომგებიან სამედიცინო ორგანიზაციას.

#### **კარდიოქირურგიის დარგის განვითარება**

აშშ-ის ტექნიკური დახმარების ერთ-ერთი მაგალითია დებორას გულის და ფილტვის ცენტრის (Deborah Heart and Lung Center) მიერ საქართველოსადმი გაღებული წვლილი. დებორას ცენტრი არის საავადმყოფო, რომელიც სპეციალიზირებულია თანდაყოლილი და შეძენილი გულის, ფილტვის, და სისხლძარღვთა დაავადებების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში. საქართველოში იმ პერიოდში შეუძლებელი იყო გულის მანკით დაავადებული ბავშვების მკურნალობა. წლის განმავლობაში 10 გულის მანკით დაავადებული ბავშვი მიჰყავდათ აშშ-ში სამკურნალოდ, თუმცა, მსგავსი სახის მკურნალობა უფრო მეტი რაოდენობის ბავშვს სჭირდებოდა.

საქართველოში ბავშვთა კარდიოქირურგიის დარგის განვითარების ერთ-ერთი სულისჩამდგმელია აშშ-ის არასამთავრობო ორგანიზაციის GLOBAL HEALING-ის პრეზიდენტი ქალბატონი ჯო ენ მაკგოვენი. 1994 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და ჯო ენ მაკგოვენს შორის გაფორმდა ხელშეკრულება. საქართველოს მხარემ საკუთარ თვზე აიღო კლინიკისთვის ფართის გამოყოფა და გარემონტება, ხოლო ამერიკის მხარემ მისი აღჭურვა და პერსონალის მომზადება. საქართველოში, ბავშვთა კარდიოქირურგიული ცენტრის შექმნის იდეას, თავიდანვე დიდი მხარდაჭერა გამოუცხადეს დარგის წამყვანმა ამერიკელმა სპეციალისტებმა. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული ქართველი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მკურნალობის უახლესი მეთოდის დანერგვის პროცესში. კლინიკა გაიხსნა 1996 წლის 16 სექტემბერს თბილისის ბავშვთა მე-2 საავადმყოფოს ბაზაზე, როგორც ბავშვთა კარდიოლოგიის და გულის თანდაყოლილი მანკების სადიაგნოსტიკო და სამკურნალო დაწესებულება. კლინიკა გაშლილი იყო 1300 კვადრატულ მეტრის ფართზე და გააჩნდა ოც საწოლზე გაშლილი კარდიოქირურგიული განყოფილება, რვა საწოლიანი კარდიორეანიმაცია, ორი საოპერაციო, ერთი ექსპრეს-ლაბორატორია და საოფისე ერთეული. კორპორაცია Global Healing-მა კლინიკა მოამარაგა ყველა საჭირო აღჭურვილობით, სამედიცინო

მოხმარების საგნებითა და სახარჯი მასალით, უზრუნველყო კლინიკური პერსონალის გადამზადება, რისმა საერთო ღირებულება ხუთ მილიონ აშშ დოლარს მიაღწია. კლინიკის სიმძლავრე წელიწადში ორასი ახალშობილის მკურნალობაზე იყო გათვლილი.

ჯო ენ მაკგოვენნი 1996 წლის 23 სექტემბერს, საქართველოში ბავშვთა კარდიოლოგიისა და გულის ქირურგიის კლინიკის გახსნიდან ზუსტად ერთ კვირაში გულის ინსულტით გარდაიცვალა. ჯო ენ მაკგოვენის ანდერძის თანახმად, მისი ორგანოები ტრანსპლანტაციისთვის გამოიყენეს, ხოლო ფერფლი სამ ნაწილად გაიყო და კალიფორნიაში, სანქტ-პეტერსბურგსა და თბილისში (ჯო ენის სამედიცინო ცენტრის კლინიკის ეზოში) დაიკრძალა. ჯო ენის ცენტრის დამსახურებით, ქვეყანაში შემცირდა ახალშობილთა და ბავშვთა სიკვდილობის და ავადობის მაჩვენებელი. ცენტრი დღეისათვის წარმოადგენს ბავშვთა გულის დაავადებების და მასთან ასოცირებული პრობლემების ადრეული დიაგნოსტიკის, მკურნალობის და მეთვალყურეობის თანამედროვე კლინიკას.

### **დედათა და ბავშვთა გადარჩენის პროგრამების განხორციელება**

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში მწვავე დემოგრაფიულმა კრიზისმა იჩინა თავი. შობადობა დრამატულად დაეცა, დაბადებულთა შორის მკვეთრად გაიზარდა პირველი ბავშვის ხვედრითი წილი, ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი მატების ტენდენციით ხასიათდებოდა. ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა საზოგადოების ყველაზე სათუთი და ფაქიზი ფენა: ქალები და ბავშვები. ასეთ ვითარებაში დედათა და ბავშვთა გადარჩენის სახელმწიფო პროგრამების განხორციელება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ამერიკის საერთაშორისო ჯანმრთელობის ალიანსის (American International Health Alliance – AIHA) მიერ შეტანილი წვლილი. ამერიკელი პარტნიორების დახმარებით და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით დაიწყო ახალშობილთა რეანიმაციის პროექტის განხორციელება საქართველოში, რომლის მიზანი იყო ნეონატოლოგიისა და მეან-გინეკოლოგიისთვის პროფესიული ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება ახალშობილთა გადაუდებელი მდგომარეობების მართვის საკითხებში.

ახალშობილთა რეანიმაციის საკითხების სწავლების პროცესში მონაწილეობის მისაღებად AIHA-ს ბევრმა პარტნიორმა ინსტიტუტმა გამოაგზავნა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები საქართველოში. ქართველ ექიმთა დასახმარებლად ჩამოვიდნენ და ტრენინგების ჩატარებაში მონაწილეობდნენ პროფესიონალები ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლიდან და ატლანტას ბავშვთა ჯანდაცვის სკოლიდან. AIHA-ს დახმარებით პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებების მონაწილეობით თბილისში ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ბაზაზე ჩამოყალიბდა ბავშვთა გადაუდებელი დახმარების ცენტრი, პირველი თანამედროვე პედიატრიული Emergency სამხრეთ კავკასიის რეგიონში. პედიატრიული გადაუდებელი დახმარების განყოფილების ფორმირებაში მონაწილეობდა პროფესორი სტივენ ლანსკი, რომელიც ბავშვთა ჯანდაცვის ცენტრში მოღვაწეობდა ეგლესტონში და აქტიურად იყო ჩართული სამედიცინო პერსონალის გადამზადების პროცესში.

ატლანტა-თბილისის სამედიცინო პარტნიორული პროგრამის ფარგლებში 1997 წელს ბავშვთა N3 საავადმყოფოსა და N5 სამშობიარო სახლის ბაზაზე ამერიკელი სპეციალისტების მიერ ჩატარდა ტრენინგის კურსები ახალშობილთა რეა-

ნიმაცისა და ფეტალურ მონიტორინგში ინსტრუქტორების მომზადების მიზნით, რომელთაც შემდგომი კვალიფიკაცია გაიარეს აშშ-ში.

ამერიკელების დახმარებით ჩატარებული ზემოაღნიშნული ღონისძიებების შედეგად ამაღლდა მშობიარობამდელი, მშობიარობის პერიოდისა და მშობიარობის შემდგომი მომსახურების დონე, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლები.

### **სამედიცინო განათლების განვითარება**

სამედიცინო განათლების სრულყოფა ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაციის კონცეფციის 13 მიმართულებიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენდა და ითვალისწინებდა სამედიცინო განათლების სფეროში არსებული ქაოსური პროცესების მოწესრიგებას, სამედიცინო კადრების სწავლებასა და პროფესიული მომზადების დონის ამაღლებას (ჯორბენაძე და ვერულავა, 2021).

სამედიცინო განათლების რეფორმის კონცეფცია შემუშავებულ იქნა მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან ერთად, მსოფლიოში არსებული თანამედროვე გამოცდილების გათვალისწინებით. სამედიცინო საგანმანათლებლო სისტემის მოდერნიზაციის მიზნით, მსოფლიო ბანკის მხრიდან წამოყენებულ იქნა სპეციალური პირობები, რომელთა ქართული მხარის მიერ დაკმაყოფილება აუცილებელი იყო კრედიტის გამოსაყოფად. ამ პირობებს მიეკუთვნებოდა: მედიცინის გარკვეულ სპეციალობებში რეზიდენტურების პროგრამების, ანუ პოსტდოქლომური მზადების სარეგულაციო ნორმატივების მიღება, სამედიცინო პერსონალისა და სამედიცინო უმაღლესი და საშუალო სასწავლო დაწესებულებების აკრედიტაციისა და ლიცენზირებისათვის ნორმატიული აქტების მიღება და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, სამედიცინო სასწავლო დაწესებულებებისათვის ყოველწლიურად მისაღები კონტინგენტის ლიმიტის დაწესება. მსოფლიო ბანკის ეგიდით, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალისტებისა და უცხოელი ექსპერტების მიერ ერთობრივად მომზადებულ იქნა რეზიდენტურის პროგრამები.

სამედიცინო განათლების სისტემის რეორიენტაცია ეფუძნებოდა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში აპრობირებული, ერთი მხრივ, უმკაცრეს რეგულაციებს და მეორე მხრივ, „მოთხოვნა-მიწოდების“ საბაზრო პრინციპს, ანუ კონკურენტუნარიანი ჯანდაცვის მუშაკების შენარჩუნებას და მომზადებას, რისი მიღწევა უწყვეტი სამედიცინო განათლების უზრუნველყოფით და ცოდნის ხარისხის მაკონტროლებელი და მარეგულირებელი მექანიზმებით არის შესაძლებელი. ასეთი მექანიზმები იყო სერთიფიცირების, ლიცენზირებისა და აკრედიტაციის პროცედურები.

გრძელვადიანი ტექნიკური დახმარების პროგრამების განხორციელებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის თბილისთან დაძმობილებული ქალაქ ატლანტას წამყვან სამედიცინო ცენტრებს, რომელთა ხელშეწყობით შეიქმნა ატლანტა - თბილისის პარტნიორული პროგრამა, რომლის კოორდინატორი იყო ქართველი ხალხის უდიდესი მეგობარი ჰენრი კენეტ უოლკერი, უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის მედიცინისა და ნევროლოგიის პროფესორი, როლინსის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლის გლობალური ჯანმრთელობის პროფესორი.

პროფესორი კენ უოლკერი USAID-ის “Georgia to Georgia” -ის პროგრამის ფარგლებში საქართველოს პირველად 1992 წელს ეწვია. ამერიკული კორპორაციის („პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის“ - PfiD) ადმასრულებელმა დირექტორმა უოლკერმა უხელმძღვანელა ატლანტა-თბილისის საგანმანათლებლო და ჯანდაცვის დაწესებულებათა პარტნიორობას. კენეტ უოლკერის ინიციატივით



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის წარმატებული თანამშრომლობის შედეგად განხორციელდა დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე დასავლური სტილის სამედიცინო განათლების მოდელს. პროგრამის მეშვეობით დღესაც წარმატებით ხორციელდება სტუდენტების, კლინიკური რეზიდენტების, ახალგაზრდა სპეციალისტების და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლაში. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებმა უკვე მიაღწიეს წარმატებას შეერთებული შტატების სამედიცინო სალიცენზიო გამოცდებზე (USMLE). საქართველოსა და ატლანტის პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობა მომავალშიც შეუწყობს ხელს ქართველ ახალგაზრდა ექიმთა თაობების აღზრდას და ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის განვითარებას.

კენეტ უოლკერის ხელშეწყობით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიხსნა ექთანთა გადამზადების სკოლა, საქართველოში ხელი შეეწყო რეაბილიტაციის დარგის, შიდსისა და ტუბერკულოზის კვლევის განვითარებას... საქართველოს მიმართ გაწეული დამსახურებისათვის ჰენრი კენეტ უოლკერს თბილისისა და საქართველოს საპატიო მოქალაქის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.

სამედიცინო განათლების და მეცნიერების სისტემის რეორიენტაციის პროცესში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აშშ-ის ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტი (National Institutes of Health - NIH), რომელიც წარმოადგენს შეერთებული შტატების მთავრობის სააგენტოს, როგორც ჯანმრთელობისა და ადამიანური სერვისების დეპარტამენტის ნაწილი და პასუხისმგებელია ბიოსამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევებზე. აშშ-ის ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის დახმარებით, სამედიცინო მეცნიერების მართვისა და დაფინანსების სრულყოფის მიზნით, შემოღებულ იქნა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გრანტული წესით დაფინანსების მეთოდი. ინსტიტუტის მიერ ჩატარდა სპეციალური ვორკშოპები ქართველი მეცნიერებისათვის, სადაც განხილულ იქნა კვლევითი გრანტების მოპოვების მექანიზმები.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ინსტიტუტის ხელშეწყობა ჩვენი მეცნიერული კვლევების საერთაშორისო სამედიცინო-ბიოლოგიურ თემატიკებში უფრო მეტად ინტეგრირების კუთხით. სწორედ ამ პროცესის ხელშეწყობას ითვალისწინებდა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2000 წლის მეცნიერებისა და განათლების განვითარების პროგრამის დამტკიცება, სადაც გათვალისწინებულია ჩვენი მეცნიერებისთვის უცხოელი პარტნიორების მოძიებისა და კვლევათა ინტეგრირების პროცესის ინტენსიური ხელშეწყობა. შედეგად, ყოველწლიურად იზრდება მოპოვებული გრანტების რაოდენობა, რაც ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალის საერთაშორისო აღიარების დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენმა მეცნიერებმა დაიწყეს უცხოელ პარტნიორებთან წარმატებული თანამშრომლობა.

აშშ-ის გულის, ფილტვებისა და სისხლის ნაციონალური ინსტიტუტის მხარდაჭერით ასთმის გლობალური ინიციატივის ფარგლებში ქართულ ენაზე გამოიცა სახელმძღვანელოები ექიმებისთვის, ექთნებისთვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის მუშაკთათვის და ოჯახებისათვის.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში მეტად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საშუალო რანგის მენეჯერთა და ადმინისტრატორთა რგოლს. ამ თვალსაზრისით, ფუნქციონირება დაიწყო თბილისი-სკრენტონის (პენსილვანია) პარტნიორულმა პროგრამამ, რომლის მიზანია ჯანდაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის უწყვეტი განათლების ცენტრში ჯანდაცვის მენეჯერთა მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავება და დანერგვა.

ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროცესში გამოიკვეთა საშუალო სამედიცინო პერსონალის ადგილისა და როლის ახლებური განსაზღვრის აუცილებლობა. საქართველოში საექთნო საქმიანობის გაძლიერებას ხელი შეუწყო ამერიკის ჯანმრთელობის საერთაშორისო ალიანსმა, რომელმაც ორგანიზაცია გაუკეთა ექთნების სწავლებას საზღვარგარეთის საექთნო სკოლებში (მაგ., აშშ-ის ჯორჯიის შტატში, ატლანტის საექთნო სკოლაში).

1998 წლის 15 მარტს ამერიკელი პარტნიორების მსოფლიო ბანკთან წარმართული მუშაობის შედეგად თბილისში ჯანდაცვის მართვის ნაციონალურ ცენტრში გაიხსნა უწყვეტი საექთნო განათლების კომპონენტი.

1998 წლის 16-19 მარტს გრეიდის ჰოსპიტლის წარმომადგენლების მიერ ჩატარდა კურსი, რომელიც მოიცავდა შემდეგ თემებს: გულ-ფილტვის რეანიმაცია, ინტრავენური თერაპია, საექთნო შეფასება. კურსს ესწრებოდა 47 ექთანი თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონების კლინიკებიდან.

1998 წლის მაისში სამი წარმომადგენელი იმყოფებოდა ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი საექთნო სკოლის მუშაობის გასაცნობად და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საექთნო ფაკულტეტისთვის სასწავლო პროგრამების შესამუშავებლად.

1998 წლის ივნისს განხორციელდა ამერიკელ სპეციალისტთა ვიზიტი საქართველოში უმაღლესი საექთნო სკოლის შექმნასთან დაკავშირებით. „ატლანტა - თბილისის სამედიცინო პარტნიორობის“ ფარგლებში შემუშავებული იქნა საექთნო სკოლის სასწავლო გეგმა. შედგენილი იქნა კურიკულუმები ბებიაქალებისა და ზოგადი პრაქტიკის ექთნების მოსამზადებელი კურსებისათვის.

„ატლანტა-თბილისის სამედიცინო პარტნიორული თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბდა „ლიდერი ექთნის“ მოსამზადებელი კურსი, რომელიც ჩატარდა სკრენტონის უნივერსიტეტის (აშშ) პედაგოგების დახმარებით.

კურსის ჩამოყალიბების მთავარ მიზანს შეადგენდა იმ ძირითადი ბირთვის მომზადება, რომელზე დაყრდნობით ადგილებზე მოკლე დროში უნდა დანერგილიყო ექთნების ცოდნის ამაღლების ახალი ფორმები და მეთოდები.

### **ეროვნული საინფორმაციო სასწავლო ცენტრის შექმნა**

ჯეიმს სმიტის და კენეტ უოლკერის დახმარებითა და უშუალო ხელმძღვანელობით, ამერიკის ჯანმრთელობის საერთაშორისო ალიანსის „თბილისი-ატლანტას პარტნიორული პროგრამის“ ფარგლებში, საქართველოში დაარსდა ეროვნული საინფორმაციო სასწავლო ცენტრი, რომელიც საქართველოს ბიოსამედიცინო დარგების მუშაკთათვის მსოფლიოს თანამედროვე ინფორმაციული რესურსებისკენ გაჭრილი ფანჯარა გახდა.

ეროვნულ საინფორმაციო სასწავლო ცენტრში 1998 წლის დასაწყისში დამონტაჟდა რადიომოდემი, რომელმაც უზრუნველყო ინტერნეტის მიწოდების გაზრდა სამედიცინო მომხმარებლებისათვის. ინტერნეტის და მედლაინის რესურსებით სარგებლობდა 239 მომხმარებელი; 38 კურსზე სწავლება გაიარა 162 მსმენელმა; ბეჭ-

დვითი რესურსებით ისარგებლა 217 მომხმარებელმა; განხორციელდა 172 მიება; ემორის უნივერსიტეტიდან შეკვეთით მიღებულ იქნა 165 სამეცნიერო სტატია.

მომზადდა და ინტერნეტში განთავსდა ჯანდაცვის სამინისტროს ელექტრონული გვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე. გვერდი მოიცავდა სამინისტროს სტრუქტურას, მის დეპარტამენტებს და მათ ფუნქციებს, სამინისტროს დაქვემდებარებულ საქვეუწყებო ინსტიტუტებს და ცენტრებს, სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიისა და ჯანდაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის გვერდებს, აგრეთვე ქალაქ თბილისში განთავსებული სამედიცინო დაწესებულებების სრულყოფილ ნუსხას. დაიწყო ცალკეული სამედიცინო პროექტების და მათი დამფინანსებელი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების გვერდების, ასევე საქართველოს (ისტორია, კულტურა, ბუნება, კურორტები) და მისი ბუნებრივი და ჯანმრთელობის რესურსების შესახებ საინტერესო ინფორმაციის განთავსება.

„დისტანციური სამედიცინო განათლების/ტელემედიცინის პროექტის მომზადებისა და პირველი ეტაპის განხორციელების“ ფარგლებში: მოხდა ინტერნეტიდან პროგრამა Microsoft NetMeeting 2.1-ის ჩამოტვირთვა, ციფრული ვიდეოკამერების შეძენა (სოროსის გრანტით). ჩატარდა 27 ტელესეანსი მერილენდის უნივერსიტეტთან და 4 - ცინცინატის უნივერსიტეტთან.

„პარტნიორობა მშვიდობისათვის ინფორმაციის მართვის სისტემის“ და ემორის უნივერსიტეტთან ერთად მომზადდა „სამი ჯორჯიის ტელემედიცინის“ პროექტი საქართველოს მთიან რაიონებში (აჭარა, სვანეთი, ხევსურეთი, სამაჩაბლო) ტელემედიცინის მობილური პუნქტების მოსაწყობად.

ამოქმედდა პროექტი „ტელეკონსულტაციები ინვაზიურ კარდიოლოგიაში“, რომელიც ითვალისწინებს ჯანდაცვის სამინისტროს გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში ჩატარებული ანგიოგრაფიული გამოკვლევების შედეგების (კორონაროგრამების) ელექტრონული ფოსტის და ინტერნეტის მეშვეობით მიწოდებას გერმანიის, აშშ-ის და თურქეთის სხვადასხვა კარდიოლოგიური კლინიკებისათვის, რათა იქედან მიღებულ იქნას სათანადო კონსულტაციები როგორც ავადმყოფის დიაგნოზის დაზუსტების, ასევე მისი მომავალი კარდიოქირურგიული მკურნალობის საუკეთესო ალტერნატივების შესახებ.

#### **ფარმაცევტული სექტორის რეფორმირება**

მსოფლიო ბანკმა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ აქტიური დახმარება გაუწია ქვეყანას ფარმაცევტული პოლიტიკის შექმნაში, ამ მხრივ ამერიკელ სპეციალისტებს და კონსულტანტებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან. მათი ხელშეწყობით ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავდა ფარმაცევტული კანონმდებლობა, სამკურნალწამლო საშუალებათა მიმართ კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც მოიცავენ სამკურნალწამლო ნივთიერებათა პროდუქციის, იმპორტის და ექსპორტის, რეგისტრაციის, სამკურნალწამლო საშუალებათა მიმართ ხარისხის კონტროლის, ფასწარმოების და ფასების გადახდის საკითხებს, და რაც მთავარია, სამკურნალწამლო ნივთიერებათა გამოყენების სტრატეგიის და ტაქტიკის ასპექტებს.

გაერთიანებული მეთოდური ეკლესიის ჰუმანიტარული კომიტეტის (UMCOR) მიერ განხორციელდა თბილისის ფარმაცევტული ქარხნის რეაბილიტაცია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვეყნის ტერიტორიაზე მიმოქცევაში მყოფი წამლის ხარისხის უზრუნველყოფისათვის გადადგმული ნაბიჯები. მსოფლიო ბანკის ჯანდაცვის პროექტის დახმარებით 1998 წლის მეორე ნახევარში შეძენილ იქნა წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორია და სპეციალისტებს გაეწიათ საკონსულტაციო დახმარება. წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყანაში ხარისხიანი მედიკამენტების ბრუნვაში.

\*\*\*

ფასდაუდებელია ამერიკელი ხალხისა და მთავრობის წვლილი საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის საქმეში, მის დემოკრატიულ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. ასევე, უმნიშვნელოვანესია აშშ-ის დამსახურება დემოკრატიული მოპოვების პირველი წლებიდან საქართველოს ჯანდაცვის სისტემის კრიზისიდან გამოყვანაში, მის შემდგომ რეფორმირებასა და განვითარებაში. ამ უაღრესად რთულ პერიოდში აშშ-ის დახმარებით უამრავი ადამიანი გადაურჩა შიმშილს, ავადმყოფობას, სიკვდილს და გაიუმჯობესა ჯანმრთელობის მდგომარეობა. აშშ-ის „კონგრესის კვლევითი სამსახურის“ ანგარიშის მიხედვით, საქართველომ აშშ-ისგან 28 წლის განმავლობაში, 1992-დან 2020 წლის ჩათვლით, დახმარების სახით სხვადასხვა მიზნისთვის \$4 348 400 000 (ოთხი მილიარდ სამასორმოცდარვა მილიონ ოთხასი ათასი) მიიღო. CRS-ის მონაცემებით, ევროპისა და ევრაზიის ქვეყნებს შორის, საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების მიმღები წამყვანი ქვეყანაა. ეს ფაქტი ადასტურებს ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე მხარდაჭერას დაეხმაროს ქართველ ხალხს, მიაღწიოს წარმატებას დემოკრატიული საზოგადოების შენებაში. ამ თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის, ეკონომიკური წინსვლისთვის, უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია აშშ-ის თანადგომა.

საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები 30 წელი ვაშენებთ მეგობრობის და ურთიერთპატივისცემის ხიდებს, რომელიც ემყარება თანაზიარ ღირებულებებს, საერთო სტრატეგიულ ინტერესებსა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას. როგორც საქართველოს, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებშია ერთმანეთს შორის ურთიერთობების გაღრმავება, სანდო პარტნიორობა და მოკავშირეობა. ჩვენ გვაქვს ძალიან ძლიერი პარტნიორული ურთიერთობის მყარი გამოცდილება და კიდევ ბევრი გვაქვს ერთად სამუშაო წლებით ჩამოყალიბებული საიმედო მეგობრობის გასამტკიცებლად.

საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანი გადახედვას არ ექვემდებარება. საქართველოს მოსახლეობა და მთავრობები ერთიანი არან ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამერიკულ და ევროპულ სამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მუშაობისას ყოველთვის ვგრძნობდით თანასწორობის, თანაბარ-პარტნიორულ დამოკიდებულებას. ისინი ითვალისწინებდნენ ქართულ ტრადიციებს, ღირებულებებს, ფასეულობებს და ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტისას არასდროს მოუხვევიათ თავს მათი ხედვები.

დისკუსია და დისკუსია, კონსენსუსი და კომპრომისი ყოველთვის იყო მთავარი ჩვენს ურთიერთობებში. კარგი იქნება თუ თანამედროვე პოლიტიკოსები, და არამარტო საქართველოში, მომავალშიც შეძლებენ ამ პრინციპებით მუშაობას.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ამირხანაშვილი, ვ. საქართველოს დიაბეტის ფონდის ისტორია. <https://akdf.ge/%e1%83%a4%e1%83%9d%e1%83%9c%e1%83%93%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%90%e1%83%a1%e1%83%9d%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%90%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%9d%e1%83%a0/>
- გზირიშვილი დ. (2012). დამოუკიდებელი საქართველო - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სისტემები, ანალიტიკური მიმოხილვა. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“. თბილისი.
- ვერულავა თ. (2016). ჯანდაცვის პოლიტიკა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
- ვერულავა თ., ჯორბენაძე ა. (2022). ჰოსპიტალური სექტორის რეფორმა საქართველოში. ეკონომისტი. 3.
- ვერულავა თ., ჯორბენაძე ა. (2022). პირველადი ჯანდაცვის რეფორმირების 1995-2003 წლების გამოცდილება და რეკომენდაციები. ეკონომისტი.2:23-41.
- ვერულავა თ., ჯორბენაძე ა. (2022). სამედიცინო განათლება საქართველოში: გამოწვევები და პოლიტიკის შედეგები. ეკონომიკა და ბიზნესი.2:27-43.
- ვერულავა თ., ჯორბენაძე ა. (2022). საზოგადოებრივი ჯანდაცვის განვითარების პირველი ნაბიჯები დამოუკიდებელ საქართველოში. ეკონომიკა და ბიზნესი.1.
- პაპავა ვ. (2013). საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და პერსპექტივის შესახებ. ეკონომისტი, N2.
- ჯორბენაძე ა. (2021). როგორ იქმნებოდა ჯანმრთელობის დაცვის ახალი სისტემა. წიგნი I 1993-1997 წლები.
- ჯორბენაძე ა., ვერულავა თ. (2021). ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევა საქართველოში: განვითარების ბარიერები. ეკონომიკა და ბიზნესი. 13 (2).
- Bush, 1992a: Bush G., Remarks at the International Conference on Humanitarian Assistance to the Former U.S.S.R. January 22, 1992. <https://www.presidency.ucsb.edu/documents/remarks-the-international-conference-humanitarian-assistance-the-former-ussr> (მოძიებულია 2023 წლის იანვარში).
- Fitzwater, 1992a: Fitzwater M., US Department of State, Statement by Press Secretary Fitzwater on Diplomatic Relations With the Republic of Georgia. March 24, 1992 <https://www.govinfo.gov/content/pkg/PPP-1992-book1/pdf/PPP-1992-book1-doc-pg502-2.pdf>
- Fitzwater, 1992b: Fitzwater M., US Department of State, Statement by Press Secretary Fitzwater on Humanitarian Assistance to Refugees in Yugoslavia and the Caucasus. May 28, 1992. <https://www.govinfo.gov/content/pkg/PPP-1992-book1/pdf/PPP-1992-book1-doc-pg839-2.pdf> (მოძიებულია 2023 წლის იანვარში).
- Gamkrelidze A, Atun R, Gotsadze G, MacLehose L. (2002). Health Care Systems in Transition – Georgia 2002, Copenhagen: European Observatory on Health Care Systems.
- Gzirishvili D., Zoidze A., Gotsadze G. (1997). Health Care Reforms in Georgia, Tbilisi.

- Kalandadze T., Bregvadze I., Takaishvili R., Archvadze A., Moroshkina N. Development of State Health Insurance System in Georgia, Croatian Medical Journal. <http://www.cmj.hr/1999/40/2/10234065.htm>
- Verulava T, Jorbenadze A. (2022). Primary health care reforms in Georgia: the experience and challenges. Arch Balk Med Union. 57(4):384-389. <https://doi.org/10.31688/ABMU.2022.57.4.07>.
- Verulava, T. Jorbenadze A. (2022). Development of public health in Georgia: Challenges and policy issues. Archives of the Balkan Medical Union.; 57(2):179-184.
- Verulava T. Jorbenadze A. (2022). Development of Social Health Insurance in Georgia: Challenges and Lessons. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences. 16(1):127-133. doi:10.5114/fmpcr.2022.113017.
- Verulava T, Jorbenadze A. (2021). Context and issues of social health insurance introduction in Georgia. Arch Balk Med Union. 56(3):349-357. <https://doi.org/10.31688/ABMU.2021.56.3.09>.
- World Bank. Georgia, Health Sector Development Project., 2012.
- WHO. Joint Experts Group. Aide Memoir on Health Sector in Georgia. Tbilisi, 1996.

**Tengiz Verulava**

*Doctor of Medicine, Professor at Caucasus University*

**Avtandil Jorbenadze**

*Doctor of Medicine, Chairman of the Supervisory Board of  
Chapidze Emergency Cardiology Center*

**ASSISTANCE OF THE UNITED STATES OF AMERICA IN THE DEVELOPMENT  
OF THE HEALTH CARE SYSTEM OF GEORGIA**

DOI: [10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Tengiz.Verulava/Avtandil.Jorbenadze](https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Tengiz.Verulava/Avtandil.Jorbenadze)

**Expanded Summary**

The contribution of the American people and the government to the construction of Georgia's statehood, its democratic, economic and social development is invaluable. Also, the merit of the USA in bringing Georgia's health care system out of the crisis in the first years of independence, and in its subsequent reformation and development, is also very important. During this extremely difficult period, with the help of the USA, many people were saved from hunger, illness, death and their health conditions improved. American aid to Georgia can be divided into three stages: humanitarian aid (medicines and medical consumables), technical aid (bringing new directions of medicine to the country, raising the education of medical personnel and society, promoting the development of the health care system (with various US organizations, foundations, scientific research institutions Doing joint projects, programs and research.) This fact confirms the strong support of the United States of America to help the Georgian people in building a democratic society, ensuring security, achieving the country's prosperity and economic progress.

**Key words:** US aid, Georgian healthcare, healthcare system

*Lali Chagelishvili-Agladze*

*Doctor of Economic Sciences, Professor, Georgian International University (GIU);*

*Maya Gonashvili*

*Doctor of Economics, Professor, Caucasus University (CU);*

*Ketevan Archaia*

*Telavi State University (Tesau) – PhD student of economics*

## **MODERN CHALLENGES AND A CONCEPTUAL MODEL OF GEORGIA'S HEALTH DEVELOPMENT**

DOI: [10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Lali.Chagelishvili-Agladze/Maya.Gonashvili/Ketevan.Archaia](https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Lali.Chagelishvili-Agladze/Maya.Gonashvili/Ketevan.Archaia)

**Annotation.** *The agreement on the cooperation of the sustainable development of the United Nations in 2021 - 2025, is the first strategic priority for the well-being of a person who, along with material well-being, education and social protection, takes care of his health. The right of all people is health, and its provision is primarily the prerogative of the state.*

*The vectors of the Georgian health care system are considered in three main directions: ensuring universal health; implementation of alternative health financing models; Reproduction of sustainable development models of the health field.*

*In order to ensure the main right and health of a person, it is necessary to establish a system that will be equally accessible to all strata of society, and most importantly, quality health services will be provided for them for this purpose, in 2013, a reform in the field of health of Georgia began, the result of which was the implementation of the universal health program. The first stage of the reform provided for the universal availability of health services for the population, and the second stage was aimed at establishing a demand-oriented service buyers, introducing a service acquisition model. In this regard, a competitive environment was created.*

*Despite the active action of the state, the development of the sphere is carried out at a slow pace and has not been possible to receive services of European standards through universal health programs. This is acutely observed in terms of providing health services of the regions. Moreover, a large part of the investments are used to organize the health infrastructure and health services throughout the city, which cannot be said about the regions.*

*However, it should be noted that both in the city and in the regions there is a lack of medical personnel such as nurses, small service personnel, doctor laboratory assistants and others. outpatient institutions cannot withstand high loads, technical equipment of hospitals is at a very low level; The number of medicines and medical equipment in medical institutions/ clinics is insufficient.*

*To overcome the rapid development and difficulties of countries, the field of the region. In the modern world, the concept of development process is becoming more and more relevant.*

*In the work, along with health investment and financing problems, the concept of cluster development of the health field is brought to the fore.*

*As a result of the research, conclusions are drawn and recommendations for the sustainable development of the health field of Georgia are set.*

**key words:** *Sustainable development; Financing model; Strategic development model.*

### **Introduction**

Practice has show us that for the sustainable development of countries, it has become increasingly necessary for the state to develop a conceptual vision in conditions of entropic indeterminacy and to develop long-term strategies, which ensures the country's social -

economic security and stability not only during the crisis period, but also in the conditions of stable social - economic development.

The agreement on the cooperation of the sustainable development of the United Nations in 2021 - 2025, is the first strategic priority for the well-being of a person who, along with material well-being, education and social protection, takes care of his health. The right of all people is health, and its provision is primarily the prerogative of the state.

The vectors of the Georgian health care system are considered in three main directions: ensuring universal health; implementation of alternative health financing models; Reproduction of sustainable development models of the health field.

In order to ensure the main right and health of a person, it is necessary to establish a system that will be equally accessible to all strata of society, and most importantly, quality health services will be provided for them for this purpose, in 2013, a reform in the field of health of Georgia began, the result of which was the implementation of the universal health program. The first stage of the reform provided for the universal availability of health services for the population, and the second stage was aimed at establishing a demand-oriented service buyers, introducing a service acquisition model. In this regard, a competitive environment was created. Despite the active action of the state, the development of the sphere is carried out at a slow pace and has not been possible to receive services of European standards through universal health programs. This is acutely observed in terms of providing health services of the regions. Moreover, a large part of the investments are used to organize the health infrastructure and health services throughout the city, which cannot be said about the regions.

However, it should be noted that both in the city and in the regions there is a lack of medical personnel such as nurses, small service personnel, doctor laboratory assistants and others. outpatient institutions cannot withstand high loads, technical equipment of hospitals is at a very low level; The number of medicines and medical equipment in medical institutions/ clinics is insufficient.

In order to overcome the rapid development and difficulties of countries, regions, fields, the concept of developmental development is becoming more and more relevant in the modern world. M. Porter's cluster strategies contain the very connections that determine the solidity, stability of the system under conditions of indeterminacy and contribute to its stability. This is very important in such a field as health care.

### **Analysis**

What does sustainable development mean? How should the continuous development of the field of violence be carried out in any period and conditions? Which factors are determining the continuous functioning of the field of high-quality service? Does the modern health care system withstand the demands of time? Should he follow his earlier rhythm or should he be resuscitated? What paths should be set before the sphere so that it can continue to move steadily towards development and deal with any difficulties. These are the questions that were asked before us at the beginning of the research and which we tried to answer in the given work.

During the research, in order to analyze the current state of health, we selected the health structures of Tbilisi, Kutaisi, Zestafon, Oni - Ambrolauri, Zugdidi and Kakheti regions. Massive research has shown us the real picture of the health care field.

First of all, when certain long-term views are implemented in such priority fields, which may be related to radical changes, it is necessary to study the approaches of state policy and take appropriate steps.

That is why, at the beginning of the research, we studied the information base of the health field, the main directions of politics, on the basis of which the approaches of the state policy of forming a cluster in the field were developed, which envisages the existence of structural approaches to the creation of a cluster in the field.



The latter includes:

- state policy of the health group;
  - Innovation approach in the development of the health industry;
  - the policy of vertical management of the health group;
  - model of clinical management of the health group;
  - A health funding model based on scientific research.

The purpose of the policy presented in the formation of health centers is to create sustainable development processes and to develop normative documents regulating their realization, which ensures the effective functioning of health centers at the country's level.

The policy of vertical management of clusters is significant in the structural approaches, which is due to the specifics of the field. The policy of vertical management should be aimed at promoting the sustainable marketing of the field by developing and implementing appropriate goal programs.

The effectiveness of the functioning of the health departments is related to the relations between such governmental bodies as:

- For clinical development - Ministry of Health; Region municipalities; Where are the structures; clinic administration;
- Support for innovative forms/ directions/ development - source of budget financing of the country and the region; Financial institutions;
- To ensure favorable infrastructure (micro environment) - structures providing material - technical, information, human resources;
- To ensure the field of cluster construction - state and private partnership business spheres; insurance institutions;
- To advance the brand of clusters - to join international clusters.

The close interaction between the government and the health care unit management bodies leads to sustainable development of the health field across the country. With a balanced relationship between government and business representatives in the clusters, it will be possible to turn the country into an attractive determinism. In the field of health, the government should transfer part of the administrative authority to the management of the health groups, and concentrate the resources for supporting the target programs to the target audience. This ensures the formation of health and insurance (health insurance) culture in society (at the micro/ macro level), the development of medical structures and personnel [1]

The health care team should be focused not only on the Diagnostic, outpatient or hospital treatment of the society, but also on preventive medical-health services. It is in this way, as a result of actual implementation of such a structure, that we can achieve an increase in demand at medical resorts not only at the national, but also at the international level, which is an important step for obtaining competitive advantages and advancing health brands.

In order to ensure sustainable development of the field, it is also important to develop and operate a targeted model of financing and investment.

In this regard, it has been studied by us (to add here to the health care information about investments and financing model, which is in the dissertation)

### **Conclusion**

The concept of sustainable development of health care developed by us, which is manifested in the development of networks and goal-funding model in the field, contributes to the flexible functioning of health and promotional structures in conditions of entropic indeterminacy (and not only), continuity of processes and stable development of the field as a whole.

The peculiarity and attractiveness of the cluster is also in the function of its positive orientation. Which means that it ensures that all branches, structures, institutions included in the cluster develop synchronously and demand them, which ultimately brings positive social and economic results.

Based on all of this, we can mention that for the sustainable development of the health field, it is necessary: close connection of the health care management bodies;

- Close connection of health care management bodies;
- State support in the development of a regional health care unit;
- Creation of innovation and investment support centers; Implementation of the digital health program.
- Modernization of the Health Information Base;
- Implementation of purposefulness programs by financial institutions;
- Medical prevention/ functioning of the recreational/ resort facilities/ sanatoriums/ rehabilitation centers;
- Development of specialized dispensaries. expansion of SSR;
- Modernization, development, continuous functioning of the health logistics network;
- Expansion of the network of professional educational institutions and preparation of demanding medical personnel;
- Bringing the universal health system closer to European standards;
- Ensuring the quality of health care services of European and world standards.

The implementation of the mentioned reforms will contribute to the development of the health field of Georgia; It will allow the introduction of digital health strategies in the field of health care of Georgia as quickly and in a short time as possible at the stages of diagnosis, treatment, surgical operation. This ensures high-quality public service, correct and timely diagnosis and treatment, and finally the improvement of life expectancy aging, mortality rates, which is directly related to the growth of productivity and social - economic prosperity.

#### References:

1. L. Chagelishvili - Chagelishvili, Methodological issues of formation of groups in the field of health care of Georgia; International scientific-practical magazine "Moambe" by the Academy of Public Works of Georgia; .. " ; XLV 2022
2. L. Chagelishvili - Chagelishvili. Pandemic and conceptual issues of economic development of the region; P. Gugushvili economy infrastructure; Collection of works of the international scientific conference; 2020.
3. L. Chagelishvili, Entropic economy and conceptual issues of change management; Collection of works of the international scientific conference; from Gori; 2018;
4. Jonauskis, M. (2007), *Technology platforms and cluster development in Lithuania*, Paper presented at International Conference: “Clusters Connecting possibilities in South East Europe”, April 20-21, Opatija: Ministry Of Economy, Transport and Communications of the Republic of Croatia. Available at: [www.migpv.rh](http://www.migpv.rh)
5. Ketels, C. H. M. (2003) *The Development of the cluster concept – present experiences and further developments*; Prepared for NRW conference on clusters, Duisburg, Germany, 5 Dec 2003.
6. Ketels, Ch., (2004) *European Clusters*, Hagbarth Publications 2004.
7. O. Solvell, G. Lindqvist, C. Ketels, *Cluster Initiatives in Developing and Transition Economies*, ISBN 91-974783-2-6; Center for Strategy and Competitiveness, Stockholm, First edition, May 2006;
8. OECD (2001) *World Congress on Local Clusters: Local Networks of Enterprises in the World Economy*; Issues paper; 23-24 January, 2001
9. *Prioritizing Diseases for research and development*; WHO; 2022;
10. <https://www.who.int/activities/prioritizing-diseases-for-research-and-development-in-emergency-contexts>;
11. 10. EPI-WIN: WHO Information Network for Epidemics; WHO, 2022;

- <https://www.who.int/teams/epi-win;>  
12. . COVID-19 Vaccine Delivery Partnership; WHO; 2022  
13. <https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/covid-19-vaccines/covid-19-vaccine-delivery-partnership;>

*ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე*  
*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,*  
*საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-ს პროფესორი;*  
*მაია გონაშვილი*  
*ეკონომიკის დოქტორი კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;*  
*ქეთევან არჩაია*  
*თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**თანამედროვე გამოწვევები და საქართველოს ჯანდაცვის განვითარების**

**კონცეპტუალური მოდელი**

DOI: [10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Lali.Chagelishvili-Agladze/Maya.Gonashvili/Ketevan.Archaia](https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Lali.Chagelishvili-Agladze/Maya.Gonashvili/Ketevan.Archaia)

### **რეზიუმე**

გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშერკრულება 2021-2025, უპირველეს სტრატეგიულ პრიორიტეტად სახავს ადამიანის კეთილდღეობას, რომელიც, მატერიალურ კეთილდღეობასთან, განთლებასა და სოციალურ დაცვასთან ერთად მოიცავს ჯანმრთელობას. ყველა ადამიანის უფლებაა ჯანმრთელობა, მისი უზრუნველყოფა კი უპირველესად სახელმწიფოს პრეროგატივაა.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ვექტორები სამი ძირითადი მიმართულებით განიხილება: საყოველთაო ჯანდაცვის უზრუნველყოფა; ჯანდაცვის დაფინანსების ალტერნატიული მოდელების განხორციელება; ჯანდაცვის სფეროს მდგრადი განვითარების მოდელების რელიზაცია.

ადამიანის მთავარი უფლების, ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც საზოგადოების ყველა ფენისათვის ერთნაირად მისაწვდომი იქნება და რაც მთავარია, მოხდება მათთვის ხარისხიანი ჯანდაცვის მომსახურების გაწევა სწორედ ამ მიზნით, 2013 წელს წელს დაიწყო რეფორმა საქართველოს ჯანდაცვის სფეროში, რომლის შედეგიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედება იყო. რეფორმის პირველი ეტაპი ითვალისწინებდა მოსახლეობისათვის ჯანდაცვის სერვისების უნივერსალურ ხელმისაწვდომობას, ხოლო მეორე ეტაპი მიმართული იყო მოთხოვნაზე ორიენტირებული სერვისების შემსყიდველის ჩამოყალიბების გზით, სერვისის შესყიდვის მოდელის დანერგვაზე. ამ მხრივ შეიქმნა კონკურენტული გარემო.

მიუხედავად სახელმწიფოს აქტიური ქმედებისა, სფეროს განვითარება წელიტემპებით ხორციელდება და დღემდე ვერ მოხერხდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებით, ევროპული სტანდარტების სერვისების მიღება. აღნიშნული მწვავედ შეიმჩნევა რეგიონების ჯანდაცვის სერვისების გაწევის კუთხით. უფრო მეტიც, ინვესტიციების დიდი ნაწილი ხმარდება ქალაქის მასშტაბით ჯანდაცვის ინფრა-

სტრუქტურის მოწყობასა და ჯანდაცვის სერვისებს, რასაც ვერ ვიტყვით რეგიონებზე.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ქალაქად, ასევე რეგიონებში შეიმჩნევა ისეთი სამედიცინო კადრების ნაკლებობა, როგორებიც არიან ექთნები, მცირე მომსახურე პერსონალი, ექიმი ლაბორანტები და სხვა. მაღალ დატვირთვას ვერ უძლებენ ამბულატორიული დაწესებულებები, საავადმყოფოების ტექნიკური აღჭურვა ძალზე დაბალ დონეზეა; არასაკმარისია მედიკამენტებისა და სამედიცინო ტექნიკის რაოდენობა სამედიცინო დაწესებულებებში/კლინიკებში.

ქვეყნების, რეგიონის დარგის სწრაფი განვითარებისა და სირთულეების დაძლევისათვის,

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება განვითარების კლასტერიზაციის კონცეფცია.

ნაშრომში, ჯანდაცვის ინვესტიციებისა და დაფინანსების პრობლემებთან ერთად, წინა პლანზეა წამოწეული ჯანდაცვის სფეროს კლასტერული განვითარების კონცეფცია.

კვლევის შედეგად გამოტანილია დასკვნები და დასახულია საქართველოს ჯანდაცვის სფეროს მდგრადი განვითარების რეკომენდაციები.

**საკვანძო სიტყვები:** მდგრადი განვითარება; დაფინანსების მოდელი; სტრატეგიული განვითარების მოდელი;

---

---

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა – AGRICULTURAL ECONOMY

---

---

**პაატა კოლუაშვილი**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,  
**იოსებ არჩვაძე**  
ეკონომიკის დოქტორი,  
ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი

**სურსათის წარმოების რეგიონული და დარგობრივი ორიენტირები**

ამას ეჭვი არ უნდა, რომ ჩვენი ქვეყანა მიწათმომქმედი ქვეყანაა და ერთადერთი წარმოება, რომელსაც იგი ამოქმედებს, სასოფლო მეურნეობაა, ესე იგი იმისთანა წარმოება, რომელსაც პირდაპირ მიწასთან აქვს საქმე და მიწის მოქმედებასთან ...ქვეყნის ეკონომიური სიმტკიცე და ძლიერება გლეხკაცობის მიწათმფლობელობაზეა დამოკიდებული. რამოდენადაც ეგ მიწათმფლობელობა ფართოა, სხვაზედ დამოუკიდებელი და თავისუფალი მიწათმოქმედებისათვის, იმოდენად ქონებითი ძალ-ღონე ქვეყნისა, თუ სახელმწიფოსი მტკიცეა, ძლიერი და მუდმივი.

**ილია ჭავჭავაძე**

**ანოტაცია.** საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მრავალი კომპონენტიდან ერთერთ უმნიშვნელოვანესს სასურსათო უსაფრთხოება წარმოადგენს. მის უზრუნველყოფაში პოლიტიკურ და რესურსულ პოტენციალთან ერთად სულ უფრო მზარდ როლს ასრულებს რეგიონული ასპექტი, რომელიც ითვისებისწინებს ადგილობრივ პირობებს, წარმოების სპეციალიზაციას და კულტურას, შესაბამისი პროფილისა და გამოცდილების მქონე საკმარისი რაოდენობის საწარმოო ძალების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს - სამუშაო ძალას, ამ უკანასკნელის დაინტერესების, მოტივაციის, ადგილზე მოზიდვისა და შენარჩუნების უზრუნველყოფას. მასვე უკავშირდება აგრეთვე როგორც მთელი ქვეყნის, ისე მისი რეგიონების მიხედვით სხვადასხვა სოციალური ძალების, ინდივიდუალური და კორპორაციული ინტერესების დაბალანსების პრობლემა. ნებისმიერი სახელისუფლებო პოლიტიკის, კონცეფციის თუ პროგრამის წარმატება დამოკიდებულია ზემოხსენებულ ინტერესთა როგორც ვერტიკალურ (სახელმწიფო - კორპორაცია - ინდივიდი), ისე ჰორიზონტალურ (ცენტრი - რეგიონი) დაბალანსებაზე. ამასთან, სწორედ რეგიონის დონეზე ვლინდება სახელისუფლებო გადაწყვეტილების მართებულობა, რაციონალურობა და ეფექტიანობა. ამ მიმართულებით, მიუხედავად ბოლო წლებში საქართველოში აშკარა წინგადადგმული ნაბიჯებისა, შეინიშნება სისტემური ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლიან ვითარებას, რომლითაც, ერთი მხრივ, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება ჯერაც საკმაოდ მოწყვლადია საგარეო რისკებისა და გამომწვევებისადმი და მეორე მხრივ, განაპირობებს სოფლის მეურნეობისათვის არაპრესტიჟული

ეკონომიკის ყველაზე „სუსტი რგოლის“ სტატუსის აღმნიშვნელი სტიგმის შენარჩუნებას.

**საკვანძო სიტყვები:** სასურსათო უშიშროება, აგრარული სექტორი, აგროწარმოების სპეციალიზაცია, რეგიონული ორიენტირები, მთიანი რეგიონი.

JEL: Q1, R1.

### შესავალი

სასურსათო უშიშროების პრობლემის, როგორც სახელმწიფოებრივი უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის, გადაწყვეტა მოითხოვს მნიშვნელოვან ძალისხმევას რეგიონალურ დონეზე. ეს ისეთი ამოცანაა, რომლის წარმატებით გადაჭრისათვის არაა საკმარისი მხოლოდ ცენტრის აქტიურობა, ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამოქმედო პროგრამები - საჭიროა რეგიონული ფაქტორების სრულმასშტაბიანი გამოყენება, რაც ადგილობრივი შრომითი რესურსების მოტივაციის უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია. შესაბამისად, აგრარული სექტორის განვითარება, ამგვარი განვითარების რეგიონული და დარგობრივი ორიენტირების ვექტორალური ჰომოგენობის მიუღწევლად შეუძლებელია. მაგრამ, ამისთვის უპირველეს ყოვლისა შესაქმნელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, განსასაზღვრია პრიორიტეტები და ჩამოსაყალიბებელია სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფელი სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა. ეს სტრუქტურა უნდა ეფუძნებოდეს რეგიონის სპეციფიკას, წარმოების კულტურას, ტრადიციებს, მათ შორის შეფარდებითი უპირატესობის ფაქტორს.

რეგიონულ დონეზე გადასაჭრელი ამოცანების გადაჭრა დიდწილად დამოკიდებულია სურსათის მწარმოებელ ამა თუ იმ რეგიონში არსებულ შესაძლებლობებზე, რაც თავის მხრივ, უკავშირდება საერთო სახელმწიფოებრივ დონეზე სურსათის წარმოების სტიმულირებას, მის შესასყიდად საჭირო თანხების აკუმულირებასა და სურსათის სადაზღვევო და სამობილიზაციო მარაგების შექმნასთან.

### სასურსათო უზრუნველყოფის დონე და გამოწვევები

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ ათწლეულში სურსათით უზრუნველყოფის დონის საერთო შემცირების პირობებში აღნიშნული დონე ყველაზე მეტად დაეცა გურიის, სამეგრელოს და კახეთის რეგიონებში, შედარებით ნაკლებად - იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში. ამასთან, მოსახლეობის კვების რაციონის ფაქტიური ენერგეტიკული ფასეულობა გაცილებით ნაკლებად ჩამორჩებოდა მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებულ მაჩვენებელს, ვიდრე სასურსათო უზრუნველყოფის საშუალო დონე, გაანგარიშებული კვების ძირითადი მოხმარების პროდუქტების მიხედვით.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ჯერ კიდევ შორსაა არათუ საკუთარი წარმოების, არამედ ზოგადად, სასურსათო პროდუქტებით სრული უზრუნველყოფისაგან. მაგალითად, ხორცისა და ხორცპროდუქტების მოხმარება რაციონალური მოხმარების სარეკომენდაციო ნორმის მხოლოდ 60 პროცენტის დონეზეა. - მოსახლეობის ერთ სულზე ფაქტობრივად წლიურად მოხმარებული 38 კგ ხორცისა და ხორცპროდუქტებიდან ადგილობრივი წარმოების წილად მოდის 19.7 კგ - რაციონალური ნორმის მხოლოდ 31.3 პროცენტი.

ასეთ პირობებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაციის პრობლემის გადაწყვეტა, რისთვისაც საჭიროა:

1. სოფლის მეურნეობის განვითარების არსებული და პოტენციური დონის დადგენა;

2. დარგების სწორი სელექცია იმ პრიორიტეტული დარგების გამოყოფით, რომლებიც საბაზრო ურთიერთობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს (ე.ი. დარგი კონკურენტუნარიანი უნდა იყოს ქვეყნის შიდა და გარე ბაზარზე);

3. საკუთარი წარმოებისა და იმპორტის შეწონასწორებული, ოპტიმალური მოდელის შერჩევა.

აღნიშნული საკითხები დასამუშავებელია როგორც მთლიანად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ისე რეგიონების მიხედვითაც, რაშიც დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ აგრარული პროფილის მეცნიერებსა და სპეციალისტებს.

ამასთან, სურსათით (ან ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი რესურსით) თვით-უზრუნველყოფის დონის ამაღლებას არ უნდა მოყვეს რეგიონის „ავტონომიზაცია“, ქვეყნის საერთო ამოცანების, საერთო ბიზნეს-პრინციპების და საერთოდ აღიარებული კანონების (აბსოლუტური უპირატესობის და ფარდობითი უპირატესობის) მოთხოვნათა უგულვებელყოფა. პირიქით, რეგიონის თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება, ადგილზე არსებული რესურსების რაციონალურ გამოყენებას და პროდუქციის უფრო დაბალ თვითღირებულებას უნდა ემყარებოდეს. საბოლოო ანგარიშით, ის ხელს უნდა უწყობდეს ქვეყნის სასურსათო უშიშროების ყოველმხრივ განმტკიცებას.

სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ მსოფლიო ბაზარზე დამოუკიდებელი პოზიციონირებისა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ახალი როლის მიღება და „მიჩენამ“ პირველ ეტაპზე საგრძნობლად დააზიანა აგრარული სექტორის ის დარგები და რეგიონები, რომლებიც ექსპორტზე ორიენტირებულნი იყვნენ. საფასო პარიტეტი, საექსპორტო პროდუქციასა და ძირითად იმპორტირებული პროდუქციის ფასებს შორის, კონიუნქტურის ცვლილების გამო, საქართველოსათვის საგრძნობლად გაუარესდა. მაგალითად, 1990-იანი წლების შუა ხანებში ერთ და იმავე რაოდენობის იმპორტის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო 5-ჯერ მეტი ციტრუსების რეალიზაცია 6-7 წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით. მართალია, ადრინდელ „ექსპორტორიენტირებულ რეგიონებში“ მოხდა სპეციალიზებული დარგების (მევენახეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, ეთერზეთოვნების და სხვა) ერთგვარი ჩანაცვლება სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგებით (მარცვლეული, მზესუმზირა, ბოსტნეული, კარტოფილი...), მაგრამ მან ვერ მიიღო ისეთი მასშტაბები, რომლებიც მოახდენდა წარმოქმნილი სასურსათო დეფიციტის კომპენსაციას. ჩვენი შეფასებით, საქართველოს აქვს შესაძლებლობა, 10 ძირითადი სოფლის მეურნეობის პროდუქტიდან 7-ზე უკვე უახლოეს წლებში სრულად დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილებები (კარტოფილი, ბოსტნეული, ბაღჩეული, ხილი, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, თევზი). რაც შეეხება ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ისეთი პროდუქტებით, როგორცაა პური და პურპროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, აგრეთვე შაქარი, კვლავ მნიშვნელოვანწილად იმპორტის ხარჯზე მოხდება, მაგრამ აქაც თვისებრივ, პოზიტიურ ცვლილებების მნიშვნელოვანი პოტენციალი არსებობს. მაგალითად, მარცვლეულის ნათესების ფართობისა და საჰექტარო მოსავლიანობის, სულ ცოტა, გაორმაგების

ხარჯზე. ქართველ აგრარიკოს მეცნიერთა და უცხოელ ექსპერტთა შეფასებით, აგრარული სექტორის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე გასასვლელად, ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფაში აბსოლუტური წვლილის შეტანისათვის, აუცილებელია მისი მართვის პრინციპების სერიოზული კორექცია, უფრო ქმედითი სახელმწიფო მხარდაჭერა, სუბსიდირების სისტემის გაფართოება, მიწების პარცელიზაციის დაძლევა, სპეციალიზირებული აგრარული პროფილის ბანკის ფორმირება, შეღავათიანი საკრედიტო პოლიტიკის გატარება და კოოპერირების წახალისება. აღნიშნულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ სასურსათო ბაზრის განვითარებაში და საბოლოო ჯამში, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

### **სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარების ფაქტორები და სახელმწიფოს აგროპოლიტიკა**

აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიული კურსი გულისხმობს აღნიშნული დარგის ეროვნული მეურნეობის მყარ რგოლად ჩამოყალიბებას, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის გაუმჯობესებაში მზარდი როლის შესრულებას და შესაბამისად, იმპორტდამოკიდებულების შემცირებას.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია დარგის ფონდ-, კაპიტალშეიარაღების არსებითი გაუმჯობესება, რაც ინვესტიციების გარეშე შეუძლებელია. მაგრამ ამ პროცესს დიდწილად მიწების პარცელიზაცია უშლის ხელს. 2021 წელს საქართველოში აგრარულ სექტორში შექმნილ ყოველი 1000 დოლარის დამატებულ ღირებულებაზე მხოლოდ 1.62 დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მოდიოდა, მთლიანად ეროვნულ მეურნეობაში - 76.0 დოლარის, მათ შორის აგრარული სექტორის გამოკლებით - 81.6 აშშ დოლარი. ფაქტობრივად, ერთეულ დამატებულ ღირებულებაზე უცხოური ინვესტიციების მოცულობა სოფლის მეურნეობაში 50.4-ჯერ ნაკლებია ეკონომიკის დანარჩენ სექტორებთან შედარებით. ამ მიზნით საჭიროა კაპიტალის ბაზრის განვითარება, რის ხელშემწყობი ფაქტორებია საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და ჯერ კიდევ შედარებით იაფი სამუშაო ძალა;

- **სოფლის მეურნეობის განვითარების სპეციალიზებული ფონდის შექმნა**, რომლის წყაროდ შესაძლოა გამოყენებული იქნეს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან გრანტების სახით შემოსული სხვადასხვა დახმარებების მონეტიზაციით მიღებული სახსრები და სხვა მიზნობრივი დახმარებები. ამავე დროს, აუცილებელია გაგრძელდეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ მეჩაიეობის და სხვა მრავალწლოვანი ნარგავების სარეაბილიტაციო პრაქტიკა.

მეცხოველეობის, როგორც სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგის ყოველმხრივი განვითარება ორგანულად უკავშირდება მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლების უზრუნველყოფას, ადამიანისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მაღალკალორიული პროდუქტების ხარჯზე კვების ულუფის სტრუქტურის სწორად დაბალანსებას. ამ თვალსაზრისით, მეცხოველეობის განვითარება დარგში არსებული ეკონომიკური ზრდის ინტენსიურ და ექსტენსიურ შესაძლებლობებს, პირველ რიგში კი საკვები ბაზის შექმნისა და სანაშენო საქმის ახლებურ ორგანიზაციას უნდა დაემყაროს.

საქართველოში მეცხოველეობის განვითარების ძირითადი საწარმოო ბაზა მისი მთიანეთია. აქ მეცხოველეობის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი



სასიცოცხლო არტერიის - მთიანეთის - აღორძინების, მოსახლეობის შენარჩუნება-განვითარებისა და თავდაცვის უპირველესი პირობა იქნება.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მთიანეთის ფუნქცია რადიკალურად შეიცვალა, რაც ძირითადად საქართველოს, როგორც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი შემადგენელი სუბიექტის, თვისებრივად ახალმა როლმა განაპირობა. კერძოდ, ამ პერიოდიდან არსებითად იცვლება სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა - მარცვლეული კულტურების წარმოების არაპრიორიტეტულად მიჩნევითა და სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდების სასარგებლოდ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის მკვეთრ შეცვლას (აგრეთვე ამავე პერიოდში მძიმე მრეწველობის დარგების უპირატეს განვითარებაზე აქცენტის აღებას) გარკვეულწილად მთიანეთიდან მოსახლეობის მიგრაციაც უნდა მოჰყოლოდა, რადგან ბარში სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას დამატებითი შრომითი რესურსები ესაჭიროებოდა. ამ მიზნით ამუშავდა საბჭოთა პროპაგანდის ყველა საშუალება, მათ შორის კინოხელოვნებაც. გაჩნდა კინოფილმები „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, „საბუდარელი ჭაბუკი“ და სხვა, რომლებიც მთიელებს ბარისაკენ უხმობდნენ. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მთიდან მოსახლეობის მიგრაცია ბარში საბჭოთა პერიოდში ადრე თუ გვიან მაინც მოხდებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თუ მთიანეთს ისტორიულად თავდაცვითი (სასაზღვრო), სოფლის მეურნეობის პროდუქციის (ხორცი, რძე, ერბო, ტყავი, მატყლი და ა.შ.) წარმოებისა და კულტურულ ფასეულობათა შენახვის (შენარჩუნების) ფუნქცია ეკისრებოდა, ახალ რეალობაში მთიელი კაცი უფუნქციოდ დარჩა. სულ მალე, როცა ნათლად გამოიკვეთა მთის დაცარიელების უარყოფითი ეკონომიკური და სოციალური შედეგები, იგივე საბჭოთა ხელისუფლება შეეცადა გამოესწორებინა დაშვებული შეცდომა, მაგრამ ეს ვეღარ მოახერხა (მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების მობილიზაციის მეშვეობითაც). საქმეს ვერც მატერიალური სტიმულირების ახალმა მეთოდებმა და საპირისპირო პროპაგანდის მატარებელმა ახალმა ლიტერატურულმა ნაწარმოებებმა და კინოფილმებმა უშველა („მთას დაუბრუნდა მთიელი“, „ცისკრის ზარები“, „თუში მეცხვარე“ და სხვა). - მთა კვლავაც იცლებოდა და დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდისათვის მთიანეთი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, პრაქტიკულად დაცარიელებული იყო. ამჟამად ყოველ კვადრატულ კილომეტრზე მოსახლეობის სიმჭიდროვე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჯერადად ჩამორჩება მის უშუალო მოსაზღვრე რუსეთის ფედერაციის შესაბამის რეგიონებისას. ამიტომაცაა, რომ ერთ დროს მთიელებით დასახლებული ადგილები არც თუ იშვიათად უცხო ტომები იკავებდნენ და სრულად სარგებლობდნენ მთის სიკეთით (განსაკუთრებით სათიბი-სამოვრებით).

საქართველოს დამოუკიდებლობამ უწინარეს სარეალიზაციო ამოცანათა შორის მთისა და ბარის ისტორიული ფუნქციების აღდგენა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გათანაბრების საკითხი დააყენა. ამ მიმართულებით გადაიდგა პირველი ნაბიჯებიც, მაგრამ, მიუხედავად ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების ძალისხმევისა, მთასა და ბარს შორის განვითარებაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების დაძლევა ჯერაც ვერ მოხერხდა. ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მდგომარეობის გამოსწორებისათვის, აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად, მთისა და მთისწინეთის სამეურნეო და ბუნებრივი პოტენციალის რაციონალური გამოყენება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, მდგრადი ეკონომიკური განვითარება უნდა გახდეს. ამისათვის კი საჭიროა კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება და რეალიზაცია.

ჩვენი აზრით, დღეისათვის მთიანეთის განვითარების პოლიტიკის ძირითადი მიზანი უნდა იყოს:

- მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა;
- კულტურული ლანდშაფტების, როგორც საერთო ეროვნული საკუთრების შენარჩუნება;
- ეკონომიკურად პროდუქტიული ზონების შენარჩუნება და განვითარება;
- საზღვრის დამცველთა კონტიგენტის უზრუნველყოფა ადგილობრივი წარმოების სურსათით;<sup>38</sup>
- სოფლის მეურნეობის, აგროტურიზმისა და საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარება.

ამ მიზნის რეალიზაციასა და არსებულ პრობლემათა გადაჭრას უდავოდ წაადგება სახელმწიფო საკრედიტო პროგრამის შემუშავება მთიანეთისათვის, რომელიც პრაქტიკულად ხელახლა ასათვისებელია (მოსახლეობის დასაქმება-დამკვიდრება, თავდაცვითი ზოლის ფუნქციის აღდგენა, აგროსასურსათო ბალანსის ფორმირებაში საკუთარი ადგილის მიჩენა და სხვა). ყოველივე ამას დიდი სტრატეგიული დატვირთვაც აქვს. ამისათვის მთავრობამ სპეციალური პროგრამა უნდა შექმნას ევროგაერთიანების თანამონაწილეობით და ალპური კონვენციის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, რომელთაგანაც საქართველოა შეერთებული.

მთისა და მთისწინეთის მდგრადი განვითარებისათვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს:

- მიწის სავარგულებისა და დაცული ტერიტორიების შენარჩუნება და დაცვა;
  - ფერმერული მეურნეობებისა და კოოპერაციული გაერთიანებების განვითარება;
  - ანალიტიკურ-ინფორმაციული სამსახურის ფორმირება;
  - გარემოს დაცვა და გაჯანსაღება;
  - მეცხოველეობის პროდუქციის (განსაკუთრებით ეკოლოგიურად სუფთა) წარმოების განვითარებისა და რეალიზაციისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;
  - ადგილობრივი წარმოებისა და ხალხური რეწვის პროდუქციის რეალიზაციის ხელშემწყობი პირობების შექმნა
  - ახალგაზრდა ფერმერთა საქმიანობის მხარდაჭერა და წახალისება;
- აღნიშნული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდის კვალობაზე შესაძლებლად მიგვაჩნია განხორციელდეს შემდეგი პროგრამები:
- ადგილზე სარეალიზაციო და საცალო საექსპორტო ფასებს შორის განსხვავების დასაფარავი სუბსიდირების პროგრამა;

<sup>38</sup> ამ მხრივ ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკა, რაც სასაზღვრო ჯარის გარანტირებულ გამოკვებას და ამ ზონაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების გეგმაზომიერ განვითარებას უზრუნველყოფს.

- კომერციული ბანკიდან აღებულ სესხზე საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირების პროგრამა;

- სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის სტიმულირების პროგრამა;

- სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის პროდუქციის ნაკადების პარიტეტული მიმოქცევის მხარდაჭერის პროგრამა;

- საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამა და სხვა. სოფლის მეურნეობის, როგორც ეკონომიკის „სუსტ რგოლის“, საკუთარი „სუსტი რგოლი“

- მეცხოველეობაა, სადაც მწარმოებლურობა მოწინავე ქვეყნებთან ჩამორჩენა, საშუალოდ 4-6-ჯერადაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდის სიმძიმის ცენტრი შინამეურნეობებიდან თანდათან უნდა გადავიდეს მსხვილ, სასაქონლო ორიენტაციის ფერმერულ მეურნეობებსა და კოოპერატივებზე, რაც პერსპექტივაში საშუალებას მოგვცემს ხორცის წარმოება გაიზარდოს დაახლოებით 3-ჯერ - 260-280 ათას ტონამდე, კვერცხის წარმოება კი - არანაკლებ 2-ჯერ - 1300 ათას ცალამდე.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების პროგნოზული დონის მიღწევისათვის, საკვები ბაზის გაფართოების მიზნით, ცვლილებები უნდა განხორციელდეს ნათესი ფართობის სტრუქტურაში. მეცხოველეობის დარგი ძირითადად დაკმაყოფილება ადგილობრივი წარმოების უბეში და წვნიანი საკვებით, ხოლო კონცენტრირებული საკვები ძირითადად იმპორტული იქნება. ხორცის წარმოების მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია **მეცხვარეობას**, რომელზეც ამჟამად მოდის საქართველოში წარმოებული ხორცის მხოლოდ 6 პროცენტი, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე მისი წარმოების შესაბამისი მაჩვენებელი ანალოგიურ საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს დაახლოებით  $\frac{1}{4}$ -ით ჩამორჩება. მეცხვარეობის განვითარებას საგრძნობლად აფერხებს ზამთრის საძოვრების უქონლობა და სათიბ-საძოვრული მეურნეობის მოუგვარებლობა. დღეისათვის ქვეყანას არ გააჩნია სათიბ-საძოვრების გამოყენების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზა, არ მომხდარა ამ საძოვრების განაწილება და სარაიონთაშორისო გადანაწილება, რაც სერიოზული დამაბრკოლებელი მიზეზია მეცხვარეობის განვითარებისათვის. მეცხვარეები ზამთარს ფაქტობრივად იმავე პირობებში ატარებენ, როგორც ორი საუკუნის წინ ქართველ მწერალს ალექსანდრე ყაზბეგს უხდებოდა. ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების უქონლობის გამო, ახალგაზრდობა უარს ამბობს მოუაროს ცხვარს. საბჭოთა პერიოდშიც კი ეს პრობლემა საკმაოდ მწვავედ იდგა და კამპანიურ ხასიათს ატარებდა.

**მეფრინველეობის** ხაზით მიზანშეწონილია კონცენტრაციის დონის ამაღლება მსხვილ სპეციალიზებულ მეფრინველეობის ფაბრიკებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ერთობლივად შექმნილ საწარმოებში.

დაბოლოს, ერთ-ერთი უძველესი დარგის – **მეფუტკრეობის** შესახებ.

ქართული ფუტკრის გამორჩეული თვისებები (გრძელხორთუმიანობა და მაღალი პროდუქტიულობა) უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა ამ დარგის მაღალ დონეზე განვითარებისათვის. საქართველოში არსებობს ყველა პირობა ფუტკრის ოჯახებისა და თაფლის წარმოების სულ ცოტა, 4.5-ჯერ (შესაბამისად, 0.5 მილიონ ოჯახამდე და 10 ათას ტონამდე) გაზრდისათვის. ამ რეზერვის რეალური ამოქმედება საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ, ჯერ ერთი, იმპორტული შაქრის თაფლით ჩანაცვლება, რასაც, გარდა ეკონომიკური მნიშვნელობისა, წმინდა ფიზიოლოგიური

დატვირთვაც გააჩნია კვების რაციონის გამდიდრებისა და გაჯანსაღების თვალსაზრისით, მეორეც, მნიშვნელოვნად გავზარდოთ ნატურალური თავლის ექსპორტი, რომელმაც 2022 წელს პირველად გადააჭარბა 1 მილიონი დოლარის მიჯნას.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარების ორიენტირების რეალიზაციამ უნდა შექმნას ქვეყნის მოსახლეობისათვის აუცილებელი სურსათის ის მარაგი, რომელიც საჭიროა სრულფასოვანი და რაციონალური კვებისათვის.

### **ღონისძიებები სამომხმარებლო ბაზრის განვითარებისათვის**

რეგიონული სოფლის მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სასურსათო ბაზრების არსებობა. სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეგიონული ბაზარი უზრუნველყოფს ლოკალიზებული სასურსათო რესურსების რეპროდუქციას (აღწარმოებას) და აგრეთვე განაპირობებს რეგიონული და რეგიონთაშორისი სასურსათო პროდუქციის გაცვლის სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს, რომლებიც განსაზღვრულია ეკონომიკური ურთიერთობების მთელი ერთობლიობით (წარმოება, განაწილება, გაცვლა და მოხმარება). ამასთან, რეგიონის აგრარული სფეროს ნორმალური ფუნქციონირებისათვის დაუშვებელია რეგიონთაშორისი რაიმე სავაჭრო ბარიერების არსებობა. ეკონომიკის ტრანსფორმაციის დროს, მხოლოდ ცივილიზებული ბაზრის სისტემის შექმნის პირობებში შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს სოფლის მეურნეობის განვითარება, რეგიონული ეკონომიკის საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა, რომელიც უნდა იქნეს ადგილობრივი მთავარი მიზნის მისაღწევად - მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება მოხმარების მოცულობის გაზრდისა და სურსათის ხარისხის გაუმჯობესების გზით. სამომხმარებლო ბაზრების განვითარებისთვის, თავის მხრივ, აუცილებელია: სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელიც ხელს უწყობს რეგიონის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის პრინციპის საკანონმდებლო გამყარებას და პრაქტიკულ რეალიზაციას; რეგიონული სასურსათო ფონდის შექმნა; რეგიონის ტერიტორიაზე სასურსათო პროდუქტების საბითუმო ბაზრების და ბაზრობების შექმნა; ადგილობრივი პროდუქტების მწარმოებლების პრიორიტეტის უზრუნველყოფა, იმპორტირებული და რეგიონის ტერიტორიაზე შემოტანილი პროდუქციის ადგილობრივი წარმოების საქონლით ჩანაცვლება; სამომხმარებლო ბაზრების ინფორმაციული სტრუქტურის განვითარება; სამრეწველო საქონლისა და სასურსათო პროდუქტების წარმოებასა და მოხმარებას შორის ბალანსის უზრუნველყოფა; სამომხმარებლო დარგების ბაზრების ტექნიკური აღჭურვილობით გადაიარაღების მხარდაჭერა სამომხმარებლო თვისებების მქონე პროდუქციის წარმოებისა და შესაბამის იმპორტირებულ საქონელთან კონკურენციისათვის.

რეგიონში საბითუმო ბაზრების რეგიონული სისტემის განვითარების ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, საწარმოო კოოპერატივების აქტიური მონაწილეობით და შემდეგი სფეროების გამოყოფის საფუძველზე: რეგიონის მომხმარებლებზე ორიენტირებული მრავალპროფილური უნივერსალური საბითუმო სასურსათო ბაზრების შექმნა; რაიონთაშორისი საბითუმო სასურსათო პროდუქტების ბაზრების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი მნიშვნელობის სავაჭრო ქსელს. რაიონთაშორისი საბითუმო ქსელის არსებობას შეუძლია ჩამოაყალიბოს დამოუკიდებელი რაიონული საბითუმო სასურსათო ბაზრების

სისტემა, რომლებიც სრულად უზრუნველყოფს რეგიონს საკმარისი სურსათით; რეგიონთაშორისი საბითუმო სასურსათო ბაზრის შექმნა, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის 1998 წლის N3 დადგენილებით „საქართველოს სასაქონლო ბაზრების ინფრასტრუქტურის განვითარების კომპლექსური პროგრამის შესახებ“, ბაზარი უზრუნველყოფს სურსათის გაცვლას ქვეყნის ოლქებს, ქალაქებსა და რეგიონებს შორის; დიდი აგლომერაციების საბითუმო ბაზრებზე გასვლა (თბილისი, რუსთავი, ბორჯომი, ახალციხე, ზესტაფონი, ქუთაისი); სამხრეთ კავკასიის რეგიონის ერთიანი აგრარული ბაზრის შექმნა და მსოფლიო სასურსათო ბაზრებზე უფრო მასშტაბური პოზიციონირება.

ეროვნული სასურსათო პროდუქტების საბითუმო ბაზრების ფორმირებაში რეგიონული მართვის ორგანოები პირველ რიგში უნდა გამოდიოდნენ საკუთარი წარმოების შესაძლებლობებიდან. დღეს, ქართული ეკონომიკის ტრანსფორმაციისა და მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, მომწიფდა ვერტიკალურად ინტეგრირებული სტრუქტურების რეგიონული სისტემის ჩამოყალიბების, კოოპერაციისა და ინტეგრაციის თანმიმდევრული განვითარების, მეტად რენტაბელური კოოპერატიული წარმოების შექმნის ობიექტური აუცილებლობა, რაც ორიენტირებული იქნება რეგიონული და რეგიონთაშორისი სასურსათო ბაზრების დაპყრობაზე და მსოფლიო სასურსათო ბაზრებზე გასვლაზე. საბოლოო ჯამში კი ყოველივე ზემოთ აღნიშნული მოემსახურება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამალვებას, ეკონომიკის ინკლუზიურობას, დასაქმებას, რეგიონის მაცხოვრებელთა კეთილდღეობას და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

### დასკვნა

სასურსათო უშიშროების ასპექტი რომ უშიშროების მრავალი ასპექტიდან ერთერთი უმნიშვნელოვანესია, განპირობებულია იმით, რომ მას ყველაზე მეტი სკრეპი, კავშირი გააჩნია უსაფრთხოების სხვა ასპექტებთან და ქვეყნის დამოუკიდებელი და მდგრადი განვითარების შესაძლებლობებთან. ფაქტობრივად, იგი დიდწილად განსაზღვრავს სახელმწიფოს ეკონომიკური თუ სოციალური პოლიტიკის დამოუკიდებლობის ხარისხს. ამასთან, სასურსათო უსაფრთხოება ყველაზე „ყოფიერი“, „მიწიერი“ უსაფრთხოების სხვა ასპექტებთან შედარებით და ამითაც მის უზრუნველყოფაში უაღრესად მაღალია რეგიონული ასპექტის მნიშვნელობა: საკითხი - ადგილებზე მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა განპირობებულია ადგილობრივი რესურსების წარმოების მასშტაბებზე თუ წარმოადგენს მაცხოვრებლებისათვის სახელმწიფოს მიერ ერთიანი ცენტრიდან განაწილებულ, საბაზრო ეკონომიკისეულ „ციურ მანანას“ - მეტაფორული დატვირთვის კი არა, არამედ ეგზისტენციური დატვირთვის პრობლემაა. აღნიშნულ საკითხს საქართველოსათვის განსაკუთრებით პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის მდგომარეობა, რაციონალურ ნორმებთან როგორც რაოდენობრივი, ისე განსაკუთრებით ხარისხობრივი კუთხით, ჯერაც საკმაოდ დამორებულია ოპტიმალური დონისაგან. შესაბამისად, უახლოესი წლების სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკის ერთერთ ძირითად მიმართულებად სწორედ ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფის არსებითი გაუმჯობესება უნდა გახდეს - ამ საქმეში რეგიონების აქტიურობისა და წვლილის მნიშვნელოვანი ზრდით. რეგიონული ფაქტორის გაძლიერება კი გულისხმობს საქართველოს მთიანეთის პოტენციალის უფრო სრულად გამოყენებას. ეს კომპლექსური საკითხია და საქართველოს მთის რეგიონის (რეგიონების) ეკონომიკური ფუნქციის გაძლიერე-

ბასთან, ადგილობრივი რესურსების და სამუშაო ძალის უფრო რაციონალურად გამოყენების, აგრარული პროდუქციის წარმოების გარდა გულისხმობს აგრეთვე თავდაცვითი ფუნქციის გაძლიერებასაც, მთაში მცხოვრებთათვის ეკონომიკურთან ერთად ინსტიტუციურ დონეზე თავდაცვითი ფუნქციის მინიჭებას.

მნიშვნელოვანი როლის შესრულება სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში შეუძლია რეგიონების დონეზე სასურსათო ბაზრების განვითარებას, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილების გარდა გულისხმობს ადგილობრივი მწარმოებლების, ფერმერების მოტივაციის ზრდას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციისათვის.

სასურსათო უშიშროების საკითხი მოითხოვს სახელმწიფოს აქტიურ, კომპლექსურ ძალისხმევას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდისთვის ორგანიზაციულ, ფინანსურ და ინსტიტუციურ მხარდაჭერას, აგრეთვე ამ დარგში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისებას, ამა თუ იმ სახის აგრარული პროდუქციისათვის სპეციალური ხელშეწყობი პროგრამების რეალიზაციას.

მხედველობაში მისაღები ის გარემოებაც, რომ ამ დარგის მულტიპლიკაციის ეფექტი საკმაოდ მაღალია - იგი დაახლოებით 4-5-ჯერ აღემატება მრეწველობის ანალოგიურ მაჩვენებელს. სოფლის მეურნეობასთან პირდაპირაა დაკავშირებული ეროვნული მეურნეობის დარგების 1/3-ზე მეტი. დარგში მოქმედი ერთი სამუშაო ადგილი უზრუნველყოფს სხვა დარგებში 5-6 სამუშაო ადგილის შექმნას. შესაბამისად, აგრარულ სექტორში საქმიანობის სოციალური და ეკონომიკური პრესტიჟულობის ზრდა არა მარტო უზრუნველყოფს ეკონომიკის აღნიშნულ სეგმენტში დასაქმების სტაბილურ დონეს, სოფლიდან მიგრაციის მოტივაციის შესუსტებას, არამედ ქმნის მყარ საფუძველს ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებში დასაქმებისა და შესაბამისად, დამატებული ღირებულების ზრდისთვის. აღნიშნულ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს რეგიონებისათვის, განსაკუთრებით მთიანეთისათვის, სადაც მიგრაციის, სამუშაო ძალის დეფიციტისა და ზოგადად, დემოგრაფიული ვითარების მხრივ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა. მთლიანობაში, აგრარული სექტორის განვითარება უზრუნველყოფს სასურსათო უშიშროებას და ამ გზით - ქვეყნის უშიშროების განმტკიცებას, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

[https://www.bicc.de/de/press/press-releases/press/news/global-militarisation-index-2019-gmi-focuses-on-eastern-europe-european-nato-and-eu-countries-655/?utm\\_referrer=https%25253A%25252F%25252Fyandex.by%25252Fnews](https://www.bicc.de/de/press/press-releases/press/news/global-militarisation-index-2019-gmi-focuses-on-eastern-europe-european-nato-and-eu-countries-655/?utm_referrer=https%25253A%25252F%25252Fyandex.by%25252Fnews)
5. Ermanistan Statistika Komitəsi, illik məcmuələr 2022,  
<https://www.armstat.am/file/doc/99533328.pdf>
6. Parliament of Armenia, Law "On the Budget System of the Republic of Armenia",  
<http://www.parliament.am/legislation.php?sel=show&ID=1503&lang=rus>

*საფტარ ვალიზადა ვალი*

*აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის  
ეკონომიკის ინსტიტუტის დოქტორანტი*

## სომხეთის სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო პოლიტიკა და სტრუქტურა

### რეზიუმე

სტატიაში თავდაპირველად მიმოხილულია სომხეთის რესპუბლიკის საბიუჯეტო სისტემის სტრუქტურა და ყურადღება გამახვილებული კანონზე, რომელიც ხორციელდება საბიუჯეტო პოლიტიკა. ამ ნაწილში ასევე განხილულია სომხეთის სახელმწიფო ბიუჯეტის და მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირების სტრუქტურა და წყაროები. სომხეთის საბიუჯეტო პოლიტიკის ბუნების გასაგებად, განიხილება ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების დინამიკა, ასევე ბიუჯეტის დეფიციტი ბოლო ათი წლის განმავლობაში. ამის შემდეგ ხდება ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი სხვადასხვა მიმართულებით და დგინდება ის მიმართულებები, სადაც ყველაზე მეტი ხარჯია გაწეული. ამის საფუძველზე დადგენილია ამ მიმართულებებზე მეტი ხარჯების განაწილების ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მიზეზები.

**საკვანძო სიტყვები:** სომხეთის საბიუჯეტო სისტემა, სომხეთის სახელმწიფო ბიუჯეტი, სომხეთის ბიუჯეტის ხარჯები, სომხეთის ბიუჯეტი.

**შიდა აუდიტის შედეგების მომზადების და წარდგენის ძირითადი საკითხები**

**ანოტაცია.** ბოლო წლებში ბევრი კომპანიის წარმატებაში შიდა აუდიტმა გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა. კომპანიები ამჟამად უფრო ინტენსიურად ატარებენ შიდა აუდიტს. ამის უმთავრესი მიზეზია ის უპირატესობები, რომლებიც შიდა აუდიტორული შემოწმების პროცესთანაა დაკავშირებული. შიდა აუდიტი ხელს უწყობს შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერებას., იმის გამო, რომ შიდა აუდიტი ორიენტირებულია უკვე დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების შეფასებაზე, ის კომპანიას შესაძლებლობას აძლევს, დარწმუნდეს, არის თუ არა შიდა კონტროლის მექანიზმები სათანადოდ მოწესრიგებული და მუშაობს თუ არა ეფექტურად, ასევე, შიდა აუდიტი კომპანიებს ეხმარება, განსაზღვრონ, არის თუ არა ისეთი ეფექტური მართვის კონტროლის მექანიზმები, როგორც საჭიროა კომპანიის მიზნების მისაღწევად.

შიდა აუდიტის პოპულარულობა განაპირობა იმან, რომ ის ხელს უწყობს კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას. ერთ-ერთი კითხვა, რომელსაც შიდა აუდიტი ეფექტიანობასთან მიმართებით სცემს პასუხს, ასეთია: „არსებობს თუ არა საქმიანობის წარმართვის უკეთესი გზა ან მიდგომა?“

შიდა აუდიტორული შემოწმებით მიღებული ინფორმაცია, მათ შორის ტენდენციების, აღმოჩენების, შეცდომების, თაღლითობის და მაკორექტირებელი ქმედებების სტატუსის შესახებ, აისახება დასკვნაში, რომელიც უნდა გამოიცეს დროულად, გონივრულ ვადებში. შიდა აუდიტორები დასკვნის სახით იძლევიან რეკომენდაციებს, რომლებზეც შესაბამისი რეაგირება უნდა მოახდინოს კომპანიის მენეჯმენტმა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია რომ ამ სტატიის მიზანი და ობიექტი ყოფილიყო შიდა აუდიტის ანგარიშის მომზადებისათვის და მისი პრაქტიკაში გამოყენების შესახებ კვლევის ჩატარება

**საკვანძო სიტყვები:** შიდა აუდიტი, შიდა აუდიტის დასკვნა, 5 C კრიტერიუმში, აუდიტის პროგრამა, შიდა კონტროლის სისტემა, შიდა აუდიტის ეფექტიანობის შეფასება, შიდა აუდიტის რეკომენდაციები.

**შესავალი**

აუდიტის ჩატარების პრაქტიკიდან გამომდინარე, მკვლევართა ნაწილი ამტკიცებენ, რომ აუცილებელია აუდიტის მიმართ პოზიტიური დასაბუთების და მიდგომის გამოყენება. მენეჯმენტმა აუცილებლად უნდა განსაზღვროს აუდიტის ჩატარების დონე და დაადგინოს, თუ რა მოლოდინები შეიძლება არსებობდეს მთელ პერსონალს შორის თანამშრომლობასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ აუდიტის ჩატარებამდე, აუდიტის ჩატარების დროს და შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანია კომუნიკაცია პოზიტიური დამოკიდებულების შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, აუდიტის ჩატარების დროს ხაზი უნდა გაესვას გარკვეულ გარემოებებს, მათ შორის იმ ფაქტს, რომ აუდიტორული გასაუბრებები წარმოადგენს არა პერსონალური ქცევის, არამედ სისტემების შეფასების საშუალებას, რომ აუდიტი ეფექტურია მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად და აუდიტის შედეგები არასოდეს გამოიყენება სადამსჯელო მიზნებისათვის.

აუდიტორული დასკვნა წარმოადგენს აუდიტის პროგრამის კომპონენტს. რიდი და სხვა ავტორები (Reid et al.(2019)) მიიჩნევენ, რომ აუდიტორული შემოწმებით მიღებული ინფორმაციას, მათ შორის ტენდენციების, მიგნებების, შედარებების და მაკორექტირებელი ქმედებების სტატუსის შესახებ, ხელმძღვანელობის დავალებით ხშირად აკრავენ ხოლმე საინფორმაციო დაფაზე შემდგომი განხილვის მიზნით. ისინი იძლევიან რეკომენდაციას, რომ აუდიტის პროგრამა ორიენტირებული იყოს მუდმივ სრულყოფასა და ორგანიზაციულ სწავლებაზე და არა „შემთხვევითობის“ ფილოსოფიაზე. აღსანიშნავია რომ გახსნილი მიდგომის ბუღალტრული აღრიცხვა კომპანიის ხელმძღვანელობას შესაძლებლობას აძლევს, წინასწარ გაიაზრონ, აუდიტის ჩატარების რა მეთოდები იქნეს გამოყენებული და როგორ მოხდეს შიდა აუდიტორული შემოწმება. გარდა ამისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს რომ დოკუმენტირება მნიშვნელოვანია, ხოლო ანგარიშის მომზადება ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებსა და სამართლებრივ მითითებებს.

აუდიტის პროგრამის კიდევ ერთი კომპონენტია მაკორექტირებელი და პრევენციული ქმედებები. მაკორექტირებელი ქმედებები მოითხოვს კორპორაციულ შემოწმებას, ხელმძღვანელობის ანგარიშვალდებულებას და ხელმძღვანელობის უმაღლესი რგოლის ყურადღებას იმისათვის რომ დროულად შესრულდეს. გარდა ამისა, ძირეული მიზეზების დეტალური შესწავლა უზრუნველყოფს არა მხოლოდ არსებული პრობლემის თავიდან არიდებას და გამოსწორებას, არამედ, ასევე, პრევენციულ ქმედებებსაც კონტროლის მექანიზმების განხორციელების უზრუნველსაყოფად, რომლის მიზანსაც განმეორებითი შემთხვევების პრევენცია წარმოადგენს (გეორგიევი Gueorguiev, 2018).

აუდიტის გეგმის ერთი ერთი კომპონენტია შემდგომი ღონისძიებები და პერიოდულობა, როცა აუდიტორმა უნდა განიხილოს მიგნებები, დაადგინოს კანონზომიერებები, შეისწავლოს ძირეული მიზეზები და გაატაროს სტაბილური მაკორექტირებელი ღონისძიებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობასთან კომუნიკაცია უნდა იყოს რეგულარული საჭიროებების, შესრულებული სამუშაოს მაჩვენებლების, სტატუსის, პროგრამის სრულყოფისა და ბიზნესზე ზეგავლენის განსახილველად. გარდა ამისა, ადამიანებს, რომლებიც ანგარიშვალდებულნი და პასუხისმგებელნი არიან სამუშაოს შესრულებაზე, დროულად უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია რეალურ დროში. Kestrel Tellevate LLC (2021)<sup>39</sup> თანახმად, აუდიტის ტიპიდან გამომდინარე, არსებობს აუდიტის პერიოდულობის არაერთი დონე. ეს მოიცავს სიხშირის დონეებს, რომლებიც ტარდება ჩვეული ყოველდღიური სამსახურებრივი მოვალეობის ფარგლებში; პერიოდული, რომელიც ტარდება ყოველწლიურად ან ექვს თვეში ერთხელ, საჭიროების შესაბამისად, რომელიც ტარდება პრობლემის მიკვლევადობის მიზნით და იშვიათი, რომელიც ტარდება სამ-ოთხ თვეში ერთხელ.

შიდა აუდიტის დასკვნა წარმოადგენს აუდიტის ჩატარების პროცედურის საბოლოო პროდუქტს, სადაც აუდიტორი აფიქსირებს თავის მიგნებებს, წარმოადგენს მთლიანი აუდიტის დასკვნებს და განიხილავს მდგომარეობის გამოსწორებისთვის გაცემულ ყველა რეკომენდაციას. (სრესელი ნ, 2018), ზოგიერთი მკვლევარი გვთავაზობს, რომ კომუნიკაციისა და საბოლოო აუდიტორულ დასკვნაში

<sup>39</sup> საკონსულტაციო კომპანია, დარსებული ამერიკის შეერთებულ შტატებში

აუდიტორის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების სიზუსტის უზრუნველსაყოფად შიდა აუდიტორმა, აუდიტორული დასკვნის საბოლოო ვარიანტის გამოცემამდე, კლიენტთან ერთად განიხილოს დოკუმენტის სამუშაო ვერსია. უსიის და ტაკტაკის რეკომენდაციაა, აუდიტორული დასკვნა მოიცავდეს მოკლე მიმოხილვას, რომელიც შედგება დასკვნებისა და გამოვლენილი პრობლემებისაგან, მათთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმისაგან ან რეკომენდაციებისაგან. ამას გარდა, დასკვნას უნდა ჰქონდეს დანართების ნაწილი დიაგრამებით და გრაფიკებით.

#### შიდა აუდიტის დასკვნის ელემენტები

არსებობს ხუთი კომპონენტი ანუ ელემენტი, რომლებსაც აუდიტორული დასკვნა უნდა მოიცავდეს. აღნიშნული ხუთი კომპონენტი „5 C“-ის სახელით არის ცნობილი.

5 C-იდან პირველი არის კრიტერიუმები. რაც შეეხება კრიტერიუმების კომპონენტს, აუდიტის დასკვნაში მითითებული უნდა იყოს კონკრეტული ან გამოვლენილი პრობლემები, მიზეზები, თუ რატომ არის შიდა აუდიტი აუცილებელი, ხორციელდება თუ არა შიდა აუდიტი მოახლოებული გარე აუდიტის მომზადების ფარგლებში; ასევე, მითითებული უნდა იყოს აუდიტის მოთხოვნის ინიციატორი პირი და აუდიტის მოთხოვნის მიზეზი.

5 C-იდან მეორე არის პირობა; პირობა აღწერს კომპანიის მოლოდინებთან და მიზნებთან დაკავშირებულ პრობლემას ან პრობლემებს, ასევე პრობლემის გამომწვევ მიზეზებს - პრობლემა სტრატეგიის დარღვევის შედეგი იყო, სტანდარტის დაუკმაყოფილებლობის თუ სხვა შეუსრულებელი პირობის. გარდა ამისა, პირობის ელემენტი განსაზღვრავს, არის თუ არა კომპანია დარწმუნებული კონკრეტული პრობლემის არარსებობაში თუ თვლის, რომ გარკვეული პრობლემა არსებობს.

მესამე კომპონენტს წარმოადგენს მიზეზი და იგი აღწერს, თუ რატომ წარმოიშვა პრობლემა, პირებს, რომლებიც ამ პრობლემაში მონაწილეობენ, პროცესებს, რომლებიც დაირღვა და როგორ შეიძლება პრობლემის ან საკითხის თავიდან აცილება.

შედეგი - 5 C-ის მეოთხე ელემენტია. შედეგი აღწერს პრობლემის რეზულტატს, შემოიფარგლება თუ არა გამოვლენილი პრობლემები მხოლოდ შიდა საკითხებით, არსებობს თუ არა გამოვლენილ საკითხთან დაკავშირებული გარეგანი მნიშვნელობის რისკები და ფინანსური შედეგები.

5 C-ის მეხუთე ელემენტი მაკორექტირებელი ქმედება (CA). მაკორექტირებელი ქმედება (CA) აღწერს, რისი გაცემა შეუძლია კომპანიას პრობლემის მოსაგვარებლად ან გადასაჭრელად, კონკრეტულ ნაბიჯებს, რომლების გადადგმაც შეუძლია ხელმძღვანელობას პრობლემის აღმოსაფხვრელად და შემოწმების ან მონიტორინგის ტიპს, რომელიც განხორციელდება გადაწყვეტილებების ინიცირების შემდეგ, რათა დარწმუნდნენ, რომ პრობლემა აღმოიფხვრა.

#### შიდა აუდიტის დასკვნის 5 მახასიათებელი

ხარისხიან შიდა აუდიტორულ დასკვნას უნდა ჰქონდეს ხუთი თვისება ანუ მახასიათებელი. პირველი თვისება ობიექტურობაა, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ხარისხიანი შიდა აუდიტორული დასკვნა უნდა იყოს ობიექტური, ხოლო მოსაზრებები და კომენტარები, რომელსაც შიდა აუდიტორი გამოთქვამს დასკვნაში, - მიუკერძოებელი.

შიდა აუდიტორული დასკვნის მეორე თვისებაა სიცხადე; სიცხადე გულისხმობს, რომ აუდიტორის მიერ დასკვნაში გამოყენებული ლექსიკა იყოს გასაგებად მარტივი. სიცხადე აუდიტორულ დასკვნაში მნიშვნელოვანია, რათა დასკვნის შინაარსი გასაგები იყოს როგორც ექსპერტებისთვის ასევე იმ ადამიანებისთვის, რომლებიც არ მუშაობენ ფინანსურ სფეროში, თუმცა სჭირდებათ დასკვნის გაცნობა, მათი სამუშაოს უკეთ შესასრულებლად.

სიზუსტე - ხარისხიანი აუდიტორული დასკვნის მნიშვნელოვანი თვისებაა. შიდა აუდიტორული დასკვნის შინაარსი უნდა იყოს ზუსტი და მკაფიო და არ უნდა შეიცავდეს რაიმე სახის შეცდომას, მათ შორის, არასწორად შეყვანილ მონაცემებს, ასევე არ უნდა იყოს გამოტოვებული მონაცემები. აუდიტორული დასკვნის სიზუსტე მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი უზრუნველყოფს, რომ კლიენტმა შესძლოს დასკვნაში მოცემული ინფორმაციის გამოყენება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად.

გარდა ამისა, შიდა აუდიტორი უნდა დარწმუნდეს, რომ დასკვნა აკმაყოფილებს ლაკონიურობის მახასიათებლებსა და თვისებებს. შიდა აუდიტორმა დასკვნაში უნდა უზრუნველყოს აზრის სისხარტე. და ბოლოს, შიდა აუდიტორი უნდა დარწმუნდეს, რომ შიდა აუდიტორული შემოწმება აკმაყოფილებს დროულ-ობის მოთხოვნას. დროულობის მოთხოვნიდან გამომდინარე, შიდა აუდიტორმა აუდიტორული დასკვნის გამოქვეყნება უნდა უზრუნველყოს აუდიტის დასრულებისთანავე, არაუმეტეს ერთი თვის ვადაში.

#### შიდა აუდიტის ჩატარების საერთაშორისო პრაქტიკა

იმისათვის რომ შიდა აუდიტი ჩატარდეს ეფექტურად და აუდიტის პროცესში აღმოჩენილი საკითხები შემდეგ განიხილოს და გაითვალისწინოს მენეჯმენტმა, ანგარიშში მოცემული რეკომენდაციებზე მოახდინონ რეაგირება, შიდა აუდიტორები იყენებენ რამდენიმე ძირითად მოწინავე პრაქტიკას. მსგავსი პრაქტიკის გამოყენება ეხმარება შიდა აუდიტორებს, ეფექტურად და წარმატებით გაამართლონ დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინები და თავიანთ კომპანიებში მნიშვნელოვან ბიზნეს მაჩვენებლებს მიაღწიონ.

პირველი მოწინავე პრაქტიკაა კომუნიკაცია. იმისათვის, რომ შიდა აუდიტორული შემოწმების პროცესი ეფექტური და წარმატებული იყოს, შიდა აუდიტორსა და აუდიტის ობიექტს შორის უნდა არსებობდეს უწყვეტი და თავისუფალი კომუნიკაცია. მუდმივი კომუნიკაცია აუდიტის ობიექტსა და აუდიტორს შორის მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი ხელს უწყობს ნდობის ჩამოყალიბებას, რაც შიდა აუდიტის ეფექტური და წარმატებული ფუნქციონირების დამახასიათებელ ნიშან-თვისებად მიიჩნევა. აუდიტის ობიექტსა და შიდა აუდიტორს შორის კომუნიკაცია აუცილებელია ყველა ეტაპზე, მათ შორის, დაგეგმვის, გრაფიკის შედენის, აუდიტის დაწყების, აუდიტის დასკვნის შედგენისა და აუდიტის კომიტეტისთვის ანგარიშის წარდგენის ეტაპებზეც. კომუნიკაცია შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, ჩატის შეტყობინებებით, სატელეფონო ზარების, ფოსტის ან პირისპირ კომუნიკაციის მეშვეობით.

მეორე სახის საუკეთესო პრაქტიკაა აუდიტის მიზნების, აუდიტის ტესტირების და აუდიტის პროგრამის გაზიარება. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ შიდა აუდიტი მთლიანად ღია და მარტივი აქტივობაა და არა საიდუმლო საქმიანობა. მიუხედავად ამ რეალობისა, ზოგიერთ შიდა აუდიტორს არ მოსწონს აუდიტის პროგრამის, აუდიტის ტესტის და აუდიტის საკონტროლო სის



გაზიარების იდეა. ასეთი აუდიტორმა უნდა გაითავისოს, რომ შიდა აუდიტის უმთავრეს მიზანს, დამატებით ღირებულების შექმნა და კომპანიის საქმიანობის გაუმჯობესება წარმოადგენს და მან ხელი უნდა შეუწყოს კომპანიას მიზნების მიღწევაში სისტემატური, მაღალდისციპლინური მეთოდის გამოყენებით, რომლის მიზანიც კონტროლის, მმართველობის და რისკების მართვის პროცესის ეფექტურობის შემოწმება და ამაღლებაა. ასეთი მიდგომით აუდიტორი მიხვდება, რომ შიდა აუდიტი ემსახურება მთლიანი კომპანიის კეთილდღეობას და, შესაბამისად, მან აუდიტის მიზნები და პროგრამა სხვა დაინტერესებულ მხარეებსაც უნდა გაუზიაროს.

შიდა აუდიტის კიდევ ერთ საუკეთესო პრაქტიკაა კონსტრუქციულობა და ნეგატიურობის თავიდან აცილება. კვლევები აჩვენებს, რომ შიდა აუდიტი არაერთ ნეგატიურ ფაქტორთან არის დაკავშირებული, ძირითადად იმის გამო, რომ ადამიანების უმრავლესობა მას ნაკლოვანებების ძიების პროცესად აღიქვამს აუდიტორთა დიდი ნაწილი კვლავინდებურად ნაკლოვანებების ძიებით არის დაკავებული და ხელმძღვანელების უმეტესობას მოლოდინი აქვს, რომ შიდა აუდიტორებმა კომპანიის სისტემებსა და საქმიანობაში ნაკლოვანებები უნდა აღმოაჩინონ.

მიუხედავად ამისა, საუკეთესო პრაქტიკიდან გამომდინარე, შიდა აუდიტორმა თავი უნდა აარიდოს ამგვარ უარყოფით მოსაზრებას და ამის ნაცვლად გამოიყენოს კონსტრუქციული ან პოზიტიური შენიშვნები და შექმნას პოზიტიური გარემო ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას.

შიდა აუდიტის ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკა, რომლის მეშვეობითაც კარგი შედეგების მიღებაა შესაძლებელი, გულისხმობს პრობლემაზე ორიენტირებას და არა აუდიტორის რეკომენდაციებზე მიჯაჭვულობას. მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაციების გაცემა შიდა აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვანი ნაწილია, იგი აუდიტორის უმთავრეს ამოცანას არ უნდა წარმოადგენდეს. ნაცვლად ამისა, აუდიტორმა ძირითადი ყურადღება უნდა მიმართოს სხვადასხვა საკითხებსა და პრობლემებზე, რომლებსაც აღმოაჩენს კომპანიის ფინანსურ და არაფინანსურ პროცესებსა და საქმიანობაში.

მომავლის დაგეგმვა კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრაქტიკას წარმოადგენს. ბირნსს და სხვა ავტორებს მიაჩნიათ, რომ რადგან წარსულის დაგეგმვას ძალისხმევა არ სჭირდება, ხელმძღვანელობა, როგორც წესი, ზრუნავს იმ ძალისხმევაზე, რომელიც მომავლის უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ არის მიმართული. როდესაც კომპანია გეგმავს ახალი პროცესის, ახალი სისტემის ან ახალი პოლიტიკის დანერგვას, ჩვეულებრივ, ხელმძღვანელობას სურს, დარწმუნდეს, რომ ეს სწორი სტრატეგიაა და შეუძლია აღმოფხვრას ყველა ის რისკი, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის მომავალზე. ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავენ, რომ შიდა აუდიტი წარმოადგენს შეუცვლელ ინსტრუმენტს, რომელსაც ხელმძღვანელობა იყენებს აღნიშნულის უზრუნველსაყოფად და კომპანიის მომავლის დასაცავად. ასევე დასძენენ: მიუხედავად იმისა, რომ ისინი უკეთესად და უფრო სიღრმისეულად იცნობენ კომპანიის საქმიანობას, შიდა აუდიტს ყველაზე უკეთ ესმის ურთიერთკავშირი, რომელიც არსებობს სხვა პროცესებში სხვადასხვა შესაბამისობებს, სუსტ მხარეებსა და ფუნქციებს შორის. დანერგვამდე და დანერგვის შემდგომი პერიოდების გაანალიზებით შიდა აუდ-

იტი შეიძლება ბიზნესის კონსულტირების ეფექტურ ინსტრუმენტად იქნეს მიჩნეული.

### დასკვნა

შიდა აუდიტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება რამდენადაც იგი ამოწმებს ფინანსური ანგარიშგების სიზუსტესა და სანდოობას. სანდოობა ბიზნეს საქმიანობის წარმატების უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა. შესაბამისად, თუ კომპანიაში არსებობს კორუფციის ან შესაძლო ფინანსური დარღვევების ფაქტები, ეს შეიძლება მისი საბოლოო მარცხის და დახურვის მიზეზი გახდეს. ამის საფუძველი ისაა, რომ პარტნიორებმა და ინვესტორებმა შეიძლება მარტივად დატოვონ კომპანია, რაც მის არასტაბილურობას და, საბოლოო ჯამში, დაშლას გამოიწვევს. თუმცა, შიდა აუდიტის მეშვეობით კომპანიის ხელმძღვანელობას დიდი სიზუსტით შეუძლია დაადგინოს, საფრთხე ემუქრებათ კომპანიის ფინანსებს თუ ყველაფერი რიგზეა. შესაბამისად, ეს კომპანიას ეხმარება ნდობის მოპოვებასა და არაერთი დაინტერესებული მხარის მიერ ინვესტიციების განხორციელებაში.

შიდა აუდიტორული შემოწმება უაღრესად მნიშვნელოვანია კომპანიის წარმატებისთვის, ვინაიდან რისკებს მინიმუმამდე ამცირებს. შიდა აუდიტი კომპანიაში გამოვლენილ ყველა რისკს ითვალისწინებს. გარდა ამისა, ის ამოწმებს, მუშაობს თუ არა კომპანიის რისკების შერბილების სტრატეგია მოლოდინის და გეგმის შესაბამისად. აუდიტორული დასკვნა ხელს უწყობს იმის დადგენას, არსებობს თუ არა კომპანიაში გადაუჭრელი პრობლემები ხარვეზები და ნაკლოვანებები. ასევე, დასკვნაში წარმოდგენილია საჭირო ინფორმაცია აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად.

შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგები, გამოვლენილი ხარვეზები და რეკომენდაციები აისახება დასკვნაში რომელიც უნდა მოიცავდეს 5 ელემენტს, ესენია: კრიტერიუმები, პირობა, მიზეზი, შედეგი და მაკორექტირებელი ქმედება

შიდა აუდიტის ანგარიში უნდა აკმაყოფილებდეს რიგ კრიტერიუმებს, კერძოდ პირველ რიგში დასკვნა უნდა იყოს ობიექტური, ხოლო გაცემული რეკომენდაციები მიუკერძოებელი.

სიზუსტე ასევე მნიშვნელოვანია, რადგან დასკვნა არ უნდა შეიცავდეს არსებით შეცდომებს, ასევე დასკვნაში მოცემული ინფორმაცია უნდა იყოს ჩამოყალიბებული ლაკონურად და გასაგებად, როგორც პროფესიონალებისათვის, ასევე არაფინანსურ სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის. დასკვნა ასევე უნდა წარდგეს დროულად რომ მასში მოცემული ინფორმაცია იქნეს გამოყენებული სწრაფი და ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად.

### ლიტერატურა

- Sreseli Nana, ISA 700: Theoretical Aspects and Main Concepts of Updated Structure of Auditor's Report, Ecoforum Journal Vol 7, No 3 (2018)
- ლ. საბაური (2018), აუდიტორული ორგანიზაციის საქმიანობის ხარისხის შიდა კონტროლის უზრუნველყოფის აქტუალური საკითხები, შრომების კრებულში *გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში (III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია)*. <https://bit.ly/43pWuU4> (ნანახია: 06/08/2023)
- საქართველოს მთავრობის დადგენილება (2016): შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ, №593, 2016 წლის 26 დეკემბერი.

- საქართველოს მთავრობის განკარგულება (2010): შიდა აუდიტორთა სახელმძღვანელო პრინციპების დამტკიცების შესახებ, №1013, 2010 წლის 30 ივლისი.
- საქართველოს მთავრობის განკარგულება (2010): შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ, №1014 2010 წლის 30 ივლისი.
- Tzvetelin Gueorguiev, Improving the Internal Auditing Procedure by Using SIPOC Diagrams, *Journal of Innovations and Sustainability*, issue 2, pp35-43
- Lauren C. Reid, Joseph V. Carcello, Chan Li, Terry L. Neal, Impact of Auditor Report Changes on Financial Reporting Quality and Audit Costs: Evidence from the United Kingdom, *Contemporary accounting research*, volume 36, number 3, fall 2019 pp1501-1520
- Abbott, L., Parker, S., & Peters, G. (2010). Serving Two Masters: The Association between Audit Committee Internal Audit Oversight and Internal Audit Activities. *Accounting Horizons*, 24(1), pp.1-24.
- Abdolmohammadi, M. (2009). Factors Associated with the Use of and Compliance with the IIA Standards: A Study of Anglo-culture CAEs. *International Journal of Auditing*, 13(1), 27-42.
- Ackermann, C., & Marx, B. (2016). Internal audit risk management in metropolitan municipalities. *Risk, Governance & Control: Financial Markets and Institutions*, 6(3), 45-51.
- Ahmad, N., Othman, R., Othman, R., & Jusoff, K. (2009). The effectiveness of internal audit in Malaysian public sector. *Journal of Modern Accounting and Auditing*, 5(9), 53-62.
- Raiborn, C., Butler, J. B., Martin, K., & Pizzini, M. (2017). The internal audit function: A prerequisite for Good Governance. *Journal of Corporate Accounting & Finance*, 28(2), 10-21.
- Raji, I.D., Smart, A., White, R.N., Mitchell, M., Gebru, T., Hutchinson, B., Smith-Loud, J., Theron, D., & Barnes, P. (2020). Closing the AI accountability gap: defining an end-to-end framework for internal algorithmic auditing. *Proceedings of the 2020 Conference on Fairness, Accountability, and Transparency*.
- Oussii, A. A., & Taktak, N. B. (2018). Audit report timeliness: does internal audit function coordination with external auditors matter? Empirical evidence from Tunisia. *EuroMed Journal of Business*.
- Narkchai, S., & Fadzil, F. H. B. (2017). The communication skill on the performance of internal auditors in Thailand public limited company. *International Review of Management and Marketing*, 7(4), 1
- Byrnes, P. E., Al-Awadhi, A., Gullvist, B., Brown-Liburd, H., Teeter, R., Warren, J. D., & Vasarhelyi, M. (2018). Evolution of Auditing: From the Traditional Approach to the Future Audit1. In *Continuous auditing*. Emerald Publishing Limited

*Rusudan Sreseli*

*PhD student, Ivane Javakhishvili, Tbilisi State University*

## **IMPORTANT ISSUES OF PREPARATION AND PRESENTATION OF INTERNAL AUDIT RESULTS**

### **Expanded Summary**

Internal audit is of great importance as it verifies the accuracy and reliability of financial statements. Credibility is the most important requirement for business success. Therefore, if there is corruption or possible financial violations in the company, this may be the reason for its final failure and closure. The basis for this is that partners and investors can easily leave the company, which will lead to its instability and, ultimately, dissolution.

However, through an internal audit, the company's management can determine whether the company's finances are at risk or whether everything is in order. Consequently, this helps the company gain trust and investment from a number of stakeholders.

Internal audit is extremely important for the company's success, as it minimizes risks. The internal audit takes into account all the risks identified in the company. In addition, it checks whether the company's risk mitigation strategy is working as expected and planned. The audit report helps to determine whether there are unresolved problems and deficiencies in the company. Also, the report presents the necessary information to solve the mentioned problems.

The results of the internal audit identified deficiencies, and recommendations are reflected in the report, which should include 5 elements, namely: Criteria, Condition, Cause, Consequences, and Corrective Action

The first of the 5 C's is criteria. Regarding the criteria component, the audit report should outline the particular issue or issues identified, the reasons why the internal audit is necessary, whether the internal audit is done in preparation for a forthcoming external audit, the person who requested the audit, and why the audit was requested.

The second of the 5 C's is the condition; the condition outlines how the issue or issues relate to the company's expectations and targets, whether the issue was a result of a broken policy, a benchmark not met, or another unsatisfied condition. Furthermore, the condition element considers whether the organization is confident that no particular issue exists or they believe that a certain issue exists. The third component is the *cause* and it outlines why the issue arose, the people involved in the issue, the broken processes, and how the problem could have been avoided.

The consequence is the fourth element of the 5 C's. Consequence outlines the issue's outcome, whether the issues identified are limited only to internal matters, whether there are risks of external significance and the financial implications of the identified issues.

The final element of the 5 C's is the corrective action (CA). The CA outlines what the company can do to fix or resolve the issue, the specific steps that the management can take to resolve the problem, and the type of review or monitoring that will transpire after solutions have been initiated to ensure a fix has been executed.

Furthermore, a good or high-quality internal audit report must possess five features or characteristics. The first characteristic is objectivity; Oussii & Taktak (2018) argue that a

good internal audit report must have objectivity in that, the opinions and comments that the internal auditor expresses in the report must be unbiased and objective. Clarity is the second feature of a high-quality internal audit report; clarity implies that the language that the auditor has used in the report is not only straightforward. Clarity is important in an audit report because it ensures that the report is understood by both novices and experts. Accuracy is also an important feature of a high-quality audit report. Based on the accuracy feature, the information that is contained in an internal audit report must be accurate and precise and should not have any type of errors, including commission and omission errors. The accuracy of an audit report is important since it ensures that the client can use the information contained in the report to make informed decisions. Furthermore, an internal auditor should ensure that the report meets the brevity characteristic or feature. Regarding the brevity feature, the internal auditor must ensure that the audit report is concise. Finally, the internal auditor must ensure that the internal audit report meets the timeliness feature. Based on the timeliness feature, the internal auditor must ensure that the audit report is released right away immediately after the audit has been concluded; within less than a month.

The internal audit report should meet a number of criteria, in particular, the report should be objective, and the given recommendations should be neutral.

Accuracy is also important, as the report should not contain material errors, and the information contained in the report should be concise and understandable for both professionals and people without financial knowledge. The report should also be submitted in a timely manner so that the information contained in it can be used to make quick and effective management decisions.

**Keywords:** Internal Audit, Internal Audit report, 5 C criteria, Internal Audit program, Internal Control, Internal Audit efficiency

**Beka Patsatsia**

*Phd Student Sokhumi State University,*

**Nino Kharebava**

*Doctor of Economics, Sokhumi State University,*

**David Jalagonia**

*Doctor of Economics Sokhumi State University*

## **EXAMINING PUBLIC PROCUREMENT SUCCESS: THE IMPACT OF COMPETITION ON EFFICIENCY IN GEORGIAN PUBLIC PROCUREMENT**

**Annotation.** *This article investigates the relationship between competition and the efficiency of public procurement contracts in Georgia across four key sectors: information technology, healthcare, agriculture, and oil. The study aims to analyze the influence of competition among bidders on the efficiency of public procurement contracts in Georgia. Drawing on a comprehensive dataset of procurement tenders, the analysis examines various quantitative factors that influence the efficiency of public procurement. These factors include the number of bidders, received bids, contract size, distance from the project site, announcement period. Additionally, the study examines the industry and procurement method and their influence on the number of competitors.*

*This study employs a diverse array of statistical methods to investigate public procurement processes based on a dataset of 240 observations from the State Procurement Agency's e-system spanning 2021-2022. The research involves data classification into two procurement types, hypothesis testing, assessment of normality and variance, non-parametric testing, and descriptive statistics. Welch's ANOVA is applied to gauge the impact of industry type on the number of bidders. Additionally, multiple linear regression models explore the influence of various factors on public cost savings. The findings provide insights into the complex dynamics of public procurement and its dependencies on procurement methods, industry sectors, and other critical variables.*

*The article argues that the number of participants in public procurement plays a critical role in shaping competition, efficiency, and decision-making processes in Georgia. It emphasizes the need to strike a balance between attracting a sufficient number of bidders while ensuring fair and transparent competition.*

**Keywords:** *Public procurement, Bidding, Bidder Competition, Public Procurement Efficiency*

### **1. Introduction**

At the heart of every nation's economy lies the significant role of government procurement. Government procurement is not only a means of satisfying the needs of end-users with goods and services, but also a strategic instrument that governments use to achieve their socio-economic goals. This deliberate allocation of the Gross Domestic Product (GDP) has a dual purpose: it ensures a fair distribution of financial resources and fosters a business environment that is rich in competition, innovation, and sustainability.

Public procurement's effectiveness depends on various factors. One of them is the smooth operation of the financial security system, which supports successful procurement practices. Another factor is the strategic alignment of government funding priorities, which determines where and how resources are allocated. However, the most important factor is the wise and responsible use of the available financial resources, which reflects the need for sound resource management.

Public procurement represents a distinct form of utilizing public funds and serves as a pivotal instrument within the realm of state budgetary policies. While science delineates fundamental roles like distribution, regulation, and oversight in relation to public finances, it becomes evident that the system for ensuring financial security in public procurement operates

through the functions of fund allocation and control. The concept of competition, a cornerstone of procurement practices, seeks to strike a delicate balance between state objectives and individual aspirations. It acts as a mechanism that channels the diverse interests of participants toward a common goal while maintaining a level playing field that nurtures innovation, quality, and efficiency.

The purpose of this article is to analyze the influence of competition among bidders on the efficiency of public procurement contracts in Georgia. We argue that the number of participants in public procurement plays a crucial role in shaping competition, efficiency, and decision-making processes. Having a greater number of participants tends to be beneficial, provided certain constraints are met.

In the theoretical section of the article, we examine the principles of public procurement, including competition, and its impact on achieving fairness, quality, and price balance. The concept of buyer power and its influence on the procurement process is also examined. In practical section hypothesis testing, assessment of normality and variance, non-parametric testing, and descriptive statistics conducted. Welch's ANOVA is applied to determine the impact of industry type on the number of bidders. Additionally, multiple linear regression models explore the influence of various factors on public cost savings.

## **2. Theoretical foundation**

The principles of public procurement include maximum economy, efficiency, proportionality, integration, transparency, competitiveness, accountability, integrity, sustainability (Nedoshovenko A., 2022; Bou-Ghanem D., 2022, Lucacka, 2018). These principles aim to ensure the best use of resources, fair competition, value for money, and the achievement of government objectives. Competitive public procurement is considered as a process of stimulating competition between suppliers of goods and services using various methods of public procurement in order to achieve the best balance of fairness, quality and price. This includes creating an environment where many suppliers will be able to compete with each other for contracts, which can lead to higher quality products or services at more competitive prices (Fourie & Malan, 2021).

The principle of competition is clearly reflected in the directives of the European Union on the conclusion of state contracts. EU directives include the forms for conducting procurement procedures and the acceptable procedures for concluding contracts with suppliers. The directives define clear conditions under which a certain stage of the procurement procedure must be completed, for example, submission of applications, consideration of proposals, announcement of results, etc. Also, the directive prohibits revision of the terms of the contract after the contract has been concluded with the chosen supplier.

When we talk about competition, it is important to consider the concept of "power" of market participants in terms of private and public relations. One of the leading aspects is the power of the public buyer, the influence it has on the supplier. In the context of public procurement, buyer power is the ability of the public sector to negotiate favorable terms, terms and prices in the process of purchasing goods, services and works, which affects the level and intensity of competition between potential bidders, as well as the results of the procurement process (Dotecon, 2004).

The concept of buyer power is important because of the large-scale nature of public procurement and the potential impact it can have on the market and suppliers. Consequently, the state has considerable power, which it uses to increase the best quality and, in general, the efficiency of the process for the costs incurred. Government purchasing power can be exercised through various means: competitive tender/auction, competitive negotiations, specifications and requirements, framework agreements, etc. One of the important tasks of public procurement is to ensure the number of participants in the tender. Thus, according to studies, in order to achieve savings in the procurement process, the buyer needs to receive at least 4 proposals (Thai et al., 2009), which is impossible with a minimum number of bidders. For

example, in the field of agricultural procurement in 2022, in 85 % of the announced reverse auctions (SPA) the number of participants did not exceed 1, and the price reduction was within 2%.

However, the power of the state buyer is not absolute and it may cause certain deviations in the process of competitive relations, and the impact of competition may become negative. There are many obstacles to ensuring the principles of competition in public procurement. One difficulty is the emphasis on the quantity of competitors in the competitive process, which frequently encourages resellers of the same product to participate and inhibits the promotion of innovation (Dobretsov, 2022). Another issue is that measuring procurement efficiency lacks economic significance because regulatory laws favor cost-cutting and procedural compliance over effectiveness (Melnikov, 2022). Competitive advantages in public procurement practices can vary significantly due to different procurement practices and the diversity of goods, services and works.

The structure of the industry, such as the number of competitors, their size, and market concentration, can influence public procurement. There may be less competition in concentrated industries with a small number of dominant suppliers, which can affect the procurement process and perhaps lead to higher pricing or lower innovation. The procurement process can be influenced by industry dynamics. For instance, in industries with high demand and limited supply, such as during periods of rapid infrastructure development, the competition for procurement contracts may be intense, potentially affecting bidding strategies and contract terms.

Industries that demand specialized knowledge, expertise, or innovative solutions can also shape procurement processes. Procurement entities often prioritize suppliers with industry-specific expertise or innovative capabilities to meet their unique requirements. Moreover, the regulatory environment plays a crucial role as industry-specific regulations and policies can impact public procurement practices. Government regulations may impose specific requirements or preferences for procuring goods and services from particular industries, thereby influencing the competitive landscape and the selection of suppliers. Thus, industry analysis enables timely consideration and response to negative consequences such as low procurement competition, bid rigging, undue influence over procurement officials, potentially through bribery, lobbying, or other unethical practices, and a lack of capacity or expertise in the sector.

Various scientific sources highlight different quantitative criteria for assessing the competitiveness of public procurement. Firstly, this is a savings criterion. Price has long been used as an evaluation criterion in public procurement to determine the best value for money (Smith C., 2013). However, there are differing perspectives on using the lowest bid price as the only evaluation criterion. Some believe that it may not always result in the best quality offer (Ssenoga F., 2010). On the other hand, other variables such as sustainability and innovation in public procurement must be considered. For example, the Dutch government has made sustainability and innovation important criterion in their procurement activities (Ochraha F., Hrcirova K., 2015).

The number of participants in public procurement is a crucial criterion that affects competition, efficiency, and decision-making processes. Research shows that having more participants in the provision of a public good is generally beneficial, as long as certain constraints are met (Hellwig M., 2001). Another indicator that is correlated with the number of bidders is the number of received bids made by bidders. The research on this indicator is focused on the question of how many offers are needed to achieve a price reduction of 15-20% (Branneman et al., 1987, Gupta, S., 2002) or a reduction in expected costs associated with the bidding process and material costs (Lie, Edward A., 1987).

Factors such as project value, distance from the project site to the supply source, and state region also influence the number of bidders in competitive bidding (Azman M., 2014).



The size of mark-ups of public procurement suppliers is another factor influencing the results of public tenders. Mark-ups are affected not only by transaction costs associated with factors such as contract size, type, or company experience, but also by collusive tendering and bid rigging (Jones A., Kovacic W. 2019, Pavel J. 2018).

In conclusion, various quantitative criteria have been highlighted in scientific literature for assessing the competitiveness of public procurement. While price savings have traditionally been a significant criterion, there are differing perspectives on using the lowest bid price as the sole evaluation factor. It is acknowledged that prioritizing the lowest price may not always result in the best quality offer. Various criteria and factors contribute to a comprehensive understanding of competitiveness in public procurement. The literature emphasizes the need to consider multiple dimensions beyond price, such as sustainability, innovation, and the dynamics of bidder participation, to ensure optimal outcomes in public procurement processes.

Therefore, considerations such as sustainability and innovation have gained importance in public procurement. The number of participants in public procurement plays a crucial role in shaping competition, efficiency, and decision-making processes. Research suggests that having a greater number of participants in the provision of public goods tends to be beneficial, provided certain constraints are met. The number of bids is another indicator closely related to the number of participants, and research has explored the optimal number of offers needed to achieve specific price reductions or cost savings.

Several factors influence the number of bidders in competitive bidding, including project value, distance from the project site to the supply source, and state region. Factors such as transaction costs, contract size, type, company experience, as well as collusive tendering and bid rigging, can influence the mark-ups set by suppliers.

**3. Research methodology.** The analysis uses 240 data for the period 2021-2022 collected from State Procurement Agency's e-system. First of all, we classified the announcement by 2 types of procurement (120 announcement in each group): NAT - electronic tender without auction and SPA – reverse type auction, in order to identify the dependence of the number of bidders on the type of procurement. Accordingly, hypothesis 1 is the following: There is no difference between the NAT and SPA groups with respect to the dependent variable Number of Bidders. Although, test for normal distribution of NAT and SPA indicated the data within the NAT and SPA groups do not deviate significantly from a normal distribution, the Levene test of equality of variance yields a p-value of 0.01, which is below the 5% significance level. Thus, if there is no variance equality in the samples, alternative method that do not rely on equal variances assumptions, such as non-parametric tests, might be more appropriate for making valid statistical inferences.

The result of non-parametric test (pic. 1) shows that there is a significant difference in the distribution of the "Number of Bidders" between the "NAT" and "SPA" categories of the "Procurement Method." The difference in ranks (mean rank values of 128.7 in the "NAT" category and 112.33 in the "SPA" category) suggests that the "NAT" category tends to have higher values of the "Number of Bidders" variable compared to the "SPA" category.

The second factor that we investigated if there are significant differences in the average number of bidders among different industry types. By conducting an ANOVA analysis, we can assess whether industry type has a statistically significant influence on the number of bidders. If the ANOVA shows a significant difference, it indicates that industry type is associated with varying levels of bidders. This information can be valuable for understanding how different industries attract bidders and potentially identifying factors that contribute to these variations.

**Pic. 1 Hypothesis Test Summary**

	Null Hypothesis	Test	Sig.	Decision
1	The distribution of Number of Bidders, is the same across categories of Procurement Method.	Independent-Samples Mann-Whitney U Test	.032	Reject the null hypothesis.

Source: Authors calculations

Hypothesis 2. There is no difference between the 4 categories (Agriculture, Oil and Oil products, IT, Healthcare) of the independent variable Industry with respect to the dependent variable Number of Bidders. The choice of categories was predetermined by their economic importance, as they play a crucial role in the economy, contributing to employment, GDP, and overall development. Public procurement within these sectors often involves significant financial transactions and investments. The Agriculture, Oil, Healthcare, and IT sectors are directly linked to the delivery of essential public services. Public procurement within these sectors influences the quality, accessibility, and affordability of services provided to citizens.

Descriptive statistics results presented in table 1. Across all industries (Total), there were 240 observations, and the average Number of Bidders was 1.54. The standard deviation of 0.91 represents the overall variability in the Number of Bidders across the entire dataset, considering all industry categories.

**Table 1. Descriptive statistics**

	n	Mean	Std. Deviation
Agriculture	60	1.57	0.89
Oil and Oil products	60	1.92	1.24
IT	60	1.35	0.71
Healthcare	60	1.33	0.57
Total	240	1.54	0.91

Source: Authors calculations

As both Levene's Test and the Brown-Forsythe Test indicate a violation of the assumption of equal variances across the groups being compared (see Table 2), Welch's ANOVA was conducted.

**Table 2. Levene test of variance equality**

Test	F	df1	df2	p
Levene's Test (Mean)	5.64	3	236	.001
Brown-Forsythe-Test (Median)	6.65	3	236	<.001

Source: Authors calculations

The present study employed Welch's test, a modified version of the independent samples t-test that accommodates unequal variances, to examine the significance of mean differences among groups. The analysis aimed to address the violation of the assumption of equal variances. The Welch's test yielded a test statistic (F-value) of 4.33, with degrees of

freedom ( $df1 = 3$ ,  $df2 \approx 127.37$ ) estimated based on the sample sizes and variances. The calculated p-value of 0.006 indicated a statistically significant result.

This finding provides robust evidence supporting the presence of significant mean differences between the groups under investigation. The obtained F-value of 4.33 suggests a considerable disparity between the means compared to the within-group variability. The estimated degrees of freedom ( $df1 = 3$ ) reflect the number of groups being compared, while the approximate  $df2$  value of 127.37 accounts for the unequal variances observed in the data.

In summary, the application of Welch's test revealed a statistically significant difference in means among the examined groups. These findings substantiate the alternative to null hypothesis that the means of the dependent variable exhibit notable variations across the groups represented by the independent variable. The industry has an influence on the number of participants, further research is needed to determine the industry specific factors influencing the dependent variable.

Then we conducted a multiple linear regression analysis to examine the influence of the variables Number of Bidders, the Number of Offers, Distance, Contract Size, Announcement Period on the variable Savings (Decrease in Price) received by the buyer on depending on the procurement method. We separately analyzed 120 cases in the NAT category and the same number in the SPA category. Also, we exclude variable Number of offers form NAT category, since this method does not involve active bidding, and although participants change the offer before the expiration of the announcement, nevertheless, there is a high dependence between number of offers and number of bidders.

So, in NAT category the regression model showed that the variables Announcement period, Distance, Contract Size and Number of Bidders explained 46,14% of the variance from the variable Decrease in Price. An ANOVA was used to test whether this value was significantly different from zero. Using the present sample, it was found that the effect was significantly different from zero,  $F=24,63$ ,  $p = <.001$ ,  $R^2 = 0,46$ . The standardized coefficients beta are independent of the measured variable and are always between -1 and 1. The larger the amount of beta, the greater the contribution of the respective independent variable to explain the dependent variable Decrease in Price. In this model, the variable Number of Bidders has the greatest influence on the variable Decrease in Price.

**Table 3. Coefficients (Nat Category)**

Model	Unstandardized Coefficients	Standardized Coefficients	Standard error	t	p
	B	Beta			
(Constant)	3,99		2,55	1,57	,12
Announcement period	-0,24	-0,14	0,18	-1,33	,186
Distance	0,01	0,11	0,01	1,47	,143
Contract Size	0	0,24	0	2,39	,018
Number of Bidders	14,66	0,6	1,79	8,21	<.001

Source: Authors calculations

The p-value for the coefficient of Announcement period (see Table 3) is 0.186 and greater than the significance level of 0.05. Therefore, we fail to reject the null hypothesis that the coefficient of the "Announcement period" variable is zero in the population. This means

that there is not enough evidence to suggest that the "Announcement period" has a significant effect on the dependent variable.

The p-value for the coefficient Distance also greater than the significance level of 0.05 (0.143). Similar to the previous case, we fail to reject the null hypothesis that the coefficient of the "Distance" variable is zero in the population. This implies that there is not enough evidence to support a significant relationship between the "Distance" variable and the dependent variable.

The p-value for the coefficient Contract Size of 0.018 is smaller than the significance level of 0.05. This suggests that there is significant evidence to support the claim that the "Contract Size" variable has a non-zero effect on the dependent variable.

The p-value for Number of Bidders reported as  $<0.001$ , indicating that it is smaller than the significance level of 0.05. Consequently, we reject the null hypothesis that the coefficient of the "Number of Bidders" variable is zero in the population. This indicates strong evidence in favor of the claim that the "Number of Bidders" variable has a non-zero effect on the dependent variable.

In summary, the analysis suggests that the "Contract Size" and "Number of Bidders" variables have coefficients that are significantly different from zero in the population, indicating a meaningful impact on the dependent variable. However, there is no significant evidence to support a non-zero coefficient for the "Announcement period" and "Distance" variables.

In SPA category regression analysis was performed to examine the influence of the variables Contract Size, Number of offers and Number of Bidders on the variable Decrease in Price. The regression model showed that the variables Contract Size, Number of offers and Number of Bidders explained 41,73% of the variance from the variable Decrease in Price. An ANOVA was used to test whether this value was significantly different from zero. Using the present sample, it was found that the effect was significantly different from zero,  $F=27,69$ ,  $p = <.001$ ,  $R^2 = 0,42$ .

In this model, the variable Number of Bidders has the greatest influence on the variable Decrease in Price.

The p-value for the coefficient of Contract Size is 0.764. Since this p-value is greater than the significance level of 0.05, the null hypothesis that the coefficient of Contract Size is zero in the population is maintained. Therefore, the Contract Size variable does not have a statistically significant impact on the dependent variable.

The p-value for the coefficient of Number of offers is 0.066. This p-value is greater than the significance level of 0.05, indicating that the null hypothesis that the coefficient of Number of offers is zero in the population is maintained. Thus, it is assumed that the coefficient for the variable Number of offers in the population is not significantly different from zero. This suggests that the Number of offers variable does not have a statistically significant effect on the dependent variable.

The p-value for the coefficient of Number of Bidders is 0.001. In contrast to the previous variables, this p-value is smaller than the significance level of 0.05. Therefore, the null hypothesis that the coefficient of Number of Bidders is zero in the population is rejected. This indicates that the Number of Bidders variable has a statistically significant impact on the dependent variable, implying that it is an important predictor in the regression model.

#### **4. Implication and Further Research.**

The study's analysis revealed a significant relationship between industry type and the number of bidders in procurement processes. This finding implies that different sectors, such as Agriculture, Oil and Oil Products, IT, and Healthcare, exhibit distinct patterns when it comes to bidder participation. Industries often have unique characteristics, regulations, and market dynamics that can influence the level of competition in procurement. For example, industries with higher economic importance and more significant financial transactions may attract more

bidders due to the potential for lucrative contracts. This result reinforces the importance of tailoring procurement strategies and policies to the specific needs and characteristics of each industry. Policymakers and procurement professionals should consider the industry context when designing procurement processes to maximize competition and achieve optimal outcomes.

The regression analyses demonstrated the pivotal role of the Number of Bidders variable in explaining variations in Savings (Decrease in Price) in both NAT and SPA procurement categories. The positive association between the Number of Bidders and savings underscores the significance of competition in driving cost reductions for buyers. Procurement processes with a higher number of bidders tend to result in more competitive pricing, which benefits the procuring entity and, by extension, taxpayers or stakeholders. This finding emphasizes the need for strategies that promote bidder diversity and attract a sufficient number of participants to foster competition. Such strategies can include transparent procurement procedures, outreach to potential bidders, and efforts to minimize entry barriers.

The research did not reveal positive relationship between the number of offers and savings in Georgia's public procurement that can be attributed to such factors as Market Structure, Bidding Strategies, and Bidder Behavior. The structure of the procurement market in Georgia characterized by a limited number of dominating suppliers, who reduce the potential for competition and limiting the impact of the number of offers on savings. Bidders' strategies can vary widely. If bidders adopt conservative strategies, submitting fewer but higher-quality offers, the relationship between the number of offers and savings may be less pronounced. Bidder behavior can be influenced by factors such as risk aversion, information availability, and expectations of their competitors. If bidders in Georgia perceive that submitting multiple offers is not cost-effective or does not significantly increase their chances of winning, they may choose to submit fewer offers.

To gain a deeper understanding of why the number of offers may not significantly impact savings in Georgia's public procurement, further research could explore these factors in more detail. This might involve conducting surveys or interviews with bidders and procurement officials, analyzing specific procurement procedures and regulations, and examining changes in procurement practices over time. Additionally, a larger and more representative dataset could provide more robust insights into the relationship between the number of offers and savings in the Georgian context.

While the study provides valuable insights, there are areas where further research is warranted:

- Additional research can delve deeper into the industry-specific factors that influence bidder participation. Understanding why certain industries attract more bidders than others can lead to more targeted procurement strategies.
- Investigating the specific factors affecting savings in procurement processes is essential. The study hints at Contract Size and Announcement Period in the NAT category, but further exploration can provide a more comprehensive understanding of the drivers of cost savings.
- Comparative studies across different regions or countries could shed light on how procurement strategies and industry characteristics vary and impact outcomes. This can provide a broader perspective on optimizing procurement policies.
- Long-Term Impact: Research could explore the long-term effects of bidder participation and competition on cost savings, quality of services, and overall efficiency in public procurement. Longitudinal studies can reveal trends and allow for continuous policy adjustments.

In conclusion, this study provides critical insights into the relationships between industry type, bidder participation, and cost savings in procurement processes. It not only supports the need for industry-specific approaches but also highlights the central role of

competition in achieving cost reductions. Further research in this area can deepen our understanding and lead to more effective procurement policies and strategies, ultimately benefiting governments, organizations, and the public.

### References

1. Alison, Jones., William, E., Kovacic., William, E., Kovacic. (2019). Fighting Supplier Collusion in Public Procurement: Some Proposals for Strengthening Competition Law Enforcement. Social Science Research Network.
2. Brannman, L. et al., (1987), The Price Effects of Increased Competition in Auction Markets, The Review of Economics and Statistics, 69, 24-34
3. Edward, E. (2007). A Procedure for Estimating the Number of Competitive Bids for Procurement. IIE Transactions, Volume 19, 1987 - Issue 4, Pages 468-471
4. Grega, M., Nemeč, J., (2015). Factors Influencing Final Price of Public Procurement: Evidence from Slovakia, Procedia Economics and Finance 25 (2015) 543-551, Elsevier
5. Gupta, S. (2002). Competition an Collusion in a Government Procurement Auction Market, Atlantic Economic Journal 30, 13-25
6. Hellwig, M. (2001). The Impact of the Number of Participants on the Provision of a Public Good. Sonderforschungsbereich 504 Publications 01-16, University of Mannheim.
7. Mohd, A. (2014). Number of Bidders in Small and Medium Public Construction Procurement in Malaysia. Applied Mechanics and Materials, 567:595-600. doi: 10.4028/WWW.SCIENTIFIC.NET/AMM.567.595
8. Ochrana, F, Hrnčířová K. (2015). Does the Lowest Bid Price Evaluation Criterion Make for a More Efficient Public Procurement Selection Criterion? (Case of the Czech Republic). Nispacee Journal of Public Administration and Policy, 8(1):41-59. doi: 10.1515/NISPA-2015-0003
9. Smith, C. (2013). Green Procurement in the Public Sector: Purchasing Departments as Procurement Entrepreneurs. <https://typeset.io/papers/green-procurement-in-the-public-sector-purchasing-1oq6sud79d>
10. SSennoga, F. (2010). Discriminatory public procurement policies [Doctoral Dissertation, University of Twente].

*ბექა ფაცაცია*

*დოქტორანტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*

*ნინო ხარებავა*

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*

*დავით ჯალაღონია*

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**სახელმწიფო შესყიდვების წარმატების შესწავლა: კონკურენციის გავლენა ეფექტურობაზე საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში**

### რეზიუმე

სტატია იკვლევს კავშირს კონკურენციასა და სახელმწიფო შესყიდვებში დადებული ხელშეკრულებების ეფექტიანობას შორის, საქართველოს ოთხ ძირითად სექტორში: საინფორმაციო ტექნოლოგიები, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა და

ნავთობი. კვლევის მიზანია გაანალიზოს მონაწილეებს შორის კონკურენციის გავლენა საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანობაზე. სახელმწიფო შესყიდვების მონაცემების საფუძველზე, განხილულია სხვადასხვა რაოდენობრივი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელმწიფო შესყიდვების ეფექტურობაზე. ეს ფაქტორები მოიცავს შესყიდვის პროცესის მონაწილეების რაოდენობას, მიღებული წინადადებების რაოდენობას, კონტრაქტის ზომას, მიმწოდებლის დაშორებას პროექტის განხორციელების ადგილიდან, განცხადების გამოქვეყნების პერიოდს. გარდა ამისა, კვლევა განიხილავს დარგებს და შესყიდვების ტიპებს და მათ გავლენას კონკურენტების რაოდენობაზე.

სახელმწიფო შესყიდვების პროცესების გამოსაკვლევად, კვლევა იყენებს სტატისტიკური მეთოდების მრავალფეროვან სპექტრს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული სისტემის 240 მონაცემის საფუძველზე, რომელიც მოიცავს 2021-2022 წ.წ. კვლევის მეთოდები მოიცავენ ჰიპოთეზის ტესტირებას, დისპერსიის შეფასებას, არაპარამეტრულ ტესტირებას და აღწერით სტატისტიკას. გამოყენებულ იქნა Welch's ANOVA-ს ტესტი დარგის სახეობის გავლენის შესაფასებლად პრეტენდენტთა რაოდენობაზე. გარდა ამისა, მრავალი წრფივი რეგრესიის მოდელის საფუძველზე გაანალიზებულია სხვადასხვა ფაქტორის გავლენა შესყიდვის პროცესში სახელმწიფო ხარჯების დაზოგვაზე. კვლევის შედეგი გვაძლევს წარმოდგენას სახელმწიფო შესყიდვების კომპლექსურ დინამიკაზე და მის დამოკიდებულებაზე შესყიდვების ტიპზე, დარგობრივ და სხვა კრიტიკულ ცვლადებზე.

სტატიაში ნათქვამია, რომ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეთა რაოდენობა გადამწყვეტ როლს თამაშობს კონკურენციის, ეფექტიანობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების ჩამოყალიბებაში. ხაზგასმით აღინიშნება მონაწილეთა საკმარისი რაოდენობის მოზიდვის აუცილებლობა სამართლიანი და გამჭვირვალე კონკურენციის უზრუნველსაყოფად.

**საკვანძო სიტყვები:** სახელმწიფო შესყიდვა, შეთავაზება, მონაწილეთა კონკურენცია, საჯარო შესყიდვების ეფექტიანობა

## ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორი ეკონომიკურ განვითარებაში და დასაქმების პოლიტიკის გამოწვევები

**ანოტაცია.** სტატიაში შეფასებულია ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორი ეკონომიკურ განვითარებაში. გამოვლენილია დასაქმების პოლიტიკის საჭიროებები საქართველოში.

ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორის ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების ასახვნელად შესწავლილია ამ კაპიტალის ფორმირების წყაროები. გაანალიზებულია ადამიანისეული კაპიტალის, როგორც ეკონომიკური ზრდის, ინოვაციური განვითარებისა და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები.

ადამიანისეული კაპიტალის თეორიის სხვადასხვა ასპექტით შესწავლის საფუძველზე დასაბუთებულია, რომ თანამედროვე ეკონომიკა მოითხოვს ადამიანისეული კაპიტალის მნიშვნელოვნად მაღალ ხარისხს, ამიტომ აუცილებელია უახლეს ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე ორიენტაცია, ინფორმაციულ-კომპიუტერული სისტემების გამოყენება, ინოვაციების შექმნა და დანერგვა. აღნიშნული მოთხოვნების საფუძველზე განხილულია მეცნიერთა თანამედროვე შეხედულებები ადამიანისეული კაპიტალის ეკონომიკური ზრდაზე გავლენის მიმართულებით.

ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორის გათვალისწინებით დასაბუთებულია დასაქმების ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმების შემუშავების აუცილებლობა. ნაშრომში გაკეთებულია დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორის ეკონომიკურ განვითარებაზე ეფექტიანი ზემოქმედებისა და დასაქმების პოლიტიკის შემუშავების შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** ადამიანისეული კაპიტალი, ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორი, ეკონომიკური ზრდა, დასაქმების პოლიტიკა, პოლიტიკის გამოწვევები.

\*\*\*\*

ადამიანისეული კაპიტალი ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია და იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ეპოქაში.

ცნობილია, რომ ფიზიკური კაპიტალის დაგროვება მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პროცესში, თუმცა, ისიც დადგენილია, რომ მატერიალური კაპიტალის ზრდა ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებაზე დამოკიდებული. ამასთან, ადამიანისეული კაპიტალი განიხილება, როგორც ეკონომიკური განვითარების ინტენსიური საწარმოო ფაქტორი, საზოგადოებისა და ოჯახის განვითარების საფუძველი და სხვა.

ადამიანისეული კაპიტალი ინტელექტუალური და მმართველობითი შრომის ინსტრუმენტია, საცხოვრებელი და შრომითი საქმიანობის გარემოა, რომელიც ადამიანისეული კაპიტალის, როგორც განვითარების მწარმოებლური ფაქტორის, ეფექტიან და რაციონალურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

ადამიანისეული კაპიტალის სწორი დაგეგმვა აუცილებელია დასაქმების პოლიტიკის ინსტრუმენტების შესამუშავებლად, რაც საბოლოოდ ეკონომიკის სხვა-



დასხვა სექტორის განვითარებას უზრუნველყოფს. დღეს განსაკუთრებით აქტუალურია ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორის გათვალისწინებით დასაქმების პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება, ასევე, შრომის ბაზრის სტრუქტურის, უმუშევრობისა და უმუშევართა მხარდამჭერი სოციალური მექანიზმების გაანალიზება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანისეული კაპიტალის ფორმირების პროცესის გავლენის გამოკვლევა ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე. შესაბამისად, კვლევის მიზანს წარმოადგენს ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორის როლის შეფასება ეკონომიკურ განვითარებაში და დასაქმების პოლიტიკის გამოწვევების დადგენის საფუძველზე პოლიტიკის დოკუმენტების გაუმჯობესებასა და განხორციელების მექანიზმებზე რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შესაბამისი მეთოდები, მათ შორის სამაგიდე კვლევით განხორციელებულია მონაცემების მოპოვება, დახარისხება და ანალიზი. შეფასებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ასევე, საქართველოს პარლამენტის პოლიტიკის დოკუმენტები, ეკონომიკური პროფილის სამინისტროების მონაცემები, გაანალიზებულია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა სამეცნიერო ნაშრომები და სხვა; მონაცემების შერჩევისა და დაჯგუფების, მსგავსებისა და განსხვავების იდენტიფიცირებისათვის, ასევე, ტენდენციების გამოსავლენად გამოყენებულია სინთეზის, ანალიზის, ინდუქციის, დედუქციისა და სხვა მეთოდები.

ეკონომიკური ზრდის ფაქტორებს შორის ადამიანისეული ფაქტორის შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. (ჯულაყიძე მ., ეკონომიკური ზრდის ფაქტორები გლობალიზაციის პირობებში). კვლევამ პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: რა როლი აქვს ადამიანისეულ კაპიტალს ეკონომიკურ განვითარებაში? ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორის გათვალისწინებით როგორი უნდა იყოს დასაქმების პოლიტიკა საქართველოში? როგორ ხორციელდება ადამიანისეული ფაქტორის გამოყენებით დასაქმების პოლიტიკა საქართველოში? და სხვა.

ადამიანისეული კაპიტალის გამოყენებით დასაქმების პოლიტიკამ საქართველოში უნდა უზრუნველყოს მან არა მხოლოდ „მეტი“, არამედ კარგი“ სამუშაო ადგილების შექმნა. ასეთ შემთხვევაში საკითხი ეხება დასაქმების პოლიტიკას, როგორც ეკონომიკური განვითარების აუცილებელ კომპონენტს. (დასაქმების პოლიტიკა განვითარების კონტექსტში. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC თბილისი, 2020).

ადამიანისეული კაპიტალი ეკონომიკური ზრდის პირდაპირი ფაქტორია. ამასთან, მისი მობილობა სახელმწიფოთაშორისო დონეზე შრომის საერთაშორისო დანაწილებას და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდასაც უწყობს ხელს.

ადამიანისეული კაპიტალი, როგორც ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი, განმსაზღვრელ როლს ასრულებს ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში. ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორის ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების ასახსნელად თავდაპირველად, მიზანშეწონილია მისი ფორმირების წყაროების შესწავლა. ამ საკითხის აქტუალურობას ისიც განაპირობებს, რომ თანამედროვე მსოფლიოში პოსტინდუსტრიული განვითარების უმნიშვნელოვანეს წინაპირობას სწორედ ადამიანისეული კაპიტალი და განათლების სისტემის ფორმირება წარმოადგენს. ადამიანისეული კაპიტალის, როგორც ეკონომიკური ზრდის, ინოვაციური განვითარებისა და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტ-

უნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორის მნიშვნელობაზე მიუთითებს არაერთი მკვლევარი. (აბესაძე, რ. (2015). ეკონომიკური განვითარება).

ადამიანისეული კაპიტალის თეორიის სხვადასხვა ასპექტით შესწავლის საფუძველზე დასაბუთებულია, რომ თანამედროვე ეკონომიკა მოითხოვს ადამიანისეული კაპიტალის მნიშვნელოვნად მაღალ ხარისხს, აუცილებელია უახლეს ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე ორიენტაცია, ინფორმაციულ-კომპიუტერული სისტემების გამოყენება, ინოვაციების შექმნა და დანერგვა. აღნიშნული მოთხოვნების საფუძველზე მეცნიერთა მიერ განხილულია თანამედროვე შეხედულებები ადამიანისეული კაპიტალის ეკონომიკური ზრდაზე გავლენის თვალსაზრისით. (მუჯირი, ი. (2016). ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია და ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია).

ეკონომიკურ ლიტერატურაში როგორც თეორიული, ასევე, ემპირიული კვლევებით დადასტურებულია, რომ ადამიანისეული კაპიტალი ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. იგი მოიცავს რა ადამიანების ცოდნას, უნარჩვევებსა და მოტივაციას, გააჩნია ეკონომიკური ღირებულება, რომელიც ადამიანებს საშუალებას აძლევს, მოახდინონ საკუთარი თავის, როგორც საზოგადოების პროდუქტიული წევრის რეალიზაცია. (თოთლაძე ლ., ხუსკვიცაძე მ. ადამიანისეული კაპიტალის როლი ინკლუზიური მწვანე ზრდის უზრუნველყოფაში).

დღეისათვის ქვეყნების განვითარების სტრატეგია ფოკუსირებულია მდგრად და ინკლუზიურ ზრდაზე, რომლის მიღწევაც შეუძლებელია ადამიანისეული კაპიტალის წვლილის გარეშე.

ადამიანისეული კაპიტალის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ეკონომიკური განვითარებისთვის, რადგან აღნიშნული ფაქტორი დადებით გარეგან ეფექტებს იწვევს. მაღალკვალიფიციური ადამიანისეული კაპიტალი ახალი იდეების შემუშავების საწინდარია. მას დიდი როლის შესრულება შეუძლია ტექნოლოგიის სრულყოფის, კომპანიების ეფექტიანი მენეჯმენტისა და ორგანიზაციის მიმართულებით, ასევე, მართვის ახალი მეთოდების შესამუშავებლად. შესაბამისად, ნებისმიერი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია ნაკლებად მოხდეს მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის გასვლა ქვეყნიდან ცხოვრების უკეთესი პირობების საძებნელად. როგორც აღინიშნა, ეკონომიკურ ზრდაზე ადამიანისეული კაპიტალის გავლენის შესაფასებლად მნიშვნელოვანია მისი შემადგენელი ელემენტების ანალიზი. განასხვავებენ ადამიანისეული კაპიტალის რამდენიმე ძირითად ელემენტს: 1. ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღე; 2. გონებრივი და ფიზიკური უნარი; 3. ჩვევები (პროფესიული და ინსტიტუციური); 4. გამოცდილება (პროფესიული და ცხოვრებისეული); 5. ცოდნა (პროფესიული და ზოგადი) 6. მოტივაცია და სხვა. (აბესაძე, რ. (2015). ეკონომიკური განვითარება).

ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისა და ეფექტიანი გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი გარემო პირობების, პირველ რიგში, ქვეყანაში შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არსებობა. თუმცა, არანაკლებ აქტუალურია კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის ფორმირება, რომლის დროსაც გასათვალისწინებელია ადამიანისეული კაპიტალის, როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორის, შესწავლა მრავალდონიანი მიდგომებით, კერძოდ მიკრო, მაკრო, მეგა, ნანო და სხვა დონეების მიხედვით.

ადამიანისეულ კაპიტალს განიხილავენ, როგორც ეროვნული სიმდიდრის შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადამიან-

ნისეული კაპიტალის განვითარების, ასევე, დასაქმების ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმების შემუშავება. საქართველოში ამ მიმართულებით შემუშავებულია სახელმწიფო მარეგულირებელი კანონმდებლობა, მოქმედებს სხვადასხვა პროგრამა, მათ შორის აღსანიშნავია: საქართველოს სოციალური-ეკონომიკური და რეგიონული განვითარების სტრატეგიები, საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, საქართველოს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ და სხვ.; დამტკიცებულია სახელმწიფო პროგრამები, ფუნქციონირებს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.

დასაქმების პოლიტიკის სფეროში არსებული სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზით გამოვლინდა მთელი რიგი გამოწვევები. შედეგები ცხადყოფს, რომ დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით ქვეყანაში არსებული პოლიტიკა ძირითადად „მიწოდების მხარის“ პოლიტიკაა. ეკონომიკური პოლიტიკის მიდგომებში მთავარი აქცენტები დასაწყისში უნდა გაკეთდეს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების განსაზღვრის მიმართულებით. „მიწოდების მხარის“ პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელებისთვის აუცილებელია განისაზღვროს „მოთხოვნადი პროფესიები“ ეკონომიკაში მომდინარე ცვლილებების მიხედვით. კრიტიკულად მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის რეგულარული კვლევა, საჭიროა კვლევის შედეგების დანერგვის მონიტორინგი და შესაბამისი ხელმისაწვდომი შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის შექმნა.

ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებაზე უარყოფითად აისახება ემიგრაცია. მაღალკვალიფიციური ადამიანისეული კაპიტალის გადინება განსაკუთრებით მწვავედ აისახება განითარებადი ქვეყნებში ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე. პრობლემის დასაძლევად მნიშვნელოვანია შემუშავებული სტრატეგიების შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

**ამრიგად,** ადამიანისეული კაპიტალი წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის ზრდის მასტიმულირებელ, თუმცა, რთულ, კომპლექსურ და ინტენსიურ ფაქტორს. ეკონომიკურ ზრდაზე მისი გავლენის ხარისხი პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის კონკურენტუნარიანობასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე. ეროვნული, კონკურენტუნარიანი ადამიანისეული კაპიტალი განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას, ეკონომიკურ სტაბილურობას, საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში მაღალ რეიტინგს. ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი ეფექტიანი პოლიტიკის მექანიზმების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ინოვაციურ განვითარების, ადამიანისეული კაპიტალის კონკურენტუნარიანობის ზრდის სამომავლო ტენდენციებს.

ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისას მნიშვნელოვანია საუკეთესო უნარების განვითარება. უნარების წარმოქმნა შრომატევადი პროცესია, შესაბამისად ადამიანისეული კაპიტალის განვითარების მთელი პროცესი მოითხოვს გრძელვადიან პოლიტიკას. ამგვარად ადამიანისეული კაპიტალის ფორმირება მიუთითებს განათლებაზე, ჯანდაცვის გაუმჯობესებაზე და სპეციალურ უნარ-ჩვევებში მუშაკთა გადამზადებაზე. (Kenton W. 2020 ).

ადამიანისეულ კაპიტალში ადეკვატური ინვესტიციების არარსებობა, ფიზიკური კაპიტალის გამოყენების დაბალ ტემპს განაპირობებს, რაც იწვევს განვითარების ჩამორჩენას. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობას გააჩნია ეკონომიკური

ზრდის დაბალი მაჩვენებელი, რომელიც ნაწილობრივ გამოწვეულია ადამიანისეული კაპიტალისათვის ინვესტიციების არარსებობით.

ამგვარად ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისას საჭიროა პრობლემის გადაჭრა ადამიანებში აუცილებელი უნარჩვევების ჩამოყალიბებით. ადამიანისეული კაპიტალის განვითარება მოითხოვს ახალი და გაფართოებული სამთავრობო სამსახურების დაკომპლექტებას, მიწათსარგებლობის ახალი სისტემის დანერგვას და სოფლის მეურნეობის სრულყოფისათვის ახალი მეთოდების შემუშავებას, კომუნიკაციის საშუალებების შექმნას, ინდუსტრიალიზაციის გამყარებას და განათლების სისტემის სრულყოფას.

ადამიანისეული კაპიტალი (ფართო გაგებით) - ეს არის ინოვაციური ეკონომიკის ნაწილი და დასაქმების პოლიტიკის მნიშვნელოვანი გამოწვევა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე, რ. (2015). ეკონომიკური განვითარება. თბილისი თსუ გამომცემლობის სტამბა.
2. მუჯირი, ი. (2016). ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია და ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია. თბილისი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
3. თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ. (2019). ადამიან-კაპიტალი და მისი გავლენის მიდგომები <https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/508/Human%20capital%20and%20it%20s%20measurement%20approaches.pdf?sequence=1&isAllowed=y>
4. თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ. ადამიანისეული კაპიტალის როლი ინკლუზიური მწვანე ზრდის უზრუნველყოფაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირების თანამედროვე პრობლემები. თბილისი.
5. დასაქმების პოლიტიკა განვითარების კონტექსტში. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC თბილისი, 2020 <https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf>
6. საქართველოს კანონი დასაქმების ხელშეწყობის შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4924109?publication=1>
7. ჯულაყიძე მ., ეკონომიკური ზრდის ფაქტორები გლობალიზაციის პირობებში, <http://eprints.tsu.ge/1391/1/Factors%20of%20economic%20growth%20and%20globalization.pdf>
8. Kenton W., Updated September 04, 2020;

*Medea Kharashvili*  
TSU, PhD student

## HUMAN CAPITAL FACTOR IN ECONOMIC COURSE AND EMPLOYMENT POLICY CHALLENGES

### Expanded Summary

The article assesses the factor of human capital in economic development. The needs of employment policy in Georgia have been identified.

The sources of the formation of this capital have been studied to explain the impact of the human capital factor on economic growth. The human capital is analyzed as deter-

mining factor of economic growth, innovative development and competitiveness of the national economy

Based on the study of various aspects of human capital theory, it is argued that modern economics requires a significantly higher degree of human capital. Based on these requirements, the modern views of scientists on the impact of human capital on economic growth are discussed.

Considering the human capital factor, the need to develop effective economic policy mechanisms for employment is justified. The paper draws conclusions and develops recommendations on effective impact on the economic development of the human capital factor and the development of employment policies.

Every economic field requires an appropriate level of education, and the existing education must be in line with the employment policy.

The personal and social benefits derived from higher education are closely related to the process that takes place from the completion of the course to the achievement of employment.

he benefits of investments in higher education become visible when, after graduating from university, it becomes possible to find a job that corresponds to the level of education received. After graduating from the university, the employment of the graduate in an adequate job soon after graduation is the field of interest of the same individuals, it should also be the priority goal of the educational institutions and the state.

Human capital development paves the way for new opportunities by increasing the value of labor, increasing competitiveness and innovation.

Achieving economic growth and development of the country depends on the level of human capital development. It should be taken into account that the accumulation of qualified and educated human capital is a determining factor in promoting the country's economic growth.

Human capital development is achieved through education, and higher education is realized through employment. Human capital is the main factor determining the achievement of a high level of development in a modern economy and an economy based on education.

Therefore, the study of the human role in the economy and the implementation of a targeted employment policy is the lever that unconditionally determines the country's success.

Human capital is a combination of knowledge, experience and skills, the combination of which allows us to meet the demands of society.

The quality of human capital is determined by the amount of investments made for human development, against the background of this, higher education and skills help to strengthen work ability. In order for human capital to meet international standards, appropriate government spending on food, housing, culture and education is needed.

Human capital determines economic development. Developed human capital determines a high-level society, developed families, educated labor resource.

In order for important sectors of the economy to develop, human capital must be planned taking into account international standards. It means: promotion of medicine, high-level technologies, management, priority fields and, most importantly, raising the level of education.

Human capital is an intangible asset that is not listed on a company's balance sheet. Human capital includes attributes such as employee experience and skills, since not all employees can have equal experience and skills, an employer can improve human capital by investing in the learning and motivation of its employees. Human capital is related to economic growth, productivity and profitability.

Education and training are indirectly related to state creation. This relationship is related to the macroeconomic nature that is derived from the analysis and explanation of education policy. Knowledge is the source of innovation and the result of economic growth. Human capital through education makes the greatest contribution to economic growth.

Employment policies are important for both employers and employees to understand their respective employment relationships. The right kind of policy can strengthen the employer's position and shape employee behavior. The goal of employment policy in any country is to ensure employment growth.

Most importantly, there is a close, logical connection between economic development and employment policies in countries. Within the active policy of the labor market and employment, it is very important to pay special attention to the issues of employment of certain socio-demographic and vulnerable groups of the population.

In researching human capital, the fact that people's work may not be equal has been highlighted, but employers can improve the quality of capital by investing in employees.

Implementation an active employment policy should become the main lever for overcoming unemployment and poverty in the country and a priority part of the unified state policy.

**Key words:** human capital, human capital factor, economic growth, employment policy, policy challenges

ნინო ღონღაძე  
თსუ დოქტორანტი

### ჰელიკულტურა და მომხმარებლების დამოკიდებულების შესწავლა საქართველოში

**ანოტაცია.** საკვებად ვარგისი ლოკოკინების მოპოვება და მისი ფართოდ გამოყენება გასტრონომიაში უცხოა საქართველოსთვის, თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით ევროპის, ამერიკასა და აფრიკის ქვეყნებზე დაყრდნობით. მიუხედავად ამისა საქართველოში იზრდება ლოკოკინის ფერმების რაოდენობა და სხვადასხვა რეგიონებში ლოკოკინების შეგროვებაც უფრო აქტუალური ხდება. მიმდინარეობს ლოკოკინების ექსპორტიც და საქართველოში არსებულ რესტორებში ხდება საკვებად ვარგისი ლოკოკინებისგან კერძების დამზადება და მისი პოპულარიზაცია.

**საკვანძო სიტყვები:** საკვები ლოკოკინები; ლოკოკინების წარმოება; მოლუსკი, ჰელიკულტურა, ეკონომიკა.

#### შესავალი

ლოკოკინები გარდა იმისა რომ გამოიყენება საკვებად, მათ ასევე სხვა დანიშნულებაც აქვთ კოსმეტიკასა და ჯანმთელობის სფეროში. მათი გამრავლება და წარმოება შედარებით ადვილია და არ მოითხოვს დიდ ფინანსურ დანახარჯებს. კვლევის მიზანია რომ განხილული იქნეს საქართველოში ჰელიკულტურისა და საზოგადოების ცნობიერების/მსყიდველუნარიანობის დადგენა, ვინაიდან დღემდე არ გვაქვს მონაცემები აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ კვლევის მეთოდებს, სადაც რესპოდენტებს დაეგზავნათ კითხვარები. მიღებული მონაცემები დამუშავდა პროგრამა SPSS-ში. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე მოხდა შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება.

#### ძირითადი ნაწილი

ლოკოკინები მიეკუთვნება გასტროპოდას და მოლუსკას კლასს. სიტყვა Mollusca მომდინარეობს ლათინური mollis-დან, რაც ნიშნავს რბილს. ეს ტერმინი პირველად არისტოტელემ გამოიყენა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნეში.

საფრანგეთში ლოკოკინებს საყოველთაოდ მოიხსენიებენ ფრანგული სიტყვით "Escargot". საბერძნეთში, განსაკუთრებით კრეტაზე, მიწის ლოკოკინები ადგილობრივი დიეტის მნიშვნელოვანი ნაწილია.

2014 წელს გაერთიანებულმა სამეფომ გამოაქვეყნა „სახელმძღვანელო ადამიანის მოხმარებისთვის ხმელეთის საკვები ლოკოკინების წარმოების, მოსავლისა და იმპორტის შესახებ“, რომელიც ადგენს ევროკავშირის მარეგულირებელ მოთხოვნებს ლოკოკინების მწარმოებლებისთვის. არსებობს საკვები ლოკოკინების სხვადასხვა სახეობა. მათ შორისაა:

*Helix aspersa* Muller რომელიც გვხვდება ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე, ესპანეთში და საფრანგეთში, ინგლისში, სამხრეთ აფრიკაში, ახალი ზელანდიაში, მექსიკასა და არგენტინაში.

*H. aspersa* და *Helix pomatia* Linne -ს რომელიც გვხვდება ყველგან, მათ შორის ტყეებში, მინდვრებში და ბაღებში.

*Cornu aspersum* - ისინი გვხვდება საფრანგეთისა და საბერძნეთის სანაპიროებზე.

*Cepaea nemoralis* - გავრცელებულია ცენტრალურ ევროპაში. ის ცხოვრობს ტყეებში და იკვებება პეპლებითა და მკვდარი ჭიებით.

*Achatina fulica* - არის გიგანტური ლოკოკინები და გვხვდება აფრიკის სამხრეთ საჰარაში.

ლოკოკინა გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით, მისი მოშენებისას წარუმატებლობის მიზეზები ხშირად გამოწვეულია შემდეგით: ცუდი მენეჯმენტი, არასაკმარისი ფინანსები, ნიადაგი და ნათესების არასწორი არჩევა, ასევე ლოკოკინისთვის საშიში მტაცებლები.

### **მოთხოვნები ლოკოკინების მეურნეობისთვის**

ფერმერმა უნდა შეარჩიოს სახეობა, რომელსაც შეუძლია გაიზარდოს ყველაზე სწრაფი ტემპით და წარმოების მაღალი ტემპით. არსებობს სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ ზრდასა და პროდუქტიულობაზე. ეს ფაქტორებია ხმაური, ვიბრაცია, სინათლე, სანიტარული პირობები, კვების რეჟიმი, ტემპერატურა და სიმჭიდროვე. ლოკოკინების მოშენება შესაძლებელია იმ ქვეყნებში, სადაც მას საკვებად მოიხმარენ, მაგრამ სხვა ქვეყნებში მისი მოყვანა ხდება მედიკამენტების წარმოებისა და კვლევის მიზნით. ლოკოკინების ფერმები შეიძლება იყოს ღია ცის ქვეშ, კონტროლირებადი კლიმატის მქონე შენობებში ან დახურულ სისტემებში. ლოკოკინებს, რომლებიც შეგროვდნენ ველურ ბუნებაში ლოკოკინების ფერმაში შესანახად, შეიძლება ჰქონდეთ მაღალი სიკვდილიანობის მაჩვენებელი ახალ პირობებთან შეგუებისას. საუკეთესოა ცოცხალი ლოკოკინების გადაზიდვა მიმდინებელ მდგომარეობაში, შემოდგომის ბოლოს და მარტის დასაწყისში.

### **საქართველო და ჰელიკულტურა**

საქართველოში ფიქრობენ, რომ მესხეთში ლოკოკინისგან მომზადებული კერძების ჭამა ფრანგი მისიონერების შემოსვლის შემდეგ დაიწყო.


მესხური ლოკოკინა ძირითადად ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის სოფლების გარშემოა. საქართველოში პირველი ლოკოკინების ფერმა ახალციხეში 1000 კვადრატულ მეტრ ტერიტორიაზე გაშენდა. ბიზნესმენმა მერაბ ნადარაიამ დასაველეთ საქართველოში 2018 წელს ლოკოკინების ფერმა „ნადი გრუპი“ ჩამოაყალიბა. ფერმა 6 ჰექტარზეა გაშენებული და 2020 წელს 45 ტონა ლოკოკინა გაიტანა ექსპორტზე. 2020 წლის შემოდგომიდან კომპანიამ დაიწყო ცოცხალი ლოკოკინების ექსპორტი იტალიაში. რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად უკრაინა საერთაშორისო ბაზარს წელიწადში დაახლოებით 800 ტონა ლოკოკინით ვეღარ მიაწოდებს და ეს ნიშა ცარიელი რჩება. ამ დროისთვის ევროპის ბაზარზე 1 კგ ლოკოკინის ფასი 4,5 ევროა. მიმდინარე წლის ბოლომდე კომპანია ლოკოკინების მეურნეობის 20 ჰექტარამდე გაზრდას გეგმავს. ლოკოკინების ფერმას დაემატა კიდევ ერთი ახალი საწარმო „სნეილ გარდენი“, რომელიც გაიხსნა ერისიმედში, კახეთში. ფერმა 5 ჰაზეა გაშენებული და წელს უკვე აწარმოებენ ექსპორტს იტალიაში.

### **დასკვნა**

ჩემს მიერ ჩატარდა მომხმარებლის ცნობიერების კვლევა ლოკოკინისა და მისგან დამზადებული კერძების შესახებ. კვლევაში სულ მონაწილეობდა სხვადასხვა ასაკის 206 რესპოდენტი. გამოკითხულთა უმეტესობას შეადგენდა 19 წლიდან დან 30 წლამდე ასაკის რესპოდენტები. გამოკითხულთა 63%-ის ხელფასი 1500 ლარამდეა, მათგან თითქმის 21%-ის ხელფასი 500 ლარს არ აღემატება, 37%-ის კი 1500 ლარს ზემოთაა.




სვეტოვანი დიაგრამა 1



თითქმის 76%-ს მოსწონს ქართულ სამზარეულოში შეტანილი სიახლეები. თუმცა გამოკითხულთა 24%-ს აქვს უარყოფითი დამოკიდებულება საკვებად ვარგისი ლოკოკინების მიმართ და მათ კერძებში გამოსაყენებლად. 59% თვლის რომ ლოკოკინის კერძის მომავლის საკვებად განხილვა არაა მიზანშეწონილი, მხოლოდ 17% ემხრობა ამ იდეას, დანარჩენს კი საკუთარი მოსაზრება არ გააჩნია.

დავინტერესდი რესპოდენტების ცნობიერების დონითაც და აღმოჩნდა რომ 59% თვლის რომ ლოკოკინის კერძების სამშობლო უცხოეთია, 13%-ს საქართველო ჰგონია, ხოლო დანარჩენს არ აქვს პასუხი ამ კითხვაზე. მათ უმრავლესობას ასევე სმენია საქართველოში არსებული საკვებად ვარგისი ლოკოკინების შესახებაც. გამოკითხულთა უმრავლესობა ასევე თვლის რომ ლოკოკინის ფერმერული მეურნეობის განვითარებას საქართველოში აქვს პერსპექტივა, ხელს შეუწყობს სოფლად ტურიზმის განვითარებას და ქვეყნის კულტურას წინ წამოსწევს გასტრონომიულ ტურში შეტანილი ლოკოკინის კერძიც.


სვეტოვანი დიაგრამა 2




საინტერესოა რომ გამოკითხულთა 91% არ ფლობს ლოკოკინის კერძების ფასების შესახებ ინფორმაციას, ხოლო 59%-ს არ აქვს ინფორმაცია რამდენად სთავაზობენ რესტორნები ლოკოკინის კერძებს. გამოკითხულთა 65.5% მზადაა გადაიხადოს

მასში 15 ლარამდე, რესპოდენტების 26.7 % კი გადაიხდის 25 ლარამდე, ხოლო მხოლოდ 7.8% გადაიხდის 40 ლარამდე. აღსანიშნავია რომ თბილისის რესტორნებში ლოკოკინის კერძების ფასები მერყეობს 11-70 ლარის ფარგლებში. რესპოდენტების 63%-ს არ გაუსინჯავს ლოკოკინის კერძი, 18%-ს გაუსინჯავს იგი და 61%-ის შემთხვევაში მისი დაგემოვნება პირველად მოხდა საქართველოს საზღვრებს გარეთ, გამოკითხულთა დაახლოებით 37%-ს ასევე თავად შეუძლია მისი მომზადებაც. სამწუხაროდ გამოკითხულთა მხოლოდ 29%-ს გაუსინჯავს მესხური ლოკოკინა თავად მესხეთში, რაც მეტყველებს ადგილობრივ დონეზე მის არახელმისაწვდომობაზე.


სვეტოვანი დიაგრამა 3



სვეტოვანი დიაგრამა 4



სვეტოვანი დიაგრამა 5



დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ საქართველოში ლოკოკინის გამოყენება გასტრონომიული კუთხით კვლავ ახალია მოსახლეობისთვის, ბევრი მათგანი მას ეჭვის თვალით უყურებს და ამას ემატება ვეგეტარიანელებისა და ვეგანების დამოკიდებულებაც. ასევე ლოკოკინის ხორცი ითვლება დელიკატესად და მისი წარმოება უფრო ძვირი ჯდება. ამას ემატება ისიც რომ მოსახლეობა ჯერ მზად არაა მასში გადაიხადოს დიდი თანხები. საჭიროა რესტორნებმა მენიუში გამოკვეთონ ლოკოკინის კერძები და გააგრძელონ ინფორმაცია, ვინაიდან მომხმარებლებმა არ იციან თუ სად შეუძლიათ ლოკოკინის კერძის დაგემოვნება. არაა დანერგილი ქართულ სასოფლო ტურიზმშიც ლოკოკინის კერძებიც. თუმცა ჯავახეთში ადგილობრივად არის რამდენიმე რესტორანი რომელიც სთავაზობს ლოკოკინის კერძებს, თუმცა ეს ყველაფერი ტურისტულ პაკეტში არაა შეტანილი.

რეკომენდაციის სახით შესაძებელია ითქვას რომ საჭიროა სხვადასხვა კამპანიები, ტურისტული ორგანიზაციების ჩართულობა სახელმწიფოსა და კერძო სექტორთან ერთად. ქვეყანა არ უნდა იყოს კონცენტრირებული მხოლოდ ლოკოკინის პროდუქციის ექსპორტზე, საჭიროა ადგილობრივ დონეზეც გაიზარდოს ცნობიერებისა და შეძენის დონე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ადონია ლ. (2021). ლოკოკინების ბიზნესი და მისი განვითარების პოტენციალი საქართველოში. <http://geoeconomics.ge/?p=13734> (გადამოწმებულია 27/05.2023)
2. იველაშვილი მ. ლოკოკინა – დელიკატესი, რომელიც მესხეთში საუკუნეებს ითვლის <https://tv9news.ge/ka/akhali-ambebi/soflis-meurneoba/article/11319-lokokinadelikatesiromelicmeskhethshisaukuneesithvlis> (გადამოწმებულია 27/05.2023)
3. ნოზაძე გ. სიღნაღში 5 ჰა-ზე ლოკოკინების ფერმა საართველოს ბანკის მხარდაჭერით გაშენდა. <https://www.businessinsider.ge/ka/sighnaghshi-5-ha-ze->

[lokokinebis-ferma-sakartvelos-bankis-mkhardacherit-gashenda?fbclid=IwAR0CpTJWbCnUvoPmx3bQd32bO6vIBnOZVgKqJG5Miea757-wDd7RvmiQcco](https://www.researchgate.net/publication/339750559_HELICULTURE_A_BRIEF_STUDY_OF_SNAIL_FARMING_REUIREMENTS) (გადამოწმებულია 28/05.2023)

4. Bajwa H, Khan M, Bajwa A, Zafar A, Iftikhar I, Adeel A, Shahid S, Asghar M, Younus G, Bajwa M. HELICULTURE :A Brief study of snail farming & requirements  
[https://www.researchgate.net/publication/339750559\\_HELICULTURE\\_A\\_BRIEF\\_STUDY\\_OF\\_SNAIL\\_FARMING\\_REUIREMENTS](https://www.researchgate.net/publication/339750559_HELICULTURE_A_BRIEF_STUDY_OF_SNAIL_FARMING_REUIREMENTS)
5. Pissia M, Matsakidou A, Kiosseoglou V, Raw materials from snails for food preparation . <https://www.researchgate.net/publication/350742916>
6. Snails produced in samegrelo, western part of Georgia, to be exported to spain  
<https://spnews.io/en/news-detail/snails-produced-in-samegrelo-western-part-of-georgia-to-be-exported-to-spain-17871> (გადამოწმებულია 28/05.2023)
7. Thompson R, Cheny S. Raising snails. January 1996. National Agriculture Library Special reference briefs.  
[https://www.researchgate.net/publication/230889534\\_Raising\\_snails](https://www.researchgate.net/publication/230889534_Raising_snails)

*Nino Gongadze*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Doctoral student of the program Economy , Georgia*

## HELICULTURE AND CONSUMER ATTITUDE STUDY IN GEORGIA

### Expended Summary

Heliculture, the practice of snail farming, has gained significant attention in recent years as a viable and sustainable agricultural activity. Snails are not only a delicacy in many cultures but also a rich source of protein and essential nutrients. In Georgia, the potential for heliculture as an emerging industry is evident, given the country's diverse natural resources and agricultural landscape.

While precise details about the history of snail farming in Georgia are not readily available, snails have been consumed as food in the region for centuries. In Georgia, the consumption of snails can be traced back to ancient times. Snails were considered a delicacy and were included in traditional cuisine. They were typically collected from the wild rather than being farmed systematically.

The commercial snail farming industry in Georgia is still in its early stages of development. As the industry evolves, efforts are being made to establish snail farms that breed and raise snails for commercial purposes. These farms typically focus on raising snail species that are suitable for consumption and are well-adapted to the local climate and environment.

Snail farming and consumer attitudes in Georgia are interconnected factors that play a significant role in the development and success of the heliculture industry. Understanding consumer attitudes towards snail products is crucial for the successful development and promotion of heliculture in Georgia. The study aims to investigate the factors influencing consumer attitudes towards snail products and assess the market demand for such products

in the country. By examining consumer preferences, awareness, willingness to purchase, perceived benefits, and potential barriers to adoption, valuable insights can be gained to inform the heliculture sector.

Consumer attitudes towards snail products in Georgia can be influenced by various factors, including cultural traditions, culinary preferences, health considerations, environmental awareness, and economic factors. While there is a long history of consuming snails in Georgian cuisine, the perception of snails as a mainstream food product may vary among different segments of the population.

This Research shows that the use of snails in Georgia is still new for the population in terms of gastronomy, many of them look at it with suspicion and the attitude of vegetarians and vegans is also added to this. Also, snail meat is considered a delicacy and its production is more expensive. In addition, the population is not yet ready to pay large sums for it. There is a need for restaurants to highlight snail dishes on their menus and spread the awareness, as consumers do not know where they can taste snail dishes. Snail dishes are not introduced in Georgian rural tourism either. However, there are several local restaurants in Javakheti that offer snail dishes, although all of these are not included in the tourist package.

As a recommendation, it can be said that various campaigns are needed, the involvement of tourism organizations together with the state and the private sector. The country should not only concentrate on exporting snail products, there is a need to increase the level of awareness and purchase at the local level as well.

**Key words:** *Edible snails, Snail producing, Shelfish, Heliculture, Economy.*

**ქეთევან ლუღუშაური**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი*

**საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობა და გაცემული  
რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა**

**ანოტაცია.** მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, საქართველომ მეორედ შეძლო დამოუკიდებლობის მოპოვება. 70-წლიანი ისტორიის მანძილზე ქვეყნის ეკონომიკა ფაქტიურად იმართებოდა მხოლოდ ცენტრალიზებულად და მის ფორმირებაში საქართველო ფორმალურად მონაწილეობდა. შესაბამისად, საქართველო მეოცე საუკუნის ბოლოს, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების მექანიზმებისა და ადეკვატური ინსტიტუტების გარეშე შეხვდა. საქართველოს მსოფლიო-ეკონომიკური განვითარების პროცესებში ჩართვა მოითხოვდა მყარ საფინანსო სისტემას, რომელშიც ღრმა ცვლილებების განხორციელება აუცილებელი იყო. სტატიაში შესწავლილია, ფინანსური კონტროლი სახელმწიფო დონეზე. გაანალიზებულია, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობა და გამოვლენილია ძირითადი ნაკლოვანებები, რომლებიც იკვეთება საბიუჯეტო დაწესებულებების ფინანსური კონტროლის კუთხით. ასევე, შემუშავებულია რეკომენდაციები აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური პოლიტიკა; საფინანსო სისტემა; საფინანსო კონტროლი; აუდიტი; მაკონტროლებელი ორგანო.

### შესავალი

სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ძირითადი ასპექტები და მასთან დაკავშირებული საკითხები, საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კონსტიტუციითა და საბიუჯეტო კოდექსით არის განსაზღვრული.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლი ხორციელდება, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ორგანოს მიერ, რადგან ისინი აკონტროლებენ მათსავე დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურების ფინანსურ საქმიანობას.

აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემაში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რომელიც ქვეყნის ფინანსურ პოლიტიკას შეიმუშავებს და ასევე, აკონტროლებს მის შესრულებას. ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები აკონტროლებენ ფინანსურ ურთიერთობებს. ფინანსთა სამინისტროს კონტროლს ექვემდებარება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების შემუშავება და შესრულება, ასევე, ფინანსთა სამინისტრო მონაწილეობას იღებს სავალუტო კონტროლის განხორციელებაში, აკონტროლებს სახელმწიფო ინვესტიციების გამოყენების ეფექტურობას და ა.შ.

საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლის საფუძველზე, 2012 წლის 1-ლი ივლისიდან, საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა, გამოყენებასა და ხარჯვას, ზედამხედველობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. იგი უფლებამოსილია აგრეთვე, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები, შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა. სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამონაცვლეა.

უწყებრივი ფინანსური კონტროლი ხორციელდება სამინისტროების, უწყებების, სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოების მიერ მათ დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების ფინანსური-სამეურნეო საქმიანობის შემოწმებით. უწყებრივი ფინანსური კონტროლის მეშვეობით ხდება მატერიალური და ფინანსური სახსრების დაცვა, მფლანგველობისა და მიწერების ფაქტების დაფიქსირება, ფინანსური აღრიცხვის მდგომარეობის შემოწმება.

### **საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობა**

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ეს არის ქვეყნის დონეზე სახელმწიფო ფინანსური კონტროლის განმახორციელებელი უმაღლესი ორგანო. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობაში ჩარევა და მისი საქმიანობის კონტროლი დაუშვებელია, მისი საქმიანობა არის დამოუკიდებელი და მხოლოდ კანონს ემორჩილება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის მთავარი მიზანია, სახელმწიფო სახსრების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების დაცვისა და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი არის გენერალური აუდიტორი. გენერალურ აუდიტორს 5 წლით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. გენერალური აუდიტორის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა სახის პირობებით, არავის აქვს უფლება მის გადაწყვეტილებაზე მოახდინოს ზეგავლენა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება ვრცელდება აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების, საკანონმდებლო ორგანოებზე, სსიპებსა და თვითმმართველობის ერთეულებზე, ცენტრალურ ბანკზე, სახელმწიფოს მიერ, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის და ავტონომიური რესპუბლიკის მიერ 50% და მეტი წილით დაფუძნებულ კომპანიებზე, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დაფინანსება, ხორციელდება ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსურ აუდიტს, წელიწადში ერთხელ ატარებს, საქართველოს პარლამენტის მიერ დანიშნული დროებითი კომისია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, 2021 წელს 49 აუდიტორული შემოწმება ჩატარა, რაც 2020 წელს ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებებზე 11-ით ნაკლებია. 2021 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულმა შემოწმებებმა ჯამურად 16,5 მლრდ ლარზე მეტი დაფარა. შედეგად, 2020 წელთან შედარებით 1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი და 90% შეადგინა. მნიშვნელოვანი პრობლემაა ის საკითხი, თუ რატომ არ მოხდა ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის დარჩენილი 10%-ის შემოწმება. 2021 წელს სულ ჩატარდა 11 ფინანსური, 22 შესაბამისობისა და 16 ეფექტიანობის აუდიტი. ჩატარებული 22 შესაბამისობის აუდიტიდან, სამი უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი იყო, რაც საკმაოდ კარგი წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან 2020 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მხოლოდ ერთი უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი ჩატარა. უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, 2018 წლიდან დაინერგა. ჩვეულებრივი შესაბამისობის აუდიტისგან განსხვავებით, უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტის

ფარგლებში, თემატურად ივარება ათეულობით საბიუჯეტო ორგანიზაცია, რომელიც კონცენტრირებულია ერთ უწყებაზე. უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტის განხორციელება ამცირებს ჩატარებული აუდიტების რაოდენობას და ამასთან, მნიშვნელოვნად ზრდის აუდიტის შედეგად მიღებულ სარგებელსა და დაფარული ორგანიზაციების რიცხვს, როგორც ცენტრალურ, ასევე მუნიციპალურ დონეზე.

მთავარი მაკონტროლებელი ორგანოს მიერ სამინისტროების შემოწმება ძირითადად მხოლოდ ფინანსური აუდიტის ჩატარებით შემოიფარგლება, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის, რადგან ყურადღების მიღმა რჩება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები რასაც ეფექტიანობის და შესაბამისობის აუდიტი მოიცავს.

საჯარო სექტორში ფინანსურ აღრიცხვაში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები რომ აღინიშნება, ამ ფაქტზე მიუთითებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, ფინანსური აუდიტების განხორციელების შემდეგ გაცემული მოსაზრებები. 2020 წელს სამსახურის მიერ ჩატარებული 11 ფინანსური აუდიტიდან პირობითი მოსაზრება გაიცა 6 შემთხვევაში, ხოლო მოსაზრებების 45% - 5 მოსაზრება კი უარყოფითი იყო (იხ. დიაგრამა N 1).

**დიაგრამა N 1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული 11 ფინანსური აუდიტის განაწილება გაცემული მოსაზრების ტიპების მიხედვით (2020 წ.)**




**წყარო:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში

ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების კუთხით, 2018-2021 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული 63 ფინანსური აუდიტიდან, 62 შემთხვევაში დაიწერა პირობითი ან უარყოფითი მოსაზრება. მხოლოდ 1 აუდიტის ფარგლებში არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი უზუსტობები და გამოითქვა უპირობო მოსაზრება (იხ. დიაგრამა N 2). პირობითი და უარყოფითი მოსაზრებების საკმაოდ დიდი რაოდენობა მკაფიოდ მეტყველებს საბიუჯეტო დაწესებულებებში არსებულ ნაკლოვანებებსა და დარღვევებზე. აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადადგას, გაცემული რეკომენდაციების შესრულების მკაცრი მონიტორინგის გზით, რათა მომავალში იგივე ხარვეზები აღარ წარმოჩინდეს.




**დიაგრამა N 2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ფინანსური აუდიტის ფარგლებში გაცემული მოსაზრების ტიპების სტატისტიკა (2018 - 2021 წწ.)**



**წყარო:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში

საქართველოს მთავარი მაკონტროლებელი ორგანოს, ძირითადი ფუნქცია საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესება და მოქალაქეებისთვის ღირებულების შექმნაა. აღნიშნული ფუნქციის შესრულების გასაზომად ძირითადი ინდიკატორი - სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულებით მოტანილი სარგებელია. სამსახური ორიენტირებულია შიდა პროცესების გაუმჯობესებით ხარისხიანი და ქმედითი რეკომენდაციების მომზადებაზე და ასევე, პარლამენტთან და საბიუჯეტო ორგანიზაციებთან ეფექტიანი კომუნიკაციითა და თანამშრომლობით, რეკომენდაციების დროულ შესრულებაზე. მნიშვნელოვანია, რომ მას შემდეგ რაც გაიცემა რეკომენდაციები, აუდიტის ობიექტების მიერ განხორციელდეს რეკომენდაციების შესრულება.


**დიაგრამა N 3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა (2018 - 2021 წწ.)**



**წყარო:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში

დიაგრამიდან კარგად ჩანს, რომ 2018-2021 წლებში გაცემული რეკომენდაციების 17% ნაწილობრივ შესრულდა, ხოლო 9% არ შესრულებულა. მნიშვნელოვანია ამ კუთხით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესება, რადგან გაცემული დასკვნა მხოლოდ ფურცელზე არ უნდა დარჩეს და რეალური შედეგი უნდა გამოიღოს. აუდიტორული შემოწმება ემსახურება გამოვლენილი ნაკლოვანებების დროთა განმავლობაში გამოსწორებას, რაც საბოლოო ჯამში დაწესებულებების სრულყოფილად და ეფექტიანად მუშაობის წინაპირობაა. თუმცა, დადებითი ფაქტია ის, რომ 2021 წელს საგრძნობლად იმატა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების რაოდენობამაც და შესრულებამაც, რაც მოცემული უწყების ინსტიტუციურ გაძლიერებასა და მნიშვნელობაზე მიუთითებს. ბოლო 4 წლის განმავლობაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაიცა 2,800-ზე მეტი რეკომენდაცია, საიდანაც 32% 2021 წლის აუდიტებზე მოდის.


**დიაგრამა N 4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა (2021 წ.)**



**წყარო:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი ეფექტიანობის აუდიტის ჩატარების შემდეგ გაიცემა. 2018-2021 წლებში ჩატარებული აუდიტორული შემოწმებებიდან ეფექტიანობის აუდიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების მხოლოდ 24%-ია სრულად შესრულებული. შესაბამისობის აუდიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების რაოდენობა 44%-ს, ხოლო ფინანსური აუდიტების ფარგლებში კი - 51%-ს შეადგენს.


**დიაგრამა N 5. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება აუდიტის სახეობების მიხედვით (2018 - 2021 წწ.)**



**წყარო:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში

მნიშვნელოვანია განვიხილოთ, თუ როგორ იხარჯება სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის გამოყოფილი სახსრები. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელს გაწეულმა გადასახდელებმა 15,5 მლნ ლარი შეადგინა. სამსახურის მთლიანი ბიუჯეტის 80%, თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე მოდის. ასევე, სამსახურის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და განვითარების მიზნით, 2021 წელს 411 ათასი ლარი დაიხარჯა.

**დიაგრამა N 6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის ბიუჯეტის სტრუქტურა**



**წყარო:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში

მთავარი მაკონტროლებელი ორგანოს მიერ, ეფექტიანობის და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმებები ხორციელდება სამინისტროების და თვითმმართველი ერთეულების დაქვემდებარებაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და არასამეწარმეო იურიდიულ პირებთან მიმართებაში. მართალია, სამინისტროების შიდა აუდიტის დეპარტამენტები ახორციელებენ აღნიშნულ აუდიტორულ შემოწმებებს, მაგრამ მათი გადამოწმება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან აუცილებლად უნდა ხორციელდებოდეს. მრავალი ფაქტორის გამო, შიდა აუდიტორის მიერ დაწერილი დასკვნა, ვერ იქნება ისეთი ობიექტური, როგორც გარე მაკონტროლებელი შემოწმებლის მიერ შედგენილი ანგარიში, თუნდაც იმიტომ რომ შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი თანამდებობრივად იმ მინისტრის დაქვემდებარებაშია, რომელ სამინისტროშიც ატარებს აუდიტორულ შემოწმებას. ვფიქრობთ, რომ სამინისტროებში მხოლოდ ფინანსური აუდიტის ჩატარება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკას, რადგან ყურადღების და შემოწმების მიღმა რჩება ისეთი მნიშვნელოვანი რისკები და საფრთხეები, რასაც ეფექტიანობის და შესაბამისობის აუდიტი მოიცავს.

### დასკვნა

საფინანსო კონტროლი გულისხმობს, სახელმწიფოს ყველა დონის ორგანოების, ასევე, სპეციალური ერთეულების მხრიდან ეკონომიკური სუბიექტების ფინანსურ აქტივობებზე, სხვადასხვა მეთოდების საშუალებით განხორციელებულ კონტროლს. ფინანსური კონტროლი ღირებულების მოძრაობის კონტროლია. ამიტომ სხვა კონტროლისგან განსხვავებით, იგი მოიცავს საზოგადოების ყველა დარგს, ფულადი ფონდების ბრუნვის სრულ პროცესს.

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ეს არის ქვეყნის დონეზე სახელმწიფო ფინანსური კონტროლის განმახორციელებელი უმაღლესი ორგანო. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის მთავარი მიზანი, სახელმწიფო სახსრების გამოყენებისა და ხარჯვის კანონიერების დაცვისა და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებაში მდგომარეობს.

საქართველოს საფინანსო კონტროლის სისტემაში, არსებული პრობლემების დასაძლევად მნიშვნელოვანია, მომავალში გაგრძელდეს კვლევები საერთო სახელმწიფოებრივი ფინანსური კონტროლის კუთხით. აუცილებელია, ჩატარდეს კვლევები საქართველოს საფინანსო მაკონტროლებელი ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტურობის შესახებ, ფაქტიურად მიღებული შედეგების შეფასებითა და წინა პერიოდების მონაცემებთან შედარებით, რათა გამოკვეთილ იქნეს დინამიკა, რამდენად ხდება ამ სფეროში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და მსოფლიო პრაქტიკაში არსებული სიახლეების დანერგვა, რაც საერთო ჯამში ქვეყნის საფინანსო სფეროს გაჯანსაღებას შეუწყობს ხელს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ოქრუაშვილი ც (2009). კომერციული ბანკის მენეჯმენტი, აუდიტი, მარკეტინგი. მონოგრაფია, ინოვაცია, თბ., 2009;
2. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ. (2016). ფინანსები. სახელმძღვანელო, დანი, თბ., 2016;
3. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2010 წელი;

4. საქართველოს კანონი საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ, თბ., 2004 წლის 11 თებერვალი;
5. საქართველოს კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ, თბ., 2008 წლის 26 დეკემბერი;
6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, თბ., 2021 წელი;
7. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, თბ., 2022 წელი;
8. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის ბრძანება N 008350/21, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ, 2020 წლის 31 დეკემბერი.

***Ketevan Gudushauri***

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Doctoral student*

**ACTIVITIES OF THE STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA AND THE STATUS OF THE  
IMPLEMENTATION OF THE RECOMMENDATIONS  
Expanded Summary**

In the 90s of the 20th century, Georgia was able to gain independence for the second time. Throughout its 70-year history, the country's economy was actually managed only centrally, and Georgia formally participated in its formation. Accordingly, at the end of the 20th century, Georgia faced without mechanisms and adequate institutions for the formation of economic policy, which is necessary for the independent state. Integration of the country in the world system, the formation of the functions of the state, are directly related to the proper activity of the higher authorities, implementing state financial and economic control.

In the article, is studied financial control at the state level, is analyzed the activity of the State Audit Office of Georgia and The main disadvantages that are intersect in terms of financial control of budgetary institutions, have been identified and recommendations are given for solving negative aspects.

The main aspects of state financial control and its related issues, on the territory of Georgia, are defined by the Constitution of Georgia and by the Budget Code.

In the article is discussed about the State Audit Office of Georgia - the highest institution implementing state financial control in the country. The main goal of the activity of the State Audit Office, is to protect the legality of the use of state funds and to improve the management of public finances.

In 2021, three interagency compliance audits were carried out by the State Audit Office of Georgia. The interagency compliance audit was formed in the State Audit Office in 2018. In contrast to ordinary compliance audit, an interagency compliance audit includes checking more than ten budgetary organizations, which is concentrated on one agency. The formation of interagency compliance audit, is an important innovation in the budget control system of Georgia, as the benefits received, as a result of the audit and the

number of audited organizations, are increasing, and also, the number of conducted audits is decreasing.

From the study of the activities of the State Audit Office of Georgia, for the years of 2018-2021, it can be said, that the inspection of the ministries by the main controlling institution, is limited only to conducting a financial audit. Effectiveness and compliance audits by the State Audit Office, are carried out only in legal entities, in the jurisdiction of ministries and self-governing units. Despite the fact, that the internal audit departments, of the ministries carry out the above mentioned audit inspections, their recheck must be carried out by the State Audit Office.

The number of negative opinions, issued by the State Audit Office after the implementation of financial audits, shows the significant problems in financial accounting in the public sector. In 2020, 45% of the opinions from the financial audits, conducted by the Office, were negative. Out of 63 financial audits, conducted by the State Audit Office in 2018-2021, no significant inaccuracies were revealed in only 1 audit and an unconditional opinion was expressed. The Office, should significantly strengthen the control over the fulfillment of the given recommendations, in order to, eliminate the shortcomings in the financial accounting of budgetary institutions.

An important problem is the fact, that a significant part of the recommendations given by the State Audit Office remains unfulfilled. In 2018-2021, 17% of the recommendations given by the State Audit Office, were partially fulfilled and 9% were not fulfilled. The State Audit Office, should improve its activities in this respect, so that, the issued recommendations not remain only on paper and to have real results.

The positive fact is that in 2021, the number and fulfillment of recommendations, given by the State Audit Office, increased significantly. The mentioned fact shows, the institutional strengthening and importance of the Office.

In order to, overcome the existing problems in the financial control system of Georgia, it is important, to continue research in future, in terms of general state financial control. It is necessary, to carry out studies about the effectiveness of the activities of the financial control organizations of Georgia, by evaluating the actual results and comparing them with, the data of previous periods, in order to, highlight the dynamics, how the existing defects are being eliminated in this field and the innovations in world practice are being introduced, which in total, will contribute to the recovery of the country's financial sphere.

**Keywords:** *Economic policy; Financial system; Financial control; Audit; Controlling authority.*

**გიორგი ჯოჭუა**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების  
ფაკულტეტის დოქტორანტი

### **საქართველოს ლანდშაფტური მრავალფეროვნება და მდგრადი ტურიზმის პერსპექტივები**

**ანოტაცია.** ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური პრობლემების გადაჭრაში, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის, დასაქმების გაზრდასა და ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში. მისი მულტიპლიკატორული ეფექტის გამო, ტურიზმი ხდება ეკონომიკის სულ უფრო მნიშვნელოვანი სექტორი, რომელიც გავლენას ახდენს მის სხვა სექტორებზე, მათ შორის მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაზე, საკვების გადამამუშავებაზე, ვაჭრობაზე, კომუნიკაციებზე, რითაც მოქმედებს როგორც კატალიზატორი მრავალი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის.

ტურიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპს აქვს ფუნდამენტური განსხვავება წინა წლებისგან განსხვავებით, რაც დაკავშირებულია გლობალურ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებთან და პროცესებთან, მათ შორის პანდემიასთან და გლობალურ დიგიტალიზაციასთან.

ე.წ. ახალი რეალობის პირობებში იცვლება ისეთი ცნებების კლასიკური ინტერპრეტაცია, როგორიცაა მდგრადი განვითარება, ტურიზმის ხარისხი და სასტუმროს მომსახურება. ახლა ხარისხი აუცილებლად უნდა შეფასდეს მათი უსაფრთხოების გათვალისწინებით და ეს ხდება ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი ტურისტული და სასტუმრო სერვისების არჩევისას.

\*\*\*\*

მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული ტურიზმი პერსპექტიული მიმართულებაა საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. მიღებული ტურიზმის განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავს ტურისტების კმაყოფილების ხარისხის მაქსიმუმაციას და ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას, ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და სიღარიბის აღმოფხვრის შესაძლებლობების გაფართოებას.

საქართველოს ბუნებას ტურიზმის მდგრადი განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. ტურისტული ინდუსტრიის განვითარება შეიძლება ჩაითვალოს 2030 წლამდე მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად. პეიზაჟების უნიკალური მრავალფეროვნება მთებიდან შავი ზღვის სანაპირომდე, ფლორისა და ფაუნის ბიომრავალფეროვნება, ხელსაყრელი კლიმატური პირობები, მინერალური და სამკურნალო წყლები, უძველესი დროიდან ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა, მირძველი ხალხის ფოლკლორი და ტრადიციები, მრავალფეროვანი ეროვნული კერძები. მეღვინეობა და ეკონომიკის სხვა დარგები - ეს ყველაფერი დიდ პოტენციალს ქმნის ტურიზმის სხვადასხვა სახეობის განვითარებისთვის.

ველური ბუნების მსოფლიო ფონდმა - World Wide Fund for Nature; WWF აღიარა, რომ ევროპის არცერთ ქვეყანას არ აქვს ისეთი მდიდარი ფლორა და ფაუნა და ისეთი მრავალფეროვანი ლანდშაფტი, როგორც საქართველოს.(1) ლანდშაფტის

მრავალფეროვნებითა და გეოლოგიურად არათანაბარი ზედაპირით გამორჩეულ მსოფლიოს ქვეყნებს შორის საქართველო მეთორმეტე ადგილს იკავებს. საქართველოს ბუნება მრავალმხრივია და სადაც უბრალოდ უნიკალური, რაც წარმოადგენს ეკოტურიზმის განვითარების დიდ პოტენციალს. ეროვნული პარკები და დაცული ტერიტორიები შეადგენენ ქვეყნის 7%-ს, დაცული ტერიტორიების 75% ტყეებია. საქართველოს აქვს 14 ეროვნული ნაკრძალი, 9 ეროვნული პარკი, 17 დაცული ტერიტორია, 14 ეროვნული ძეგლი და 2 დაცული ლანდშაფტი, სადაც უკვე შექმნილია ან იქმნება ეკოტურიზმის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ბევრი ტურისტისთვის საქართველო მიმზიდველია თავისი ბიომრავალფეროვნებით. საქართველოში, სხვა ევროპის ქვეყნებთან შედარებით ქვეყნს, უფრო მეტია ცხოველთა და მცენარის სახეობები, რაც განპირობებულია ტყეების დიდი ფართობითა და მაღალ ალპური ზონით. ფლორისა და ფაუნის, ანუ შედარებით მცირე ფართობზე გავრცელებული მცენარეებისა და ცხოველების ენდემიები ძალიან მრავალრიცხოვანია. მხოლოდ ფლორას აქვს დაახლოებით 500 სახეობის ენდემური მცენარე. კლდოვან მთებზე შემორჩენილია მსოფლიოში გადაშენების პირას მყოფი ელდარის ფიჭვის ერთადერთი პატარა კორომი. ენდემური ფაუნიდან შეიძლება აღინიშნოს "თამაშის მეფე" - ქართული და კოლხური ხოხობი, პრომეთეს თავი, რომელიც გვხვდება მხოლოდ აფხაზეთში, სვანეთში და აჭარის მთიან მხარეში, ასევე კავკასიური ტურა, რომელიც ცნობილია თავისი უნიკალური გრეხილი რქებით. 2015 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგია - 2025 (2), რომელიც შეიმუშავა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად მსოფლიო ბანკის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით. სტრატეგიის მომზადებაში ხელისუფლების, ტურისტული ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. კერძოდ, გაიმართა კონსულტაციები და სიღრმისეული დისკუსიები ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების, სპეციალურად დაცული ტერიტორიებისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ადმინისტრაციების, ინვესტორების, ტუროპერატორების, სასტუმროს მფლობელებისა და საგანმანათლებლო ტურიზმის წარმომადგენლების მონაწილეობით.

საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2025 ადგენს დარგის განვითარების ხედვას 2015-2025 წლებისთვის. მთავრობის მოქმედების სტრატეგიულ გეგმასთან ერთად ტურიზმის ღირებულებისა და მნიშვნელობის გაზრდის მიზნით ქვეყნის ეკონომიკის და, საბოლოო ჯამში, მისი მოქალაქეების საკეთილდღეოდ. მრეწველობის განვითარების გეგმა შემუშავდა მთავრობასა და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის გზით, რათა მაქსიმალურად გაზარდოს ტურისტების კმაყოფილება, დივერსიფიკაცია გაუწიოს ბაზარს და პროდუქტების შეთავაზებას, მიაღწიოს ტურისტული ინდუსტრიის ზომისა და მომგებიანობის მდგრად ზრდას და გააუმჯობესოს სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობები.

სტრატეგია მიზნად ისახავს რვა სტრატეგიული მიზნის მიღწევას:

- პატივისცემის დამოკიდებულების განვითარება, საქართველოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის აღდგენა და შენარჩუნება;
- ტურისტებისთვის უნიკალური ავთენტური გამოცდილების ჩამოყალიბება ამ ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების გაცნობის საფუძველზე;



- დარგის კონკურენტუნარიანობის გაზრდა ტურისტებისთვის მსოფლიო დონის სერვისების მიწოდებით;
- ტურისტების მოზიდვა მაღალი ხარჯების ბაზრებიდან ტურისტული სერვისების მარკეტინგის გაფართოებითა და გაუმჯობესებით;
- ქვეყანაში ტურისტული საქმიანობის შესახებ მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისა და ტურისტული ინდუსტრიის ეფექტურობის შეფასების შესაძლებლობების გაფართოება და განვითარება;
- ტურიზმის სექტორში სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების გაზრდა;
- ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება უცხოური და შიდა ინვესტიციების გაზრდის მიზნით;
- ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზნის მისაღწევად აუცილებელია მთავრობას, ტურისტულ ინდუსტრიას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საზოგადოებას შორის პარტნიორობის ჩამოყალიბება.

მოსალოდნელია, რომ სტრატეგია გაზრდის ტურისტული ინდუსტრიის წვლილს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში. სტრატეგია ითვალისწინებს, რომ 2025 წლისთვის ქვეყანამ მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი: 1,8 მილიარდი ლარიდან (დაახლოებით 670 მილიონი აშშ დოლარი) 5,5 მილიარდ ლარამდე (2 მილიარდი აშშ დოლარი).

საქართველოს მთავრობა ეტაპობრივად ამახვილებს ყურადღებას ტურისტული ბაზრების დივერსიფიკაციაზე, ქვეყნის შესახებ ცნობადობის ამაღლებაზე, კერძო სექტორის დახმარებაზე მაღალი ხარისხის ტურისტული პროდუქტის შექმნაში, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და შიდა ტურისტული ბაზრის შემდგომი განვითარების სტიმულირებაზე. ამავდროულად, ინფრასტრუქტურის განვითარება და ახალი ინვესტიციების მოზიდვა იქნება ტურიზმის ინდუსტრიის ზრდისა და პროგრესის მამოძრავებელი ძალა.

სტუმართმოყვარე საქართველო გვთავაზობს დასვენების მრავალფეროვან სახეობას, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს როგორც აქტიური, ისე ექსტრემალური ტურიზმის მოთხოვნილება, ასევე ზღვის სანაპიროზე უფრო მშვიდი დასვენება სამედიცინო პროცედურებით, ადგილობრივ კულტურულ ღირსშესანიშნაობებსა და ღვინის ქარხნების ვიზიტებით. საქართველოს ეროვნული სამხარეულო და ღვინოები ქვეყანაში იზიდავს გურმანებს მთელი მსოფლიოდან. ის ტურისტებს სთავაზობს როგორც მიზანმიმართულ, ასევე კომბინირებულ ტურებს, რაც დამსვენებლებს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი შთაბეჭდილებები საქართველოში სტუმრობისას.

ტურისტული სერვისების შემდეგი ტიპები შემოთავაზებულია როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ტურისტულ ბაზრებზე:

ბიზნეს ტურები, მათ შორის კონფერენციებისთვის (მისი მდებარეობისა და მსხვილი სასტუმროს ბრენდების ფართო ქსელის გამო, როგორცაა Radisson, Intercontinental, Holiday Inn, Georgia, გთავაზობთ საქმიანი მოგზაურობის მომსახურებას);

კულტურული და რელიგიური ტურები (კულტურული ტურები საშუალებას აძლევს ტურისტებს ნახონ ისტორიული და კულტურული ძეგლები, რომლებითაც საქართველო ძალიან მდიდარია; საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას აქვს მდიდარი ისტორია: უძველესი ტაძრები და სამონასტრო კომპლექსები მდებარეობს ქვეყნის ყველა რეგიონში);

სათხილამურო ტურები (ზამთრის სათხილამურო კურორტები - გუდაური, ბაკურიანი, მესტია - გთავაზობთ მომსახურების სრულ პაკეტს);

ეკო ტურები (ქვეყანაში არის მრავალი დაცული ტერიტორია უნიკალური ფლორისა და ფაუნით);

სამთო ტურები (მთები შეადგენენ ქვეყნის ტერიტორიის 85%-ს, ჩრდილოეთით მას ესაზღვრება კავკასიონის ქედი შხარას და ყაზბეგის მწვერვალებით, რაც დიდ ინტერესს იწვევს მთამსვლელებისთვის, როგორც პროფესიონალებისთვის, ასევე მოყვარულებისთვის);

სოფლისა და აგროტურიზმი (სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, საქართველოს აქვს უზარმაზარი პოტენციალი ამ ტიპის ტურიზმის, განსაკუთრებით ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის);

სამედიცინო ტურიზმი (საქართველოში არის უნიკალური კურორტები სამკურნალო კლიმატით, წყლით, ტალახით და ა.შ.);

სათავგადასავლო ტურები და ტურები მდინარის კანიონებში;

საკურორტო ტურები (ამ ტიპის დასვენება კონცენტრირებულია შავი ზღვის სანაპიროს კურორტებზე).

საქართველო ტურისტებს სთავაზობს 103 კურორტს და 182 საკურორტო ადგილს, ასევე 2400 სახეობის მინერალურ და თერმულ წყალს. კურორტები ავითარებენ და აუმჯობესებენ შესაბამის ინფრასტრუქტურას, აფართოებენ სამედიცინო ტურიზმის შესაძლებლობებს.

ბოლო წლებში სახელმწიფომ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა სიღნაღში, ყვარელში, ბათუმში, ანაკლიაში, ქობულეთში, მცხეთაში, გუდაურში და სხვა ქალაქებში. ამ პროექტებმა ტურისტების მოზიდვასაც შეუწყო ხელი. მაგალითად, ბათუმი შავი ზღვის სანაპიროს მარგალიტად იქცა, მთელი აჭარა კი მიმზიდველ საკურორტო რეგიონად. საქართველოში ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურები მაღალმთიან ადგილებში, როგორცაა სვანეთის უშგულის თემი. ამ ადგილს ხშირად ევროპის „სახურავს“ უწოდებენ, რადგან ის ზღვის დონიდან 2200 მ სიმაღლეზე მდებარეობს და ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ მუდმივ დასახლებად ითვლება. აქტიური დასვენების მოყვარულთათვის საქართველო ავითარებს სამთო ტურებს ყაზბეგში, ხევსურეთში და სხვა მაღალმთიან რეგიონებში. ასევე, ყოველდღიურად იხვეწება ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურა, როგორც მდგრადი ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული სახეობა კავკასიის დაცულ ტერიტორიებზე.

იუნესკომ და საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მდგრადი ტურიზმისა და მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებების მხარდასაჭერად კოლხეთის ტყეებისა და ჭაობების (საქართველო) მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებში (4).

UNESCO-სა და DFPA-ს შორის 150 000 აშშ დოლარის ღირებულების პარტნიორობა ხელს შეუწყობს საქართველოს მდგრადი ტურიზმის აღდგენას ვიზიტორთა მენეჯმენტის გაძლიერებით და ქონების გამორჩეული უნივერსალური ღირებულების შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით.

როგორც პარტნიორობის ნაწილი, განხორციელდება მნიშვნელოვანი შესაძლებლობების ამაღლების აქტივობები, რომლებიც ფოკუსირებული იქნება მემკვიდრეობის მენეჯმენტის პერსონალის, ვიზიტორთა მომსახურების გუნდებისა და

ადგილობრივი რეინჯერების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. „ნადი ფული სამუშაოსთვის“ ინიციატივა შექმნის მოკლევადიან სამუშაო შესაძლებლობებს უმუშევარი ახალგაზრდებისთვის, რომლებიც გაივლიან ტრენინგს მემკვიდრეობის დაცვის მხარდასაჭერად და საკუთრებაში არსებული სარემონტო და კონსერვაციის სამუშაოების შესასრულებლად.

კოლხური ტყეები და ჭაობები განლაგებულია 80 კმ სიგრძის დერეფანში შავი ზღვის თბილი ზომიერი და უკიდურესად ნოტიო აღმოსავლეთ სანაპიროზე. იგი მოიცავს საქართველოს ოთხ დაცულ ტერიტორიას: კოლხეთისა და მტირალას ეროვნულ პარკებს და კინტრიშისა და ქობულეთის დაცულ ტერიტორიებს. უბანი მდიდარია ბიომრავალფეროვნებით, დაახლოებით 1 100 სახეობის სისხლძარღვოვანი და არასისხლძარღვოვანი მცენარეებით, მათ შორის 44 საფრთხის ქვეშ მყოფი სისხლძარღვთა გველის სახეობები და თითქმის 500 სახეობის ხერხემლიანები და დიდი რაოდენობით უხერხემლო სახეობები. ადგილზე ასევე არის 19 საფრთხის ქვეშ მყოფი ცხოველის სახეობა, მათ შორის ზუთხი, განსაკუთრებით გადაშენების პირას მყოფი კოლხური ზუთხი.

მდგრადი ტურიზმი არის კეთილსინდისიერი მოგზაურობა. ეს ნიშნავს, იყოფრთხილად იმ გარემოსთან, რომელსაც იკვლევთ და პატივი სცემთ იმ თემებს, რომლებსაც სტუმრობთ. მდგრადი მოგზაურობის ორი გადაფარვის კომპონენტია ეკოტურიზმი და ეთიკური ტურიზმი. საერთაშორისო ეკოტურიზმის საზოგადოება (TIES) განსაზღვრავს ეკოტურიზმს, როგორც პასუხისმგებლიან მოგზაურობას ბუნებრივ ადგილებში, რომელიც იცავს გარემოს და აუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას.

ეკოტურიზმი განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი კოლხეთის ტყეებისა და ჭაობების შემოსავლების გასაძლიერებლად, გრძელვადიანი კონსერვაციისა და ფინანსური მდგრადობის მისაღწევად. მდგრადი ტურიზმის მენეჯმენტის ტრენინგის, ინტერპრეტაციის გაუმჯობესებისა და ახალი ეკოტურიზმის პროდუქტების შემუშავების გზით - პარტნიორობა ხელს შეუწყობს მსოფლიო მემკვიდრეობის საკუთრების მთლიანი მენეჯმენტის გაძლიერებას.

პარტნიორობა ხორციელდება 2 მილიონი ევროს ღირებულების COVID-19 ტურიზმის აღდგენის პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს მიერ, Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH-თან თანამშრომლობით. პროექტი ამჟამად ხორციელდება მსოფლიო მემკვიდრეობის ცხრა საკუთრებაში სხვა ექვს ქვეყანაში: ბოსნია და ჰერცეგოვინა, კამბოჯა, ინდონეზია, კენია, ნამიბია და ვიეტნამი.

ტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგიის მიხედვით, საქართველო მიზნად ისახავს 2025 წლისთვის გახდეს წამყვანი ტურისტული ქვეყანა, რომელსაც შეუძლია წლის ნებისმიერ დროს უზრუნველყოს მსოფლიო დონის მომსახურება.

ჩვენ მიმოვიხილეთ მდგრადი ტურიზმის პერსპექტივები საქართველოში, რომელიც გამოირჩევა მრავალფეროვანი ლანდშაფტებით, მდიდარი ბიომრავალფეროვნებით - ფლორისა და ფაუნის თვალსაზრისით. იგი ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ შეუძლია ამ ბუნებრივ აქტივებს დადებითად შეუწყოს ხელი ქვეყნის მდგრად განვითარებას და საზოგადოების კეთილდღეობას. მდგრადი ტურისტული პრაქტიკის პოპულარიზაციის გზით, საქართველოს შეუძლია გამოიყენოს თავისი ბუნებრივი სილამაზე, როგორც ეკონომიკური სარგებლის მოსაპოვებლად, ასევე

გარემოს და კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად. ეს მიდგომა არა მხოლოდ მხარს უჭერს ქვეყნის განსაცვიფრებელი ლანდშაფტების შენარჩუნებას, არამედ აუმჯობესებს ადგილობრივი თემების ცხოვრების ხარისხს, ხელს უწყობს კულტურულ გაცვლას და გარემოს დაცვას კარგად მართული და დაბალანსებული მიდგომის მეშვეობით საქართველოს აქვს შესაძლებლობა შექმნას ჰარმონიული ურთიერთობა მის ბუნებრივ რესურსებს, ტურისტულ ინდუსტრიასა და მისი ხალხის კეთილდღეობას შორის მომავალი წლების განმავლობაში.

**Giorgi Tchotchua**

*PhD student*

*The Faculty of Business and Social Sciences*

*Sokhumi State University.*

## **LANDSCAPE DIVERSITY OF GEORGIA AND PERSPECTIVES OF SUSTAINABLE TOURISM**

### **Expanded Summary**

The essay examines sustainable tourism prospects in Georgia, a country with different landscapes ranging from mountains to the sea, as well as a high variety in terms of flora and fauna. It emphasizes how these natural treasures can positively contribute to the country's long-term destiny and society. Georgia can exploit its natural beauty to achieve economic benefits while protecting its environment and cultural heritage by supporting responsible tourism practices. This method not only helps to preserve the country's beautiful landscapes, but it also improves the quality of life in local communities, promotes cultural interchange, and promotes environmental conservation. Georgia has the opportunity to develop a harmonious relationship between its natural resources, tourism sector, and the well-being of its people for years to come through a well-managed and balanced approach to tourism.

The collaboration between UNESCO and the Protected Areas Development Fund of Georgia (PADF) is a concerted effort to promote sustainable tourism and protect cultural assets inside Georgia's Kolkheti Forests and Marshes World assets Sites. This project, supported by a \$150,000 reciprocal financial commitment from both organisations, aims to revitalize and develop sustainable tourism practices in Georgia.

The primary goal of this collaboration is to strengthen visitor management mechanisms and raise awareness of the intrinsic and unmatched significance of the designated cultural sites. The agreement recognizes the critical connection between responsible tourism and historic conservation, noting that preserving these sites' exceptional universal value demands a balanced approach that engages the public and stakeholders in sustainable tourism practices.

The emphasis on capacity building is a critical aspect of this collaboration. The parties involved understand that the experience and capacities of individuals entrusted with heritage site stewardship are critical to the effective management of cultural sites and the successful implementation of sustainable tourism practices. As a result, the collaboration focuses on the professional development of heritage management staff, the enhancement of visitor service teams' skills, and the expansion of the skill set possessed by local ranger enclaves. This multifaceted approach to capacity building recognizes the rich mosaic of responsibilities required to fulfill the difficult demands of heritage preservation and sustainable tourism holistically.

The "Cash for Work" program is a prominent and creative component of this collaborative project. This program is envisioned as a method to provide work possibilities for unemployed youngsters while also addressing societal needs and building a cadre of individuals capable of contributing effectively to heritage protection. Through specialized training, these young peo-

ple are prepared to take on critical maintenance and conservation activities, fostering a symbiotic relationship between social well-being and cultural preservation.

Finally, the collaboration between UNESCO and the PADF is a laudable step toward the alignment of sustainable tourism and cultural conservation goals. This collaboration holds the promise of developing an ethos of responsible tourism while safeguarding the enduring legacy of the Kolkheti Forests and Marshes World Heritage Sites by utilizing financial resources, expertise, and a variety of capacity-building projects. This attempt is significant not only for Georgia's historic and environmental legacy, but it also serves as a model for the global coexistence of tourism and preservation.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://www.worldwildlife.org/>
2. ალადაშვილი მ. ტურიზმი, გლობალიზაცია და მდგრადი განვითარება/ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი. N3, 2017
3. დევაძე ნ., ტურიზმის მდგრადი განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის ძირითადი მიმართულებები. დისერტაცია ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ბათუმი, 2019
4. Butler R.W. The Concept of a Tourist Area Cycle of Evolution: Implication for the Managment of Resources, The Canadian Geographer, 25, 1980.

ჟურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.

ჟურნალ “ეკონომისტში” სტატიების გამოქვეყნების წესები იხილეთ ვებგვერდზე:  
ekonomisti.tsu.ge

Journal “**Ekonomisti**”

Address: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103

Rules of Publication of articles in the journal “Ekonomisti” see: ekonomisti.tsu.ge

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი ნელი ჯაფიანიძე

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor Neli Qafianidze